

შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

*ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*

ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის  
დეპარტამენტი

*ექვნიეზა უნივერსიტეტის  
დაარსებიდან 75-ე წლისთავს*

# საისტორიო მაცნე

XIX

*შრომების კრებული*



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი - 2010

9 (C41) (06)  
ს 187

ასპინტორიო მაცნე“ გამომცემის 1995 წლიდან

**მთავარი რედაქტორი:**  
*კახაბერ სურგულაძე*

**ტომის რედაქტორი:**  
*ირაკლი მანველიძე*

**სარედაქციო საბჭო:**

*ჯემალ კარალიძე, ტარიელ ჭიღვარია (ქუთაისი),  
ქეთევან ჯიჯეიშვილი (თბილისი), ანდრო  
გოგოლაძე (თბილისი) თენგიზ გრიგოლია  
(თბილისი), ვაჟა შუბითიძე (თბილისი), მალხაზ  
სიორიძე, ემზარ მაკარაძე, ეთერ ბერიძე, თამაზ  
ფუტყარაძე, მანუჩარ ლორია, ნუგზარ ზოსიძე,  
ირინა ციცინცაძე (პასუხისმგებელი მდივანი).*

**რეცენზენტები:**

*სრ. პროფ. ლევან სვანაძე;  
სრ. პროფ. ეკატერინე ავალიანი;  
სრ. პროფ. ნოდარ მუშკუდიანი.*

**ISSN 1512-214X**

© ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

**მისამართი:**

საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის 35, უნივერსიტეტის I კორპუსი,  
ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის დეპარტამენტი №47.

**E-mail :** kakha\_surguladze@yahoo.com

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2010

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

**Shota Rustaveli State University**

**The Faculty of Humanitarian Sciences**

***DEPARTMENT OF HISTORY, ARCHAEOLOGY  
AND ETHNOLOGY***

*To the 75th Anniversary of Shota  
Rustaveli State University*

# **SAISTORIO MATSNE**

**XIX**

**PROCEEDINGS**



**Publishing House „Universali“**

**Tbilisi - 2010**

9 (C41) (06)  
b 187

**Issued since 1995**

**Editor-in-chief:**

*Kakhaber Surguladze*

**Editor volume:**

*Irakli Manvelidze*

**Editorial Board:**

*Jemal Karalidze, Tariel Tchigvaria (Kutaisi), Ketevan Djidjeishvili (Tbilisi), Vaja Shubitidze (Tbilisi), Tengiz Grigolia (Tbilisi), Andro Gogoladze (Tbilisi), Malxaz Sioridze, Tamaz Futkaradze, Eter Beridze, Manchur Loria, Emzar Makaradze, Nugzar Zosidze, Irina Tsintsadze (Secretary).*

**Reviewers:**

*Full prof. Levan Svanadze;*

*Full prof. Ekaterine Avaliani;*

*Full prof. Nodar Mushkudiani.*

**ISSN 1512-214X**

© The Department of History, Archaeology and Ethnology

**Address: №47, The Department of History, Archaeology and Ethnology,  
Shota Rustaveli State University, 35 Ninoshvili Street, Batumi, Georgia,**

**E-mail :** kakha\_surguladze@yahoo.com

**Publishing House „Universali“, 2010**

Tbilisi, 0179, I. Chavchavadzis ave.. 19, : 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

# შ ი ნ ა ა რ ს ი

## ისტორია HISTORY

---

---

*გიორგი ჭიღვარია*

*კახაბერ სურგულაძე*

ისლამის გავლენა თანამედროვე თურქეთის პოლიტიკაზე ..... 11

*Giorgi Tchighvaria*

*Kakhaber Surguladze*

The influence of Islam on the modern politics of Turkey ..... 18

*ირაკლი მანველიძე*

ამერიკის შეერთებული შტატების მიდგომა კოსოვოს

პრობლემისადმი..... 19

*Иракли Манвелидзе*

Подход Соединенных Штатов Америки к проблеме

Косово ..... 34

*Irakli Manvelidze*

The approach of the United States of America to a

problem of Kosovo..... 35

*ინეზა ზოიძე*

ქალის როლი შუა საუკუნეების საქართველოს

საზოგადოებრივ ცხოვრებაში..... 36

*Инеза Зойдзе*

Роль женщины в общественной жизни средневековой Грузии ..... 44

*Ineza Zoidze*

Role of the woman in a public life Medieval Georgia..... 44

*იზოლდა ბელთაძე*

ინგლისის სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობანი

იტალიასთან (XIV—XVI სს)..... 45

***Изольда Белтадзе***

Английские торговые и дипломатические отношения с Италией (XIV-XV вв.).....54

***Izolda Beltadze***

English trading and diplomatic Relations with Italy (XIV-XV cc.) ..... 55

***არჩილ ვარშალომიძე***

საქართველო-საბჭოთა რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი ქვეყნის ოკუპაციამდე (1921 წ.)..... 56

***Archil Varshalomidze***

Some Aspects of Diplomatic Relations between Georgia and Soviet Russia before the Annexation ..... 65

***ემზარ მაკარაძე***

***მაია მანჩხაშვილი***

თურქეთის ქართულ დიასპორები ..... 66

***Emzar Makaradze***

***Maia Manchkhashvili***

Georgian Diaspora of Turkey ..... 77

***ემზარ მაკარაძე***

***Мая Манчхашвили***

Грузинские диаспоры Турции..... 78

***ნატალია ლაზბა***

ლიბანის ეთნოკონფესიური შემადგენლობა და თავისებურებები..... 80

***Нато Лазба***

Особенности государственной системы Ливана ..... 87

***Lazba Natalia***

Confessional composition of the Lebanon..... 88

***თამაზ ფუტყარაძე***

კავკასიის პოლიტიკური ერთეულების მრავალვექტორული პოლიტიკა და რეგიონალური თანამშრომლობის პერსპექტივები..... 88

<b><i>Tamaz Phutkaradze</i></b>	
Geopolitical orientations and prospects for regional collaboration in Caucasian .....	95
<b><i>ოთარ გოგოლიშვილი</i></b>	
ავსტრიელთა სადაზვერვო საქმიანობიდან ბათუმის ოლქში .....	97
<b><i>Otar Gogolishvili</i></b>	
The Activity of the Secrete Services of Austria in the District of Batumi.....	100
<b><i>ლამზირა ხიდეშელი</i></b>	
თურქეთ - ევროკავშირის ურთიერთობების ისტორიიდან .....	101
<b><i>Lamzira Khidesheli</i></b>	
From History of Turkey – EU Relations.....	110
<b><i>ჯემალ კარალიძე</i></b>	
გეოპოლიტიკური პროცესები XVIII ს-ის მეორე ნახევარში და საქართველო .....	110
<b><i>Jemal karalidze</i></b>	
Geo-political Processes in the second half of XVIII century end Georgia .....	120
<b><i>დავით ეცადეიშვილი</i></b>	
ეროვნული მოძრაობა საქართველოში XX ს-ის 60-70-იან წლებში.....	120
<b><i>Давид Ецадеишвили</i></b>	
Национальное движение в Грузии в 60-70-гг. XX столетия .....	127
<b><i>David Etsadeishvili</i></b>	
The national movement in Georgia in 60-70-ies of the XX century .....	127
<b><i>მამუკა გოგიტიძე</i></b>	
ბრძოლა გენერალ დენიკინის არმიის წინააღმდეგ 1919-1920 წლებში.....	128
<b><i>Mamuka Gogitidze</i></b>	

Battled from general Denikin („Woluntared Army”) 1919-1920 years .....	136
<b><i>ხათუნა დიასამიძე</i></b>	
უკრაინის საკითხი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ურთიერთობებში მეორე მსოფლიო ომის წინ .....	137
<b><i>Хатуна Диасамидзе</i></b>	
Вопрос Украины в советско-германских отношениях перед второй мировой войной .....	147
<b><i>Khatuna Diasamidze</i></b>	
The Ukraine Question in the USSR-German Relations on the Eve of WWII .....	148
<b><i>ნუჯარ ზოსიძე</i></b>	
აშოტ კურაპალატი .....	149
<b><i>Nugzar Zosidze</i></b>	
Ashot kurapalati .....	157

ანთროპოლოგია  
**ANTHROPOLOGY**

---



---

<b><i>მანუჩარ ლორია</i></b>	
ისტორიული ინფორმატიკა და ვიზუალურ ანთროპოლოგია ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში .....	158
<b><i>Манучар Лория</i></b>	
Историческая информатика и визуальная антропология в Грузинском образовательном в системе .....	165

ეთნოგრაფია  
ETHNOLOGY

---

---

*მარინა შალიკავა*

ხელოსნობა და შინამრეწველობა. მეურნეობის  
დამხმარე დარგები ..... 166

*Marina Shalikava*

Handcrafting and Domestic Manufacturing.  
Adjunct Farming Branches ..... 178

ტოპონიმიკა  
TOPONYMY

---

---

*ეთერ ბერიძე*

სოფ. კორიდეთის ტოპონიმიკა ..... 180

*Этер Беридзе*

Топонимика села Коридети..... 184

ჟურნალისტიკა  
JURNALISM

---

---

*გურანდა შამილიშვილი*

„ხუმრობა, იუმორი, სატირა - ეს ცხოვრებაა...“ ..... 185

*Guranda Shamilishvili*

„Joke, humor, satire – this is life...“ ..... 195

<i>გურანდა შამილიშვილი</i>	
„Шутка, юмор, сатира - это жизнь...“ .....	196
<i>ნესტან მამუჩაძე</i>	
მასალათა დაბალანსების პრობლემა .....	197
<i>Nestan Mamuchadze</i>	
problem of balancing journalistic materials.....	204
<i>ნესტან მამუჩაძე</i>	
Проблема балансировки журналистских материалов .....	204

**ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა**  
**PHILOSOPHY**

---

<i>ირმა ბაგრაციონი</i>	
კულტურის ისტორიის ორგანოტროპული არსი	
კონსტანტინე კაპანელის ფილოსოფიაში.....	205
<i>Irma Bagrationi</i>	
The Organotropic Essence of History of Culture in Konstantine	
Kapaneli's Philosophy .....	210
<i>Ирма Багратиони</i>	
Органотропная сущность истории культуры в	
философии Константина Капанели.....	211

# ი ს ტ ო რ ი ა

---

---

*გიორგი ჭიღვარია  
კახაბერ სურგულაძე*

## **ისლამის გავლენა თანამედროვე თურქეთის პოლიტიკაზე**

თანამედროვე თურქეთის გეოპოლიტიკურ კონცეფციაში რელიგიას განსაკუთრებული როლი უჭირავს. ქვეყანაში გავრცელებულ სხვა აღმსარებლობებთან შორის უმთავრესი გახლავთ ისლამი, სუნიტური მიმდევრობით. იგი წარმოადგენს თურქეთის რესპუბლიკის ძირითად რელიგიას, მაგრამ დღემდე ეროვნულმა კრებამ მუსტაფა ქემალ ათათურქის თაოსნობით, 1928 წელს, ქვეყნის კონსტიტუციიდან ამოიღო თავი, რომელიც ისლამს განსაზღვრავდა სახელმწიფო რელიგიად, რის შედეგადაც პირველად მუსლიმურ ქვეყანაში დამკვიდრდა რელიგიური თავისუფლების დემოკრატიული პრინციპი. მოქმედი კონსტიტუციის მე-2 მუხლით განსაზღვრულია, რომ თურქეთის რესპუბლიკა წარმოადგენს დემოკრატიულ, საერო და სოციალურ-სამართლებრივ სახელმწიფოს (Шахиндлер, Кемализм, 1998, 189). აღნიშნული პრინციპების გამყარება წარმოადგენდა ქემალისტური დემოკრატიული რეფორმების შედეგს, რის შემდეგაც თურქეთში ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება გააჩნდეს თავისი რელიგია ან იყოს ათეისტი. აღნიშნული პრინციპები გამოორიცხავს თურქეთის რესპუბლიკაში ლეგალურად შარიათის აღდგენას.

უნდა აღინიშნოს, რომ შარიათის ხელახლა დამკვიდრებისაკენ მიმართული ნებისმიერი მოწოდება კვალიფიცირდება,

როგორც საერო ხელისუფლების ძალისმიერი ხელყოფის ფაქტი.

მიუხედავად მუსტაფა ქემალის მიერ მიღებული მკაცრი კანონებისა, ისლამს მაინც მყარი საფუძველი აქვს, რესპუბლიკური თურქეთის პოლიტიკურ ისტორიაში. ქვეყანაში ნაციონალისტების მიერ ჩატარებული რეფორმების შემდეგ, 50-იანი წლებიდან რელიგიური პოტენციალის გამოღვიძება კვლავ დაიწყო, რაც მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფაქტორში გადაიზარდა. გაძლიერდნენ პროისლამისტური პარტიები, რასაც საბოლოოდ შედეგად სამხედროების ამბოხება მოყვა. ადნან მენდერესის ხელისუფლების დამხობის შემდეგ, 1965 წლის 13 ივლისის კანონით აიკრძალა ისეთი პარტიების დაფუძნება, რომლებიც, რელიგიურ მოძღვრებებს ეყრდნობოდა და გამოდიოდა სახალიფოს აღდგენისათვის, მაგრამ მიუხედავად ამ აკრძალვისა თურქეთში რელიგიური პროგრამების მქონე პოლიტიკური პარტიები რეალობად იქცა.

ამ მიმართულებით ერთ-ერთ პირველ მცდელობას ადგილი ჰქონდა 1967 წელს, როდესაც ჩამოყალიბებული იქნა „განთავისუფლების პარტია“ მისმა ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ე. ოზკანმა განაცხადა: „ჩვენი მიზანია, შეიქმნას სახელმწიფო, რომელიც დაეყრდნობა ისლამის კონცეფციებს. დღემდე არსებული კაპიტალისტური რეჟიმები გამოიცადა, თუმცა ვერცერთ სახელმწიფოში ამ რეჟიმებმა ვერ მოიპოვა სტაბილურობა. ჩვენ მივისწრაფით იმისკენ, რომ შევქმნათ ოსმალთა იმპერიის მსგავსი სახელმწიფო“ (ისლამის გავლენა თურქეთის პროდასავლურ ორიენტაციაზე). აღნიშნული პარტიის წევრებმა გაავრცელეს თურქეთის კონსტიტუციის პროექტი, რომლის მიხედვითაც, შემოთავაზებული იყო ქვეყანაში თეოკრატიული რეჟიმის დამყარება. ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა მმართველი პარტიის („ხსნის პარტია“) სასტიკი წინააღმდეგობის გამო.

1970 წლიდან თურქეთში გამოჩნდა ახალი პროისლამური პარტია სახელწოდებით: „ეროვნული წესრიგის პარტია“. მისი ხელმძღვანელი გახლდათ ნეჯმეთინ ერბაქანი, რომელიც მოითხოვდა ქვეყანაში რელიგიისა და რელიგიური სწავლების თავისუფლებას, ისლამის მორალური ფასეულობების წინ წამოწევას საზოგადოებაში დასავლური კულტურის საპირისპიროდ და პოლიტიკური კურსის პრიორიტეტად მუსლიმურ ქვეყნებთან ურთიერთობის გამოცხადებას.

1971 წლის მაისში, ქემალისეული ღირებულებების უარყოფისა და ლაიციზმის პრინციპის დარღვევის გამო, უმაღლესი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით „ეროვნული წესრიგის პარტია“ აიკრძალა, მაგრამ მალევე 1972 წელს მან განაახლა თავისი მოღვაწეობა ამჯერად „ეროვნული ხსნის პარტიის“ სახელწოდებით. პროისლამური პარტია პოლიტიკური საქმიანობის დაწყებისთანავე აქტიურად გამოვიდა უცხოური ძალმომრეობის წინააღმდეგ. მან მოკლე დროში მოახერხა, საკმაოდ გაეფართოებინა გავლენა და 1973 წლის შემოდგომაზე, ქვეყნის რელიგიურ წრეებზე დაყრდნობით წარმატებით მიეღო მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში.

„ეროვნული წესრიგის პარტია“ დასავლეთს ისლამის ფასეულობებს უპირისპირებდა და ქვეყანას რეისლამიზაციისაკენ მოუწოდებდა, რასაც შედეგად 1980 წლის 12 სექტემბრის მორიგი სამხედრო გადატრიალება და რეპრესიები მოჰყვა. ამბოხებულებმა დაითხოვეს მთავრობა და პარლამენტი, რის შემდეგაც ხელისუფლება გადავიდა ეროვნული უშიშროების საბჭოს ხელში, რომელიც თავად სამხედროებმა ჩამოაყალიბეს. მათივე ხელმძღვანელობით შემუშავდა ახალი კონსტიტუცია, რომელიც 1982 წელს, მიიღეს საყოველთაო რეფერენდუმის საფუძველზე. მასში ხაზგასმით აღინიშნა, პოლიტიკაში რელიგიის ჩარევის აკრძალვის თაობაზე.

90-იანი წლებიდან თურქეთში კვლავ იზრდება ისლამისტური ორგანიზაციების რიცხვი, რადგან 1991 წელს გაუქმდა სისხლის სამართლის კოდექსის 163 მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას ხანგრძლივი ვადით, მორწმუნის რელიგიური გრძნობების ექსპლუატაციისათვის, რელიგიის გამოყენებისათვის რომელიმე პირის, ორგანიზაციის მიერ პოლიტიკური ან პირადი მიზნებისათვის (სვანიძე, 2007, 532). ამასთანავე ისლამისტების პოპულარობას ხელს უწყობდა ქვეყანაში არსებული მწვავე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი, უმუშევრობის ზრდა, ინფლაციის მაღალი დონე და სხვ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქემალისტები მხილებული იყვნენ კორუფციაში და გარკვეულწილად ამითაც იყო განპირობებული მათი ოპოზიციის რეიტინგის ზრდა.

1995 წლის დეკემბერში თურქეთის რესპუბლიკაში ჩატარდა მორიგი არჩევნები, რომელშიც „კეთილდღეობის პარტია“ მოაგროვა ყველაზე მეტი ადგილი პარლამენტში. 1996 წელს აღნიშნული პარტიის ლიდერი ნ. ერბაქანი დაინიშნა პრემიერ-მინისტრად. მან თანამდებობის დაკავებისთანავე პარტიასთან ერთად დაიწყო აქტიური მონოდეტები: ევროკავშირში „ჭეშმარიტ დემოკრატიაზე“ გადასვლისა და „დემოკრატიული საგარეო პოლიტიკის“ გატარების აუცილებლობაზე (სვანიძე, 2007, 533], აღნიშნულ მოთხოვნებში პირველ რიგში იგულისხმებოდა ისლამურ სახელმწიფოებთან დაახლოება, რწმენის თავისუფლების აღიარება, სკოლებში და სახელმწიფო დაწესებულებებში ჩადრის ტარების თავისუფლება, დღეში ხუთჯერ ლოცვა, რელიგიური სკოლების თავისუფალი საქმიანობა, ლოცვაში არაბული ენის გამოყენება და სხვ. იგი ასევე თამამად და ღიად აკრიტიკებდა თურქეთის სწრაფვას ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით.

ხელუსუფლების სათავეში 16 თვიანი ყოფნის მანძილზე „კეთილდღეობის პარტიამ“ შეძლო ისლამისტების მოყვანა ყველა ძირითად პოსტზე. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ მათი ხელშეწყობით 1997 წელს შეიქმნა „მუსლიმანური რვიანი“, რომელშიც შევიდნენ თურქეთი, ეგვიპტე, ირანი, პაკისტანი, ბანგლადეში, ინდონეზია, მალაიზია და ნიგერია.

ისლამიზაციის წინაშე სამოქალაქო ძალების უმწეობის დანახვის შემდეგ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში კვლავ ჩაერია სამხედრო ელიტა. მათ მთავრობას შესთავაზეს ანტი-ისლამური ღონისძიებების სია, რომელიც თვრამეტი პუნქტისაგან შედგებოდა. აქედან ძირითადი უფლებები ეხებოდა ისლამური პოლიტიკური პარტიების შეზღუდვას, ყურანის შემსწავლელი კურსების დახურვას და სხვ. სწორედ ამის შედეგი გახლდათ ნ. ერბაქანის პარტიის აკძალვა ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. თუმცა მალევე მისმა ყოფილმა წევრებმა შექმნეს „სათნოების პარტია“, რომელიც აკრძალული იქნა იმავე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2001 წელს „ისლამიზაციის მცდელობის“ გამო (Büğünkü Türkiye 1980-2003, 2007, 89).

ამავე 2001 წლის ზაფხულის დასასრულში პარტიის ზომიერი ფრთის მომხრეებმა შექმნეს ახალი „სამართლიანობისა და განვითარების პარტია“, რომელსაც მეთაურობდა ხალხში მეტად პოპულარული სტამბულის ყოფილი მერი (1994-1998) რეჯეფ თაიფ ერდოღანი. წინა პროისლამისტური ძალებისაგან განსხვავებით აღნიშნული პარტია პროევროპული ორიენტაციის გახლდათ.

2002 წლის საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური ექსპერტების უმრავლესობა წინასწარმეტყველებდა „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“ გამარჯვებას, მაგრამ არავინ ელოდა, რომ ეს გამარჯვება ამდენად შთამბეჭდავი იქნებოდა. არჩევნების შედეგებმა ყურადღება მიიქცია იმით, რომ წინა ხელისუფლებაში მყოფი პარტიებიდან, ვერ-

ცერთმა ვერ შეძლო გამარჯვება, რაც ისეთმა ფაქტორებმა განაპირობა, როგორც არის ეკონომიკური კრიზი, უმუშევრობის ზრდა, საგარეო ვალების დაგროვება, სამთავრობო წრეებში არსებული კორუფცია და ა.შ.

ხელისუფლებაში მოსული ახალი, ძალებისათვის დამახასიათებელი გახლდათ ლიბერალიზმი და დასავლეთთან დაახლოების ტენდენცია. გამარჯვებული პარტიის ლიდერმა სიებში არ შეიყვანა რადიკალი კანდიდატები და არჩევნების შემდეგ განაცხადა, რომ მისი პოლიტიკა არ ეფუძნება რელიგიას და ქვეყნის საგარეო პრიორიტეტად კვლავ ევროკავშირში გაწევრიანებას მიიჩნევს.

რედოლანის დამსახურებაა ასევე ის ფაქტი, რომ ქვეყანაში ამოქმედებული იქნა 1982 წლის კონსტიტუციის ის დებულება, რომელშიც საუბარი გახლავთ რელიგიის პოლიტიკური და პირადი მიზნებისათვის გამოყენების აკრძალვაზე. რის შემდეგაც თურქეთის რესპუბლიკაში კვლავ აიკრძალა მოქმედი რადიკალი ისლამისტური პარტიები. აღნიშნული პოლიტიკით რ. ერდოღანმა და მისმა თანამოაზრეებმა შეძლეს და ზომიერებით დაარეგულირეს ისლამის მომხრეებსა და ნაციონალისტებს შორის ურთიერთობა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მათ მოახერხეს სამხედროების იმ ნაწილის გამოაშკარავება და დაპატიმრება, რომლებიც უკმაყოფილო იყვნენ ახალი ხელისუფლებისა და მორიგი გადატრიალებისათვის ემზადებოდნენ.

ამრიგად, როგორც ახალგაზრდა თურქეთის თანამედროვე ისტორიიდან ჩანს, მიუხედავად სეკულარული მოწყობისა, სახელმწიფოში რადიკალი ისლამისტები ყოველთვის ცდილობდნენ ქვეყნის რეისლამიზაციას. აღსანიშნავია, რომ თურქეთის რესპუბლიკას რადიკალებისაგან შეიძლება მომავალშიც შეექმნას იგივე პრობლემები. მაგალითად დღეს, აღნიშნული საკითხი სასიცოცხლოდ არის დაკავშირებული ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციასთან, რადგან თუ ანკარა

ევროპელებმა საბოლოოდ უარით გამოისტუმრეს, მაშინ იგი იძულებული გახდება თავადაც უარი თქვას პროდასავლურ პოლიტიკაზე და ახალი ეკონომიკური და პოლიტიკური მოკავშირეები ეძებოს. რის შემდეგაც სავარაუდოდ მოსახლეობაში კვლავ გაძლიერდება ფუნდამენტალისტური იდეების გავრცელება და შეიზღუდება დემოკრატიული ინსტიტუტები.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. სვანიძე, თურქეთის ისტორია, თბ., 2007;
2. 1982 წლის თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, თურქულიდან თარგმნა გ. სორდიამ, თბ., 2000;
3. ისლამის გავლენა თურქეთის პროდასავლურ ორიენტაციაზე იხ. საიტზე [www.parliament.ge/files/1112\\_22236\\_810299\\_Turkey](http://www.parliament.ge/files/1112_22236_810299_Turkey);
4. ა. მელიქიშვილი, ბრიფინგი ვილსონის ცენტრში, [www.voanews.com/.../2010-01-20-voa9.cfm?..](http://www.voanews.com/.../2010-01-20-voa9.cfm?..);
5. მ. შავიძე, ისლამის გავლენა თურქეთის პროდასავლურ პოლიტიკაზე, იხ. საიტზე [www.parliament.ge/files/1112\\_22236\\_810299\\_Turkey1.pdf](http://www.parliament.ge/files/1112_22236_810299_Turkey1.pdf);
6. Bûgûnkû Tûrkiye 1980-2003 (istoria da dokumentebis krebuli) Istanbul, 2007;
7. Шахиндлер М., Кемализм, М., 1998.

**Giorgi Tchighvaria**  
**Kakhaber Surguladze**  
**The influence of Islam on the modern politics of Turkey**

*Summary*

In the Geopolitical conception of contemporary Turkey an important role is played by religion. Islam and its Sunni branch is the primary confession in the region. The national group, which had Kemal as the leader, developed many projects within the first few decade of the republic. In 1928 aforesaid group removed a chapter from the Constitution that defined Islam as a state religion. As a result; the democratic principle of the freedom of the faith was inculcated. Despite the drastic law, that Kemal passed, Islam has strong basis in the Turkish political history. After the reformes, held by the nationalists, in the 1950s, rising of the religious potenial began that caused serious and important political factors. Reinforcement of proislamist parties aimed at reislamization of the country, but their attempts were liquidated. In the beginning of the XXI century restrained islamists gained the authority and they managed to balance the tension existing between islamists and nationalists

## **ამერიკის შეერთებული შტატების მიდგომა კოსოვოს პრობლემისადმი**

კოსოვოს კონფლიქტთან მიმართებით ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის ფორმირება და დამოკიდებულება განიხილება სერბეთთან, პოსტიუგოსლავიის სივრცეში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და მთლიანად ევროპაში ამერიკის საგარეო პოლიტიკური კურსის ქრილში, იმ რადიკალური გარდაქმნების ფონზე, რომელიც მსოფლიოში მოხდა „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ. ამ კონტექსტით ამერიკის პოლიტიკა კოსოვოს საკითხთან მიმართებით უკანასკნელ ათწლეულში შეიძლება გავყოთ რამდენიმე ეტაპად: 1. ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე დეზინტეგრაციული პროცესების დაწყებიდან (80-იანი წლების ბოლო) იუგოსლავიის ფედერაციის დაშლამდე (1992 წელი); 2. 1992 წლიდან დაწყებული 1997 წლის ჩათვლით, როცა შეიარაღებული კონფლიქტის ფონზე ხორვატიაში, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება მიპყრობილი იყო მათი მოწესრიგებისაკენ და კოსოვოს საკითხი უკანა პლანზე იწევს; 3. 1998-1999 წლები, როცა შეიარაღებული კონფლიქტი გაჩაღდა მხარეში და მოხდა საერთაშორისო საზოგადოების აქტიური ჩართვა კრიზისის გადაჭრისათვის; 4. 1999 წლიდან 2008 წლის თებერვალი, კონფლიქტში ნატოს ჩართვა, მხარის გაეროს მმართველობაში გადასვლა და შემდგომ კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადება; 5. 2008 წლის თებერვლიდან კოსოვოს ცნობა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ.

სისტემური კრიზისის, შემდეგ კი საბჭოთა ბლოკის დაშლის შედეგად, საგარო ფაქტორების გავლენა იუგოსლავიის ფედერაციაზე მკვეთრად გაიზარდა. ერთიანი იუგოსლავია, რომელმაც წარმატებულად შეინარჩუნა თავისი ინდივიდუალობა და თვითმყოფადობა საერთაშორისო ურთიერთობების ორ პოლუს შორის ღრმა მანევრირების წყალობით, უკვე ბიპოლარული სისტემის მოშლის შემდეგ აღარ იყო საჭირო არც აღმოსავლეთისათვის და არც დასავლეთისათვის. ამავდროს, კოსოვოელი ალბანელების ნაციონალურ-სეპარატისტული მოძრაობა სულ უფრო მეტ ყურადღებას იქცევდა დასავლეთის მხრიდან.

80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში იუგოსლავიის ტერიტორიაზე კონფლიქტთან მიმართებით ამერიკის პოლიტიკა ხასიათდებოდა გაურკვეველობით. ეს დაკავშირებული იყო, უპირველეს ყოვლისა, იმასთან, რომ „ცივი ომის“ დასრულებამ და ბიპოლარული მსოფლიო სისტემის მოშლამ თვით ამერიკის სამხედრო-პოლიტიკური სტრატეგიის გადახედვა მოითხოვა. ამერიკის მმართველი ელიტის წინაშე დაისვა ამოცანა განესაზღვრათ ამერიკის ახალი როლი ევროპასა და მსოფლიოში, კარდინალურად გადაიხედა საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები. მიუხედავად მსოფლიოში ამერიკისათვის ხელსაყრელი ცვლილებებისა, გარდამავალი ხასიათის 1989-1990 წლების პერიოდში საკმაოდ ფრთხილი მოდგომა არსებობდა ნებისმიერი საგარეო პოლიტიკური ცვლილებებისადმი. მაგალითად, 1990-1991 წწ. ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციას საკმაოდ ფრთხილი პოზიცია ეჭირა იუგოსლავიის შესაძლო დაშლასთან დაკავშირებით და მთლიანობაში გამოდოდა ქვეყნის ტერიტორიულ-მთლიანობის შენარჩუნების მხარდაჭერით.

1990 წელს გამოქვეყნდა ამერიკის ცენტრალური სადაზვერო სამართველოს მოხსენება, სადაც მოცემული იყო პროგნოზი, რომ სწორედ კოსოვო უნდა ჩაითვალოს სამოქა-

ლაქო ომის მთავარ კერად იუგოსლავიის ფედერაციაში, რომელიც როგორც თვლიდნენ, დაიწყებოდა უახლოეს 18 თვის განმავლობაში. მთლიანობაში ახალი ბალკანური ომის დაწყების საშიშროება კოსოვოს გამო 90-იანი წლების დასაწყისში რელურად იქნა შეფასებული ამერიკელი ექსპერტების მიერ. ამიტომ, შემთხვევითი არ იყო რომ ამერიკის სამხედრო მოსამსახურეები (540 კაცის შემადგენლობით) პირველად გამოიხილნენ ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე უკვე 1992 წლის დეკემბერში კოსოვო— მაკედონიის საზღვრებთან გაეროს კონტიგენტის შემადგენლობაში. მათი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო ალბანეთ-იუგოსლავიის საზღვარზე დაკვირვება. 1992 წლის ბოლოს ჯორჯ ბუშმა თანამდებობიდან წასვლის წინ ს. მილოშევიჩი საგანგებოდ გააფრთხილა, რომ კოსოვოში კონფლიქტის შემთხვევაში ამერიკა მზადაა გამოიყენოს სამხედრო ძალა სერბეთის წინააღმდეგ კოსოვოსა და თვით სერბეთში”. იგივე გაფრთხილება დაადასტურა კლინტონის ახალმა ადმინისტრაციამაც 1993 წლის იანვარში. ამის მიუხედავად, 1994 წელს ამერიკის კონგრესის წარმომადგენლების მიერ იყო მცდელობა მიეღოთ რეზოლუცია, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტს აძლევდა რეკომენდაციას უშიშროების საბჭოს წევრებთან და ევროკავშირთან განეხილათ საკითხი „კოსოვოში საერთაშორისო პროტექტორატის დამყარების” შესაძლებლობის შესახებ. ასევე მონონებულ იქნა კანონი „მშვიდობისა და დემოკრატიის შესახებ კოსოვოში”, თუმცა მათ მხარდაჭერა ვერ პოვეს თეთრი სახლის ადმინისტრაციისაგან.

უნდა აღინიშნოს, რომ იუგოსლავიის კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციისათვის საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანი იყო გერმანიის და იტალიის მიერ ხორვატიის და სლოვენიის დამოუკიდებლობის აღიარება, რომლებიც 1991 წლის მაის-ივნისში გამოვიდნენ იუგოსლავის ფედერაციიდან. თუმცა 1991 წლის სექტემბერში მაკედონიაში და განსაკუთრებით

1992 წლის მარტში ბოსნია-ჰერცეგოვინის დამოუკიდებლობის შესახებ ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ იუგოსლავიის შემდგომი დაშლის საერთაშორისო გაფორმების ინიციატორად ამერიკის შეერთებული შტატები გამოვიდა. ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციამ ითამაშა არა თუ მნიშვნელოვანი, არამედ გადამწყვეტი როლი ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საერთაშორისო აღიარებაში. ამავე დროს ამერიკამ დემონსტრაციულად უარი თქვა ელიარებინა 1992 წელს მარტ-აპრილში შექმნილი იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკა, რომლის შემადგენლობაში შედიოდა სერბია და ჩერნოგორია, როგორც ჩანს, ამ ნაბიჯით ამერიკამ ხაზი გაუსვა, რომ არ მიესალმებოდა ახალ ინტეგრაციულ პროცესებს იუგოსლავიაში.

ასეთი დამოკიდებულება ამერიკის ადმინისტრაციის პოზიციაში აიხსნება იმით, რომ ბოსნიის გაყოფის მომნიშვნელობის შემთხვევაში ამერიკა უნდა დათანხმებულიყო ამგვარი გაყოფის სერბულ ვარიანტს და ბოსნიელი სერბების შემდგომ ინტეგრაციას იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკასთან. ეს ვარიანტი არ აწყობდა ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციას, რომელსაც არ შეეძლო დაეშვა, რომ დასავლეთის მიერ ცუდად კონტროლირებადი გაერთიანება გამხდარიყო ახალი ცენტრი იუგოსლავიის გაერთიანების. ამერიკის ამგვარ პოზიციაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 1991-1992 წლებში საბჭოთა კავშირის დაშლამ, ასევე, მთელმა რიგმა გეოპოლიტიკურმა ფაქტორებმა და ინტრესებმა, რომლებიც პირდაპირ არ იყო დაკავშირებული ბალკანეთზე მშვიდობიან მონესრიგების პროცესთან.

სხვათაშორის, 1993 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნის დროს კოსოვოელი ალბანელების ლიდერმა ი. რუგავომ ვაშინგტონისაგან მიიღო დაპირება, რომ იუგოსლავიაზე სანქციების მოხსნასთან ერთად განხილული იქნება მხარის პრობლემაც. 1994 წლის მაისში კოსოვოში იმყოფე-

ბოდნენ უცხოელი სტუმრებიც—დიდბრიტანეთის, საფრანგეთის და პორტუგალის წარმომადგენლები. მათი შეფასებით მოსახლეობის 38% თვლიდა, რომ პრობლემის მოგვარებას ელის მხარის პოლიტიკური ხელმძღვანელობისაგან, 20% ამერიკის შეერთებული შტატებისაგან (სხვათაშორის 1991 წელს 64% თვლიდა ასე), 11% კი ევროკავშირისაგან. 65 % დარწმუნებული იყო, რომ საჭიროების შემთხვევაში მიიღებდა სამხედრო დახმარებას სერბების წინააღმდეგ ბრძოლაში.

1996 წელს ი. რუგავომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ალბანური დიასპორის დახმარებით შეძლო თეთრი სახლის ადმინისტრაციის ყურადღების მიპყრობა კოსოვოს საკითხისადმი. იგი შეხვდა პრეზიდენტ ბ. კლინტონსაც. თეთრი სახლის ადმინისტრაციისაგან მან მიიღო დაპირება, რომ ყველაფერს გააკეთებდნენ, რომ ეს პრობლემა საბოლოოდ გადაწყდეს. უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ ამერიკის შეერთებულ შტატებში თვლიდნენ, რომ ამერიკის პოლიტიკის მიზანი კოსოვოში უნდა ყოფილიყო კოსოვოს მცხოვრებთა მდგომარეობის გაუმჯობესება და მხარისათვის ფართო ავტონომიის მინიჭება. თუმცა, მხარს არ უჭერდნენ კოსოვოს დამოუკიდებლობას, რომელიც დაარღვევდა იუგოსლავიის ტერიტორიულ მთლიანობას. ხოლო სიტუაციაზე გავლენის მოხდენის მიზნით, კოსოვოში 1996 წლის 5 ივნისს გაიხსნა ამერიკის საინფორმაციო სააგენტოს წარმომადგენლობა, რამაც არანაკლები როლი ითამაშა საკითხის ინტერნაციონალიზაციაში.

1998 წლის დასაწყისიდან კოსოვოში სიტუაციის ხელახლა დაძაბვასთან ერთად, კრიზისმა ფართო ინტერნაციონალიზაციის სახე მიიღო. მასში პირდაპირ თუ ირიბი კუთხით ჩართული აღმოჩნდა წამყვანი ევროპული სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები ((მათ შორის არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციები) (გაერო, ეუთო, ევროკავშირი)), ხოლო 1999 წლის დასაწყისიდან ნატოს ჩართვამ ამ კონფლიქტში შეიძლება ითქვას დაასრულა საკითხის ინტერ-

ნაციონალიზაცია. წამყვანი სახელმწიფოებიდან შეიძლება დავასახელოთ ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია და რუსეთი. რა თქმა უნდა მეტნაკლებად სხვა სახელმწიფოებიც მონაწილეობდნენ.

მათგან უმნიშვნელოვანეს როლს ამერიკის შეერთებული შტატები თამაშობდა.

1995 წლიდან იუგოსლავიის საკითხი განსაკუთრებულ ადგილს იჭერს კლინტონის ადმინისტრაციაში. 1995 წელს დაიდო დეიტონის/პარიზის შეთანხმება, რომელიც ნატოს ეგიდით მრავალრიცხოვანი სამხედრო კონტიგენტის განთავსებას ითვალისწინებდა ბოსნიაში. კოსოვოს პრობლემაც მოექცა დეიტონის შეთანხმების ფარგლებში.

1997 წელს ალბანეთში შექმნილმა პოლიტიკურმა კრიზისმა თავისი გავლენა იქონია კოსოვოს საკითხის გამწვავებაში, ალბანეთის ჩრდილოეთი რაიონები უკონტროლო გახდა, რომლებსაც კოსოვოელი ალბანელები საკუთარ ბაზებად გამოიყენებდა. 1998 წლის იანვარში საერთაშორისო საკონტაქტო ჯგუფი ყოფილი იუგოსლავიის საკითხებში იძულებული გახდა კოსოვოს პრობლემა გამოეცხადებინა საერთაშორისო თანამეგობრობის პრიორიტეტულ საკითხად და მოუწოდა მხარეებს მშვიდობიანი დიალოგის დაწყებისაკენ.

1998 წლს დასაწყისში კოსოვოში სიტუაციის გამწვავებასთან დაკავშირებით საკონტაქტო ჯგუფმა ბერლინსა და ლონდონში გამართულ თავის საგანგებო სხდომაზე მოუწოდა გაეროს უშიშროების საბჭოს შემოეღოთ ემბარგო იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკის წინააღმდეგ, გაეყინათ სერბიის ფინანსური აქტივები და მოუწოდეს სერბულ მხარეს უარი ეთქვა კოსოვოში მიმდინარე ოპერაციისათვის. თავის მხრივ, ამერიკის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ძალაშია 1991 წლის ჯ. ბუშის გაფრთხილება ბელგრადისადმი და თეთრი სახლის ადმინისტრაციის პოლიტიკა ამ კუთხით არ იცვლება. პარალელურად ნატომ დაიწყო საკითხის გან-

ხილვა სამხედრო ჩარევის შესახებ. 1998 წლის მაისში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კოსოვოს სიტუციასთან დაკავშირებით სამხედრო გეგმების დანყების შესახებ. ერთ-ერთი გეგმა ითვალისწინებდა სამხედრო საჰაერო დარტყმების განხორციელებას. პარალელურად, ნატო ქმედით დახმარებას უწევს ტირანას.

1998 წლის შემოდგომიდან ამერიკის შერთებული შტატების პოლიტიკა მკვეთრად გააქტიურდა კოსოვოს საკითხთან მიმართებით. რაც დაკავშირებული იყო მთელ რიგ ფაქტორებთან. კერძოდ, მხარეში სამხედრო-პოლიტიკური ვითარების შეცვლასთან. 1998 წლის აგვისტომდე კოსოვოში ტერიტორიის დიდ ნაწილს თითქმის აკონტროლებდა კოსოვოს განმათავისუფლებელი არმია. თუმცა, ბელგრადმა არმიის ნაწილების დახმარებით შეძლო მხარეში ძირითადი წინააღმდეგობრივი კერების მოსპობა და სიტუაციაზე კონტროლის ხელში აღება. სწორედ ამან აიძულა დასავლეთი ქმედითი ღონისძიებები მიეღო. 1998 წლის 23 სექტემბერს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია 1119, სადაც მოითხოვდა დაუყოვნებლივ შეწყვეტილიყო სამხედრო მოქმედებები კოსოვოში და მიეღოთ ღონისძიებები რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დასამყარებლად. იმავე წლის 24 სექტემბერს პორტუგალიაში ქ. ვილამორეში გაიმართა ნატოს ქვეყნების თავდაცვის მინისტრების არაფორმალური შეხვედრა, სადაც შეთანხმდნენ სერბიაზე სამხედრო საჰაერო დარტყმების განხორციელების მომზადების შესახებ. 1 ოქტომბერს ამერიკამ მოუწოდა თავის მოქალაქეებს დაეტოვებინათ იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკის ტერიტორია, ხოლო 12 ოქტომბერს კლინტონის ადმინისტრაციამ მილოშევიჩს ულტიმატუმი წაუყენა გაეროს რეზოლუციის შესრულებასთან დაკავშირებით. 2 ოქტომბერს ნატომ სამხედრო მზადყოფნა გამოაცხადა.

ამერიკის შეერთებული შტატების აქტიური ჩართვა კოსოვოს კონფლიქტში სტრატეგიული და იდეოლოგიური მომენტით იყო განპირობებული. კოსოვოს კონფლიქტში ჩარევის მიზანი იყო ის გარემოება, რომ იგი არ გასულიყო სერბიის საზღვრებს გარეთ, რაც გამოიწვედა სიტუაციის დესტაბილიზაციას და ბალკანეთის მეზობელი ქვეყნების — თურქეთის, საბერძნეთის, ბულგარეთის, რუმინეთის ჩათრევას კონფლიქტში. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო საბერძნეთ-თურქეთის პოზიციების განსხვავებულობა კოსოვოს საკითხთან დაკავშირებითაც.

დასავლეთისათვის ბევრად უფრო რეალურ საფრთხეს წარმოადგენდა კოსოვოს კრიზისის შესაძლო ნეგატიური გავლენა სიტუაციის მონერსრიგებაზე ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში. დეიტონის სამშვიდობო ხელშეკრულების მიღწევისა და რეალიზაციისათვის ბოსნიის საკითხზე დასავლეთმა, უწინარესად ამერიკის ადმინისტრაციამ, საკმაო ენერჯია დახარჯა და სურდა რეალური შედეგები სახეზე ყოფილიყო რეგიონში — სტაბილურობის მიღწევა და შენარჩუნება.

სტრატეგიული ინტრესების კუთხით, ამერიკის შეერთებული შტატებისათვის მნიშვნელოვანი იყო კოსოვოს კონფლიქტის გამოყენება ნატოს პოზიციების გამყარების მიზნით, როგორც ევროპაში სტაბილურობისა და მშვიდობის უზრუნველყოფის ინსტრუმენტის, და შემდგომში ალიანსის სამშვიდობო-პოლიციური ფუნქციის გაძლიერებისათვის.

კრიზისის მონერსრიგებაში ამერიკის შეერთებული შტატების აქტიური ჩართვას ერთი შეხედვით იდეოლოგიური ხასიათიც ქონდა. ერთ ერთი მიზეზი ჩარევისა იყო კოსოვოში ადამინის უფლებების დარღვევის კუთხით სიტუაციის მკვეთრი გაუარესება სერბული პოლიციური ოპერაციის შედეგად, ასევე დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ატრიბუტების არ არსებობა არა მარტო მხარეში არამედ მთლიანდ იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკაში.

მათი აზრით, მთავარი ხელის შემშლელი ფაქტორი სერბეთის დემოკრატიული გარდაქმნის გზაზე არის სოციალისტიკის მმართველობა, და კერძოდ, მილოშევიჩის ფიგურა პრეზიდენტის სახით. მილოშევიჩის ნეოკომუნისტური ფიგურა მიუღებელი იყო დასავლეთისათვის, რომელსაც მით უფრო აწუხებდა ბალკანეთზე ერთიანი სერბული სახელმწიფოს შექმნა, რეგიონში, რომელსაც დღითი დღე უახლოვდებოდა ნატოს ალიანსი. შედიოდა კი მილოშევიჩის პოლიტიკა დასავლეთის ინტერესებში, რომელიც დაინტერესებული იყო ცენტრალური, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ნატოში ინტეგრაციით?

დასავლეთს, 1996-1997 წლებში სერბიაში „დემოკრატიული ოპოზიციის გააქტიურებამ იმედი ჩაუსახა მილოშევიჩის ხელისუფლებიდან მოშორებისა, თუმცა 1997 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში მილოშევიჩმა და მისმა პარტიამ გაიმარჯვეს.

1998 წელს კოსოვოს კრიზისის გამწვავებმა დასავლეთს ჩარევის ახალი საშუალება მისცა. სხვათაშორის, ვაშინგტონში ლიადაც აცხადებდნენ: „რა თქმა უნდა, პრობლემა არ არის მარტო კოსოვოში არსებული სიტუაცია, არამედ სერბიასა და იუგოსლავიაში დემოკრატიის და დემოკრატიული ინსტიტუტების არ არსებობა“. ამერიკის სენატსა და კონგრესში მიუთითებდნენ, რომ სანამ არ მოხდება ძირეული სახელისუფლებო ცვლილება იუგოსლავიაში რეგიონში მშვიდობა ვერ იქნება მიღწეული.

ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ინტერესი, რამაც გამოიწვია მისი აქტიური ჩართვა ამ კრიზისის მოწესრიგებაში იყო: დეიტონის შეთანხმების ამკარა ჩავარდნა, რომელიც ბოსნიაში სიტუაციის მოწესრიგებას ემსახურებოდა, კოსოვოს კრიზის გამოყენება მილოშევიჩის რეჟიმზე გავლენის გაძლიერებისათვის და დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოების ფართო საგარეო პოლიტიკუ-

რი ინტერესები. ამერიკისათვის იგი ნიშნავდა ნატოს ევროპელ მოკავშირეებთან ურთიერთობის უზრუნველყოფის აუცილებლობის არსებობას და ხელის შეწყობას ევროპასა და მსოფლიოში ამ სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის პოზიციების გამყარებისათვის მომავალში. ეს შემთხვევით არც მოხდებოდა ვინაიდან ამერიკის პოზიციების სიმყარე ამ ალიანსში ცალსახად საგრძნობია.

ბალკანეთში ახალ სამხედრო ოპერაციაში საკუთარი შეიარაღებული ფორმირებების გამოყენებაზე, შიდაპოლიტიკური შეზღუდვების გათვალისწინების კვალობაზე, ამერიკა დაინტერესებული იყო იმით, რომ ამგვარი შემთხვევის აუცილებლობის შემთხვევაში იგი უნდა შესრულებულიყო მის ევროპელ მოკავშირეებთან ერთად ნატოს ფარგლებში. ამ კუთხით ამერიკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის პრობლემა გახდებოდა ნატოში ევროპელ მოკავშირეებთან ურთიერთობა, რომელიც განიხილებოდა მთავარ საგარეოპოლიტიკურ შეზღუდვად ამერიკის ჩარევისა კოსოვოს საკითხში.

სხვათაშორის, შემთხვევითი არ იყო, რომ კოსოვოს კრიზისის გაუარესებისთანავე ამერიკის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ნატოში არ არსებობს ერთსულოვნება კოსოვოს საკითხთან დაკავშირებით და რომ კოსოვოს კონფლიქტთან დაკავშირებით გარკვეული აზრთა სხვადასხვაობაა ამერიკის ადმინისტრაციასა და ალიანსის (მათ შორის ალიანსის ამერიკის მოკავშირე წევრებს) სხვა წევრებს შორის, ბოსნიის საკითხზე მეტად. რა თქმა უნდა, ეს არც იყო გასაკვირი, ნატოში ამერიკის მოკავშირებსაც საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები გააჩნდათ ბალკანეთში, პრინციპში ისინი დაინტერესებული იყვნენ სამხედრო ოპერაციით სერბეთის წინააღმდეგ და მილოშევიჩის რეჟიმის შეცვლით.

კოსოვოს კრიზისის მნიშვნელობა ამერიკის ურთიერთობისათვის ნატოს ევროპელ მოკავშირეებთან შეუძლებელია

განიხილებოდეს ღრმა ტრანსატლანტური წინააღმდეგობის გამორიცხვით. 1999 წლის 23-25 აპრილს ნატოს ვაშინგტონის კონფერენციაზე ფართო დისკუსია მიმდინარეობდა ნატოს ახალი სტრატეგიული კონცეფციის გარშემო. ამ კამათში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სამ ერთმანეთთან დაკავშირებულ პრობლემას. პირველი ეხებოდა „კრიზისული რეაგირების და ოპერაციების აგების შესახებ საკითხს, რომელიც გამომდინარეობდა ალიანსის ხელშეკრულებიდან მისი ძირითადი ფუნქციის „კოლექტიური თავდაცვის“ ამოცანის უზრუნველყოფიდან, მეორე საკითხი გამომდინარეობდა პირველივე საკითხიდან და ეხებოდა ნატოს „პასუხისმგებლობის ზონის“ გაფართოებას, და მესამე, ორივე ამ საკითხის განხილვა იმთავითვე ქმნიდა პრობლემას ალიანსის მოქმედების ლეგიტიმურობის პრობლემის შესახებ, ბევრად უფრო უნივერსალური ორგანიზაციის გაეროსთან მიმართებით. ამერიკის ადმინისტრაცია დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერით თვლიდა, რომ აუცილებელი იყო ალიანსის წამყვანი როლის გაფართოება ევროპასა და მსოფლიოში (მაღლენ ოლბრაიტის თქმით ახლო აღმოსავლეთიდან ცენტრალურ აფრიკამდე) და ოფიციალურად ელიარებიანათ ნატოს „კრიზისული რეაგირება“ ნატოს მეორე მთავარ ფუნქციად, რასაც უნდა გამოეწვია პრინციპის „საერთო ტერიტორიების“ დაცვის შეცლა „საერთო ინტერესების“ დაცვის პრინციპით. თუმცა ნატოს ბევრი ევროპული წევრი ქვეყანა ამის წინააღმდეგი გამოვიდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თუკი ამერიკის იდეა ნატოს „გლობალიზაციის“ შესახებ მოკავშირეთა მხრიდან ატარებდა შეზღუდულ ხასიათს, მაშინ ნატოს პასუხისმგებლობის ზონის გაფართოებაზე მთელი ევროატლანტური სივრცესა და მის პერიფერიებზე პოულობდა გარკვეულ თანხმობას ვაშინგტონთან. კამათი ეხებოდა ასევე საკითხს - ასეთ საპასუხისმგებლო ზონებში ალიანსის ოპერაცია გაეროს სანქციით უნდა განხორციელებულიყო თუ მის გარეშე.

ბევრი თვლიდა, რომ გაეროს სანქციის გარეშე ასეთი ოპერაციების ჩატარებას შეიძლება სერიოზული გართულებები გამოეწვია საერთაშორისო წესრიგის და ურთიერთობების კუთხით. განსაკუთრებით ამის წინააღმდეგ საფრანგეთი გამოდიოდა, რომელიც, ცხადია, დაინტერესებული იყო ამერიკის გავლენის შესუსტებით არა მარტო ალიანსში, არამედ ევროპის კონტინენტზეც.

კოსოვოს კრიზისში ჩარევისათვის, დასავლეთის სახელმწიფოებს, მათ შორი ამერიკის შეერთებულ შტატებს სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე ხშირად უწევდათ მოცემული კონფლიქტის სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებაც. შესაბამისად იცვლებოდა კონფლიქტის გადწყვეტის საშუალებებიც.

1999 წლის მარტამდე ბევრად უფრო ფართოდ განიხილებოდა კოსოვოსათვის ფართო ავტონომიის მინიჭების საკითხი. 1999 წლის 24 მარტიდან, როცა დაიწყო ნატოს სამხედრო ოპერაცია იუგოსლავიის წინააღმდეგ, განიხილებოდა საკითხი მხარის სერბულ და ალბანურ ნაწილებად გაყოფის შესახებ, ბოლო ვარიანტი ყველაზე რადიკალური - ეს იყო მხარისათვის დამოუკიდებლობის მიღწევა.

ცხადია, დასავლეთი, რუსეთის, ჩინეთისა და ინდოეთისაგან განსხვავებით, კოსოვოს კრიზისის დაწყებიდან არ გამორიცხავდა ძალისმიერი მეთოდის გამოყენებას სერბეთის წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, დიდიბრიტანეთი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა აქტიურად მონაწილეობდნენ ერთობლივად 1999 წლის 24 მარტს ნატოს მიერ დაწყებულ სამხედრო ოპერაციაში იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკის წინააღმდეგ. გარდა ამისა, ლონდონი, რომი და ანკარა საკუთარი ტერიტორიიზე არსებულ სამხედრო ბაზებს უთმობდა ამერიკის ავიაციას სამხედრო ფრენების განსახორციელებლად იუგოსლავიის წინააღმდეგ.

უნდა აღინიშნოს, რომ ნატოს ფარგლებში იუგოსლავიის წინააღმდეგ გადანყვეტილებები მიიღებოდა კონსენსუსის საფუძველზე, არც ერთ ევროპულ სახელმწიფოს ალიანსის ფარგლებში არც კი უფიქრია დაებლოკა ალიანსის გადანყვეტილება იუგოსლავიის წინააღმდეგ, შესაბამისად არც გაეროს უშიშროების სანქციის გათვალისწინება დაუყენებია ვინმეს დღის წესრიგში. რა თქმა უნდა ასეთი ნაბიჯების გადადგმა სერიოზული რისკის მატარებელი იქნებოდა თვით ევროკავშირისათვის, სადაც ინტეგრაციული პოცესები მორიგ ეტაპზე იყო გადასული (მაგ. ერთიანი ვალუტის შემოღება) და არავის არ სურდა ვაშინგტონთან ურთიერთობის გაუარესება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ 1998-1999 წლებში ევროპის სახელმწიფოს მთავრობები უმეტესწილად მემარცხენე სოციალ—დემოკრატები, ლეიბორისტები იყვნენ და ისინი თავიან რეპუტაციას უფრთხოდნენ, მილოშევიჩის შესაძლო გამოსარჩლების კვალობაზე.

მთლიანობაში ევროპის დიდი სახელმწიფოები ცდილობდნენ მოეძებნათ შედარებით ავტონომიური პოლიტიკური კურსი კოსოვოს საკითხში, რომელიც უპასუხებდა უპირველეს ყოვლისა მათ საკუთარ ინტერესებს როგორც კოლექტიურად ასევე ინდივიდუალურად. ამ თვალსაზრისით კოსოვოს კრიზისი გამოირჩევა „ცივი ომის“ და მთლიანობაში ბიპოლარული მსოფლიოს პერიოდისათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი ლოკალური კონფლიქტების სცენარული ტიპისაგან, ვიდრე ვთქვათ, ეს იყო პირველი ერაყის ომის აქციის დროს.

ამის მიზეზი ნათელია. დასავლეთს არ შეეძლო არ გაეთვალისწინებინა ის ფაქტი, რომ კოსოვოს კრიზისი იმთავითვე ეჯახებოდა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად პრინციპებს: ერთის მხრივ სახელმწიფოების ტერიტორიალურ მთლიანობას და მათ შიდა საქმეებში ჩარევას, და მეორეს მხრივ, ერთა თვითგამორკვევის უფლებას, ადა-

მიანის უფლებათა დაცვას, მათ შორის ეთნიკური უმცირესების.

თუმცა მთავარი მიზეზი, რომელმაც გამოიწვია დასავლეთევროპული სახელმწიფოების გააქტიურება კოსოვოს კრიზისში, დაკავშირებული იყო მის საერთაშორისო კონტექსტთან. ეს თითქოსდა შიდა ეთნიკური კონფლიქტი საკმაოდ რთული ხდებოდა, რომ მოქცეულიყო რაღაც ლოკალურ ჩარჩოებში და თანდათან ქმნიდა დესტაბილიზაციის საფრთხეს რეგიონში. ამავე დროს, კოსოვოს პრობლემა განსხვავდება იუგოსლავიის წინა რომელიმე ეტაპის კრიზისაგან იმითაც, რომ მთელი მისი გეოპოლიტიკური პროვინცილობის მიუხედავად, იგი მჭიდროდ დაკავშირებული აღმოჩნდა ისეთ გლობალურ პრობლემასთან, როგორც არის ახალი ათასწლეულის მსოფლიო წესრიგის ფორმირებასთან.

ამრიგად, კოსოვოს კრიზისი, ისევე როგორც სხვა დანარჩენი კონფლიქტური სიტუაციები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, ერთ-ერთი გამოხატულება იყო საერთაშორისო ურთიერთობების იალტა-პოტსდამიის სისტემის, და შესაბამისად ამ სისტემიში არსებული საერთაშორისო წესრიგის მოშლისა, რამაც შეერთებულ შტატებს შესაძლებლობა მისცა გამოეყენებინა იგი საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების განხორციელებისათვის.

კოსოვოელი ალბანელებისადმი შეერთებული შტატების მხარდაჭერამ და დამოკიდებულებამ აშკარად აჩვენა ბალკანეთის რეგიონისადმი ამ სახელმწიფოს დაინტერესებულობა, ხოლო კრიზისთან დაკავშირებით მის მიერ მიღებული გადანყვეტილებები, მათ შორის მხარის დამოუკიდებლობის აღიარება, საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევის კვალობაზე, აშკარად მეტყველებს მის სუბიექტურ მხარეზე;

ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკამ კოსოვოსთან მიმართებით კარგად აჩვენა, რომ იგი იმთავითვე დაკავ-

შირებული აღმოჩნდა გავლენის სფეროებისათვის ბრძოლის მიმდინარე პროცესთან

ამერიკის მხრიდან აშკარად გამოჩნდა ნატოს გამოყენების მცდელობა საერთაშორისო სამშვიდობო-პოლიციური ფუნქციის შესრულების საბაბით საკუთარი მიზნების გამოყენებისათვის. ე.ი. მოხდა ალიანსის გამოყენება ამერიკის ინტერესების რეალიზაციისათვის.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Посткоммунистическая Восточная Европа: Новые межгосударственные отношения и внешнеполитические ориентиры. М., 1996.
2. Романенко С.А. Югославия: кризис, распад, война. Образование независимых государств. М., 2000
3. Экономические и социально-политические трансформации в Центральной и Восточной Европе во второй половине XX века.- М., 1995. Балканы между прошлым и будущим. М., 1995
4. Волков В.К. Трагедия Югославии // Новая и новейшая история. М., 1994. № 4
5. Гуськова Е.Ю. Вооруженные конфликты на территории бывшей Югославии (хроника событий). М., 1998
6. Калаич Д. Американское зло. М., 2000. 11. Князев В.К. Трагическая судьба Балкан предупреждает. // Федерализм. М., 1996. № 3.
7. Куликова М., Милованов В. Балканский кризис и Дейтонское соглашение. // Правила игры. М., 1996. № 1.
8. Мартынова М.Ю. Балканский кризис: Народы и политика. М., 1998
9. Миличевич П. Шесть агрессий Запада против южных славян в XX-ом столетии. М., 1999
10. Гуськова Е.Ю. Урегулирование на Балканах (мирные планы 1991-1995 гг.). М., 1998

11. Дугин А. Основы геополитики. - М., 1997;22. История стран Центральной и Юго-Восточной Европы XX века. М., 1997

**Иракли Манвелидзе**

**Подход Соединенных Штатов Америки  
к проблеме Косово**

*Резюме*

В статье затронуты проблемы формирования политики США по отношению к Косовскому конфликту, рассмотрен внешнеполитический курс Америки в Сербии, на Балканском полуострове и, в целом, в Европе, на фоне тех радикальных перемен, которые произошли после «холодной войны».

Косовский кризис, как и остальные конфликтные ситуации в мире, является последствием развала международных отношений Ялта-Подсдамской системы и, вследствие этого, расшатывания существовавшего международного порядка, что дало возможность США использовать данный факт в пользу своих геополитических интересов.

Поддержка Америкой косовских албанцев явно указывает на интерес данного государства к Балканскому региону, а принятые решения по этому кризису, в том числе и признание независимости края, нарушая международные нормы, явно говорят о субъективной стороне решения этой проблемы.

Политика США по отношению к Косово с самого начала была связана процессом борьбы за передел сфер влияния.

Америка под предлогом выполнения международной мирно-полицейской функции использовала сложившуюся ситуацию в своих интересах. Таким образом, произошло использование альянса для реализации США своих интересов.

**Irakli Manvelidze**

**The approach of the United States of America to  
a problem of Kosovo**

*summary*

In clause problems of formation of policy of the USA in relation to the Kosovan conflict are mentioned, the foreign policy of America in Serbia, on Balkan peninsula and, as a whole, in the Europe, on a background of those sweeping changes which have occurred after " cold war " is considered.

Kosovan crisis, as well as other disputed situations in the world, is a consequence of disorder of the international attitudes Yalta-Potsdam systems and there of, shaking of the existed international order that has enabled the USA to use the given fact in favour of the geopolitic interests.

Support of Kosovan Albanians by America obviously specifies interest of the given state to the Balkan region, and made decisions on this crisis including a recognition of independence of edge, breaking the international norms, obviously speak about the subjective party of the decision of this problem.

The policy of the USA in relation to Kosovo has been from the very beginning connected by process of struggle for repartition of spheres of influence.

America under a pretext of performance of the international peacefully-police function exploited the developed situation. Thus, there was use of an alliance for realization of the USA интересов.сфер influences.

## ქალის როლი შუა საუკუნეების საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში

ქართველ ქალებს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით შუა საუკუნეების საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა სფეროში: პოლიტიკა, დიპლომატია, ხელოვნება, რელიგიური ცხოვრება. ყველგან ჩანს მათი ნამოღვაწარის კვალი. ზოგი რამ შემორჩა მატყანეებსა და საისტორიო წყაროებს, მაგრამ დღემდე მოღწეული ცნობები მხოლოდ მცირედი ნაწილია ქართველ ქალთა ნამოღვაწარისა.

ამ მხრივ საინტერესოა მეშვიდე საუკუნის ქართული ქრისტიანული ხელოვნების უნიკალური ძეგლი - ქვასვეტი უსანეთიდან (ქართლი), რომელზედაც ამ შორეული ეპოქის საქართველოს ფეოდალური საზოგადოების მაღალი წრის ერთ-ერთი საგვარეულოს „საოჯახო პორტრეტი“ წარმოდგენილი. უსანეთის ქვასვეტი წარმოადგენს ადრექრისტიანული ხანის საქართველოში ფართოდ გავრცელებული ქვაჯვარების დიდმნიშვნელოვან ნიმუშს. ამგვარ ქვაჯვარებს მემორიალურ საკულტო ძეგლებს დიდებულები აღმართავდნენ ძველ საქართველოში, როგორც შესანიშნავ, ასევე საკუთარი სოციალური სტატუსის დამამტკიცებელ საბუთებს.

უსანეთის ქვასვეტი მრავალმხრივ არის საყურადღებო, მაგრამ ამჯერად ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ მის ნახნაგებზე გამოსახულ რელიეფურ პორტრეტებზე. ერთ ნახნაგზე მამაკაცთა პორტრეტებია წარმოდგენილი, მის საპირისპირო ნახნაგზე კი ვერტიკალურად განთავსებულია ქალთა პორტრეტების წყება. ამ გამოსახულებებს გასანსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თანმხლები წარწერები. წარწერები

დაზიანებულია, მაგრამ ერთ-ერთ გამოსახულებასთან იკითხება სახელი „მარიამ“ მეორესთან კი - „დინარი“ თუ „ლიტავრი“. მდიდრულ საერო კოსტიუმებში გამოწყობილი მანდილოსნების მწკრივი ქართლის რომელიღაც დიდებული საგვარეულოს წევრებს ასახავს. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ის გარემოება, რომ ერთ-ერთი მამაკაცის გამოსახულებასთან კარგად იკითხება: „გრიგოლ ვიპატოსი“, რაც იმას მოწმობს, რომ ქვაჯვარი აღმართულია ბიზანტიური ტიტულის მქონე ქართლის წარჩინებული გვარის წარმომადგენლის მიერ.

ადრეული შუა საუკუნეების მიერ ქართული საკულტო ხელოვნების ძეგლზე ქვაჯვარის სვეტზე, რომელიც იმდროინდელ ქართლის სამეფოს სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ანარეკლს წარმოადგენს, ქალთა გამოსახულებების მოთავსება მამაკაცთა თანაბრად ნათელი დადასტურებაა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქართველი ქალის საპატიო მდგომარეობისა. გაცილებით უფრო გვიან ხანაში, მეცხრამეტე საუკუნეში, ქართველ დიდებულთა საგვარეულო ნუსხებსა და გენეალოგიურ საქმეებში ქალები საერთოდ აღარ ჩანან, რაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობის ანარეკლი უნდა იყოს.

ქალი როგორც მოღვაწე და შემოქმედი არც თუ იშვიათი იყო შუა საუკუნეების საქართველოს სიმანდილეში. ისტორიულ წყაროებში ქართველ ქალთა მოღვაწეობის მრავალი ფაქტია ცნობილი. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ტაძრების აღმშენებელთა შორის ქალთა სახელების მოხსენიება:

თავისი ღვთისმოსაობითა და საქველმოქმედო საქმეებით გაითქვა სახელი მეფე ვახტანგ გორგასლის დედამ დედოფალმა საგდუხტმა (მე - 5 ს.), სამშვილდის სიონის ტაძრის მშენებელმა, რომლის შესახებ „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს: „მაშინ საგდუხტ გულისხმა ყო და იცნა სჯული

ჭემმარიტი...ნათელილო და იქნა მორწმუნე, და მან აღაშენა სიონი სამშვილდისა“.

მე-6 საუკუნის დასასრულს აგებული მცხეთის ჯვრის ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში კარის თავზე (შიგნიდან) ჩადგმულ ფილაზე ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა, რომელშიც მოხსენებულია ტაძრის ამ ნაწილის მაშენებელი ვინმე თემესტია. როგორც ჩანს, ქართლის ერისმთავართა ოჯახის ამ წევრმა გაიღო თანხა ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ქალებისათვის განკუთვნილი სამთავისის („საყოფელის“) ასაგებად.

მეათე საუკუნის რამდენიმე ტაძრის სამშენებლო წარწერებში ქალების სახელებია მოხსენიებული: ვალეს ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე ასომთავრულ წარწერაში - კრავაი, ლიხის ჯვრის სამხრეთ კარის თავზე - “ფაბრონია, თუალოის ასული“, ურბნისის სიონის შემნედ მოხსენებულია ვინმე შუშანა, თავის მეუღლესთან ქავთართან ერთად.

დავით აღმაშენებლის ასულს თამარს, შირვანის დედოფალს, აუშენებია თიღვის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია. იგი მოხსენებულია 1150 - 1152 წლების ტაძრის წარწერაში.

XIII საუკუნის ცნობილი ქართველი მწერალი და მემატია-ნე ტბელ აბუსერისძე თავის თხზულებაში “სასწაული წმინდისა მთავარმონამისა გიორგისანი“ მოგვითხრობს ქალთა ღვანლზე ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ დანიანურებაში. ავტორი ლაპარაკობს თავისი დედის – ხათუთის, მეუღლის - ბაგულის, დის – ვანიანის და სხვათა როლზე კულტურულ-აღმშენებლობით საქმიანობაში. ტბელი განსაკუთრებით აღნიშნავს თავისი დის – ვანიანის ღვანლს: “ეკლესიათ აღაშენა წმიდისა იოანე მახარობლისათ და ღვთისმეტყველისათ სამკუთრებელი ჩვენი და აღავსო სანყაული კეთილი“. იგი მიუთითებს თავისი მეუღლის - ბაგულის წვლილზე წმინ-

და გიორგის ეკლესიის მშენებლობაში. (იგულისხმება ხიხანის წმ. გიორგის სახელობის კლესია).

ქართველი ქალები აქტიურად იღწვოდნენ ძველი კულტურის ისეთ კერებში, როგორიც იყო მონასტრები. მაგალითად, ტაძრისის ქალთა მონასტერში (ბორჯომის რაიონი) მოღვაწეობდა გიორგი მთაწმინდელის და საბიანი, რომლის ხელმძღვანელობითაც ეზიარა პირველდანიეებით განათლებას მისი სახელოვანი ძმა.

ნიკო მარი თავის მოხსენებაში სინასა და იერუსალიმში მოგზაურობის შესახებ წერდა, რომ ქართველ მონაზვნებს შორის იყვნენ განათლებული ქალები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ფებრონე. მას დიდი გავლენა ჰქონდა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და საოჯახო საქმეებზე.

კახთა მეფის ალაქსანდრეს (მე - 15 ს.) დედა ნესტან-დარეჯანი იყო „მაშენებელი ეკლესიათა“. მის მიერ აღდგენილ მრავალ ეკლესიათა შორის, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ ალავერდის დიდებული კათედრალი, რომელიც მან გუმბათიანად აღადგინა.

ისტორიული ფაქტებიდან ჩანს, რომ ქართველი ქალები განსაკუთრებული დიპლომატიური ნიჭით იყვნენ დაჯილდოებულნი. ჩვენამდე მოაღწია ქალთა მიერ წარმატებით შესრულებული არაერთი მისიის ამბავმა.

მე-11 საუკუნის დასაწყისში, საქართველოში ბიზანტიის მომძლავრებული აგრესიის დროს, მეფე ბაგრატ მეოთხის დედა მარიამ დედოფალი მოსალაპარაკებლად კონსტანტინოპოლს გაემგზავრა, „ძიებად მშვიდობისა და ერთობისა“, ბიზანტიის დედაქალაქში იგი შეხვდა ცნობილ ქართველ მოღვაწეს გიორგი მთაწმინდელს. ბიზანტიის კეისართან სამშვიდობო მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა და საქართველომ სასურველი მშვიდობა მოიპოვა. ბიზანტიიდან მარიამმა თავის ძეს საცოლვე ჩამოუყვანა იმპერატორის ძმის ბა-

სილის ასული ელენე და კეისრის ნაბოძები კურაპალატის ტიტულიც აახლა.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმ ფაქტის მოყვანა, რომ ქართველთა მეფის ბაგრატ მეოთხის სილამაზით სახელგანთქმული ასული მარიამი, ბიზანტიის დედოფალი გახდა. იგი იყო მეუღლე ორი იმპერატორისა - მოქაელ VII დუკასი (1071 - 1078 წწ) და ნიკიფორე ბოტანიატისა (1078 - 1081 წწ.) ეს იყო მნიშვნელოვანი ფაქტი მეთერთმეტე საუკუნისათვის, როდესაც ბიზანტიის სამეფო ტახტზე კეისარს უცხოური წარმომავლობის მეფის ასული უმშვენებდა გვერდს. ფართოდ იყო ცნობილი მარიამ დედოფლის კულტურული მოღვაწეობა ბიზანტიაში. მისი მხარდაჭერით სარგებლობდნენ ბიზანტიელი მწერლები და მეცნიერები. მისი შეკვეთით უნდა შექმნილიყო ევსტრატე ნიკეელისა და თეოფილაქტე ოქრიდელის სამეცნიერო ტრაქტატები. პირველმა მათგანმა თავისი პოპულარული ნაშრომი კოსმოგრაფიის შესახებ მიუძღვნა მარიამ დედოფალს. აღსანიშნავია, რომ მარიამის სახე შემოგვინახა ხახულის ჭედური ტრიპტიქის კომპოზიციაში ჩართულმა მინანქარმა, რომელზეც მარიამი თავის მეუღლესთან, მიქაელ დუკასთან ერთად არის გამოსახული. კონსტანტინოპოლის სახელოსნოში დამზადებული ეს შესანიშნავი მინანქარი საქართველოში ალბათ თავად მარიამმა ჩამოიტანა, როდესაც 1072 წელს ჩამოვიდა მომაკვდავ მამასთან, ბაგრატ მეოთხესთან გამოსამშვიდობებლად.

ქალთა დიპლომატიური მოღვაწეობის იშვიათი მაგალითია თამარ მეფის დროს აჯანყებულ ფეოდალებთან ორი დიდგვაროვანი მანდილოსნის - კრავაი ჯაყელისა და ხვაშაქ ცოქალის მისია. მათ წარმატებით გაართვეს თავი დაკისრებულ საქმეს და საქართველოში შინა აშლილობა დაამშვიდეს.

განსაკუთრებულ ადგილს იკავებს თამარ მეფის პიროვნება არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო ისტორია-

ში. მეფეთა-მეფე თამარი თავად შეეგებებოდა ხოლმე საომრად შეკრებილ ქართველთ ლაშქარს, ამონმებდა მის მზადყოფნას. მემამულიანე მოგვითხრობს, თუ როგორ მიაცილებდა იგი ბრძოლის ველზე მიმავალ მეომრებს (იხილნა აბჯრითა კეთილთა და პატიოსანთა და მოუწონა აბჯარი და ცხენ-კეთილობა მათნი“), როგორ ლოცავდა ლაშქარს და გადასცემდა მთავარსარდალს „დროშას სვიანად ხმარებულს გორგასლიანს და დავითიანს“. ძნელია მეფეთა-მეფის თამარის ყველა ძღვევამოსილი ლაშქრობის ჩამოთვლა. ასეთივე წარმატებული და ღირსეული იყო მისი საგარეო პოლოტიკა, დიპლომატია, მაგრამ ყველაზე ნიშანდობლივი მაინც მისი საშინაო პოლიტიკა იყო. მემამულიანე მოგვითხრობს „მის ღროს მონასტერსა დაღენასა ვერვინ იკადრებდა, ქარავანს ვერვინ ძარცვავდა, ამერი და იმერი.“ „ქვეყანაში მპარავი, ავისმოქმედი აღარ იყო“... „და იყო მდიდრად ესე სამეფო, რომელ აზნაურის ყმანი მათთა სწორად იმოსებოდეს“ (ლაშა გიორგის ისტორიკოსი).

სარწმუნოებისათვის, ერისათვის თავდადების, მამულისა და რწმენის ერთგულების სიმბოლოა ყოველი ქართველისათვის ქეთევან დედოფლის ნათელი სახე. „გაუტეხელი სიმტკიცე“ უწოდა დედოფლის თავგანწირვას გერმანელმა მწერალმა ა. გრიფიუსმა.

შუა საუკუნეების საქართველოში ქართველი ქალები ეწეოდნენ მნიშვნელოვან კულტურულ მოღვაწეობასაც. მათ შორის არიან: მეფე ბაგრატ მეოთხის მეუღლე ბორენა დედოფალი (XI ს.). მეფეთა-მეფე თამარს მიაკუთვნებენ „იამბიკოს“, შამქორის ომში (1195 წ.) მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავ პოეტურ ქმნილებას.

ღღისთვის ძველი ქართველი ქალის განსწავლულობის დამადასტურებელი სხვადასხვა ხასიათის არაერთი მონაცემი არსებობს. ამ თვალსაზრისით, რასაკვირველია, ნიშანდობლივია, რომ ქართველი ქალის წიგნიერების შესახებ ყვე-

ლაზე ადრეულ მოწმობას უკვე ჩვენამდე მოღწეულ პირველ-სავე ჰაგიოგრაფიულ თხზულება „შუშანიკის წამებაში“ ვხვდებით. იაკობ ცურტაველის თანახმად, როდესაც ქვემო ქართლის პიტიახშის ვარსკენის უზნეო საქციელით აღშფოთებულმა მისმა ქრისტიანმა მეუღლემ შუშანიკმა პროტესტის ნიშნად სასახლე მიატოვა და ტაძარს მიაშურა: „თანა წარიტანნა ევანგელე თვისი და წმინდანი იგი წიგნი“.

ძველ საქართველოში ქალის წიგნიერებაზე სხვა არაერთი დოკუმენტალური მონაცემი მეტყველებს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სამხრეთ საქართველოში მდებარე ვანის იგივე (ვაჰანის) ქვაბთა ეკლესიის კედლებზე მონაზონ ქალთა ხელით შესრულებული ჩვენამდე მოღწეული 50-მდე წარწერა მნიშვნელობაც. წარწერები XIV -XVI საუკუნეებით თარიღდება. ამ წარწერების პალეოგრაფიული, მხატვრულ-სტილისტური და შინაარსობრივი თვალსაზრისით შესწავლამ ცხადყო, რომ XIV -XV საუკუნეების საქართველოში ქართული საერო მწერლობის შეხვედრების, ხალხური პოეზიის უნიკალური ქმნილებების ზეპირად ცოდნა, საკუთარი პოეტური ნიმუშების შექმნა, ნახატებით წარწერების მორთვა ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. შემთხვევით არ უნდა იყოს ისიც, რომ უძველესი დროიდან საქართველოს ქალის ზრუნვის ერთ-ერთ მთავარ საგანს მაინდამაინც წიგნი წარმოადგენდა. ქართველი ქალები ტყვეობიდან არა მხოლოდ იხსნიდნენ ქართული მნიგნობრობის მნიშვნელოვან ძეგლებს, არამედ სანიმუშოდ უვლიდნენ კიდევ მათ: პოულობდნენ მაღალკვალიფიციურ გადამწერებს (მათ შორის ქალებსაც), ხელნაწერებისათვის უზრუნველყოფდნენ მაღალი ხარისხის სანერ მასალას, დიდ ყურადღებას აქცევდნენ განახლებული ხელნაწერი წიგნების გარეგნულ სახეს. როგორც წესი, საიმედო თავშესაფარსაც პოულობდნენ წიგნისათვის. ზემოთ უკვე ნახსენები ხელნაწერთა ანდერძ-მინა-

წერები ამ მხრივ პირველხარისხოვან წყაროს წარმოადგენენ.

საქართველოს ისტორიაში ქალის მნიშვნელობის დამადასტურებელი კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ზემოაღნიშნული ფაქტები ალბათ საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ რა წვლილი შეიტანეს ქართველმა ქალებმა ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში და რა დიდ ძალას წარმოადგენდა ქალის ფაქტორი საქართველოს ისტორიაში.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. მ. გოცირიძე, აჭარის ქალები ახალი ცხოვრების მშენებლები, ბათ., 1971;
2. ი. სიხარულიძე, ტბელ აბუსერისძე, თბ., 1963;
3. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955;
4. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, თბ., 1979;
5. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III-IV, თბ., 1962;
6. შ.ჯაფარიძე, ნიკო მარის მოგზაურობა შავშეთსა და კლარჯეთში, თბ., 1989;
7. ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლირეტიკურის ქრესტომათია, თბ., 1940.

**Инеза Зоидзе**  
**Роль женщины в общественной жизни**  
**средневековой Грузии**

*Резюме*

В статье, делая ссылку на исторические факты, показана та лепта, которую внесли грузинские женщины в различные сферы жизни страны. Грузинские женщины активно участвовали во всех областях общественной жизни средневековой Грузии: политике, дипломатии, искусстве, религиозной жизни. Везде виден след их активной деятельности. Та информация о деятельности грузинских женщин, которая дошла до сегодняшних дней, является лишь малой частью той великой работы, которую они проводили в то время.

**Ineza Zoidze**  
**Role of the woman in a public life**  
**Medieval Georgia**

*Summary*

In article, referring to historic facts, that mite which was brought by the Georgian women in various spheres of a life of the country is shown. The Georgian women actively participated in all areas of a public life of medieval Georgia: to the politician, diplomacy, art, a religious life. Everywhere the trace of their vigorous activity is visible. That information on activity of the Georgian women which has reached about one today, is only small part of that great work which they spent at that time.

## **ინგლისის სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობანი იტალიასთან (XIV—XVI სს)**

იტალიასთან ინგლისის სავაჭრო ურთიერთობის შესწავლამ ნათელყო, რომ სწორედ სავაჭრო ურთიერთობიდან წარმოიშვა დიპლომატიური ურთიერთობა ამ ორ ქვეყანას შორის. ინგლისში იტალიელები თავდაპირველად, როგორც ფისკალური მოხელეები, XIII ს-ის დასაწყისში გამოჩნდნენ.

ინგლისში იტალიიდან უპირატესი ვაჭრები იყვნენ ფლორენციელები, გენუელები და ვენეციელები. იტალიის ქალაქ-რესპუბლიკებს სავაჭრო ფაქტორიები ჰქონდა ლონდონში საუტჰემპტონსა და სენდვიჩში (Стоклицкая-Терешкович, 1927, 54).

გენუამ დაამყარა ინგლისთან სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობა და შეინარჩუნა ეს მდგომარეობა XIV საუკუნის ბოლომდე. გაირკვა, რომ ეს ურთიერთობა პოლიტიკურმა მოტივებმა განაპირობა. ინგლისის მეფე ჰენრი V-ს (1413-1322) „ასწლიანი ომის“ დროს საფრანგეთის წინააღმდეგ ჰქონდა მისგან მხარდაჭერა. ამის შემდეგ ინგლისსა და გენუას შორის დამყარდა სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობა. გენუელებს გაჰქონდათ ინგლისიდან დიდი რაოდენობით მატყლი. რომლითაც, როგორც სამრეწველო ნედლეულით ამარაგებდნენ იტალიის სამრეწველო ქალაქებს. პირველი ხარისხის ქსოვილებს შორის, რომელსაც ყიდულობდნენ გენუელები, გვხვდება როგორც შეუღებავი, ისე შეღებილი ინგლისური მაუდი მწვანე, ყვითელი, შავი ან ყავისფერი (Чистозвонов, 1962, 142-144)

სულიერად ავადმყოფი ჰენრი VI-ის (1422-1461) მეფობა დაიწყო ლანკასტერებსა და მდიდარ საგვარეულოს იორკებს

შორის ღია დაპირისპირებით, რომელიც დასრულდა წითელი და თეთრი ვარდების ომით (1455-1485). ამ ომში ჰენრი VI-ს (ლანკასტერს) დაუპირისპირდა ედუარდ იორკელი, რომელიც 1461 წელს გამეფდა ედუარდ IV-ის სახელით. და იმისათვის, რომ გენუელებისაგან მიეღო პოლიტიკური მხარდაჭერა, ინგლისში 1470 წელს მიანიჭებს მათ დიდ სავაჭრო პრივილეგიებს (Дживилегов, 1902,190). ამავე დროს ინგლისის სამეფო ხელისუფლება იცავდა მათ ინტერესებს, როგორც უცხოელი ვაჭრებისა. უფრო მეტიც, ედუარდ IV—მ სპეციალური ბრძანება გამოსცა 1482 წელს, რომლის თანახმად იკრძალებოდა ინგლისელების შეტაკება უცხოელ ვაჭრებთან. ამასთან ინგლისელი ოსტატები პასუხს აგებდნენ არა მარტო თავიანთ მოქმედებაზე, არამედ ქარგლებისა და შეგირდების მოქმედებაზე. ამავე დროს, ოსტატებიც ისე აგებდნენ მათ დანაშაულზე პასუხს, როგორც საკუთარზე (The Acts, 1936, 145)). სამეფო ხელისუფლების მფარველობითი პოლიტიკა, უწინარეს ყოვლისა ნაკარნახევი იყო მათზე დაწესებული საბაჟო გადასახადებით, სამეფო ხაზინის გამდიდრების აუცილებელი სურვილით, ვინაიდან, გადასახადის ძირითადი გადამხდელები იყვნენ უცხოელი, მათ შორის გენუელი ვაჭრები.

გენუელებს აღმოსავლეთიდან შემოჰქონდათ სანელებლები და ფუფუნების საგნები, ხოლო დასავლეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნებიდან აღმოსავლეთში გაჰქონდათ მაუდი და ტილო. გენუელი ვაჭრები თავიანთ სავაჭრო საქმიანობას თავს უყრიდნენ ხმელთაშუაზღვის დასავლეთ რაიონში. სანელებლებით ვაჭრობის გარდა, სირიაში ჰყიდიდნენ ტილოსა და ინგლისურ მაუდს (Дживилегов, 1902, 190-191). ამასთან, ინგლისური მაუდით ვაჭრობის გზით მათ დიდძალი მოგება რჩებოდათ.

ამდენად, ინგლისსა და გენუას შორის სავაჭრო და დიპლომატიურ ურთიერთობას განაპირობებდა პირველ რიგში

მათ შორის არსებული პოლიტიკური ვითარება და მეორე ინგლისის სამეფო ხელისუფლების მფარველობითი პოლიტიკა, რომელიც შეიცვალა მოგვიანებით მერკანტილისტური პოლიტიკით, რაც გულისხმობდა ადგილობრივი, ნაციონალური ვაჭრებისადმი მხარდაჭერას.

მერსერთა „საბჭოს აქტებში“ ვაწყდებით საინტერესო ცნობას იმის შესახებ, რომ გენუელი ვაჭრები ჩამოდიოდნენ ლონდონში სავაჭროდ XVI საუკუნის პირველ ნახევარშიც.

1520 წლის 20 სექტემბერს კრებაზე წაკითხული იქნა მერსერთა კომპანიის საბჭოს აქტი, რომელიც დაამტკიცა ლონდონის ლორდ-მერმა უილიამ ბატლერმა. ამ აქტის თანახმად აბრეშუმის მზომავს უნდა გაეზომა როგორც აბრეშუმი, ასევე მაუდი და სხვა ქსოვილები, როგორც თეთრი ისე სხვა ფერისა, რომელიც შემოჰქონდათ სიტიში სხვადასხვა გზით უცხოელ ვაჭრებს, რომელთაც ყიდულობდა სიტის ნებისმიერი მოქალაქე უცხოელი ვაჭრებისაგან. ამ აქტის თანახმად, ყოველივე ეს აუცილებელი იყო იმიტომ, რომ „ახლანდელ პერიოდში უცხოელი ვაჭრები და ხელოსნები საიდუმლოდ მიეჩვივნენ თავიანთი ქსოვილების სიგრძისა და სიგანის დაკლებას“ – ნათქვამია აქტში. ამის გამოსასწორებლად აღნიშნული აქტით დაკანონდა, რომ ყოველი ქსოვილი-ფარჩის, აბრეშუმის, მაუდის სელისა და ა.შ., თეთრი თუ მუქი ფერისა, დამზადებული გენუაში და სხვა ადგილებში და შემოტანილი გენუელების მიერ ლონდონის სიტიში გაზომილი უნდა იქნას კომპანიის მზომავის მიერ დანესებული ეტალონის მიხედვით ამის დამრღვევს უნდა გადაეხადა ჯარიმა, რომლის ნაწილი უნდა გადასცემოდა ლორდ-მერის კანცელარიას, ნაწილიც იმათ ვინც შეამჩნევდა დარღვევას და განაცხადებდა (The Acts, 1936, 508).

გაირკვა, რომ ინგლისში გენუელებს შეჰქონდათ სხვადასხვა ფერის ქსოვილები.

გენუელებმა დიდხანს ვერ ისარგებლეს ედუარდ IV-ის მიერ მინიჭებული უფლებებით ინგლისში. მათი ადგილი დაიკავეს ვენეციელმა ვაჭრებმა.

პირველად ვენეციელები ინგლისში გამოჩნდნენ 1201 წელს, მაგრამ პირენეის ნახევარკუნძულის შემოვლით ისინი რეგულარულად იწყებენ ინგლისში ჩასვლას, მხოლოდ XIV საუკუნიდან. ხოლო ანტვერპენის ვენეციელი ვაჭრები პირველად ჩავიდნენ 1318 წელს (Петрушевский, 1978, 317).

ვენეციელებს ინგლისში შემოჰქონდათ 70-ზე მეტი დასახელების სატრანზიტო საქონელი, რომელსაც ისინი ყიდულობდნენ ხმელთაშუაზღვის ბაზრებზე. ეს იყო აღმოსავლური ფუფუნების საგნები: იარაღი, ღვინო, ხილი, ტკბილეული, შაქარი, ქიშმიში, ბამბა, აბრეშუმი, ქალაღდი, ვენეციური ნარმოების აბრეშუმის ქსოვილი, შალი, შუშის ნანარმი, ატლასი, საიუველირო ნანარმი და წიგნები. ინგლისში მათი იმპორტის მთავარი საგანი იყო აბრეშუმის ქსოვილები და საწებლები (Кенингем, 1909, 365).

1445 წელს სამეფო ხელისუფლებამ გამოსცა ბრძანება საჩივართან დაკავშირებით, რომ უცხოელ ვაჭრებს შემოეტანათ ინგლისში მხოლოდ საკუთარი ქვეყნის საქონელი (Кенингем, 1909, 36). ასეთი ღონისძიება, როგორც ჩანს, განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ვენეციელებს უხვად შემოჰქონდათ ინგლისში თავიანთი ქვეყნის საქონელთან ერთად სხვა ქვეყნების ესპანეთის, პორტუგალიის, ბრეტანის მრავალი ხალხის საქონელი და რჩებოდათ დიდძალი მოგება. გარდა ზემო ჩამოთვლილი საქონელისა, იტალიელ ვაჭრებს ინგლისში შემოჰქონდათ ქუდები, მაქმანი, კორსაჟები, ბაბთები, დაქარგული აბრეშუმი, შუშის ნანარმი, ქალაღდი, ბოქლომები, ქისები, ქამრები, ხელთათმანები, ჩექმები, დანები, ხანჯლები, სათამაშო ბანქო, ნემსები, კოლოფები, სპილენძის ან თითბირის ბაჭდები, ეკლესიის ზარები, დოქები, ჯაგრისები, შალის საჩეჩები, თეთრი ლითონის ქინ-

ძისთავები, მავთული და სხვა (Кенингем, 1909, 82, 396). მათ ჩამოჰქონდათ ასევე ბევრი გამოუსადეგარი საქონელი და ჰყიდნენ მას ძვირად, საბაჟო გადასახადს კი ცოტას იხდიდნენ, რაც ზიანს აყენებდა ინგლისს (Кенингем, 1909, 367).

ვენეციასა და ინგლისს შორის სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ მოლაპარაკება დაიწყო ედუარდ II-ის (1307-1327) მეფობის დროს. ედუარდ III-მ (1327-1377) კი შეინარჩუნა და განამტკიცა ვენეციასთან ეს ურთიერთობანი.

როგორც ცნობილია, ვენეცია, ისევე როგორც გენუა მხარს უჭერდა ინგლისს საფრანგეთის წინააღმდეგ ასწლიან ომში და ამდენად მათ შორის დამყარდა დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა, რაც უდავოდ განპირობებული იყო ამ ორ ქვეყანას შორის არსებული პოლიტიკური ვითარებით. ხოლო რიჩარდ II-ის მეფობის დროს (1377-1399) გაიზარდა ინგლისში ვენეციური ფაბრიკატების შეტანა და ინგლისური შალის გატანა ვენეციური ხომალდებით, ვენეციელთა ვაჭრობას ემსახურებოდა ინგლისის 200 ხომალდი (Дживилегов, 1904, 190,191). ეს კი მეტყველებს ვენეციასა და ინგლისს შორის ვაჭრობის ფართო მასშტაბებზე.

XIV საუკუნეში ვენეციის ფლოტი ითვლიდა 3 ათას სავაჭრო გემს. სამხედრო ხომალდები შედგებოდა 180-300 კაცისაგან. ვენეციის საზღვაო ფლოტის აყვავების ჟამს მასში მსახურობდა 25-30 ათასი კაცი (Полянский, 1954, 14, 315).

XIV საუკუნეში წელიწადში ერთხელ იგზავნებოდა სავაჭრო ფლოტილია ფლანდრიასა და ინგლისის ნაპირებზე. იგი ცურავდა სამხედრო ხომალდების დაცვით. დასავლეთის მიმართულებით ფლოტილია მიემართებოდა ისტრში, კორფუში, ოტრანტოში, სირაკუზაში, მესინაში, ნეოპოლში, მალიორკაში, ესპანეთსა და მაროკოში. შემდეგ ხომალდების ნაწილი მიემართებოდა ინგლისში. დანარჩენები კი მიცურავ-

დნენ სლეისში (ეკლუზში). ბრიუგეში, მიდელბურგსა და ანტვენპენში (Полянский, 1969, 318).

ზემოთ მოყვანილი მასალები ნათლად ადასტურებს ინგლისსა და ვენეციას შორის აქტიურ სავაჭრო და დიპლომატიურ ურთიერთობას.

XV საუკუნეში ვენეციის ჩრდილოეთ ევროპასთან ვაჭრობაში საუტჰემპტონი და ბრიუგე იყვნენ მთავარი საშუამავლო ცენტრები (Growson, 1973, 367).

ვენეციელები ძირითადად ჩადიოდნენ ინგლისის სამ ნავსადგურში: ლონდონში, საუტჰემპტონსა და სენდვიჩში (Who's who in history, 1963, 398) ხოლო შემდეგ, ინგლისური საქონელით დატვირთულნი ბრუნდებოდნენ ადრიატიკაში.

ინგლისის საშინაო ბაზარს აბრეშუმის ნედლეულით უმთავრესად ამარაგებდნენ ვენეციელები და ფლორენციელები. მათი მხრიდან ხანდახან იყო დაბრკოლებები აღნიშნული ნედლეულის შემოტანაში, რაც საშიშროების წინაშე აყენებდა ინგლისის სახელოსნოებს, ამის საილუსტრაციოდ მოვიტანთ ერთ მაგალითს. 1445 წელს ინგლისელმა ვაჭრებმა და ხელოსნებმა წარუდგინეს მეფეს საჩივარი, რომ ვენეციელებსა და ფლორენციელებს აღარ ჩამოჰქონდა ადრინდელივით აბრეშუმის ნედლეული, რაც ინგლისის სახელოსნოების დახურვის საშიშროებას ქმნიდა. გარდა ამისა, ინგლისელი ვაჭრები ითხოვდნენ, რომ იტალიელებს ინგლისური საქონელი (შალის ქსოვილები, ნართი, ტყვია და სხვა.) ეყიდათ ბითუმად იმ ნავსადგურებში, სადაც შედიოდნენ მათი გემები და ამავე დროს, მათ უნდა მისცემოდათ მხოლოდ სამი თვის ვადა, რომლის განმავლობაში უნდა გაესაღებინათ თავიანთი საქონელი (Кенингем, 1909, 367-368).

როგორც ვხედავთ, ინგლისელი ვაჭრები ჩიოდნენ თავიანთი უფლებების ვენეციელ ვაჭრებთან გათანაბრების შესახებ. ამ პოლიტიკის შედეგად საქმე იქამდე მივიდა, რომ 1456-

1457 წლებში მოხდა ლონდონელი ვაჭრებისა და მოქალაქეების გამოსვლა, რასაც მოჰყვა ვენეციელთა სახლების დანგრევის მცდელობა (Фионова, 1981, 57) ეს ფაქტი აისახა ლონდონის მერსერთა „საბჭოს აქტებშიც (The Acts, 1936, 506)

1457 წლის 5 აგვისტოს ვაჭარ-ავატიურისტთა კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დამატებითი საბაჟო გადასახადი დაენესებინა უცხოური საქონლის ინგლისში შეტანაზე. ჩანს, საქმე პოზიტიურ გადაწყვეტილებამდე არ მისულა, რადგან ცოტა გვიან, ჰენრი VII-ისა (1485-1509) და ჰენრი VIII-ის(1509-1547) მეფობის ხანაში ვენეციელი ვაჭრები თანაბარი უფლებებით სარგებლობას განაგრძობდნენ (Дживилегов, 1904, 190].

იტალიელებს განსაკუთრებით აინტერესებდათ ლონდონი, რომელიც იყო მათი საქონლის მთავარი შემსყიდველი და მაუდის ქსოვილების ექსპორტიორი. ამიტომ აქ იყრიდნენ თავს სხვადასხვა სოციალური მდგომარეობისა და პროფესიის იტალიელები.: ვაჭრები, ლუდხანის პატრონი მედუქნეები, მაკლერები, სხვადასხვა მოსამსახურენი.

ზოგიერთი იტალიელი ღებულობდა ინგლისის მოქალაქეობას და ხდებოდა ადგილობრივი სავაჭრო ან სახელოსნო “ძმობის “ (გილდიების) წევრი. ვენეციელი ვაჭარი მარკონოვი მიიღეს მეზაკალეთა გილდიაში. ზოგნი ვაჭრებად რჩებოდნენ ანდა მეაფთიაქეებად, ბანკირებად და ა.შ. 1485 წელს ლონდონში თავი მოიყარა 1596 უცხოელმა, ხოლო 1501 წელს ვათასმა. მათ შორის იყვნენ იტალიელი ვაჭრები და ბანკირები (Грин, 1892, 50).

ხოლო რაც შეეხება ფლორენციელებს, ისინი ჯერ კიდევ ედუარდ III-ის დროს (1327-1377) გვევლინებიან როგორც პრივილეგირებული ვაჭრები და ბანკირები. ფლორენციელი ბანკირები ფრეს კობალდი, ბარდი და პერუცი ძალიან დაახ-

ლოებული იყვნენ მეფესთან (Кенингем, 1909, 362). კარგადაა ცნობილი, რომ ე.წ. ‘ასწლიანი ომის’ დასაწყისში, 1346 წელს ედუარდ III-ემ ისესხა იმ დროის კვალობაზე უზარმაზარი თანხა – 1 365 000 ოქროს ფლორინი ბარდისა და პერუცისაგან (Кенингем, 1909, 82, 363).

წყაროების შესწავლის საფუძველზე გაირკვა, რომ XV საუკუნეში ფლორენციელებს თავიანთი გემებით შემოჰქონდათ ლონდონში ფუფუნების საგნები. ასევე დიდ მოგებას ღებულობდნენ ისინი ნიდერლანდებთან ვაჭრობით. საინტერესოა, რომ თანამდებობის პირი, თანაც უცხოელი ხმელთაშუაზღვისპირეთში ინგლისელი ვაჭრების ინტერესების დაცვის პასუხისმგებლობას კისრულობდა. აქედან ნათლად ჩანს, რომ იტალიელი ელჩები გამოიყენებოდა ინგლისის სამეფო ხელისუფლების მიერ ქვეყნის ეკონომიკურ და დიპლომატიურ საქმიანობაში.

ამრიგად, XII-XIII საუკუნეებში ინგლისური მაუდის ძირითადი შემსყიდველები იყვნენ იტალიელი ვაჭრები, გენუელები, ვენეციელები, ფლორენციელები, რომელთაც სავაჭრო ფაქტორიები ჰქონდათ ლონდონში, საუტკუემპტონსა და სენდვიჩში.

XIV—XV საუკუნეებში იტალიელი ვაჭრები რეგულარულად ჩადიოდნენ ინგლისში. გენუელმა ვაჭრებმა მიიღეს პრივილეგიები ჰენრი V-სა და ჰენრი IV-ის მმართველობის ხანაში და შეინარჩუნეს ეს პრივილეგიები XV საუკუნის დაღვეამდე. ვენეციელებმა კი ინგლისთან დაამყარეს სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობა ედუარდ II-ისა (1307-1327) და ედუარდ III-ის (1327-1377) დროს. ხოლო რიჩარდ II-ს მმართველობის დროს (1377-1399 წწ.) მოიპოვეს სავაჭრო პრივილეგიები, რითაც დიდად უკმაყოფილო შეიქმნა ლონდონის მოსახლეობა, რომელთაც ეს გამოსატყვევებელი ვაჭრებზე თავდასხმებში (1456-1457წწ.) ფლორენციელი ვაჭრები გვევლინებიან ინგლისში ედუარდ III-ის დროს (1327-

1377). გაირკვა, რომ თუ იორკთა დინასტიის პერიოდში ნაწილობრივ შეიზღუდა იტალიელი ვაჭრების პრივილეგიები (1485 წ), ტიუდორების ხანაში ეს კვლავ აღსდგა.

ჩვენს მიერ შესწავლილ წყაროებში მოიხსენიება გენუელი და ლომბარდიელი ვაჭრები. ამ უკანასკნელთა სახელით ხშირად მოქმედებდნენ ფლორენციელი და ვენეციელი ვაჭრები. დასახელებული წყარო ასევე ავლენს, რომ XV საუკუნის I ნახევარშიც კი განსაკუთრებით ოციან წლებში იტალიელებს ინგლისთან საკმაოდ ინტენსიური სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდათ.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. The Acts of Court rhe Mercer's Company (1453-1528)'' – W.th.an introduction by L.Lyell assisted by F.D.Watney,Cambridge, 1936;
2. Growson P.,Tudor Foreign Policy, London, 1973;
3. Who's who in history. Gen. ED. C.R.N.Routh, vol 2 England 1485 to 1603, new-york, 1964;
4. Грин Дбж., История английского народа, т. !, М.,1892;
5. Кенингем У., Рост английской промышленности и торговли в ранний период и средние века, М., 1909;
6. Дживилегов А.К. Торговля на Западе в средние века. СПб., 1904;
7. Демин О.Б., Англо-Нидерландские отношения второй половины XVI начале XVII века, автореферат на соиск.уч. степ. К. И.Н.М., 1984;
8. Полянский Ф.Я, Товарное производство в условиях феодализма. М.1969;
9. Стоклицкая – Терешкович В. В., Проблема многообразия средневекового цеха на Западе и на Руси. Сб. средние века. Вып. III М., 1951;
10. Фионова Н.А. Венецианские купцы на английском рынке в X веке. В кн.: Англия XV-XVII вв. Горький ,1981.

11. Чистозвонов А.Н., Некоторые основные теоретические вопросы, проблемы генезиса капитализма в европейских странах. Теоретические и историографические проблемы генезиса капитализма .М., 1962.

## **Изольда Белтадзе**

### **Английские торговые и дипломатические отношения с Италией (XIV-XV вв.)**

#### *Резюме*

В XIV–XV веках итальянские купцы (генуэзцы, венецианцы и флорентинцы) регулярно посещали Англию. Именно из торговых отношений стали складываться дипломатические отношения между двумя странами. Генуэзские торговцы получили привилегии во времена правления Генриха IV, Анри V и сохранили их до конца XV века. Венецианцы же установили торговые и дипломатические отношения во времена правления Эдуарда II (1307-1327) и Эдуарда III (1327-1377). Только во время правления Ричарда II (1377-1399 гг.) они приобрели торговые привилегии, чем было недовольно население Лондона, постоянно устраивая погромы венецианским купцами (1456-1457 гг.). Флорентийские купцы появились в Англии во времена Эдуарда III (1327-1377). В период правления Йоркской династии ограничили привилегии итальянских торговцев (1485 г.), которые восстановились при Тюдорах.

В изученных нами источниках упоминаются и ломбардские купцы. От их имени часто выступали и действовали флорентийские и венецианские торговцы. Определилось, что в первой половине XV века, особенно в 20-е годы итальянцы вели интенсивные торговые и дипломатические отношения с Англией.

**Izolda Beltadze**

**English trading and diplomatic Relations with Italy  
(XIV-XV cc.)**

*Summary*

In XIV-XV centuries the Italian merchants regularly visited England. Diplomatic relations began to develop of trade relations between two countries. The Genoa dealers have received privileges at the time of Henry's IV board, Henry V and have kept them till the end of XV century. Venetians have established trading and diplomatic relations at the time of Edward's board II (1307-1327) and Edward III (1327-1377). Only during Richard's board II (1377-1399) they have got trading privileges, than the population of London was dissatisfied, constantly arranging pogroms Venetian merchants (1456-1457). The Florentine merchants have appeared in England at the time of Edward III (1327-1377).

In the sources studied by us are mentioned and Lombardy merchants. From their name often acted and the Florentine and Venetian dealers operated. It was defined that in first half XV centuries, especially in 20th years Italians conducted intensive trading and diplomatic relations with England.

**საქართველო-საზჭოთა რუსეთის დიპლომატიური  
ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი ქვეყნის  
ოკუპაციამდე (1921 წ.)**

1917 წლის ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, თბილისში შექმნილმა ამიერკავკასიის კომისარიატმა არ ცნო საზჭოთა მთავრობა. მიუხედავად ამისა, მაინც არ დააყენა დღის წესრიგში ამიერკავკასიის რუსეთისაგან გამოყოფის საკითხი, ვინაიდან მენშევიკური მთავრობა დიდ იმედებს ამყარებდა დამფუძნებელ კრებაზე. თებერვალში დამფუძნებელი კრების გარეკვის შემდეგაც არ დამდგარა აღნიშნული საკითხი დღის წესრიგში.

ამიერკავკასიის კომისარიატის ხელმძღვანელობის ასეთი არათანმიმდევრული და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება იყო ძალიან დიდი პოლიტიკური შეცდომა, რამაც საბოლოო ჯამში რეგიონი დიდ განსაცდელში ჩააგდო, კერძოდ ოსმალეთს მისცა სტიმული ბრესტ-ლიტოვსკში ახალი ტერიტორიული ერთეულების მოთხოვნის წამოყენებისა (სსცია, ფ.18, აღ.2, ს. 179, ფ. 104).

ტრაპიზონის კონფერენციაზე ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების გაპროტესტების მიუხედავად, არგუმენტები აღნიშნული ხელშეკრულების მიუღებლობაზე დაგვიანებული იყო, რადგანაც პირველი შეკითხვა, რომელიც ოსმალეთის წარმომადგენელმა კონფერენციაზე ამიერკავკასიის დელეგაციას დაუსვა ასე ფორმულირდებოდა: „ვინ ხართ თქვენ და, რომელ სახელმწიფოს წარმოადგენთ“ ( Аркомед, 1931,54).

შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა ამიერკავკასიის რუსეთისაგან გამოყოფის აუცილებლობა. 1918 წლის აპრილში ამიერკავკასიის სეიმმა გამოაცხადა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა და ოფიციალურად გამოვიდა რუსეთის შემადგენლობიდან (Документы и материалы, 1919, 330).

თავიდანვე ცხადი იყო, რომ ახლად შექმნილი ფედერაციული სახელმწიფო მნიშვნელოვან ცვლილებებს ვერ განახორციელებდა მძიმე პოლიტიკური სიტუაციის გასამუხტავად იმ წინააღმდეგობის ფონზე, რაც კარგად გამოჩნდა როგორც ტპაპიზონის, ასევე ბათუმის საზავო კონფერენციის მსვლელობისას. ამას თან დაერთო გერმანიის საგარეო ვექტორის მკვეთრი ცვლილება საქართველოსთან მიმართებაში. თურქთა თავაშვებული პარპაში და მტაცებლური მადა უკვე მიუღებელი აღმოჩნდა გერმანიისთვისაც, რადგანაც მათ საქართველოსთან მიმართებაში საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები გააჩნდათ.

აქედან გამომდინარე ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა ვერ იქნებოდა მათი პოლიტიკური ჩანაფიქრის გასახორციელებლად საიმედო პარტნიორი. ანგლოფილური სომხეთისა და თურქოფილური აზერბაიჯანის პირობებში გერმანიის ერთადერთი მოკავშირე შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ საქართველო, ვინაიდან ორივეს ინტერესები ორმხრივი და დაბალანსებული იყო.

1918 წლის 26 მაისს შეიკრიბა ეროვნული საბჭო, რომელმაც საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა (სცსსა, ფ. 1836, აღ.1. ს. 49, ფ.1). ეროვნული მთავრობის საგარეო პოლიტიკის წარმოების მთავარი საზრუნავი გახდა, მიეღწიათ იმ შედეგისათვის, რასაც დასავლეთის სახელმწი-

ფოების მხრიდან საქართველოს სუვერენიტეტის აღიარება უნდა მოჰყოლოდა. ამ კუთხით გადადგმული პირველი მნიშვნელოვანი დიპლომატიური გამარჯვება გახლდათ საქართველო-გერმანიას შორის 1918 წლის 28 მაისის ფოთის ხელშეკრულება, რომლითაც გერმანიამ ცნო საქართველო და ფაქტოდ და დაინყო სამზადისი მისი და იურედ ცნობისა (Международная политика в договорах, нотах и декларациях, 1926, 436). კერძოდ, დაინყო აქტიური დიპლომატიური მოლაპარაკებები საბჭოთა მთავრობასთან საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისათვის.

რაც შეეხება საბჭოთა რუსეთის დამოკიდებულებას აღნიშნული საკითხისადმი, კარგად ჩანს სტალინის წერილიდან, გაგზავნილი შაუმიანისადმი, რომელშიც ვკითხულობთ: „ჩვენი ერთიანი შეხედულება და პოლიტიკა ამიერკავკასიისადმი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ უნდა ვაიძულოთ გერმანელები, რათა მათ საქართველო, აზერბაიჯანისა და სომხეთის დამოუკიდებლობის საკითხის მოგვარება განიხილონ, როგორც რუსეთის განუყოფელი საშინაო საკითხი, რის გამოც ჩვენ არ უნდა ვაღიაროთ მათი დამოუკიდებლობა. შესაძლოა ჩვენ იძულებული გავხდეთ ვაღიაროთ საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ ეს უნდა გავაკეთოთ მხოლოდ იმ პირობით, თუ გერმანელები უარს განაცხადებენ სომხეთისა და აზერბაიჯანის საშინაო საქმეებში ჩარევისაგან (Документы по истории гражданской войны в СССР, 1940, 289-290).

ეროვნული მთავრობა აცნობიერებდა რა იმ ფაქტს, რომ თუ ის ვერ მოახერხებდა საბჭოთა რუსეთის მხრიდან, მისი დამოუკიდებლობის აღიარებას, ძალიან პატარა იყო შანსი იმისა, რომ დასავლეთის წამყვან სახელმწიფოებს ეცნოთ სა-

ქართველოს დამოუკიდებლობა, ამიტომაც რუსეთში დიპლომატიური მისიით გაგზავნილ იქნა გ. ხუნდაძე, რომელმაც ძალიან დიდი მუშაობა გასწია, რათა რუსეთს ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა (Хундадзе, 1920,17-18).

საქართველოს დიპლომატიურ მისიას დიდ დახმარებას უწევდა გერმანიის მუდმივი წარმომადგენელი მოსკოვში მირზახი. აქტიურმა დიპლომატიურმა საქმიანობამ ერთგვარი ნაყოფი გამოიღო, რაც გამოიხატა რუსეთის მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობის ირიბად ცნობაში. კერძოდ, 1918 წლის 27 აგვისტოს გერმანიასა და საბჭოთა რუსეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-13 მუხლის თანხმად, რუსეთი აცხადებდა თანხმობას, რათა გერმანიას ეცნო საქართველო სუვერენულ სახელმწიფოდ ( *Документы по истории гражданской войны в СССР*, 1940, 443). როგორც ჩანს, რუსეთის მთავრობაში დაუწყიათ ფიქრი იმაზეც, რომ თავისი დიპლომატიური მისია გაეგზავნათ თბილისში. თუმცა მალე საგარეო საქმეთა კომისარმა ჩიჩერინმა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში განაცხადა: „ჩვენ თანხმობა განვაცხადეთ იმაზე, რომ გერმანიას ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, რაც იმას არ ნიშნავს, რომ ამით ჩვენ ვაღიარებთ მის დამოუკიდებლობას.“

მიუხედავად ასეთი განცხადებებისა, საქართველოს მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენლობა დაუღალავად საქმიანობდა როგორც მოსკოვში, ასევე სხვა დიდ ქალაქებში. კერძოდ, გაიხსნა საკონსულოები, რომლებიც ერთგვარ მფარველობას უწევდნენ არა მარტო ქართველებს, არამედ საქართველოს ყველა მოქალაქეს, მიუხედავად მათი რელიგიური თუ ეთნიკური წარმომავლობისა. საკონსულოე-

ბის ბაზაზე იქმნებოდა სპეციალური სათვისტომოები, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებზე გასცემდნენ სპეციალურ მონშობებს, რომელშიც მითითებული იყო მოქალაქის სახელი – გვარი, ეროვნება, მოქალაქეობა და დაბადების ადგილიც კი. ამავე მონშობის საფუძველზე იკრძალებოდა საქართველოს მოქალაქეების დაპატიმრება, ჩხრეკა, მათი ქონების კონფისკაცია და რაც მთავარია, სამხედრო საქმსახურში განწვევა (Мархулия, 2000, 118).

პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებამ დღის წესრიგში დააყენა ახალი გეოსტრატეგიული ინტერესებისა და გავლენის სფეროების გადანაწილების საკითხი. ამ დაპირისპირებაში საქართველო, ისევე როგორც მთელი ამიერკავკასია, აღმოჩნდა დიდი ბრიტანეთის ინტერესთა გავლენის სფეროში. სამწუხაროდ, ინგლისელებმა დაიწყეს საქართველოში ორმაგი თამაშის პოლიტიკის წარმოება, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ერთის მხრივ ისინი ეხმარებოდნენ დენიკინს ე.წ. „ერთიანი რუსეთის“ აღდგენაში და ბოლშევიკების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში და მეორეს მხრივ, თითქოსდა გამოდიოდნენ ახლად შექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს სუვერენიტეტის გარანტის როლში.

1919 წელს საქართველოს მთავრობის ინგლისურ ორიენტაციაზე დამყარებული იმედები არ გამართლდა. ის ხომ ინგლისისაგან ფართო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას მოელოდა, რაც ვერ განხორციელდა. საქართველოს მთავრობის საგარეო-პოლიტიკური კურსი მოსკოვის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. 1920 წლის 31 იანვრის ნოტიო რუსეთის ბოლშევიკური მთავრობის საგარეო საქმეთა სამხედრო კომისარი გ. ჩიჩერინი გარკვევით ითხოვდა

აღებული კურსის რადიკალურ შეცვლას. ცხადი იყო, რომ ინგლისზე დამყარებული იმედების გაცრუებით საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მიმართულების კრახის შემთხვევაში საქართველოს ბოლშევიკური აგრესიის რეალური საფრთხე ემუქრებოდა. ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, მიეცემოდა თუ არა ინგლისის პოლიტიკაში პრიორიტეტი საქართველოზე ორიენტაციას, თუ დიდი ბრიტანეთი, საკუთარი ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, მოლაპარაკებას დაიწყებდა მოსკოვთან.

1920 წლის იანვარ-აპრილში დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის მესვეურებიც ცდილობდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ერთიან ბლოკად გაერთიანებას მოსკოვის აგრესიის წინააღმდეგ, რაც სხვადასხვა მიზეზით გაძნელდა. ინგლისის მთავრობის წარმომადგენლებმა დაიწყეს ამიერკავკასიის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებისათვის სათანადო მოსამზადებელი სამუშაოების კონკრეტული გეგმის შემუშავება, მაგრამ ლონდონმა პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმისაგან თავი შეიკავა.

მოკავშირეთა ლონდონის I კონფერენციაზე (1920 წ. 12 თებერვალი - 10 აპრილი) ამიერკავკასიის რესპუბლიკების თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიუღიათ. 24 თებერვლის მემორანდუმში მხოლოდ ზოგადად იყო მითითებული, რომ მოკავშირეები გაუწევდნენ დახმარებას ე.წ. “განაპირა” რესპუბლიკებს, თუ მათ ბოლშევიკები შეესეოდნენ (ცუხიშვილი, 1995, 103). ლონდონის კონფერენციაზე გამოჩნდა, რომ მიუხედავად საქართველოს საკითხის დროებითი გაცოცხლებისა, დიდი ბრიტანეთის მთავრობა ამ პრობლემას მეორეხარისხოვნად მიიჩნევდა. ამავე კონფერენციაზე შემუშავებული იქნა ბათუმის

საკითხის მოგვარების ასეთი გეგმა: ბათუმი ცხადდებოდა თავისუფალ სანავსადგურო ქალაქად მიმდებარე მცირე ტერიტორიული ზონით ერთა ლიგის მფარველობის ქვეშ. მოკავშირეებს იქ უნდა გაეგზავნათ თითო ბატალიონი ქალაქის გარნიზონის გასაძლიერებლად.

1920 წლის აპრილი, ბათუმის საკითხში ინგლის-საქართველოს ურთიერთობების გამწვავებით აღინიშნა, რადგანაც მარტის დასაწყისში, ინგლისის მთავრობის არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, ბათუმის ოლქის დაკარგვის საშიშროების თავიდან ასაცილებლად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ინგლისელ მთავარსარდალთან შეუთანხმებლად შეიყვანა სამხედრო ნაწილები ბრიტანეთის საოკუპაციო ზონაში. ასევე საქართველოს ხელისუფლებამ კატეგორიულად დაგმო ლონდონის კონფერენციის გადაწყვეტილება ბათუმის სტატუსთან დაკავშირებით, მოითხოვა მისი საქართველოსათვის დაბრუნება და თანხმობა განაცხადა, ქ. ბათუმი ინგლისელების სამხედრო ბაზად გადაექცია.

მოკავშირეთა სან რემოს კონფერენციის 1920 წლის 18-23 აპრილის სხდომებზე დიდმა ბრიტანეთმა საფრანგეთისა და იტალიის სათანადო მხარდაჭერა ვერ მიიღო. მათ თავი შეიკავეს ბათუმში თითო ბატალიონის გაგზავნაზე იმ მოტივით, რომ ეს რუსეთთან ომის ტოლფასი იქნებოდა, რითაც ლონდონის კონფერენციის გადაწყვეტილება უგულვებელყვეს.

1920 წლის აპრილში აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდგომ, საქართველო ახალი აგრესიის წინაშე აღმოჩნდა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ ქართველი ერის იმედი ანტანტის მხრიდან დახმარების განევის შესახებ ფუ-

ჭი აღმოჩნდა, საქართველოს მთავრობის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში დადგა საკითხი – საბჭოთა რუსეთთან ჩარჩო ხელშეკრულების გაფორმებისა.

1920 წლის 7 მაისს საქართველო–რუსეთს შორის გაფორმდა სამშვიდობო ხელშეკრულება. მინდა გამოვყო ამ ხელშეკრულების V და VI მუხლები, რომლის მიხედვითაც საქართველო იღებდა ვალდებულებას, თავისი ტერიტორიიდან გაეყვანა უცხო ქვეყნის ყველა საჯარისო შენაერთი.

რაკი რუსეთმა ამ ხელშეკრულებით აღიარა ბათუმის ოლქიც საქართველოს შემადგენლობაში, აქედან გამომდინარე, ინგლისელთა საჯარისო ნაწილების ბათუმში დარჩენაც უპერსპექტივო აღმოჩნდა და შესაბამისად, 11 ივნისს ბრიტანეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ბათუმიდან თავისი ჯერების გაყვანისა.

7 მაისის ხელშეკრულება, შეიძლება დამაჯერებლად ითქვას, უკან გადადგმული ნაბიჯი იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საკითხში, ვინაიდან როგორც გამორჩენილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე ვიქტორ ნოზაძე აღნიშნავდა – „ამ დღეს დაიხურა საქართველოს ევროპული ორიენტაცია და ფაქტიურად საქართველო მოემწყვდა საბჭოთა რუსეთის გავლენის სფეროში“ (ნოზაძე, 1989, 67). ხელშეკრულება რუსეთს სჭირდებოდა მხოლოდ ქართველთა სიფხიზლის მოსადუნებლად და საქართველოში თავისი აგენტურისათვის მაქსიმალურად ხელშემწყობი პირობების შესაქმნელად. მოსკოვი ემზადებოდა სამხედრო ინტერვენციისა და ამიერკავკასიის უკანასკნელი დამოუკიდებელი რესპუბლიკის გასაბჭოებისათვის.

ეს რომ ნამდვილად ასე იყო, კარგად გამოჩნდა რუსეთ-თურქეთის მოსკოვის და შემდგომ ყარსში (ზოსიძე, 2009, 241–242) გაფორმებულ ხელშეკრულებებში, რომლითაც თურქეთის მთავრობამ ნებაყოფლობით უარი განაცხადა ბათუმის ოლქის ნაწილზე, თუმცა შეინარჩუნა ბათუმის ნავსადგურის სარგებლობის უფლება. რუსეთ-თურქეთის ეს გარიგებანი ამიერკავკასიის რეგიონში მათი სამხედრო-სტრატეგიული, სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებით იყო განპირობებული.

მიუხედავად იმისა, რომ 1921 წლის 27 იანვარს დასავლეთის სახელმწიფოებმა სცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა დე იურედ, უკვე დაგვიანებული აღმოჩნდა, რადგანაც 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მხრიდან განხორციელებულმა საქართველოს ოკუპაციამ 70 წლით შეაფერხა საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესი.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიის არქივი (შემოკ. სსცია). ფ.18, აღ.2, ს. 179, ფ. 104;
2. სცსსა, ფ. 1836, აღ. 1, ს. 49, ფ. 1;
3. ნ. ზოსიძე, რუსეთ-თურქეთის გეოპოლიტიკური ინტერესები ამიერკავკასიაში და საქართველო 1919–1921წწ, ბათ.,2009 (კრებული – საქართველო და მსოფლიო);
4. ვ. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო., თბ.,1989;

5. რ. ცუხიშვილი, ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918–1921წწ, თბ.,1995;
6. С. Аркомед, Материалы по истории отделения Закавказья от России, Тб.,1931;
7. Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии,Тб., 1919;
8. Документы по истории гражданской войны в СССР, т.1, М.,1940г.
9. Международная политика в договорах, нотах и декларациях, М.,1926;
10. Мархулия Г, Красная и белая Россия против независимости Грузии (1918г), საისტორიო ძიებანი N-3., 2000;
11. Хундадзе Г, Советская власть и Грузинское посольство в России, Тб.,1920.

### **Archil Varshalomidze**

#### **Some Aspects of Diplomatic Relations between Georgia and Soviet Russia before the Annexation**

##### *Summary*

After the October coup d'état in 1917, the Transcaucasian Commissariat did not recognize the Soviet governance, though it also did not put on the agenda of separating the Transcaucasia from Russia. This in consequence of decisions was a very big political mistake from the Transcaucasian Commissariat side. This mistake led the region to the difficult situation; in particular, it gave the chance to Ottoman Empire to claim for the new territorial units in Brest –Litovsk.

In 1918, May 26, the national council was held, which declared the independence of Georgia. National government realized that if they could not get the recognition of Georgian independence from Russia, there would

be less possibility for leading European countries to recognize it either. For this reason G. Khundadze was dispatched for the diplomatic mission to Russia, who did his best to make Russia recognize Georgian independence. In 1920, May 7, peace treaty was signed between Georgia and Russia. It was the step back in the development of Georgian State system.

Though western countries recognized the Georgian independence de jure on January 27, 1921, it was too late, as in 1921, February 25, Russian Federation annexed Georgia and therefore hindered its integration process to Europe for 70 years.

*ემზარ მაკარაძე  
მაია მანჩხაშვილი*

## **თურქეთის ქართულ დიასპორაში**

ეთნიკური უმცირესობის საკითხი თანამედროვე თურქეთის საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთი აქტუალური თემაა.

თურქეთის რესპუბლიკის 1982 წლის კონსტიტუციის 66-ე მუხლის თანახმად „თურქად ითვლება თურქეთის რესპუბლიკის ყველა მოქალაქე, განურჩევლად ერისა და ეროვნებისა“ (თურქეთის კონსტიტუცია, 2000, 43). აქედან გამომდინარე, თურქეთის მოქალაქეობა ოფიციალურად განსაზღვრავს ეთნიკურ კუთვნილებასაც.

თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე ცხოვრობს ოცდახუთ ეროვნულ უმცირესობაზე მეტი: ქურთები, არაბები, სომხები, ბერძნები, ქართველები (ლაზები, აფხაზები), აზერბაიჯანელები, ჩერქეზები, ებრაელები, თათრები, ბულგარელები, თურქმენები და სხვ (Yanar, 2002, 124). აღსანიშნავია ისიც, რომ ეროვნული უმცირესობათა წარმომადგენლები თავიანთი ეთ-

ნოჯგუფის რაოდენობის შესახებ გადაჭარბებულ ინფორმაციას ავრცელებენ.

თურქეთის რესპუბლიკის აღმოსავლეთ რაიონებში ცხოვრობენ ქურთები, სამხრეთ—აღმოსავლეთით არაბები, ასევე კავკასიის მთიელები: ჩერქეზები, ადიღეელები, უბიხები, ოსები და ლეკები. ქვეყნის ჩრდილო—აღმოსავლეთით ცხოვრობენ ქართველები (აფხაზები და ლაზები), აზერბაიჯანელები და თურქმანები. თურქეთის ევროპულ ნაწილში მკვიდრობენ ბულგარელები, ალბანელები, სტამბოლში სომხები, ებრაელები, ბერძნები და ა.შ. დასავლეთ ევროპულ უმცირესობათა შორის არიან ლევანტელები\*, რომლებიც ქვეყანაში ცხოვრობენ შუასაუკუნეების პერიოდიდან (Mumcu, 1994, 225).

თურქეთის რესპუბლიკის მოსახლეობა დღევანდელი მონაცემებით შეადგენს 75 მილიონს. თურქები – ქვეყნის ძირითად მოსახლეობას შეადგენენ. არსებული გათვლების მიხედვით ეროვნული უმცირესობები შეადგენენ თურქეთის მოსახლეობის დაახლოებით 20 პროცენტს. მათგან ყველაზე მრავალრიცხოვანი არიან ქურთები (დაახლოებით 12 მლნ), არაბები (დაახლოებით 1 მლნ.), ქართველები (დაახლოებით 2,5 მლნ).

ქართველები (აფხაზები და ლაზები) – ძირითადად შავი ზღვის სანაპიროზე ცხოვრობენ. ასევე მჭიდროდ არიან დასახლებულნი ბურსასა და ინეგიოლში. ასიმილაციის შედეგად მათ მიიღეს მუსლიმობა და დაკარგეს მშობლიური ენა. თუმცა უფროსი თაობის წარმომადგენლებს საკმაოდ კარგად აქვთ შენარჩუნებული ქართული ენა და წესჩვეულებები (Andrews, 1989, 214).

თურქეთსა და საქართველოს შორის სატრანსკონტინენტური და კეთილმეზობლური ურთიერთობების განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ თურქეთის ქართული წარმოშობის მოქალაქეებს. თურქეთის ქართველობის წარმომადგენლებს უკავიათ უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობები, მნიშვნელოვანი რაოდენობით არიან წარმომადგენილნი ქვეყ-

ნის პარლამენტში, შეიარაღებულ ძალებსა და სამართალდამცავ სისიტიტემაში, ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურებში. მრავალი მათგანი გამოჩენილი საზოგადო, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეა. თურქეთის ქართველები შედიან ქვეყნის უმდიდრეს ბიზნესმენტთა და მენარმეთა რიგებში, წარმოადგენენ უძლიერესი ჰოლდინგებისა და სავაჭრო-ეკონომიკური გაერთიანებების პირველ პირებს ([www.diaspora.gov.ge](http://www.diaspora.gov.ge)).

თურქეთის ქართული დიასპორა ძორითადად თავმოყრილია ქ. სტამბოლსა და მარმარას რეგიონებში მდებარე ბურსას, საქარიას, ქოჯაელის, ბოლუს, ბალიკესირის ოლქებში. მცირე რაოდენობით ცხოვრობს ქართული მოსახლეობა ანკარაში. ქართული დიასპორის მნიშვნელოვანი ნაწილი შემორჩენილია ართვინის, არტაანისა და რიზეს ოლქებში. მნიშვნელოვანი ქართული დასახლებებია თურქეთის შავიზღვისპირეთში სამსუნში, სინოპში, გირესუნში, ორდუში, უნიესა და ფაცაში. სხვადასხვა შეფასებებით თურქეთში 2,5 მილიონამდე ეთნიკური ქართველი (თვითდასახელება “ჩვენებური”) ცხოვრობს.

ქართული წარმოშობის თურქეთის მოქალაქეებს ჩამოყალიბებული აქვთ სათვისტომო-საზოგადოებები, კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდები და სხვა შემოქმედებითი კავშირები. საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოთქვამს ქართული დამწერლობის შესწავლის სურვილს. ანკარაში, საქართველოს საელჩოს ოფისში არის ქართული ენის შემსწავლელი კურსები. “ჩვენებურებს” დიდი სურვილი აქვთ საფუძვლიანად შეისწავლონ ქართული ენა, ანბანი, გაეცნონ საქართველოს ისტორიასა და კულტურას.

თურქეთის ქართული დიასპორის ორგანიზაციები:

სტამბოლის თურქეთ-საქართველოს განათლებისა და კულტურის ფონდი. მის მმართველი საბჭოს შემადგენლობაში შედიან ქართული წარმოშობის ცნობილი ბიზნესმენები და საზოგადო მოღვაწეები: ისმეთ აჯარი — ფონდის მმართველი საბჭოს თავმჯდომარე. ქ. სტამბოლში ახალი უბნის “acarkent“ – ის და-

მარსებელი და Acarlar ჰოლდინგის მეპატრონე. ფონდის გენერალური დირექტორია — მევლუდ ართვინლი (გოგლიძე), თადა-რიგის პოლკოვნიკი.

განათლებისა და კულტურის ფონდი, თურქეთში ქართული დიასპორის ერთგვარი ცენტრის როლს ასრულებს.

მაჭახელას განათლების, კულტურისა და თანადგომის ფონდი: მისი მმართველი საბჭოს თავმჯდომარეა სალიჰ ილდიზი (ჩიკუტაძე), მოადგილე- ბაჰათინ სარი (კურტანიძე). მაჭახელას ფონდი დაარსდა 1995 წელს. საბჭოს წევრები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ქართული დიასპორის მიერ მონყობილ ღონისძიებებში. ფონდი არის სტამბოლში მცხოვრებ მაჭახელელ (ართვინის ოლქი) ქართველთაშეკრების ადგილი. მათ გააჩნია ყველა პირობა იმისა, რომ მოაწყოს მცირე და საშუალო მასშტაბის კულტურული ღონისძიებები. ფონდთან მოქმედებს ფოლკლორული ანსამბლი “ერთობა.” ახლო მდებარე რაიონებში მცხოვრები ქართველებისათვის სისტემატურად ეწყობა სხვადასხვა საორტული თუ კულტურული ღონისძიებები.

საქართველოსთან მეგობრობის საზოგადოება - დაარსდა 2005 წელს ქ. სტამბოლში. ფათიჰის რაიონში. მისი თავმჯდომარეა — ალი რიზა ალთუნელი. საზოგადოებასთან მოქმედებს ქართული ენის შემსწავლელი კურსები. ორგანიზაციის მიერ დეკლარირებულ მიზნებში შედის - თურქეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების განვითარება; ქრთული ლიტერატურული ნაწარმოებების თურქულ ენაზე თარგმანის უზრუნველყოფა; ორენოვანი ჟურნალის გამოშვება; თურქეთში ქართული კულტურის, ფოლკლორისა და ხელოვნების პოპულარიზაცია; თურქი და ქართველი სტუდენტებისათვის სტიპენდიების დანიშვნა და თურქეთში ინვესტიციების განხორციელების მსურველი ქართველი ბიზნესმენებისათვის იურიდიული კონსულტაციების უზრუნველყოფა.

სტამბოლის ხალხური სიმღერის ანსამბლი „ქაფდაღის“ - დამაარსებელია - იბერია ოზქანი (მელაშვილი). ცნობილი ქარ-

თველი საზოგადო მოღვაწის, თურქეთში პირველი ქართული ჟურნალისა და ფოლკლორული ანსამბლის დამაარსებლის - აჰმედ ოზქანის ვაჟი. იგი წლებია ემსახურება ქართული კულტურის პოპულარიზაციას თურქეთში. ანსამბლის რეპერტუარში, ადგილობრივ ქართულ-ლაზურ სიმღერებთან ერთად, წარმოდგენილია საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერები. თურქეთში გამოცემულია „ქაფდალის“ სამი ალბომი. ანსამბლი ნაყოფიერად თანამშრომლობს თურქეთში ქართული სიმღერების ცნობილ შემსრულებელთან ბაიარ შაჰინთან (გუნდარიძე).

საქარიას (ადაფაზარი) ოლქი:

ჰენდექის ბათუმელთა კულტურის საზოგადოება – რომლის მმართველი საბჭოს წევრები არიან: ბურჰან ფეჰლივანი (ბოლქვაძე), რეჯეფ თირიაქი. საზოგადოება დაარსდა 1996 წელს ქ. ჰენდექში (ამ რაიონში არის 18 ქართული და 3 შერეული ქართულ-თურქული სოფელი. სადაც ეთნიკური ქართველების რაოდენობა 12 ათასს აღწევს). ჰენდექში, ახალგაზრდებს შორის, ბევრია ქართული ენისა და ფოლკლორის საფუძვლიანად შესწავლის მსურველთა რაოდენობა. საზოგადოების ხელმძღვანელებს აუცილებლად მიაჩნიათ ქართული ენის შემსწავლელი კურსებისა და ქორეოგრაფიულ-ფოლკლორული სტუდიის გახსნა. მათ კარგი ურთიერთობები აქვთ აფხაზურ-ჩრდილოკავკასიური დიასპორის წარმომადგენლებთან. საქართველოში აფხაზეთთან დაკავშირებულ მოვლენებს უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია ადაფაზარში მცხოვრები ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობებზე, საზოგადოებას ხშირად სტუმრობენ თურქეთის აფხაზი ეროვნების მოქალაქეები.

დუზჯეს ბათუმელთა ქართული კულტურის საზოგადოება – დაარსდა 1998 წელს. მმართველი საბჭოს წევრები არიან: ვეისელ ჩაქარი, რეფიქ იუქსელი, ჯემალ თინაზი. თავის დროზე, თურქეთის სახელმწიფო ტელევიზიის გადამღებმა ჯგუფმა დუზჯეში მცხოვრები ქართველების შესახებ დოკუმენტური ფილმიც კი მოამზადა. მმართველი საბჭოს წევრებს კარგი ურ-

თიერთობები აქვთ რეგიონის აფხაზურ-ჩრდილოკავკასიურ დიასპორებთან.

ქოჯაელის (იზმითის) ოლქი:

გოლჯუქის კავკასიური კულტურისა და თანადგომის საზოგადოება- დაარსდა 2001 წელს. მმართველი საბჭოს წევრები არიან: მურათ სევიმი (მგელაძე), აჰმედ აიდინი (ბერიძე), მაჰმუთ ქაჰრამანი. გოლჯუქის რაიონში 20 ქართული სოფელია. ქალაქის მერი — მეჰმუთ ელლიბეში, ქართული წარმოშობისაა. გოლჯუქში ხელმძღვანელი ადმინისტრაციული თანამდებობები ტრადიციულად ეთნიკურ ქართველებს უკავიათ. საზოგადოებასთან დაარსებულია ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლი, რომელიც სისტემატურად მონაწილეობს ქართული დიასპორის მიერ თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში მოწყობილ ღონისძიებებსა და ფესტივალებში.

ბურსის ოლქი:

ბურსის ბათუმელთა კულტურისა და ურთიერთდახმარების საზოგადოება შეიქმნა 1986 წელს. მმართველი საბჭოს თავმჯდომარეა მუსა აიდინი. ბურსის საზოგადოება ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული და ავტორიტეტულია თურქეთის ქართულ ორგანიზაციებს შორის. სარგებლობს დიდი გავლენით როგორც ქ. ბურსაში, ასევე ბურსის ოლქის ქართველებით კომპაქტურად დასახლებულ სხვა ქალაქებში. კოორდინირებას უწევს ბურსის ოლქის სხვადასხვა რაიონებში (ინეგოლი, იზნიქი, ორჰანგაზი, გემლიქი) დაარსებულ ქართული საზოგადოებების ერთობლივ საქმიანობასა და თანამშრომლობას. საზოგადოების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს რეგიონში ეთნიკურ ქართველთა ინტეგრაციის მაქსიმალურად დაცვა და ქართული წარმოშობის მქონე მოქალაქეთათვის კარიერულ ზრდასა და სხვადასხვა საპასუხისმგებლო პოსტებზე დანიშვნაში დახმარების განწევა. ბურსაში 300 ათასზე მეტი ქართველი ცხოვრობს. მრავალი ადგილობრივი უწყებისა და სამსახურის ხელმძღვანელი ეთნიკური ქართველია.

ინეგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის საზოგადოების- საბჭოს თავმჯდომარეა — მეჭმეთ ნური ტაიარი (დუმბაძე). საზოგადოება დაარსდა 1977 წელს. მათ მიერ დაარსებული თურქეთის ქართველობის პირველი და აღიარებული ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლი წარმატებით მონაწილეობს ქართული დიასპორის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებსა და ფესტივალებში. ქართული წარმოშობის მქონე ადგილობრივ ბიზნესმენტა ფინანსური მხარდაჭერისა და საზოგადოების ხელმძღვანელთადიდი ძალისხმევის შედეგად, ინეგოლში ტრადიციული სახე მიიღო საერთაშორისო ფესტივალების მოწყობამ. საზოგადოება გამოირჩევა თავისი აქტიური მოღვაწეობით არა მხოლოდ კულტურის სფეროში, არამედ იგი დიდი გავლენით სარგებლობს ინეგოლოს რაიონში, რომლის მოსახლეობის მესამედს ქართველები შეადგენენ. ქალაქის ადმინისტრაციულ სტრუქტურებში მრავლად არიან ქართველი ეროვნების მოქალაქეები.

იზნიქის ბათუმელთა კავკასიური კულტურისა და თანადგომის საზოგადოება

დაარსდა 1991 წელს. მისი მმართველი საბჭოს წევრები არიან: იბრაჰიმ შენერი, მაჰმუთ თუნა, იბრაჰიმ ბუქერი, ადემ ხენგინი. მათ მჭიდრო ურთიერთობები და კონტაქტები აქვთ სხვა ქართულ საზოგადოებებთან და ფონდებთან. იზნიქის წარმომადგენლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ქართული დიასპორის მიერ სხვადასხვა ქალაქებში მოწყობილ ღონისძიებებში. საზოგადოების ფინანსურ წყაროს წარმოადგენს სანწევროები და ქველმოქმედების შედეგად მიღებული შემოწირულობები. საზოგადოების დამფუძნებელი იბრაჰიმ შენერი ცნობილი ბიზნესმენია, რომელიც თავისი ხარჯებით ინახავს თურქეთში ერთ-ერთ საუკეთესო ბავშვთაცეკვის ანსამბლს. იზნიქის (ძველი ნიკეა) მოსახლეობის მესამედი ქართულიან ( [www.diaspora.gov.ge](http://www.diaspora.gov.ge)).

თურქეთის ქართველობის გამოცემები და საინფორმაციო რესურსები:

თურქეთის ქართველობის ერთ-ერთი ორენოვანი ქართულ-თურქული ჟურნალია "ფიროსმანი." მისი პირველი ნომრის პრეზენტაცია განხორციელდა თბილისში 2007 წლის 27 მაისს, დიასპორის დღის აღსანიშნავი ღონისძიებების ფარგლებში. ჟურნალის რედაქტორია — ფაჰრეთთინ ჩილოღლუ (ჩილაშვილი). "ფიროსმანს" დიდი წვლილი შეაქვს თურქეთში საქართველოს ისტორიისა და კულტურის; ქართული ენის; ლიტერატურისა და ფოლკლორის პოპულარიზაციის საქმეში. იგი ემსახურება ადგილობრივ ქართველებში ეროვნული თვითშეგნების დაცვისა და გაღრმავების უმნიშვნელოვანეს საქმეს. ჟურნალში სისიტემატურად ქვეყნდება სტატიები თურქეთის სხვადასხვა რეგიონებში არსებული ქართული სოფლების, ქართული ძეგლების, ადგილობრივი ქართველების, მათი კულტურისა და ტრადიციების, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების შესახებ. ცალკე ადგილი ეთმობა ინფორმაციებს საქართველოში მიმდინარე პროცესების თაობაზე. მისი რედაქტორი წლების გამწვანებაში მოღვაწეობდა თურქეთის ქართველობის ჟურნალების „მამულისა“ და „ჩვენებურების“ გამოცემაში.

თურქეთის ქართველობის პირველი ბეჭდური ორგანოს ჟურნალ „ჩვენებურის“ გამოცემა დაიწყო 1977 წელს, შვედეთში, ქ. სტოკჰოლმში, ქართული წარმოშობის თურქეთის მოქალაქეების — შალვა თევზაძისა და აჰმედ ოზქანის (მელაშვილის) ძალისხმევით. ჟურნალის გამოცემა დროებით შეწყდა 1980 წლის 5 ივლისს. მას შემდეგ, რაც აჰმედ მელაშვილი საკუთარი სახლი წინ მოკლეს. მასთან ერთად მძიმედ დაიჭრა მისი ვაჟი იბერია. 1993 წელის თებერვალში, იბერიისა და შევქეთ შენერის ძალისხმევით, ქ. ბურსაში, განახლდა ჟურნალის გამოცემა.

**[www.chveneburi.net](http://www.chveneburi.net)** - არის პირველი ქართული ვებგვერდი თურქეთში. რომელიც გაიხსნა 2000 წელს, ჟურნალ "ჩვენებურის" რედაქციის წევრის, ერდალ ქუჩუკის მიერ (ელიზბარ ცივნარიძე). საიტმა აქტიური საინფორმაციო მხარდაჭერა გაუწია თურქეთის ქართველებს, რომლებმაც ოფიციალურად მი-

მართეს ქვეყნის შესაბამის უწყებებს ქართულენოვანი ტელე და რადიომაუწყებლობის, ქართულ ენაზე სწავლების შემოღების მოთხოვნით და მოაწყვეს ხელმოწერების შეგროვების კამპანია. საიტზე სისტემატურად შეუქდება საქართველოში მიმდინარე მოვლენები. აღსანიშნავია, რომ სწორედ ინტერნეტ საიტი „ჩვენებური“ და ჟურნალი „ფიროსმანი“ იყვნენ 2008 წლის მაისში, სტამბოლში, რუსეთის გენერალური საკონსულოს წინ, აფხაზეთში რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ მიმართული თურქეთის ქართველობის საპროტესტო აქციის ორგანიზატორები. მაუწყებლობს ინტერნეტ რადიო - „რადიო ჩვენებური.“

აფხაზური დიასპორები თურქეთში:

თურქეთში აფხაზური დიასპორის საკმაოდ დიდი დასახლებაა ქ. სტამბოლში. აქ მოქმედი დიასპორის ორგანიზაციებია: „კავკასია-აფხაზეთის სოლიდარობის კომიტეტი;“ „აფხაზთა კულტურული ცენტრი;“ „კავკასიის ფონდი;“ „კავკასიის სახლი;“ „მსოფლიო აფხაზ-აბაზა ხალხის ასოციაცია;“ „გაერთიანებული კავკასიის საზოგადოება“ და „კავკასიური საზოგადოებების ფედერაცია.“ მათი უმრავლესობა ინარჩუნებს კულტურულ თვითმყოფადობასა და ტრადიციებს, მაგრამ უნევთ ადგილობრივი მდგომარეობის გათვალისწინებაც; ახალი თაობის დიდი ნაწილი თავად ცდილობს ადაპტირდეს თურქულ საზოგადოებასთან და აიწყოს მომავალი ცხოვრება, მაგრამ, ამის მიუხედავად, სურთ კავშირები ქონდეთ აფხაზეთთან (ანჩაბაძე, 2008, 54).

თურქეთში აფხაზური დიასპორის რიცხოვნობიდან ყველაზე დიდი დასახლებაა ანატოლიაში, კერძოდ — საქარიაში (ადაფაზარი), ქოჯაელში (იზმიტი), გოლჯუკში, სამსუნში, სივასში, იოზგათის ოლქებში.

თურქეთის ქართული წარმოშობის მოსახლეობასთან კი აფხაზები თანაცხოვრობენ საქარიაში, ბალიკესირში, გოლჯუკში, ინეგოლში. მათი თანაცხოვრება მშვიდობიან ხასიათს ატარებს.

თურქეთის აფხაზური დიასპორები მნიშვნელოვანი გავლენით სარგებლობენ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წრეებში (ჟურნ. ფიროსმანი, 6, 2008, 13).

თურქეთში მცხოვრები აფხაზური დიასპორის აქტივობა გამოიხატება თურქულენოვანი აფხაზური ინტერნეტ-საიტების მუშაობაში; მათი სრულფასოვანი ინტერნეტ გამოცემებია: [www.kafkas.org.tr](http://www.kafkas.org.tr). (Kafkas Vakfi); [www.kafpedia.org](http://www.kafpedia.org); [www..ankaraabhaz.org](http://www..ankaraabhaz.org) – მისი წაკითხვა შეგიძლიათ — ინგლისურ, რუსულ, არაბულ და თურქულ ენებზე; აქვს რუბრიკები კავკასიაში მიმდინარე მოვლენებზე; ჩრდილოკავკასიურ დიასპორაზე, მათ შორის: აფხაზებზე, ჩეჩნებზე, ჩერქეზებზე, დაღესტნელებზე, ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ოსების შესახებ; აქვთ ისტორიის გვერდი; ანალიტიკური სტატიების სპეციალური რუბრიკა და სხვა.

ეს ინტერნეტ საიტები წარმოდგენას გვიქმნის თურქეთში მცხოვრები აფხაზური დიასპორის განწყობაზე საქართველოს ერთიანობის საკითხთან მიმართებაში. ასეთივე მიდგომა აქვს ამ საკითხისადმი თურქეთის ხელისუფლებას, პრეზიდენტ აბდულა გიულის არაერთგზის განუცხადებია, რომ თურქეთი პატივს სცემს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს.

თურქეთში მცხოვრებ აფხაზურ დიასპორასთან კონტაქტების გააქტიურება ქართველთა და აფხაზთა ერთობას გაამყარებს და თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების საშუალებას მოგვცემს. მათ ასევე მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ თურქეთ-საქართველოს ურთიერთობებში დაახლოების თვალსაზრისით. მათი აქტიური ჩართვა ორმხრივ ურთიერთობებში, კონფლიქტზე დადებით გავლენას იქონიებს.

როგორც ვხედავთ, რესპუბლიკური თურქეთის ეროვნული შემადგენლობა, მიუხედავად მისი მრავალფეროვნებისა სახელმწიფოს, კერძოდ სამხედრო გენერალიტეტის და შესაბამისი

ორგანოების მიერ, ქვეყნის კონსტიტუციაზე არის მორგებული და მკაცრად კონტროლდება.

## გამოყენებული ლიტერატურა

- 1.გ. ანჩაბაძე, აფხაზები; ეთნოსები საქართველოში, თბ., 2008.
- 2.ზ. წურწუმია, ბ. ხორავა; თურქეთის აფხაზური დიასპორა (აფხაზთა მუჰაჯირობა – ისტორიული მიმოხილვა); ჟ. ფიროსმანი, 6, 2008.
- 3.თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია (თურქულიდან თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა გოირგი სორდიამ), თბ., 2000.
- 4.Andrews P. - Ethnic Groups in the Republic of Turkey. Wiesbaden 1989.
- 5.Mumcu U. – Kürt dünyasi, Istanbul, 1994.
- 6.Filipova E. I. – Eski sovyet Ülkelerinde etnik ilişkiler ve sorunlar, Ankara, 2000.
- 7.Yanar S. – Türk Rus ilişkilerinde gizli güç: Kavkasiya, Istanbul, 2002.
- 8 .[www.diaspora.gov.ge](http://www.diaspora.gov.ge).
9. [wikipedia.org/wiki/თურქეთი](http://wikipedia.org/wiki/თურქეთი)).

\* — ლევანტელები – სირიელთა და ლიბანელთა შემადგენლობაში შემავალი მცირე ეთნიკური ჯგუფები, ევროპელ (ძირითადათ იტალ. და ფრანგ.) კოლონისტთა შთამომავლები, რომელთა

წინაპრები სირიისა და ლიბანის საზღვრისპირა რაიონებში გადმოსახლდნენ ჯვაროსნული ომების დასაწყისში.

**Emzar Makaradze**  
**Maia Manchkhashvili**

**Georgian Diaspora of Turkey**

*Summary*

Ethnic majority issue represents one of an actual and mystified problem of modern Turkey Domestic Politics.

Since XX centuries' 70th years according to the population discription carried out in Turkey republic national composition of residents does not fix.

According to the situated state at modern Turkey territory live more than twenty-five national minority: Kurds, Arabs, Armenians, Greeks, Georgians (Izars, Abkhazs), Azerbaijanians, Chechens, Hebrews, Tatars, Bulgarians, Turkmenans etc.

Population of Turkey republic according to the today's data amounts 75 million. Turks amount - the basic population of country. According to the situated calculation national minorities amount approximately 20% of Turkey population, therefore Georgians – approximately 2 – 3,5 million.

In development of strategic partnership and neighbourly relations between Turkey and Georgia exclusive mite is contributed by citizens of Georgian originate in Turkey. Georgian representatives in Turkey hold the supreme state occupations, they are represented in parliament with important quantity, military forces and law enforcement system, local management structures. Many of them is notable public, science and culture figure.

Georgian diaspora of Turkey is mainly gathered at situated regions of Stambul and Marmara such as: Bursa, Sakaria, Kocaeli, Bolus Balikesiri. Small quantity of Georgian population live in Ankara. Important part of Georgian diaspora is recovered in the regions of historic territories of Georgia such as Artvini, Artaani and Rize. citizens of Georgian originate in Turkey has established association of countrymen, cultural-educational funds and other creative units, where is great interest in master of Georgian folk-lore.

Sufficiently great settlement of Aphazian diaspora is in c. Stambul. They are consolidated in numerous societies and associations of

countrymen. Organizations of diaspora acting in Stambol are: „The Caucasus-Abkhazia Solidarity Committee“, „Cultural Center of Abkhazia“, „Caucasus Fund“, „Caucasus House“, „World’s Abkhaz-Abaza Association“, „United Caucasus Society“ and Fedration of Caucasian People“. Majority of them preserves originality and traditions, but also provide of local state; Great part of new generation tries adaptation to Turkey society and set up future life, but in spite of that they are desirous to have close conection with Abhazia.

**Емзар Макарадзе  
Мая Манчхашвили**

### **Грузинские диаспоры Турции**

*Резюме*

Вопрос об этническом меньшинстве является одной из актуальных и секретных проблем внутренней политики современной Турции.

Согласно статье 66 Конституции Республики Турция от 1982 года «Турком считается каждый гражданин Республики Турция, независимо от его национальности» [5]. Исходя из этого, гражданство Турции официально определяет и этническую принадлежность».

Население Республики Турция по нынешним данным составляет 75 миллионов. Основное население Турции составляют турки. Согласно существующим подсчетам национальные меньшинства составляют приблизительно 20 процентов населения Турции. Самым многочисленным национальным меньшинством являются курды (приблизительно 12 миллионов), число грузин составляет приблизительно 2-3,5 миллионов.

#### **Абхазы в Турции**

Абхазскую диаспору в Турции в основном составляют потомки «мохаджиров» - переселенцев из Абхазии; большинство из них по своему вероисповеданию являются сунитами.

Переселенные по принуждению со своей родины в Турцию абхазы составляют компактное население. Довольно большой компактный посёлок абхазской диаспоры находится в г. Стамбуле. Они объединены в многочисленные общины и диаспоры. Большинство из них хранит культурную самобытность и традиции, но им приходится соблюдать и местные устои.

Абхазские диаспоры Турции имеют значительное влияние в общественных и политических кругах. Среди них есть много бизнесменов, которые имеют свои интересы в Абхазии. Несколько представителей диаспоры являются членами сепаратистского парламента. Что касается турецкого бизнесинтереса в Абхазии, то таких интересов множество; согласно существующей информации, на сегодняшний день больше половины экспорт-импорта, вместе с Россией приходится именно на Турцию.

Одним из проявлений активности абхазской диаспоры в Турции является работа абхазских турецкоязычных интернет – сайтов. Они являются полноценными интернет – изданиями. Их можно читать на английском, русском, арабском и турецком языках; на сайтах есть рубрики, посвященные событиям, происходящим на Северном Кавказе; Северокавказской диаспоре, в том числе: абхамам, чеченцам, черкесам, дагестанцам, осетинам, проживающим в Северной Осетии и Южной Осетии.

Активизирование контактов с проживающей в Турции абхазской диаспорой укрепит отношения между абхамами и грузинами и даст возможность для последующего расширения сотрудничества.

Они также могут выполнять серьёзную роль с точки зрения сближения грузино-турецких отношений. Их активное включение в двусторонние отношения, положительно повлияет на конфликт.

## ლიბანის ეთნოკონფესიური შემაჯგენლობა და თავისებურებები

ლიბანი ერთადერთი სახელმწიფოა მსოფლიოში, სადაც ხელისუფლების ორგანოთა სისტემა კონფესიონალურ პრინციპზეა აგებული, რაც მის განსაკუთრებულ თავისებურებაზე მეტყველებს. რაც მნიშვნელოვან წილად განპირობებულია ლიბანის მოსახლეობის რთული რელიგიური შემაჯგენლობით, კერძოდ ლიბანში სულ 20-ზე მეტი კონფესიონალური თემი არსებობს, მათგან ყველაზე გავლენიან ერთეულებად მიიჩნევა ქრისტიანულ-მარონიტული, სუნიტური, შიიტური და დრუზების ჯგუფები. მარონიტების ნაწილი და დრუზები ისმაილიზმის ერთ-ერთი მიმართულების მიმდევრებად ითვლებიან და მათ ეთნოკონფესიონალურ ჯგუფებს მიაკუთვნებენ (აზიისა და აფრიკის., 1991, 104).

თანამედროვე ლიბანში ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმები არიან, დანარჩენები ქრისტიანები (ძირითადად მარონიტები და მართმადიდებლები) და აგრეთვე სხვა რელიგიების წარმომადგენლები.

ქრისტიანულ კონფესიებს შორის ყველაზე გავლენიანია მარონიტული თემი. მარონიტები ქრისტიანი არაბები არიან. მათი სახელწოდება მომდინარეობს ნახევრადღეგენდარული სირიელი ასკეტის მარუნისაგან (მარონი), რომელიც ცხოვრობდა IV-V საუკუნეების მიჯნაზე.

სავარაუდოა, რომ მარუნი დამკვიდრდა IV საუკუნის II ნახევარში ნაბუს მთაზე (ახლანდელი ჯებელ-სიმანი), ქ. ბრადის მახლობლად, დაახლოებით 410 წელს. მორუნის მოღვაწეობამ ბევრი მიიზიდა.

ცნობილია, აგრეთვე, ეპისტოლის ნაწყვეტი, სადაც მოხსენიებულია ვინმე „მარუნი — მღვდელი განდეგილი“ (<http://palomnic.org/history/ort/konfes/3/>).

ფაქტია, მაგრამ მხოლოდ ისეთი ფრაგმენტული ცნობები ნათელ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის მარუნის მოღვაწეობაზე. ალბათ, ამიტომაცაა, რომ მარუნს მითიურ ფიგურად მიიჩნევენ. აპემენის მახლობლად მარუნის სიკვდილის შემდეგ დაარსდა მისი სახელობის მონასტერი, რომელმაც თავის გარშემო შეიკრიბა მარუნის მიმდევრები, გააფართოვა სამონასტრო მამულები, დააარსა მდიდარი ბიბლიოთეკები. მეთოთხმეტე საუკუნის მუსლიმი ისტორიკისი აბუ ალ-ფიდა მიიჩნევდა, რომ წმ. მარუნის მონასტერი აშენებული იყო ბიზანტიის იმპერატორის მარკიანის მიერ 452 წელს. ამ მონასტერს მოაწყდნენ მორწმუნენი მთელი სირიიდან. მარუნის მიმდევრები მარონიტებად მიიჩნევდნენ არა მარტო წმინდა მამებს, არამედ ყველას, ვინც წმ. მარუნი ამოარჩია თავის მფარველად.

მეექვსე საუკუნეში წმ. მარუნის მონასტერი მთელი ჩრდილოეთ სირიის რელიგიურ ცენტრად გადაიქცა. აქედან პროპაგანდას უწევდნენ ქალკედონის კრებაზე (451 წ.) მიღებულ გადაწყვეტილებებს.

სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ მარონიტების თემი ჩამოყალიბდა არა მარტო ფინიკიური წარმოშობის ლიბანის მოსახლეობისა და ჩრდილოეთ სირიიდან მოსული არამეული წარმოშობის ხალხისაგან, არამედ მის ფორმირებაში მონაწილეობა მიიღო მრავალმა სხვა დაქსაქსულმა ქრისტიანულმა ელემენტებმაც. ძველ ქრონიკებში „ჯვარაჯიმების“, „ხარანიკების“, „მარდაიტების“ და „მარადების“ სახელითაა ცნობილი და, რომლებმაც სხვადასხვა დროს ლიბანის მთებში პოვეს თავშესაფარი (Новейшая история..., 2001, 248).

რაც შეეხება მარონიტული თემის რელიგიურ სტრუქტურას, იგი საკმაოდ განსხვავდება სხვა ქრისტიანულ კონფესიებისაგან ახლო აღმოსავლეთში. თუმცა მარონიტები აღიარებენ რომის პაპის უზენაესობას, მაგრამ მათ ჰყავთ თავიანთი პატრიარქი, რომელიც სათავეში უდგას მარონიტულ ეკლესიას და ატარებს ტიტულს „პატრიარქი ანტიოქიისა და მთელი აღმოსავლეთისა.“

პატრიარქს ირჩევს სინოდი, რომელიც შედგება ეპისკოპოსებისა და არქიეპისკოპოსებისაგან. პატრიარქი არ უნდა იყოს ორმოც წელზე ნაკლები. მისი არჩევისათვის საჭიროა ხმების ორი მესამედი. არჩევნებს ხელმძღვანელობს უხუცესი ეპისკოპოსი. პატრიარქი არჩევისთანავე იწყებს თავისი ფუნქციის შესრულებას. იგი იცავს მარონიტული ეკლესიის სრულ ავტონომიას, თუმცა ყოველი ათი წლის შემდეგ ვალდებულია წერილობითი ანგარიში ჩააბაროს ვატიკანის მმართველ კურიას.

ლიბანში კიდევ არსებობს სომხური გრიგორიანულ-ქრისტიანული ეკლესია. ეს სომხური ეროვნული ავტოკეფალური ეკლესიაა, რომლის სათავეშიც სრულიად სომხების კათალიკოსი დგას. მისი რეზიდენცია ერევნის მახლობლად ერმიადინში იმყოფება. სომეხი-გრიგორიანელები მონოფიზიტები არიან. ისინი ცნობენ ერთ ღვთიურ არსებას მითიურ იოსე ქრისტეში მაშინ, როდესაც მართლმადიდებლები და კათოლიკეები მას ღმერთკაცად მიიჩნევენ, რომელსაც ორი, ღვთიური და ადამიანური ბუნება აქვს. სომხურ-გრიგორიანული ეკლესია IV ს. სასომხეთში ჩამიყალიბდა. მის დამაარსებლად ითვლება ნახევრად ლეგენდარული ღვთისმსახური გრიგორ განმანათლებელი, რომელიც გადმოცემის მიხედვით პირველი კათოლიკოსი იყო. სომხურ-გრიგორიანულმა რელიგიურმა კულტმა საეკლესიო წესების შესრულების უძველესი მეთოდები შეინარჩუნა. ბიბლია და ღვთისმსახურების წიგნები

სომხურ ენაზე იკითხება, ღვთისმსახურებაც სომხურ ენაზე სრულდება, დიდი განვითარება პოვა წმინდანების კულტმა.

ლიბანში ცხოვრობენ უნიათებიც. მათი აქ გამოჩენა XVIII ს. კათოლიკე მისიონერების საქმიანობის შედეგია. ისინი ვატიკანის დავალებით აქ ფართო რელიგიურ პოლიტიკურ პროპაგანდას ეწეოდნენ. თანამედროვე ლიბანში სულ სამი უნიათური ეკლესიაა. სირიულ-კათოლიკური, ბერძნულ-კათოლიკური და სომხურ-კათოლიკური. ღვთისმსახურება სრულდება არაბულ და სომხურ ენებზე. ლიბანში არის ნესტორიანული და იაკობიტური ეკლესიაც, რომლებიც ადრეულ შუა საუკუნეებში ქრისტიანულმა სექტანტებმა — ნესტორიანელებმა და იაკობიტებმა ჩამოაყალიბეს. ნესტორიანელთა სარწმუნოება ჩვენს წელთაღრიცხვამდე V ს. დასაწყისში ჩამოყალიბდა. მისი ფუძემდებელი იყო კონსტანტინეპოლის პატრიარქი ნესტორი. აღმოჩნდა რა გამიჯნული მართლმადიდებლური ეკლესიისგან, ნესტორი დამოუკიდებელი ეკლესიის პატრიარქი გახდა სირიაში.

ნესტორიანელთა და მართლმადიდებელთა შორის უთანხმოების მიზეზი დოგმატურ აზრთა სხვადასხვაობა იყო ქრისტეს პიროვნებაზე წარმოდგენის შესახებ. ნესტორიანელები თვლიდნენ, რომ ქრისტეში ადამიანური ბუნება ღვთიურს სჭარბობდა, მაშინ, როდესაც მართლმადიდებლებს სწამდათ, რომ ორივე ფენომენი ბუნებაც და ღვთაებაც ქრისტეში თანაბრად იყო წარმოდგენილი. მართლმადიდებლებისაგან განსხვავებით ნესტორიანელები წმინდა მარიამს ღვთისმშობელს კი არ უწოდებდნენ, არამედ მხოლოდ ქრისტეს მშობელს. იაკობიტ-მონოფიზიტები შედიან ავტოკეფალური ეკლესიის შემადგენლობაში. მათ სათავეში უდგათ საკუთარი პატრიარქი. რელიგიური წესების დაცვის საკითხში იაკობიტები მართლმადიდებლებისაგან არ განსხვავდებიან. ღვთისმსახურება ხდება მკვდარ სირიულ ენაზე.

რაც შეეხება მუსლიმებს, ლიბანში ძირითადად ცხოვრობენ სუნიტები, შიიტები და დრუზები. მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი არის სუნიტური მუსლიმური თემი. ტერმინი მომდინარეობის სიტყვიდან სუნა (ისლამი, 1999, 175). სუნიტებად ითვლებიან ის მუსლიმები, რომლებიც აღიარებენ ოთხ “მართლმორწმუნე” ხალიფას (აბუ ბაქრი, ომარი, ოსმანი, ალი) ხალიფას კანონიერებას, ჰადისთა ექვსი კრებულის (ალ-ბუხარის, მუსლიმ ან-ნიშაბურის, ათ-თირმიზის, აბუ დაუდის, ან-ნასაის და იბნ მაჯას) უტყუარობას და ეკუთვნიან ოთხი საღვთისმეტყველო-სამართლებრივი სკოლიდან (შაფიიტები, ჰანაფიტები, მალკიტები და ჰანბალიტები) ერთ-ერთს. სუნიტური თვალსაზრისით, მოციქულ მუჰამადის სიკვდილის შემდეგ მუსლიმური თემის პირდაპირი “კონტაქტი” ალაჰთან შეწყდა და მისი ცხოვრება უნდა წარიმართოს ყურანისა და სუნას მითითებების საფუძველზე. მათი სწორი განმარტება კი უზრუნველყოფილია თემის ერთობლივი აზრით, რომელსაც წარმოადგენენ ყველაზე ავტორიტეტული მეცნიერი — ღვთისმეტყველები. სუნიტების თანახმად, პოლიტიკური და სასულიერო ძალაუფლება ეკუთვნის არა ალის საგვარეულო წრებს, არამედ მუსლიმური თემის არჩეულ ადამიანს, რომელიც თავისი პირადი თვისებებით და ცოდნით შესაფერისია იმისთვის, რომ განახორციელოს ცხოვრებაში ყურანის აღთქმები.

ისლამის ძირითადი მიმართულებების: სუნიზმის, შიიზმის, ხარიჯიზმის გამიჯვნა მიმდინარეობდა თანდათან, VII საუკუნის შუა ხანებიდან VIII საუკუნის შუა ხანებამდე, ხელისუფლებისათვის გააფთრებული რელიგიურ-პოლიტიკურ ბრძოლასა და საღვთისმეტყველო კამათში.

ლიბანში, რომელიც ყოველთვის იყო არაბული სამყაროს განუყოფელი ნაწილი, სუნიტური თემი განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მის განვითარებას ხელს უწყობდნენ როგორც მამლუქები, ასევე ოსმალეთის იმპერიის

სახელისუფლებო წრეები, როგორც ერთმორწმუნეებსა და მოკავშირეებს სხვა ქვეყნების რელიგიური კონფესიებთან ბრძოლასა და დამორჩილებაში.

მუსლიმი სუნიტები ლიბანში ცხოვრობდნენ ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში და ბეირუთში. ხოლო რაც შეეხება შიიტებს, ისინი ცხოვრობდნენ სამხრეთ ლიბანსა და ბექაას ველზე.

შიიტები — იმ სხვადასხვა თემთა და დაჯგუფებათა გამაერთიანებელი სახელწოდება, რომლებიც ალი ბ. აბი ტალიბსა და მის შთამომავლებს მოციქულ მუჰამადის ერთადერთი სულიერ მემკვიდრეებად და ხელისუფლების ერთადერთ კანონიერ მატარებლებად მიიჩნევდნენ. მუჰამადის სიკვდილისთანავე (632 წ.), მის უახლოეს მიმდევართა ერთმა ნაწილმა (სალმან ალ-ფარისი, ალ-მიკდადი და სხვ.) უსამართლოდ მიიჩნია აბუ ბაქრის ხალიფად არჩევა. ისინი თვლიდნენ, რომ უზენაესი ხელისუფლება “მოციქულის ოჯახში” უნდა დარჩენილიყო და ხალიფა ალი უნდა გამხდარიყო. ხელისუფლებისათვის ბრძოლის შემდგომი გამწვავების პირობებში ალის გარშემო წარმოიქმნა დაჯგუფება, რომელიც მალე მომძლავრდა და დასაბამი დაუდო ისლამის ორ მთავარ დაპირისპირებულ მიმდინარეობად — სუნიზმად და შიიზმად დაყოფას, რამაც, თავის მხრივ, უდიდესი კვალი დააჩნია ისლამის მთელ ისტორიას.

ლიბანელ მუსლიმებს შიიტებთან და სუნიტებთან დოგმატიკის საკითხების ირგვლივ უთანხმოება არ მოსდის. ისინი ყურანს აღიარებენ როგორც ღვთიურ ზემთაგონებას და სავალდებულოდ თვლიან ყველა რელიგიური წესის დაცვას. ლიბანელ შიიტებს და სუნიტებს უთანხმოება აქვთ უმაღლესი ხელისუფლების განსაზღვრის საკითხში. მიუხედავად იმისა, რომ ხალიფატმა შეწყვიტა არსებობა 1924 წ. თურქეთში მისი გაუქმების შედეგად, სუნიტები ხალიფას მუსლიმთა სულიერ წინამძღოლად აღიარებენ. რაც შეეხება შიიტებს, ისინი

ნი ხალიფატის იმამატს უპირისპირებენ, ისინი ერწმუნებიან უკანასკნელ მე-12 იმამს (მუჰამედის ქალისვილს ფატიმასა და ხალიფას სიძის ალის შთამომავალს). ლიბანში შიიზმის ამ მიმართულების მიმდევრებს იმამიტებს უწოდებენ. შიიტების სექტანტების ისმაილიტების იდეოლოგებმა შექმნეს საკმაოდ რთული რელიგიური ფილოსოფიური სისტემა. ისინი დიდ გავლენას ახდენენ დაბალი სოციალური ფენის ხალხის მასებზე, აწყობენ მათ გამოსვლებს თავიანთი პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის.

დასავლეთ აზიის იმ რეგიონში, რომელიც მოიცავს ლიბანის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს, სამხრეთ სირიასა და ჩრდილოეთ პალესტინას (ისრაელის სახელმწიფოს ტერიტორია), სახლობს თავისებური რელიგიური თემი. ამ რელიგიური თემის წევრები თავიანთ თავს უწოდებენ „მუვაჰიდუნ“-ს, ე.ი. მონოთეისტებს, საერთოდ კი ისინი ფართოდ არიან ცნობილი „დრუზების“ სახელწოდებით (მეტრეველი, 1987, 5).

დრუზების თემი ითვლის დაახლოებით 610 000 კაცს, მათგან 200 000 ცხოვრობს სირიაში, 360 000 ლიბანში და 30 000 ისრაელში. დრუზებს მცირერიცხოვანი დასახლებები აქვთ მაროკოში, აშშ-ში, ლათინურ ამერიკასა და ზოგ სხვა ქვეყანაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა დრუზების ვინაობის შესწავლისათვის ჰქონდა ცნობილი არაბისტის სილვესტრ დე სასის ფუნდამენტალურ გამოკვლევას, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, რომ დრუზები წარმოშობით არაბები და რწმენით მუსლიმური სექტის წარმომადგენლები არიან.

თვით ლიბანისა და სირიის დრუზები თავის თავს თვლიან არაბებად. ამას მოწმობს დრუზი ისტორიკოსების, რელიგიური და პოლიტიკური მოღვაწეების მიერ გამოქვეყნებული მოსაზრებანი. ლიბანელი ისტორიკოსი და მთარგმნელი შეიხ ხაფეზ აბუ მუსლიმი თავის ნაშრომში ამტკიცებს, რომ „დრუზები სისხლით არიან ყველაზე წმინდა არაბები, იმის წყალო-

ბით, რომ ისინი არ აღრეულან სხვა ხალხებთან, ისინი ქეშმა-რიტი არაბები არიან, რომელთა წარმოშობაც მომდინარეობს არაბული ტომებიდან – ტაი, ლახამი, ჯაზამი, რომლებიც გამოსული არიან არაბეთის ნახევარკუნძულიდან (იემენიდან)“ (Беляев, 1957, 67).

## გამოყენებული ლიტერატურა

1. აზიისა და აფრიკის ქვეყნების ისტორიის აქტუალური პრობლემები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1991.
2. <http://palomnic.org/history/ort/konfes/3/>
3. ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი, თბ., 1999.
4. მ. მეტრეველი, დრუზების თემი, თბ., 1987.
5. Новейшая история стран Азии и Африки XX в., Под. ред. А. М. Родригеса, М., 2001
6. А.Е. Беляев, Муслиманское сектанство, М., 1957

## Наталия Лазба

### Особенности государственной системы Ливана

#### *Резюме*

Не смотря на сравнительно небольшую территорию, Ливан является местом, где на протяжении многих веков проживают представители различных религиозных конфессий. В современном Ливане основную массу населения составляют мусульмане (суниты, шииты и друзы). Христианское население представлено маронитской, греко-католической, армяно-католической и другими общинами. Отношения между представителями различных религиозных

конфессий не всегда были мирными (что было связано с внешними и внутренними факторами).

## **Lazba Natalia**

### **Confessional composition of the Lebanon**

#### *Summary*

Regardless to the small territory Lebanon is the place where representatives of various confession have been living together for many centuries. In the modern Lebanon main part of the population are muslims (Sunit, shia and druzi). Christian part of the population is presented with Maronitian, Greek-catholic, Armenian-catholic and other communities. Relations between the various confessions always have been peaceful (which was determined by internal and external factors).

*თამაზ ფუტკარაძე*

### **კავკასიის პოლიტიკური ერთეულების მრავალვექტორული პოლიტიკა და რეგიონალური თანამშრომლობის პერსპექტივები**

კავკასია ერთ-ერთი ცხელი წერტილია ევროაზიურ სივრცეში. იგი ტერიტორიით პატარაა, მაგრამ გამოირჩევა ეთნო-კონფესიური სიჭრელით და განსხვავებული გეოპოლიტიკური ორიენტირებით. ამიტომაცაა, რომ კავკასიას, ახლო აღმოსავლეთისა და ბალკანეთის გვერდით განიხილავენ კონფლიქტური სიტუაციებისა და კონფლიქტის რისკის მატარებელ რეგიონად, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვი-

დობასა და უსაფრთხოებას არა მარტო კავკასიაში, არამედ მთელ მსოფლიოში.

კავკასიაში დღეს რამდენიმე ღია თუ ფარული კონფლიქტის კერაა, საკუთრივ: დაღესტანი, ჩეჩნეთი, ინგუშეთი, ოსურ-ჩეჩნური წინააღმდეგობები, ყარაბახი, აფხაზეთი, ე.წ. სამხრეთ ოსეთი და ა.შ. რეგიონში წამოჭრილი წინააღმდეგობები დიდი ხანია გაცდა ლოკალურ ჩარჩოებს. გლობალური ხასიათი მიიღო ამ პრობლემებმა სამხრეთ კავკასიაში, სადაც ბოლო პერიოდში გაძლიერდა დასავლეთის ინტერესები. ტრანსკავკასიური ნავთობსადენი (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი), შაჰდენიზი (თბილისი-ერზრუმის გაზსადენი), ბაქო-სუფსის ნავთობსადენი, ახლახან აღორძინებული ნაბუქოს პროექტი, რომლითაც პერსპექტივაში უნდა მოხდეს ყაზახეთ-თურქმენეთისა და აზერბაიჯანის ნავთობის ტრანსპორტირება, ტრასეკა (აბრეშუმის გზა) – ევრაზიული სატრანსპორტო დერეფანი, გლობალური საკომუნიკაციო ბოჭკოვანი საკაბელო სისტემის გაყვანა უმოკლესი გზით და სხვა პერსპექტული პროექტები, ზრდის კავკასიის მნიშვნელობას მსოფლიოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ რუკაზე. სწორედ, ზესახელმწიფოების ინტერესების შეჯახებაც (სხვა ფაქტორებთან ერთად) განაპირობებს იმ მოვლენებს, რამაც გამოიწვია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ტერიტორიული მთლიანობის რღვევა და გარკვეულწილად შიგადაპირისპირებებიც.

კონფლიქტური სიტუაციის დარეგულირების პროცესს ართულებს ის გარემოებაც, რომ კავკასიის ყველა პოლიტიკურ ერთეულს, დამოუკიდებელ ქვეყნებსა თუ რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს აქვთ განსხვავებული გეოპოლიტიკური ორიენტირები.

ჯერ კიდევ XII საუკუნეში ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ერთ-ერთი იდეოლოგიური საფუძველი იყო კავკასიის ერთიანობის იდეა. ახალ დროში მას მხარს უჭერდა

ზვიად გამსახურდია, ჯოხარ დუდაევი, ედუარდ შევარდნაძე. რუსეთმა გაანალიზა საფრთხე და შეეცადა ამ იდეის საკუთარი რეცეპტით განხორციელებას. ამ მიზნით შემოაგდო „კავკასიის ხალხთა კონფედერაციის“ თემა, რაც გულისხმობდა ჩრდილო კავკასიისა და აფხაზეთის გაერთიანებას, რომლის დედაქალაქი უნდა ყოფილიყო სოხუმი. ეს იმპერიული ჩანაფიქრი საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდა კავკასიის მოსახლეობის დიდი ნაწილის ინტერესებს, ამიტომაც იგი ვერ განხორციელდა. ვერ განხორციელდა „კავკასიური სახლის“ იდეაც. არც ახლო მომავალში ჩანს აღნიშნული პროექტის რეალიზების პერსპექტივა. განსხვავებული ინტერესები არ იძლევა აღნიშნულ პრობლემებზე ერთიანი ხედვის ჩამოყალიბების შესაძლებლობას, მაგრამ მას გააჩნია რეზერვები და პოტენციალი. ხელსაყრელი პირობების არსებობის შემთხვევაში ამ პროექტმა შესაძლოა აქტიური როლი ითამაშოს კავკასიის რეგიონის პოლიტიკურ ცხოვრებაში (ხუციშვილი, 2002, 21).

სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ძირითადი ორიენტირი უნდა იყოს ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიული საზღვრების ურღვევობის გარანტიების შექმნა, მაგრამ ერთა თვითგამორკვევის პრინციპი არსებითად ეწინააღმდეგება ზემოთდასახელებულ დებულებებს. ჩეჩნებისა და ინგუშების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის რუსეთის მიერ განიხილება, როგორც საფრთხე ტერიტორიული მთლიანობის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა, მაშინ როცა აფხაზეთის ბრძოლას უკავშირებენ ერთა თვითგამორკვევის პრინციპებისადმი ერთგულებას. ე. ი. საერთაშორისო სამართალი ნერგავს ორმაგი სტანდარტის პოლიტიკას. ევროკავშირი სასტიკი და დაუნდობელია სეპარატისტებისა და ირედენტისტების მიმართ მაშინ, როცა იგი ეხება ევროატლანტიკურ ქვეყნებს და შემწყნარებელია, როცა ეს პრობლემა მისი სასიცოცხლო ინტერესების ზონის ფარგლებს გარეთაა.

ცალკეული განცხადებებისა და რეალური ნაბიჯების მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციები უუნარონი აღმოჩნდნენ ხელი შეეშალათ ახალი პოლიტიკური სუბიექტების გაჩენისათვის მსოფლიოს რუკაზე, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთს აქვს კავკასიის მიმართ სერიოზული გეოპოლიტიკური ინტერესები. ამ შემთხვევაშიც ვლინდება ორმაგი მიდგომები: ისინი არ ცნობენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, ამავე დროს ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ არ გააღიზიანონ ქვეყანა, რომელიც ცდილობს პოსტსაბჭოთა (და არა მარტო პოსტსაბჭოთა) სივრცეში თავისი ძველი გავლენების შენარჩუნებას, შიგა კონფლიქტების გაღვივებასა და სეპარატისტების წახალისებას. აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ-ოსეთში რუსების მიერ ჩატარებული „ეთნიკური წმენდის“ დასაბუთება დღემდე ვერ ხერხდება, რაც ასევე საერთაშორისო სტრუქტურების მოუქნელი პოლიტიკითაა განპირობებული.

კავკასიაში დომინირებს მრავალვექტორული პოლიტიკური ორიენტაცია. რუსეთის ფედერაციაში შემავალი ზოგიერთი რესპუბლიკა (ჩეჩნეთი, ინგუშეთი) იბრძვის დამოუკიდებლობისათვის. აზერბაიჯანსა და საქართველოში ამკარაა დასავლეთისაკენ სწრაფვა, სომხეთი კი რუსეთის საიმედო დასაყრდენია კავკასიაში. მსგავსი ვითარებაა კონფესიური თვალსაზრისითაც. აზერბაიჯანი – მუსულმანური თურქეთისაკენ იხრება, სომხეთი – ირანისა და რუსეთის იმედადაა და ცენტრალურ როლს თამაშობს სამთა კავშირის – რუსეთ-სომხეთ-ირანის ანტიატლანტიკურ, ანტიქართულ და ანტიაზერბაიჯანულ ვექტორში (ხუციშვილი, 2002, 19), ხოლო საქართველოს სურს გახდეს საერთო ევროპული ოჯახის წევრი. აქ მძლავრადაა წარმოდგენილი რელიგიურ-გეოპოლიტიკური რეფლექსია და ევრაზიასთან ალიანსის აუცილებლობის სურვილი (Дугин, 1999, 808).

თითქმის ყველა კავკასიურ პოლიტიკურ ერთეულში ძლიერია ანტირუსული განწყობა (სომხეთის გამოკლებით), თუმცა ერთიანი არც ანტირუსული ძალები არიან. მაგ. ჩეჩნეთში გამოიყოფა ანტირუსული ძალების ორი ჯგუფი: ა) პროამერიკული, რომლებიც თურქული და არაბული სამყაროს ვაჭაბისტური ძალებისაგან ფინანსდებიან და ბ) ადგილობრივი ნაციონალისტური ძალები.

ისლამის გავლენა დღითიდღე იზრდება კავკასიის რეგიონში, ამიტომ აღნიშნული პრობლემატიკა ისლამურ ექსპანსიასთან კონტექსტში უნდა იქნას განხილული. პოლიტიკური ბრძოლის პროცესში რელიგიის როლი არც თუ ისე უმნიშვნელოა, განსაკუთრებით ისლამური აღმსარებლობის ქვეყნებში. ასეა დაღესტანშიც, თუმცა გამოიკვეთა დაპირისპირება ვაჭაბისტებსა და ტარიკატული ისლამის მიმდევრებს შორის. ვაჭაბისტთა გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე, მათი რიცხოვრები სიმცირის მიუხედავად, ძალზე დიდია (Кисриев, 1999, 26-28). ისინი ახალგაზრდებს ამზადებენ ეგვიპტეში, სირიაში, მალაიზიაში, იორდანიაში და პაკისტანში (ხუციშვილი, 2002, 23), რომლებიც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ებმებიან პოლიტიკურ პროცესებში და გადამწყვეტ გავლენას ახდენენ მასზე.

ზემოთ დასახელებული და სხვა ფაქტორები ერთგვარად ართულებს საერთო ენის გამონახვას. განსხვავებული პოლიტიკური ორიენტირები უარყოფითად აისახება რეგიონალური თანამშრომლობის საკითხებზე. სამშვიდობო პროცესების მთავარი ფაქტორი კი არის პარტნიორებისათვის სასარგებლო, ურთიერთმისაღებ, საქმიან ურთიერთობებზე დაფუძნებული თანამშრომლობისათვის სათანადო პირობების შექმნა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული (განათლება, მეცნიერება, ხელოვნება) თანამშრომლობა (სადისკუსიო მასალები, 2003:148). ომის დროს დაზარალებული

რაიონების რეაბილიტაცია თავის დროზე იქცეოდა პოტენციურ მასტიმულირებელ სამშვიდობო ბერკეტად. საქართველო კი პირიქით, იყენებდა ეკონომიკური ზენოლის მექანიზმებს დსთ-ს მიერ აფხაზეთის წინააღმდეგ შემოღებული სანქციის სახით.

ეკონომიკური თანამშრომლობის სხვა ბერკეტად გვესახება კონფლიქტურ რეგიონებში თავისუფალი ეკონომიკური ზონების ჩამოყალიბება – შესაბამისი უსაფრთხოების გარანტიებით, როცა ტერიტორიის გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნებოდა როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ინვესტიციებისათვის. ასეთი ეკონომიკური ზონის ჩამოყალიბება შესაძლებელი იყო ერდნეთშიც, სადაც გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდათ დაპირისპირებულ მხარეთა წარმომადგენლებს. ერდნეთის მაგალითზე შესაძლებელი იყო მომავალი ფართომასშტაბიანი თანამშრომლობის რეგიონალური მოდელის შექმნა. რა თქმა უნდა ერდნეთში ადგილი ჰქონდა არალეგალურ თუ ნახევრადლეგალურ ბიზნესს, რაც ცივილიზებულ ეკონომიკურ ურთიერთობებს უქმნიდა გარკვეულ პრობლემებს, მაგრამ გარდამავალ პერიოდში მას კონფლიქტურ მხარეებს შორის მდგომარეობის განმუხტვის თვალსაზრისით შესაძლოა ეთამაშა დადებითი როლი. ბიზნესი არაა დაინტერესებული საომარი მოქმედების ესკალაციით და თავისებურ მასტაბილიზირებულ ფაქტორს წარმოადგენს მშვიდობის შენარჩუნებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

თავისუფალი ეკონომიკური ზონის ჩამოყალიბება შესაძლებელი იყო გალისა და ზუგდიდის რაიონების სასაზღვრო ტერიტორიებზეც. ამასთან, საჭირო იყო იმ რესურსების ეფექტური გამოყენება, რომლებიც დაკავშირებული იყო ენგურის ჰიდროკომპლექსის ერთობლივ ექსპლოატაციასთან.

ერთ-ერთი მთავარი რესურსი რეგიონალური თანამშრომლობის ეკონომიკური ასპექტებისა არის კონფლიქტური რეგიონების სასაზღვრო ზოლში პოპულარული ბიზნესის - სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობისათვის ხელშეწყობა და სათანადო პირობების შექმნა, თუმცა აღნიშნული ბერკეტების ეფექტურად გამოყენება შესაძლებელი იყო ურთიერთობის დარეგულირების და პოლიტიკური მექანიზმების შექმნის შემდეგ. ამიტომ უპირველესად საჭირო იყო შესაბამისი სამართლებრივი ნორმების ჩამოყალიბება, საერთო-კავკასიურ დონეზე რეგიონალური თანამშრომლობის გააქტიურება. ზოგიერთი ორმხრივ დონეზე გადაუჭრელი საკითხი შეიძლება მოგვარდეს კავკასიური ინტეგრაციის დონეზე. ეს იძლევა კავკასიაში ძალთა საერთო ბალანსის შექმნის შესაძლებლობას, რაც შესაძლოა გამოიხატოს ურთიერთმხარდაჭერაში გარემადესტაბილიზირებელი ძალების წინააღმდეგ. საგარეო ორიენტირების, უსაფრთხოებისა და ზოგიერთი სხვა საკითხის საერთოკავკასიურ ინსტიტუტებზე გადატანა, კავკასიის ხალხებს შორის სტაბილურობის კონცეფციის მიღება ხელს შეუწყობდა ხალხების დაახლოებას და მშვიდობის უზრუნველყოფას.

კავკასიური ინტეგრაცია ხელს შეუწყობს აგრეთვე ადამიანის უფლებათა ეფექტურ დაცვას, ეკონომიკურ და კულტურულ თანამშრომლობას, თუმცა იგი შესაძლოა არაღიარებული რეგიონების ლეგიტიმაციის თავისებურ ფორმადაც იქცეს. გასათვალისწინებელია ასევე განსხვავებული ეთნორელიგიური და გეოპოლიტიკური ორიენტირები.

თანამშრომლობის განვითარების მოდელი ჩვენის აზრით გულისხმობს შემდეგ ძირითად საკითხებს:

ა) რეგიონალური თანამშრომლობის სტრუქტურების ფორმირება;

ბ) მოლაპარაკებები;

გ) ერთობლივი ეკონომიკური, კულტურული და სხვა სახის პროექტების შემუშავება, თეორიული გააზრება, რეალიზება, რომელიც შესაძლოა განხილულ იქნას, როგორც პრაქტიკული პოლიტიკის წინა საფეხური;

დ) პრობლემების ერთობლივი ანალიზი;

ე) ურთიერთგაგება და გახშირებული კონტაქტები სხვადასხვა დონეზე. აღნიშნული მოდელი შესაძლოა გამოყენებულ იქნას როგორც კონფლიქტურ, ისე კონფლიქტის რისკის მატარებელ რეგიონებში. იგი წარმოადგენს შერიგების ერთ-ერთ რესურსს, რომელიც ამავე დროს თავის თავში აერთიანებს თანამშრომლობის პრიორიტეტების შემუშავებას, ხელისშემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორების გამოვლენას და მათი დაძლევის სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრას.

პოლიტიკა არის არა სურვილების რეალიზაციის, არამედ ინტერესთა თანხვედრის სფერო. ჩვენი ხსნა არ უნდა დაუკავშირდეს ვილაციისაგან დახმარების მოლოდინს. უპირობო ბუნებაში არაფერი არ არსებობს. მთავარი აქცენტი უნდა გადატანილი უნდა იქნას რეგიონალური თანამშრომლობის პერსპექტივებზე.

**Tamaz Phutkaradze**

## **Geopolitical orientations and prospects for regional collaboration in Caucasian**

*Summary*

Caucasus are one of the hottest spots in the economical space. Both are distinguished with the ethno confessional variety and with various geopolitical orientations. That is why Caucasus are considered to be the countries having high conflict risk which create danger for peace and security in the world.

In the regions to be researched there are several open or closed conflict zones. They have not only local character but global as well. It is supplemented by strategic interests of supreme states. The problem is complicated by the circumstance that political units of the mentioned regions have got different geopolitical guiders and international organizations very often carry double standard policy. While dealing with Euro Atlantic countries European Union is very severe and implacable towards separatists but it is too tolerant when this problem is out of limits of its interests.

In our point of view, in different geopolitical, ethnic and religious conditions the collaboration of the people of Caucasus implies the following issues:

- a). The formation of the regional collaboration structures.
- b). Negotiations.
- c). Working out and implementation of Joint economical and geopolitical projects.
- d). Joint analysis of the problems.

The abovementioned model can be used as in conflict regions and in the regions having conflict risk as well.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. სადისკუსიო მასალები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ, თბ. 2003;
2. ქ. ხუციშვილი, კავკასია გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, პანკისის კრიზისი, თბ., 2002;
3. ე. კისრიევი, ისლამი დაღესტანში პოლიტიკურ სცენაზე, ბიულეტენი - 3, ვლადიკავკაზი, 1999;
4. ა. დუგინი, გეოპოლიტიკის საფუძვლები (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1999.

## **ავსტრიელთა სადაზვერვო საქმიანობიდან ბათუმის ოლქში**

1913 წელს განსაკუთრებით გაძლიერდა დაძაბულობა ბათუმის ოლქში. ეს გამონვეული იყო პირველი მსოფლიო ომის დაწყების სამზადისით. ყველა მიმონერა ბათუმიდან თბილისში და პირიქით, შეეხებოდა თურქეთთან ურთიერთობას და თურქი ემისრების გააქტიურებული საქმიანობის დაუყოვნებელ აღკვეთას. ამ დროისათვის გააქტიურდნენ არა მარტო ბათუმის ოლქში მყოფი ან შემოსული თურქი ემისრები, არამედ ევროპის სხვა სახელმწიფოთა სადაზვერვო სამსახურის აგენტები, რომლებიც ბათუმში ცდილობდნენ ენარმოებინათ სამხედრო-სტრატეგიული ობიექტების ფოტოგადაღებები. ასეთი საქმიანობა შეიმჩნეოდა გერმანიის სხვა მოკავშირეთა მხრიდანაც.

1913 წლის 14 აგვისტოს რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროდან კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიას გაეგზავნა შემდეგი შინაარსის წერილი გრიფით „სრულიად საიდუმლოდ“: „ამ ბოლო დროს მომრავლდა გერმანიისა და მისი მოკავშირეების მხრიდან რუსეთის იმპერიის მთელს ტერიტორიაზე აგენტების დიდი რაოდენობით შემოგზავნა. ისინი (აგენტები-ო.გ.) ცდილობენ შეაღწიონ მნიშვნელოვანი ობიექტებზე და აწარმოონ ფოტოგადაღებები, რომელიც შემდეგ გამოიყენება ჩვენს წინააღმდეგ. კავკასიას ამ შემთხვევაში უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, რადგან აქ არის განლაგებული სამხედრო თვალსაზრისით განსაკუთრებული ობიექტები. თანაც ეს მხარე იმყოფება გერმანიის ერთ-ერთი მოკავშირის-თურქეთის მეზობლად. აქედან გამომდინარე, დაინტერესება ამ რეგიონისადმი დიდია.

გთხოვთ ყოველი ღონე იხმაროთ, რათა აღკვეთოთ ასეთი შემთხვევები” (აცსა, ფ.1, ა.1, ს. 186, ფ. 22). თავის მხრივ კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიიდან ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს აცნობეს: „თქვენს ოლქში არის ისეთი ობიექტები, რომლებსაც უდიდესი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება. ასევე თქვენი ოლქი ახლოს მდებარეობს თურქეთთან, ამიტომ მსურველები ფოტოგადაღებებისა ბევრი იქნება. ისიც არის თქვენთვის ცნობილი, რომ ასეთ ობიექტებს მიეკუთვნება მიხაილოვსკის რაიონის ციხე-სიმაგრე, აგრეთვე სამხედრო ბაზები ოლქის ტერიტორიაზე. ამ ობიექტების ფოტოგადაღება კატეგორიულად აკრძალულია. ასევე თვალყური ადევნეთ ყველა უცხოელს, რომელიც მოისურვებს ხიდების, რკინიგზების გადაღებებს. გააფართოვეთ ჩვენი აგენტების ქსელი. მასში ჩართეთ რაც შეიძლება მეტი ხალხი” (აცსა, ფ.1, ა.1, ს. 186, ფ. 100).

ფოტოგადაღებების შემთხვევები ბათუმის ოლქში მარტო 1913 წლის ზაფხულისა და განსაკუთრებით შემოდგომის პერიოდში დაფიქსირდა ოცჯერ (აცსა, ფ.1, ა.1, ს. 186, ფ. 109). ასეთ გადაღებებს კი აწარმოებდნენ როგორც თურქი, ასევე გერმანიის, ავსტრიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. ამ მხრივ საინტერესოა ავსტრიელი აგენტის მაშეკის საქმე, რომელიც ცხოვრობდა მიხაილოვსკის ციხე-სიმაგრის ტერიტორიის სიახლოვეს და აწარმოებდა საიდუმლო ჩანახატებსა და გადაღებებს. ბათუმის ოლქის ხელმძღვანელობისათვის ცნობილი გახდა, რომ ავსტრიამ რუსეთის იმპერიაში შემოგზავნა დიდი რაოდენობით აგენტები, რომლებიც საიდუმლო დავალებებს ლეზულობდნენ ქალაქ კიევიდან, ავსტრიის საკონსულოდან (აცსა, ფ.1, ა.1, ს. 186, ფ. 121). კონსული იყო რომან ფონ დინტერი. პეტერბურგში ავსტრიის მთავრობას ჰყავდა აგენტურა რუს ჩინოვნიკებსა და ოფიცრებს შორის, რომლებიც სისტემატიურად აცნობებდნენ ავსტრიელ აგენტებს მნიშვნელოვან ცნობებს. მათი თავშეყრის

ადგილი იყო არა ავსტრიის საელჩო, არამედ პეტერბურგში, სერგიევის ქუჩაზე მდებარე სახლი. ამ მხრივ უცნაურიც არის ცნობა იმის შესახებ, რომ ავსტრიელ აგენტთა ერთი ძლიერი ჯგუფი მოქმედებდა ქალაქ ბათუმში, რომლებსაც ბათუმის ოლქის ხელმძღვანელობაშიც კი ჰყავდა ხელშემწყობნი. ამ აგენტების მეთაური იყო ვინმე მაშეკი. ბათუმში ავსტრიელი აგენტების ხშირი სტუმრები იყვნენ თურქი ემისრები, რომლებიც ლებულობდნენ მათგან ინსტრუქციებს. მაგალითად, 1913 წლის 7-12 აგვისტოს ბათუმში მდგარი რუსული ჯარის გარნიზონში შემოვიდეს მძიმე ტექნიკა. ეს ხდებოდა განსაკუთრებით საიდუმლოდ. მიუხედავად ამისა, საიდუმლო გამჟღავნდა და თურქეთის არმიის მთავარსარდლისათვის ეს ფაქტი გახდა ცნობილი. თურქეთის მხარემ ისიც გაიგო, რომ რუსეთი აძლიერებდა თურქეთთან მიმდებარე საზღვარს და აგებდა თავდაცვით ნაგებობებს. ასევე თურქებს ხელთ ჩაუვარდათ რამდენიმე მნიშვნელოვანი ობიექტის ფოტოსურათი, სადაც ნაჩვენებია იყო ამ ობიექტების გარეგანი მხარე. ყველა ეს ცნობა მოპოვებული იქნა სწორედ ავსტრიელი აგენტების მიერ.

1913 წლის 17 სექტემბერს ბათუმში ჩამოვიდა ავსტრიის მოქალაქე ვინმე რიჰარდ ზეელერი. მასზე, როგორც უცხოელზე, დაანესეს თვალთვალი, მაგრამ თავდაპირველად ვერავითარი საეჭვო ვერ აღმოაჩინეს. ზეელერი ხშირად ხვდებოდა როგორც მაშეკს, ასევე თურქ ემისრებს. იგი იყო მიხაილოვსკის ციხე-სიმაგრის ხშირი სტუმარი და აწარმოებდა ფოტოგადაღებებს. ციხესიმაგრის კომენდანტს მასზე ეჭვი შეუტანია და დაუნესებია საიდუმლო მეთვალყურეობა. ბოლოს, 5 ოქტომბერს ზეელერი და მაშეკი შეუპყრიათ ციხესიმაგრის ტერიტორიაზე ზუსტად იმ დროს, როცა ისინი ფოტოგადაღებებს აწარმოებდნენ. მაგრამ საქმეებიდან ირკვევა, რომ მაშეკი ხელიდან დაუსხლტდა ჟანდარმერიას და მიიმალა (აცსა, ფ.1, ა.1, ს. 186, ფ.128-130).

ასეთია მოკლედ უცხოელთა ერთი სადაზვერვო ჯგუფის საქმიანობა ბათუმში პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინა წელს.

### **გამოყენებული წყარო**

1. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემოკლებით აცსა), ფ.1, აღწ.1, საქ. 186, ფურც.22; 100; 109; 121; 128-130.

### **Otar Gogolishvili**

#### **The Activity of the Secrete Services of Austria in the District of Batumi**

##### *Summary*

In connection with the preparations for the start of World War I from 1913 in Batumi region activated Turkish, Germans and its ally's agents. They were photographing military-strategic objects in Batumi. There was revealed Austrian spies Mashkes and Sealer's case, which were photographing and making secret sketches in Batumi.

## **თურქეთ - ევროკავშირის ურთიერთობების ისტორიიდან**

თურქეთის ურთიერთობა ევროკავშირთან ქვეყნის თანამედროვე საგარეო პოლიტიკის ყველაზე პრიორიტეტული, მწვავე და აქტუალური პრობლემაა. ანკარასთვის დღის წესრიგის ნომერ პირველი საკითხია უმოკლეს ნადებში ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრის სტატუსის მოპოვება. ეს ნაბიჯი გადანყვეტს თურქეთის ბევრ სერიოზულ პრობლემას. “ჩვენი მთავრობის უმთავრესი მიზანია თურქეთის სრულუფლებიანი წევრობა ევროკავშირში” — ნათქვამია თურქეთის 59-ე მთავრობის პროგრამაში (УМНОВ, 1997, 348). ქვეყანა ორმოც წელზე მეტია მიისწრაფის გახდეს ამ საინტეგრაციო ჯგუფის წევრი. ამ ხნის მანძილზე თურქეთი ცდილობდა დაემტკიცებინა დასავლეთისათვის, რომ მისი სტრატეგიული განვითარება და ორიენტაცია თავიდან ბოლომდე ორიენტირებულია ევროპაზე. ევროკავშირი არ ჩქარობს თურქეთის ამბიციების დაკმაყოფილებას, იგი უთუოდ დაინტერესებულია თურქეთთან თანამშრომლობით, პირველ რიგში — მისი გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე. 1945 წლიდან მოყოლებული თურქეთი დასავლეთის სტრატეგიული პარტნიორია, ასრულებს შემაკავებელი ფაქტორის როლს ცენტრალური აზიასა და მახლობელ აღმოსავლეთში. იგი წინ ელობება ფუნდამენტალისტურ ირანსა და დიქტატორულ ერაყს. ევროკავშირი თურქეთის მიღებით გავლენას გაიფართოებს ცენტრალური აზიის რეგიონზე, შეიძენს ენერგორესურსების ახალ წყაროებზე გასასვლელს. თურქეთის ჩაბმა ევროინტეგრაციის პროცესებში და ევროზე გადასვლა კიდევ უფრო მეტ სარგებელს

მოუტანოს ევროკავშირს, რომელიც უფრო თამამად შეძლებს ევროს დოლართან დაპირისპირებას. მიუხედავად ამ სარგებლისა თურქეთის საკითხი თითქმის ორმოცდაათი წელი გადაუწყვეტელია.

1950-იან წლებში ევროკავშირის დამაარსებლები ქმნიდნენ კავშირს, რომლის მიზანი იყო ევროპისთვის დამანგრეველი ნაციონალიზმის აღმოფხვრა, რომელიც ორი მსოფლიო ომის მიზეზი გახდა მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში. 1950 წლის 9 მაისს დაწყებული პროცესი 1951 წელს დასრულდა გაერთიანებული ევროპის კონცეფციის რეალიზაციით. თავდაპირველად კავშირში 6 ქვეყანა გაერთიანდა და მას გაერთიანებული ეკონომიკური კავშირი ეწოდა. უკვე 1959 წელს ა. მენდერსის მთავრობის დროს თურქეთმა გააკეთა პირველი განაცხადი ამ კავშირში ასოცირებულ წევრობაზე. მდგომარეობა 1960 წლის 27 მაისს შეიცვალა, სამხედრო გადატრიალების გზით მოსული ეროვნული ერთობის მთავრობის მმართველობისას ევროკავშირში შესვლის პროცესზე ფიქრი შეჩერდა.

მეორედ ევროკავშირს წევრად მიღების მოთხოვნით ინენიუს მთავრობამ 1961-1962 წლებში მიმართა. მოლაპარაკებების პროცესში მხარეებმა განიხილეს ასოციაციის ხელშეკრულების პირობები და ხელი მოაწერეს მას 1963 წელს ანკარაში (ძალაში შევიდა 1964 წლის დეკემბრიდან). “ანკარის ხელშეკრულება” გახდა თურქეთ-ევროპის თანამშრომლობის საბაზისო დოკუმენტი (Борейко, 2003, 362). ამ ხელშეკრულებით განისაზღვრა ასოციაციის მიზნები, მონაწილეთა შორის ურთიერთქმედების ფორმები და თურქეთის ევროეკონომიკურ თანამეგობრობაში ინტეგრაციის სამი ძირითადი ეტაპი.

პირველი ეტაპი ითვალისწინებდა სატარიფო შეღავათებს თურქეთის საექსპორტო სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე. ქვეყანას გამოეყო 175 მილიონი ევროპული ვა-

ლუტის სახით ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობისათვის. ეტაპის ხანგრძლივობა გათვლილი იყო 5 წელიწადზე, თუმცა გათვალისწინებული იყო მისი გაგრძელება 9 წლამდე. ხელშეკრულების ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენდა თურქეთისათვის ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრობის სტატუსის მინიჭება ყველა პირობის შესრულებისთანავე.

1970 წლის 23 ნოემბერს დამატებითი პროტოკოლის და ასოციაციის კონვენციის ხელმოწერის შემდეგ დაიწყო მეორე ეტაპი (მას გარდამავალ ეტაპსაც უწოდებენ) და იგი ძალაში 1973 წლის 1 იანვარს შევიდა. იგი ითვალისწინებდა გადასახადების და მოსაკრებლების შემცირებას, ევროკავშირის ტვირთებზე შეზღუდვის მოხსნას. ამის გარდა, 22 წლის მანძილზე, რომელზეც გათვლილი იყო მეორე ეტაპი, თურქეთს უნდა გარდაექმნა თავისი სოფლის მეურნეობა ევროეკონომიკური თანამეგობრობის ყაიდაზე და მიეღო საერთო ტარიფი. ევროკავშირს კი ეტაპობრივად უნდა მოეხსნა ტარიფები და შეზღუდვები თურქეთის სამრეწველო იმპორტზე. ხელშეკრულებაში ჩართული იყო პუნქტი სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილების შესახებ, თუმცა ეს პირობა არ შესრულდა. სამუშაო ძალის დეფიციტის გამო ევროპის ბევრ ქვეყანაში ომის შემდგომ პერიოდში თურქეთიდან ჩამოსული მუშების რიცხვი სწრაფად იზრდებოდა, რაც აიძულებდა ეროვნულ მთავრობებს დროთა განმავლობაში დაერეგულირებინათ ეს საკითხი (Савельева, 2003, 38).

მესამე, დამამთავრებელ ეტაპზე დაგეგმილი იყო საბაჟო კავშირის შექმნის დასრულება (თურქეთს მთლიანად უნდა მოეხდინა სამრეწველო საქონლის იმპორტის ლიბერალიზაცია 1995 წლის ბოლომდე), უნდა შემუშავებულიყო თურქეთის მუშახელის და კაპიტალის მიგრაციის რეგლამენტი. ივარაუდებოდა, რომ 1995 წლისათვის თურქეთი უკვე გახდებოდა ევროპული თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი.

„ანკარის ხელშეკრულების” ხელმოწერის დღიდან თურქეთისა და ევროეკონომიკური თანამეგობრობის (რომელიც ამ პერიოდში გარდაიქმნა ევროკავშირად) ურთიერთობები განიცდიდა ცვლილებებს: იყო გეგმების და პროგრამების წარმატებული პერიოდები და დიალოგის სრული შეწყვეტის პრეცედენტებიც. ამის მიზეზი იყო, როგორც ევროკავშირის ინტერესები, ასევე თურქეთის რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენები.

1959—1995 წლებში თურქეთის საზოგადოებაში მოხდა არაერთი პოლიტიკურ-ეკონომიკური სახის ცვლილება. 1960 წელს სამხედრო გადატრიალების შემდეგ, ქვეყანაში შეიქმნა სახელმწიფო ინსტიტუტებზე კონტროლის მრავალპარტიული სისტემა. ეკონომიკური თვალსაზრისით თურქეთი თანდათან იქცა ინდუსტრიალ—აგრარულ ქვეყნად. მომრავლდა სამრეწველო ობიექტების რიცხვი. თუმცა ეტატისტებისა და ლიბერალების პაექრობამ შეაფერხა ეკონომიკური გარდაქმნების ტემპი და საბოლოოდ ქვეყანა კრიზისამდე მიიყვანა. ასეთ პირობებში სამხედრო ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფო გადატრიალების შესახებ, რომელიც 1980 წლის სექტემბერში განხორციელდა კიდეც. 1982 წელს მიიღეს ახალი კონსტიტუცია, რომელიც პრინციპულად განსხვავდებოდა 1961 წლის კონსტიტუციისგან. 1983 წელს საპარლამენტო არჩევნების შედეგად თურქეთის დიდ ეროვნულ კრებაში ადგილთა უმრავლესობა მიიღო დედასამშობლოს პარტიამ, რომელსაც სათავეში თ. ოზალი ედგა. 1990 წელს კი იგი ქვეყნის პრეზიდენტადაც აირჩიეს. მან გამოაცხადა სანარმოო ბაზის რეორგანიზაციასა და მოდერნიზაციაზე და ღია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კურსი. ქვეყანამ დიდი ნახტომი გააკეთა სოფლის მეურნეობის სფეროშიც (Савельева, 2003, 40).

ევროკავშირში სრულუფლებიან წევრობაზე ახალი განაცხადი თურქეთმა 1987 წელს გააკეთა. ორი წლის შემდეგ

კომუნისტური რეჟიმების ნგრევის პერიოდში აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესების გამო, ევროკომისიამ უარი უთხრა ანკარას. საერთო ევროპულ პროცესში თურქეთის მონაწილეობის შესაძლებლობა გადაიდო განუსაზღვრელი ვადით, რაც მიანიშნებდა იმას, რომ ევროკავშირის დღის წესრიგში მთავარ ადგილს დაიკავებდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ბედის გადანყვეტა. აღმოსავლეთ ევროპის როლის ზრდამ ევროკავშირის თვალში ძალზედ არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააგდო თურქეთი ევროინტეგრაციის პროცესის თვალსაზრისით. თურქეთი აღიარებული “ევროპის ცენტრად” როდესაც საუბარი იყო საერთაშორისო უშიშროებაზე, გამოიდევნა კონტინენტის პერიფერიაზე. არ მიღების მიზეზების დასახელებისას კი ოფიციალურად მიუთითებდნენ ეკონომიკური განვითარების ნელ ტემპებზე, პოლიტიკური და სოციალური თავისუფლების ნაკლებობაზე, ეროვნული უმცირესობათა უფლებების შეზღუდვაზე, კვიპროსთან, ქურთებთან და სომხებთან ურთიერთობების მოუგვარებლობაზე. ამასთან ერთად თურქეთმა ვერ შეძლო ინტენსიურად მზარდი ინფლაციის შეჩერება. ათი წლის მანძილზე თურქული ლირა 40—ჯერ გაუფასურდა (Турецкая Республика, 1990, 63).

მიუხედავად ამ სირთულეებისა, 1990—იან წლებში მოხერხდა გარკვეული პროგრესის მიღწევა. ჯერ კიდევ 1970 წელს გათვალისწინებული სამეტაპიანი გარდაქმნის პროცესი 1995 წელს წარმატებით დასრულდა, თურქეთმა ყველა პირობა შეასრულა და შედეგად გაფორმდა “საბაჟო კავშირი” თურქეთსა და ევროკავშირს შორის. გათვალისწინებული იყო ყველა საბაჟო მოსაკრებლის გაუქმება და ბარიერების მოხსნა, ასევე თურქული კანონმდებლობის ევროპულთან მიახლოება სავაჭრო და ეკონომიკურ სფეროებში. თურქეთი ჯერ კიდევ ევროკავშირში შეუსვლელად გახდა მისი შემადგენელი საბაჟო კავშირის წევრი.

1996 წელს ევროკავშირსა და თურქეთის ურთიერთობებში უსიამოვნო ინციდენტი მოხდა. ერთი წლით ადრე ქვეყნის სათავეში მოსულმა რადიკალურმა ისლამურმა “კეთილდღეობის პარტიამ” ნ. ერბაქანით სათავეში, რადიკალურად შეცვალა ქვეყნის განვითარების კურსი და ორიენტაცია აღმოსავლეთისაკენ აიღო. “დიდი შვიდეულის” საპირისპიროდ თურქეთმა დაიწყო ისლამური “დიდი რვიანის” შექმნაზე ზრუნვა. 1996 წლის ნოემბერში სტამბოლში შეიკრიბნენ ისლამური ქვეყნების წარმომადგენლები “თანამშრომლობის და განვითარების” კონფერენციაში მონაწილეობისათვის. მიღებული იქნა გადაწყვეტილება ისლამური კავშირის შექმნის შესახებ — ევროკავშირის ანალოგიით, ერთიანი ვალუტით და სავაჭრო—ეკონომიკური პოლიტიკით. 1997 წელს პრემიერ-მინისტრმა ერბაქანიმ განახორციელა თავისი გეგმა ამ კავშირის გაფორმებით, რომელშიც შევიდნენ: ირანი, აკისტანი, ეგვიპტე, მალაიზია, ინდონეზია და იგერია. ევროკავშირმა ამ ნაბიჯს უპასუხა თურქეთის სრული გარიცხვით კანდიდატთა სიიდან. ისლამურმა კავშირმა ვერ გაამართლა მოლოდინი 1995—1997წწ-ში საერთო წლიურმა ინფლაციამ 80%—ს მიაღწია. სამხედროების ჩარევით ერბაქანის მთავრობა გადადგა და დატოვა ქვეყანაში უამრავი განუხორციელებელი პროექტი, მძიმე სოციალური და ფინანსური პრობლემები და ევროკავშირთან გაფუჭებული ურთიერთობები.

1997 წელს ხელისუფლებაში მოვიდა კოალიციური “დედასამშობლოს პარტია” მ. ილმაზით სათავეში. ამ წელს ევროკავშირმა კიდევ ერთხელ უარყო თურქეთის თხოვნა წევრობაზე. მიზეზად დასახელდა ადამიანის უფლებების უხეში დარღვევები, ეროვნული უმცირესობების ძალადობრივი ასიმილაცია და აგრესიული საგარეო-პოლიტიკური ვექტორი (ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის შექმნა). სამაგიეროდ ევროკავშირმა გამოაქვეყნა თავისი გეგმები პოლონეთის, ჩეხეთის, უნგრეთის, სლოვენის, ესტონეთის

და კვიპროსის ევროკავშირში განწევრიანებისთვის მოლაპარაკების დაწყებაზე. ამ სიაში თურქეთი ვერ მოხვდა. 1999 წელს თურქეთი კვლავ აღადგინეს კანდიდატთა სიაში ჰელსინკის სამიტზე. ბევრი პოლიტიკოსი ამ ნაბიჯს ისტორიულს უწოდებდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობებში.

მიუხედავად მძიმე სოციალ-ეკონომიკური პირობებისა, რომელიც ქვეყანაში 2000 ქელს მომხდარმა სავალუტო-ფინანსურმა კრიზისმა მოიტანა, თურქეთმა მაინც შეძლო სამართლებრივი საფუძვლის ჩაყრა ევროკავშირის კრიტერიუმებთან დასაახლოებლად. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 2002 წელს წინასწარი არჩევნების შედეგად მოსული რეჯებ ტაიპერდოგანის მთავრობის საქმიანობას. კონსერვატორულ-რელიგიური სამართლიანობის და განვითარების პარტიამ მთავარ ამოცანად გამოაცხადა თურქეთის ევროკავშირში შესვლა. ახალმა მთავრობამ მოამზადა კანონების 2 პაკეტი. პირველი ე.წ. „კოპენჰაგენის პაკეტი“ განიხილეს 3 დეკემბერს, მასში განხილული იყო რეფორმების პროცესის გამოცოცხლების გზები. მეორე პაკეტი განიხილეს 4 დეკემბერს და მასში გათვალისწინებული იყო სასამართლო რეფორმის ევროპულ ნორმებთან შესაბამისობასი მოყვანა. ყველა ეს ღონისძიება იყო დიდი სამზადისი კოპენჰაგენის 2002 წლის 12—13 დეკემბრის ევროპის საბჭოს შეხვედრისათვის, რომელზეც პასუხი გაეცემოდა თურქეთის მთავრობის ბევრ შეკითხვას. ანკარა იმედოვნებდა, რომ ეს სამიტი ევროკავშირში თურქეთის განწევრიანების ზუსტ თარიღს. ამასთანავე, ფორუმში გამოცდიდა ახალარჩეულ მთავრობას, რომელიც პროდასავლურად იყო განწყობილი, მაგრამ ისლამური ფესვებით და ტრადიციებით ჩამოყალიბებული. ამ ფორუმზე წარმატება პარტიას მოსახლეობაში ნდობის ფაქტორს აუმაღლებდა. ფორუმამდე ერდოგანი ვიზიტით გაემგზავრა იტალიასა და ავსტრიაში, ხოლო პრემიერ-მინისტრმა ა. გი-

ლიმ ჩაატარა კერძო შეხვედრები დანიის, ბრიტანეთის, საბერძნეთის, იტალიის, ნიდერლანდების წარმომადგენლებთან, ასევე საფრანგეთისა და გერმანიის ლიდერებთან. მაგრამ კოპენჰაგენის ფორუმზე ზუსტი თარიღის დასახელები-საგან ევროკავშირმა თავი შეიკავა.

2004 წლის 17 დეკემბერს ბრიუსელში ევრიკავშირის ქვეყნებმა მოისმინეს თურქეთის კომისიის საანგარიშო მოხსენება, რომელიც მოამზადა გაუნტერ ვერჰოიგენმა. მოხსენების განხილვის შედეგად საბოლოოდ მიიღეს გადაწყვეტილება მოლაპარაკებების დაწყების შესახებ და დანიშნეს თარიღი - 2005 წლის 3 ოქტომბერი (Гурьев).

დეკემბრის სამიტზე თურქეთის საკითხის განხილვისას ზოგიერთი ქვეყნის მთავრობამ წამოაყენა სრულუფლებიანი ნევრობის ალტერნატიული გზა: “პრივილეგირებული პარტნიორის” კონცეფცია. მაგრამ მოლაპარაკებების შედეგად ეს კონცეფცია უარყოფილ იქნა.

მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკებები დროულად დაიწყო, თურქეთის საბოლოო მიზნის მიღწევამდე გრძელი გზა აქვს გასავლელი. მას მოუწევს ეროვნული კანონმდებლობის ევროპულთან შესაბამისობაში მოყვანა. 3 ოქტომბერს დაწყებული მოლაპარაკებები ჩაშლის პირას იყო ჩარჩო—დოკუმენტის მეხუთე მუხლის გამო. ამ მუხლის მიხედვით თურქეთს ჩამოერთმეოდა ვეტოს უფლება, თუ კვიპროსი მოისურვებდა ნატოში შესვლას. მწვავე დებატების შედეგად ამ მუხლში შეიტანეს ცვლილებები, რითაც თურქეთმა შეინარჩუნა ეს უფლება. ამავდროულად თურქეთმა ვაშინგტონს მისცა ზეპირი გარანტიები, რომ არ შეუშლიდა ხელს კვიპროსის ნატოში შესვლის შემთხვევაში (Пугачин, 2002, 12).

თურქულ მხარის ევროკავშირის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებების შედეგად ჩამოყალიბდა სამუშაო გეგმა, რომელიც დაიყო 38 ეტაპად. თითოეული ეტაპი ეძღვნება ცალკე პრობლემას, როგორებიცაა: ტვირთების, კაპიტალის

და მუშახელის თავისუფალი გადაადგილება, სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, საგადასახადო პოლიტიკა, თევზჭერა, ტრანსპორტი, სოციალური პოლიტიკა, სიტყვის თავისუფლება, მასმედია, გარემოს დაცვა, საბაჟო კავშირი, ჯანდაცვა, თავდაცვა, ფინანსური კონტროლი და ა.შ. (Трифонов, 2005, 188).

ეს არასრული ჩამონათვალიც კი მეტყველებს იმ დიდ სიძნელეებზე, რომელთა გადალახვაც მოუწევს თურქეთს. წაყენებული პირობები მოითხოვენ კარდინალურ ცვლილებებს ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ სოციალურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. А.Ю.Умнов. Геополитический перекресток вчера и сегодня. Ближний Восток и современность. Вып.4, М.,1997.
2. А.Н.Борейко. Некоторые аспекты европейской интеграции Турецкой Республики. Востоковедный сборник. Выпуск пятый.М.,2003.
3. А.Н. Савельева. Об отнашении Турции и ЕС. Востоковедный сборник. Выпуск пятый. М., 2003.
4. А.Н. Савельева. Между Европой и Азией. Почему Турцию не принимают в Европу. Век новой экономики, Азия и Африка сегодня, №7, 2003.
5. Турецкая Республика (справочник). М.,1990.
6. А.А. Гурьев. Переговоры начались. Что дальше? Институт Ближнего Востока, [www. iimes.ru](http://www.iimes.ru)
7. М.П. Пугачин. Турция и США: Основные этапы торгова-экономическово сотруничества. М., 2002
8. Е. Трифонов. ЕС-Турция, Турецкий гамбит. Новое время, 9 октября 2005.

**Lamzira Khidesheli**

**From History of Turkey – EU Relations**

*Summary*

Relationship of Turkey with the EU is the most priority, urgent and actual problem of its modern foreign policy. It is more than forty countries that Turkey has been inclined to become a member of this integration group. During this period Turkey has been trying to prove to the West that its strategic development and orientation is completely emphasized on Europe. The EU does not haste in meeting the Turkish ambitions though it is undoubtedly interested in cooperation with Turkey because of its geopolitical location.

*გემალ კარალიძე*

**გეოპოლიტიკური პროცესები XVIII საუკუნის  
მეორე ნახევარში და საქართველო**

კავკასია თავისი მოხერხებული მდებარეობის გამო ყოველთვის იყო განსაკუთრებული გეოპოლიტიკური ინტერესების ობიექტი. ფაქტიურად არ დარჩენილა არც ერთი დიდი სახელმწიფო, რომელიც არ ცდილობდა კავკასიის დაქვემდებარებას. კავკასიაში გაბატონების საკითხში გადამწყვეტი როლი თავისი ცენტრალური მდებარეობის გამო საქართველოს ენიჭებოდა, რაც განსაზღვრავდა მისი დამორჩილებისათვის დამპყრობთა დაუინებულ სწრაფვას.

XVIII საუკუნე და განსაკუთრებით მისი მეორე ნახევარი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხანაა გეოპოლიტიკური ინ-

ტერესებისათვის ბრძოლაში. ამ პერიოდში ევროპის წამყვანი სახელმწიფოების გეოპოლიტიკაში დიდი მნიშვნელობა შეიძინა ახლო და შუა აღმოსავლეთში უპირატესი გავლენის მოპოვების საკითხმა. ამკარად მწვავედებოდა მეტოქეობა ინგლისს, საფრანგეთსა და რუსეთს შორის დასუსტებული ირანისა და ოსმალეთის სამფლობელოების ხელში ჩასაგდებად. ამ კონტექსტში არნახულად გამძაფრდა კავკასიასა და კერძოდ საქართველოზე ჰეგემონობისათვის ბრძოლა.

**XVIII** საუკუნე გადამწყვეტი პერიოდი საქართველოსა და საერთოდ კავკასიის ხალხთა ისტორიაში. ამიერიდან კავკასიაში გაბატონებისათვის ბრძოლაში ირანსა და ოსმალეთთან ერთად აქტიურად ებმება გაძლიერებული რუსეთის სახელმწიფო. **XVIII** საუკუნეში რუსეთმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია – საუკუნე დაიწყო პეტრე I მოღვაწეობით და დასრულდა ეკატერინე II მმართველობით. „ამ პერიოდში რუსეთის იმპერია გახდა უდიდესი ევრაზიული სახელმწიფო, ძლიერი არმიითა და ფლოტით” ( *Россия и Восток*, 2002, 336). გაძლიერებული რუსეთის ეკონომიკური და სტრატეგიული ინტერესები მოითხოვდა მისი პოზიციების განმტკიცებას შავი და კასპიის ზღვების აუზში. ამიტომაც იგი სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული საქართველოსთან ურთიერთობის განმტკიცება-გაღრმავებით. „რადგან საქართველო ამოდენა რეგიონში ერთადერთ ქრისტიანულ ქვეყანად რჩებოდა, რომელსაც სახელმწიფოებრიობა შენარჩუნებული ჰქონდა და, შესაბამისად, პოლიტიკურ დასაყრდენად გამოდგებოდა. საქართველოს რუსეთისათვის სტრატეგიული პლაცდარმის ფუნქცია უნდა შეესრულებინა წინა აზიაში პოლიტიკურ-ეკონომიკური გაბატონების დასახული ამოცანის განხორციელების პროცესში. სხვა რეალური მოკავშირე, რეალური დასაყრდენი მას ამ რეგიონში არ გააჩნდა. მართალია, სომხური ეკლესია და სომეხი ხალხი რუსეთში განმანათავისუფლებელ ძალას ხედავდნენ, მაგრამ თავისთავად

სომხეთი პოლიტიკურ ერთეულს არ წარმოადგენდა და მისი საკითხი მხოლოდ საქართველოსთან ერთად შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო” (სამსონაძე, 1988, 26-27).

რუსეთის გაძლიერების პარალელურად მისი ძირითადი მეტოქეები კავკასიაში – ირანი და ოსმალეთი – სუსტდებოდნენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო რუსეთის ძირითადი მეტოქის, შავიზღვისპირეთში პირველობისათვის ბრძოლაში, ოსმალეთის დასუსტება. „XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე ოსმალეთის იმპერია იმყოფებოდა უაღრესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისში” (სვანიძე, 2007, 260). ფაქტობრივად XVIII საუკუნის მანძილზე რუსეთი და ოსმალეთი ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით ვითარდებოდნენ. „რუსეთის სახელმწიფო მტკიცდებოდა და ფართოვდებოდა, ხოლო ოსმალეთის იმპერია სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით სუსტდებოდა” (Россия и Восток, 2002, 338).

XVIII საუკუნის შუა ხანებიდან აქტიურ პოლიტიკას ატარებენ ქართლისა და კახეთის მეფეები თეიმურაზ II და ერეკლე II, როგორც საშინაო, ისე საგარეო ასპარეზზე მოპოვებული წარმატებების მიუხედავად ისინი კარგად გრძნობდნენ, რომ მხოლოდ „საკუთარი ძალებით ქვეყნის მთლიანობის აღდგენა და გარეშე მტრებისაგან ქვეყნის დაცვა შეუძლებელი იყო, რომ ამ ბრძოლაში საჭირო იყო მოკავშირის, მფარველის ძიება” (სოხვაძე, 1996, 222). ამ როლისთვის ვერ გამოდგებოდა ირანი, რომელიც ჯერ კიდევ იურიდიულად ქართლ-კახეთის სიუზერენად ითვლებოდა. ქართველებისათვის ასევე მიუღებელი იყო პოტენციურ მოკავშირედ ოსმალეთის განხილვა. „მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ურთიერთობისა და დაპირისპირებულობის მაგალითზე ქართველებმა იცოდნენ, რომ თურქეთი, ირანთან შედარებით, გაცილებით უფრო მკაცრი და შემტევი აგრესორი იყო და მი-

სი დახმარებით ქართული ეროვნული საქმე ვერ გაიმარჯვებდა” (სამსონაძე, 1988, 20-21). ქართველები მოკავშირის პოვნას ევროპაშიც ცდილობდნენ, მაგრამ უშედეგოდ.

შექმნილ ვითარებაში ქართველმა პოლიტიკოსებმა გეზი კვლავ რუსეთზე აიღეს. „მფარველად, მიუხედავად ვერაგული პოლიტიკისა, ქართლ-კახეთის მეფეებს კვლავინდებურად რუსეთის მეფე ესახებოდათ” (სოხვაძე, 1996, 222). რუსეთზე ორიენტაციის საკითხში გადამწყვეტ როლს კვლავ ერთმორწმუნეობა ასრულებდა. რუსეთისადმი ქართველთა დამოკიდებულების თვალსაზრისით საინტერესოა ჯერ კიდევ 1723 წელს რუსეთის ელჩის ივანე ტოლსტოის თბილისიდან გაგზავნილი წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „საქართველოს მცხოვრებნი კეთილშობილური გრძნობებით არიან ჩვენდამი განწყობილი... ნატრულობენ ჩვენს აქ დამკვიდრებას”, (Соловьев, 1867, 77). სამწუხაროდ, ქართველთა ასეთი გულწრფელი დამოკიდებულება რუსეთმა ბოროტად გამოიყენა. მაგრამ იმ ეტაპზე რუსეთის ინტერესები და მიზნები კავკასიასა და საქართველოში ძირითადად ემთხვეოდა ქართული პროგრესული ძალების ინტერესებს. სწორედ ამ ინტერესებზე გათვლით მოახერხა რუსეთის ხელისუფლებამ XVIII ს. 60-იან წლებში ქართველთა ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმა, მაგრამ საქართველოს ინტერესების დაცვისათვის თავი არც კი შეუწუხებია. ქუჩუკ-კაინარჯის საზავო პირობები შეესაბამებოდა რუსეთის წარმატებებს: ყირიმის სახანო გახდა დამოუკიდებელი, რუსეთს გადაეცა შავი ზღვის სანაპიროს მნიშვნელოვანი ნაწილი, რუსეთის ფლოტს უფლება ეძლეოდა ესარგებლა სრუტეებით, კონტრიბუციის სახით შნლის მანძილზე რუსეთს უნდა მიეღო 7,5 მლნ ყურუში, ე.ი. 4,5 მლმ მანეთი. ოსმალეთი ვალდებულებას ღებულობდა, რომ არ შეავიწროვებდა ქრისტიან მოსახლეობას (სვანიძე, 2007, 252). სხვა მხრივ, ქართველთა მონაწილეობა ამ ომში არ დაფასებულა.

XVIII საუკუნის 80-იან წლებში კიდევ უფრო გამწვავდა წინააღმდეგობები რუსეთს, ოსმალეთსა და ირანს შორის ახლო აღმოსავლეთში გაბატონებისათვის. თურქეთის თანდათანობითი დასუსტება, არასტაბილურობა ირანში და რუსეთის მზარდი ძლიერება „გარდაუვალს ხდიდა „ძველის“ დარღვევას და „ახალი“ ბალანსის ჩამოყალიბებას კავკასიაში“ (Дегоев, 2001, 40). ისახავდა რა მიზნად საქართველოზე დაყრდნობით ამიერკავკასიაში პოზიციების განმტკიცებას, რუსულმა დიპლომატიამ მოახერხა ერეკლე II დარწმუნება, რასაც 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმება მოჰყვა. ეს ფაქტი საგანგაშოდ მიიჩნიეს ირანსა და ოსმალეთში, რაც სავსებით ლოგიკური იყო. რუსეთი, რომელმაც ყირიმი და ჩრდილოეთ კავკასია შეიერთა „საქართველოს დაპატრონებით მთელ ამიერკავკასიასაც ჩაიგდებდა ხელში... ეს კი იმას ნიშნავდა, რომ რუსეთი მთელ კავკასიაში გაბატონდებოდა, ხოლო თუ იგი შეჩერებული არ იქნებოდა, შეიძლება სულაც ირანს დაპატრონებოდა (ბოცვაძე, 1990, 244). რუსეთი გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებას სერიოზულ გამარჯვებად მიიჩნევდა, რასაც ადასტურებს ეკატერინე მეორეს წერილი პავლე პრიტიომკინისადმი, სადაც ვკითხულობთ: „ქართულ საქმეებისათვის კიდევ ერთხელ გმადლობთ, შენ ჩემი ნამდვილი გულითადი მეგობარი ხარ (ამოდენა საქმეები ასე მოკლე ხანში?), ევროპის შურიანობას დამშვიდებით შევცქერით, რაც უნდა ის იყებდონ, ჩვენ კი ჩვენს საქმეებს ბრწყინვალედ ვაკეთებთ (Дубровин, 1871, 11). ტრაქტატის გაფორმებას საქართველოსათვის განსაკუთრებული შედეგი არ მოჰყოლია, პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობების თვალსაზრისით იგი საბედისწერო აღმოჩნდა. სამართლიანად მიუთითებდა ივანე ჯავახიშვილი: „1783 წლის ხელშეკრულებას საქართველოსათვის სარგებლობა არ მოუტანია, ზიანი კი

აუარებელი. პოლიტიკური მდგომარეობა გაუმჯობესების მაგიერ საშინლად გაუარესდა” (ჯავახიშვილი, 1919, 32).

ტრაქტატის შემდგომ წლებში ქართლ-კახეთის მდგომარეობის გაუარესება აშკარა იყო. ერეკლე II მოწინააღმდეგეთა აზრით ყოველგვარი უბედურების წყარო აღნიშნული ტრაქტატი და რუსეთის ჯარის საქართველოში ყოფნა იყო (ქიქოძე, 1942 126). ეს ჯგუფი საგარეო პოლიტიკაში საერთოდ და კერძოდ რუსეთთან დამოკიდებულებაში მეტი სიფრთხილის გამოჩენას მოითხოვდა. მათი აზრით „უცხო სახელმწიფოებთან კავშირის გაბმა ან განწყვეტა ყოველთვის კონკრეტული საგარეო პოლიტიკური სიტუაციის შესაბამისად უნდა მომხდარიყო” (სინ, 1973, 706).

რუსეთის მხრიდან გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების წინასწარგამიზნულმა შეუსრულებლობამ ქართველ პოლიტიკოსთა წინაშე საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის გადასინჯვის საკითხი დასვა (სინ, 1973, 703). ანალოგიურ რჩევას აძლევდა ერეკლე II ქართლ-კახეთის ელჩი რუსეთში გარსევან ჭავჭავაძე: „თუ რუსები ტრაქტატის პირობებისამებრ ჯარს არ გაგზავნიდნენ საქართველოში, მაშინ სხვაგან ვეძიოთ დახმარება” (ცქიტიშვილი, 1982, 95).

რუსეთის წარმატებები კავკასიაში ფაქტიურად ევროპის წამყვანი სახელმწიფოების პასიურობის შედეგიც იყო. „დასავლეთის სახელმწიფოებში XVIII საუკუნის 80-იან წლებშიც სათანადოდ ვერ აფასებდნენ რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკის მოსალოდნელ შედეგებს. ამაზე მეტყველებს რუსეთის მიერ ყირიმის უმტკივნეულოდ მიერთება და გეორგიევსკის ტრაქტატის დადებაც” (ჩხეიძე, 2002, 233). რუსეთი დიპლომატიითა თუ იარაღის ძალით მიზანმიმართულად განამტკიცებდა თავის პოზიციებს. „1768-1774 და 1787-1791 წლების ომებმა ძირფესვიანად შეცვალეს რუსეთისა და ოსმალეთის ძალთა შეფარდება შავ ზღვაზე და კავკასიაში” (მენტეშვილი, 2000, 535). იასის საზავო ხელშეკრულებით რუსეთ-

მა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში დაიმტკიცა ვრცელი ტერიტორიები მდ. დნესტრიდან ყუბანამდე. მალე რუსეთის ჯარებმა ავსტრიელებთან ერთად სასტიკად ჩაახშვეს თადეუმ კოსტიუშკოს აჯანყება პოლონეთში. ამის შემდეგ ეკატერინე II ხელისუფლებამ მთელი ყურადღება საფრანგეთის რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაზე გადაიტანა.

საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია იყო XVIII საუკუნის დამლევის უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომელიც მრავალი წლის მანძილზე განმსაზღვრელ გავლენას ახდენდა საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაზე, როგორც ევროპაში ისე მთელ მსოფლიოში. „ევროპის სახელმწიფოები საკუთარი საგარეო-პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად ერთმანეთთან გამუდმებულ ბრძოლებს აწარმოებდნენ, მაგრამ საფრანგეთის მოვლენებმა აიძულეს ისინი დაევიწყებინათ არსებული წინააღმდეგობანი” (Протопопов, 2003, 57).

სამწუხაროდ, საქართველოს პოლიტიკური წრეები ერეკლე მეორეს მეთაურობით ვერ აფასებდნენ შექმნილ საერთაშორისო ვითარებას და კვლავ რუსეთის იმედად რჩებოდნენ, რაც 1795 წლის სექტემბერში კრწანისის კატასტროფით დამთავრდა. მაგრამ ვერც საფრანგეთის დიპლომატიის იმედები გამართლდა, რომელიც იმედოვნებდა, „რომ რუსეთი ღრმად ჩაეფლობოდა აღმოსავლეთის საქმეებში... ამაზე მეტყველებდა იმ დროს რუსეთის სამეფო კარის გულცივი დამოკიდებულება საქართველოსადმი და აღმოსავლეთში გართულებებზე თავის შეკავება” (ჩხეიძე, 2002, 243). საფრანგეთის დიპლომატია დიდ მნიშვნელობას აძლევდა რუსეთისათვის ამიერკავკასიაში ბარიერების შექმნას. 1796-1797 წლებში იტალიასა და განსაკუთრებით ნაპოლეონის ეგვიპტეში ლაშქრობით საფრანგეთმა მიზნად დაისახა ხმელთაშუა ზღვიდან ინდოეთამდე სივრცეში უპირატესი გავლენის მოპოვება, რაც თავისთავად გულისხმობდა ოსმალეთზე ძველი გავლე-

ნის აღდგენას. რუსეთის გავლენა კავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში მიუღებელი იყო მისთვის, რადგან საქართველოს ირანისა და ოსმალეთის ნაწილად განიხილავდა და მას სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდა აღმოსავლეთში ძირითადი მეტოქის, ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საფრანგეთის წარმატებები საფრთხეს უქმნიდა ინგლისის გავლენას. ამიტომ ბრიტანულმა დიპლომატიამ ყველაფერი იღონა მეორე ანტიფრანგული კოალიციის შესაქმნელად. მასში გაერთიანდნენ ინგლისი, რუსეთი, ავსტრია, თურქეთი და ნეაპოლიტანის სამეფო. „1798წელს საფრანგეთის გავლენის დამყარება პოლანდიასა და შვეიცარიაში, ბონაპარტეს მიერ მალტის დაპყრობა და ლაშქრობა ეგვიპტეში გახდა საფრანგეთის წინააღმდეგ მეორე კოალიციის ჩამოყალიბების მიზეზი“ (История дипломатии, 2005, 399).

საყურადღებოა, რომ საფრანგეთის საფრთხემ გააერთიანა ისეთი დაუძინებელი მეტოქეები, როგორებიც იყვნენ რუსეთი და ოსმალეთი. ნაპოლეონის პოლიტიკით უკმაყოფილო სულთანმა 1798წლის სექტემბერში ომი გამოუცხადა საფრანგეთს, მანამდე კი – 1798 წლის ივლისში ბრწყინვალე პორტას თხოვნით რუსეთის სამხედრო ესკადრა თ.უშაკოვის სარდლობით ხმელთაშუა ზღვაში შევიდა. 1799 წლის 3 იანვარს გაფორმდა რუსეთ-თურქეთის სამოკავშირეო შეთანხმება (Петросян, 2003, 264). ამ შეთანხმებით რუსეთის სამხედრო ფლოტისათვის ღია ხდებოდა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები, ხოლო შავი ზღვა რუსეთ-ოსმალეთის დახურულ ზონად ცხადდებოდა (История внешней политики России, 2000, 143). ამრიგად, „ევროპა არაჩვეულებრივი მოვლენის მომსწრე გახდა – გაფორმდა თურქეთისა და რუსეთის კავშირი საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ“ (История дипломатии, 1959, 359). 1798 წლის შემოდგომასა და 1799წლის გაზაფხულზე რუსეთისა და ოსმალეთის გაერ-

თიანებულმა ესკადრამ თ.უშაკოვის მეთაურობით ფრანგებისაგან გაათავისუფლეს იონიის კუნძულები (История России , 1998, 329).

საერთაშორისო ურთიერთობების ასეთი გამწვავების პირობებში რთული რჩებოდა ვითარება საქართველოში. 1798 წელს ერეკლე II გარდაცვალების შემდეგ ტახტზე მისი ვაჟი გიორგი XII ავიდა, რომელსაც საკუთარი ძმებიც კი არ უჭერდნენ მხარს. დაიწყო დაპირისპირება ბატონიშვილთა დაჯგუფებებს შორის. ასეთი დაძაბული საშინაო და საგარეო მდგომარეობით შეწუხებული გიორგი XII რუსეთში ახალ „სათხოვარ პუნქტებს“ აგზავნის და ჯარსა და ფულად დახმარებას ითხოვს. 1800 წლის 28 დეკემბერს ავადმყოფი გიორგი XII გარდაიცვალა. რუსეთმა ოსტატურად გამოიყენა შექმნილი ვითარება და 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა და იგი რუსეთის გუბერნიად გამოაცხადა. „აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო დაეცა არა მარტო, როგორც ქვეყნის შინაური კრიზისის მსხვერპლი, არამედ რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკის წყალობითაც, რომელიც ძველთაგანვე მისწრაფოდა ამიერკავკასიისა და მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ხელში ჩაგდებას“ (ცქიტიშვილი, 1982, 40).

ამრიგად, საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში კიდევ უფრო გამწვავდა ბრძოლა კავკასიაზე გავლენისათვის, რომელშიც აქტიურად ჩაება გაძლიერებული რუსეთის სახელმწიფოც. მან მოხერხებულად გამოიყენა ევროპაში საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ შექმნილი ვითარება თავისი გეოპოლიტიკური მიზნის, ამიერკავკასიაში დამკვიდრებისათვის მისაღწევად და XIX საუკუნის დამდეგს გადამწყვეტი წარმატება მოიპოვა — ქართლი-კახეთის სამეფოს ანექსია მოახდინა.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. მენტეშაშვილი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორია, წიგნი I, თბილისი 2000;
2. მ. სამსონაძე, საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნეში, თბილისი 1988;
3. მ. სვანიძე, თურქეთის ისტორია (1299-2000), თბილისი 2007;
4. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი 1973;
5. ბ. სოხვაძე, რუსეთი XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნეში, თბილისი 1996;
6. გ. ქიქოძე, ერეკლე II, თბილისი 1942;
7. ა. ჩხეიძე, საქართველო რუსეთის, საფრანგეთისა და ინგლისის აღმოსავლურ პოლიტიკაში XVIII საუკუნის დასასრულს, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 9, თბილისი 2002;
8. ზ. ცეციტიშვილი, გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, თბილისი 1982;
9. ი. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, თბილისი 1919;
10. В. Дегоев, Большая игра на Кавказе (история и современность), Москва 2001;
11. История дипломатии, Москва 2005;
12. История России 1682-1861, Москва 1998;
13. С. Соловьев, История России, т. 6, Москва 1867;
14. Россия и Восток, Санкт-Петербург 2002;
15. А.С. Протопопов, В.М. Козьменко, Н.С. Елманова, История международных отношений и внешней политики России (1648-2000), Москва 2003.

16. Дубровиы, История войны и владычество русских на Кавказе, т. II, СПб, 1871.

**Jemal karalidze**

**Geo-political Processes in the second half of XVIII  
century end Georgia**

*Summary*

Prsented work is dedicated to depicting the second half of XVIII century, being a greatly important period in the History of Georgia. During this period foreing and domestic problems led to eradication of the Kingdom of Kartli and Kakheti and domination of the Russia.

In this context, the work discusses activation of Russian in parallel to traditional rival at the Caucasian area – Iran Ottoman Empire, as well as political processes in Europe and their influence on Caucasus, the attempts taken by Georgian political forces to overcome the crisis and their results.

*დავით ეცადეიშვილი*

**ეროვნული მოძრაობა საქართველოში XX  
საუკუნის 60-70-იან წლებში**

60-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირში განმტკიცდა ნ. ხრუშჩოვის ერთპიროვნული ძალაუფლება. ხრუშჩოვის მომხრეებმა სკკპ XXII ყრილობას (1961 წლის ოქტომბერი) მიაღებინეს კომუნისტური პარტიის ახალი, უტოპიური მესამე პროგრამა. იგი 1980 წლისათვის საბჭოთა ქვეყანაში კომუნისტური სისტემის გამარჯვებას ითვალისწინებდა (ნათმეღაძე, დაუშვილი, 2004, 294).

მსოფლიოში კოლონიური სისტემის ინტენსიური რღვევა მიმდინარეობდა. ქართული ეროვნული ძალები ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების ძიებაში იყვნენ. ასეთ ვითარებაში კი პარტიის XXII ყრილობის მიერ მიღებული პროგრამა 1980 წლისათვის ერების გაქრობას და ერთიანი საბჭოთა ერის ჩამოყალიბებას გეგმავდა (სამსონაძე, 2001, 16).

თავიდან ბოლომდე ეკონომიკურად მცდარი და სოციალურად ილუზორული დოკუმენტი ვარაუდობდა სულ რაღაც ოც წელიწადში ქვეყანაში ისეთ ფანტასტიკურ ეკონომიკურ აღმავლობას, რის საფუძველზედაც განხორციელდებოდა კომუნისტური პრინციპი „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოელს — მოთხოვნილების მიხედვით!“ (ნათმე-ლაძე, დაუშვილი 2004, 295).

ერთის მხრივ დემოკრატიის სუსტი ნიავის, მეორეს მხრივ კი ცენტრის მიერ იმპერიაში წაქეზებული აშკარა ანტიქართული, შოვინისტური განწყობილების ფონზე, ქართული ეროვნული სულისკვეთება კიდევ უფრო მძაფრდებოდა. ეროვნულ თავისუფლებაზე ფიქრმა, მისი მიღწევის გზების ძიებამ ერის უკეთესი ნაწილის გონება მოიცვა. მოაზროვნე ქართველთა ცნობიერებაში ეროვნულმა პრობლემამ ყველა სხვა გადაფარა.

საქართველოში ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპი იწყებოდა (სამსონაძე, 2001, 16).

1961 წლის თებერვალში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-40 წლის-თავთან დაკავშირებულ საზეიმო დღესასწაულზე დაგეგმილი იყო ნ. ხრუშჩოვის სტუმრობა საქართველოში. ანტისაბჭოურად განწყობილ პირებს, შინაგანი და საგარეო პოლიტიკის შეცვლის მიზნით, გადანყვეტილი ჰქონდათ საბჭოთა მეთაურის ლიკვიდაცია. ამ მიზნით შეიქმნა ტერორისტული დაჯგუფება. დაჯგუფების დაარსების ინიციატორი იყო შ. მექვაბიშვილი, რომელიც 1960 წლის ივნისში მიზანმიმართუ-

ლად დაუკავშირდა ციხეში გაცნობილ ა. მელაძეს და გააცნო თავისი ჩანაფიქრი. საბჭოთა ხელისუფლების სიძულვილით განმსჭვალულ ა. მელაძეს შ. მექვაბიშვილის იდეა ჭკუაში დაუჯდა. მოილაპარაკეს, გაეზარდათ თანამზრახველთა რაოდენობა. თითოეულს 2-3 სანდო პირი მაინც უნდა მოეძებნა. მიზნის მისაღწევად შეარჩიეს ფეთქებადი საშუალება - ბომბი.

ა. მელაძე დაუკავშირდა თავის მეგობარს ა. ბათოშვილს. ისინი შრომა-გასწორების კოლონიაში ერთად იხდიდნენ სასჯელს. მან დაიყოლია ის ბოროტმოქმედებაში მონაწილეობაზე. შ. მექვაბიშვილმა ტერაქტის მოწყობის შესახებ განზრახვა გააცნო თავის შორეულ ნათესავს ა. მდინარაძეს, რომელსაც დაევალა ბომბის კორპუსის დამზადება. მათი გეგმის მიხედვით თავდასხმა განხორციელდებოდა ნ. ხრუშჩოვის ქუჩაში მოძრაობის დროს. შეთქმულებმა იმსჯელეს ტერორისტული აქტის ჩადენის შემდეგ მიმალვისა და მომხდარის შესახებ ეთერში გადაცემის საკითხებზე. თითქოს ყველაფერი ანონ-დანონეს და დეტალებში გათვალეს, მაგრამ მათი ქმედება, ფაქტობრივად, საუბარს ვერ გასცდა. ჩანაფიქრის პრაქტიკულად განხორციელება მათ ვერ შეძლეს.

КГБ-ს თანამშრომლებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მათი საეჭვო შეხვედრები და შედეგმაც არ დააყოვნა: 1960 წლის 14 დეკემბერს დაპატიმრებულ იქნა სამი ეჭვმიტანილი: შოთა (ოთარ) ბიქტორის ძე მექვაბიშვილი, ალბერტ (ალეკო) შალვას ძე მელაძე და აბრამ (აბერკი) შაბათის ძე ბათოშვილი. ხოლო, 1961 წლის თებერვალში მათი კიდევ ერთი თანამოაზრე აკაკი პლატონის ძე მდინარაძე. გასამართლების შედეგად შ. მექვაბიშვილს დახვრეტა მიესაჯა, ა. მელაძეს - 15 წელი, ა. ბათოშვილს - 10 წელი, ა. მდინარაძეს - 10 წელი.

მოგვიანებით, მსჯავრდებულთა და მათი დამცველების თხოვნა-საჩივრებისა და პროტესტების შემდეგ, ბრალდებულებს სასჯელის ზომა შეუმცირდათ და ბოლოს გათავისუფ-

ლდნენ კიდეც ბრალეულობის გადაკვალიფიცირების გამო. რადგანაც, ფაქტობრივად, შ. მექვაბიშვილის ჯგუფის წევრებს ტერორისტული აქტის ჩასადენად არავითარი დანაშაულებრივი ქმედება არ ჩაუდენიათ და არც იარაღი ან სხვა ფეთქებადი საშუალებები ჰქონდათ შეძენილი. ისინი მხოლოდ მსჯელობდნენ, თუ როგორ შეძლებდნენ ტერორისტული აქტის ჩადენას. (<http://archive.security.gov.ge/xrushov.html>)

60-იანი წლებიდან ქართველ ინტელიგენციაში სათავე დაედო ეროვნული პრობლემატიკისადმი შემოქმედებითი ინტელიგენციის ყურადღების გამახვილებას. მეტი გაბედულობით გაისმა სისტემის კრიტიკა, წინა პლანზე წამოინია ჰუმანიზმი, ზოგადკაცობრიული ღირებულებანი. ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში ახალი ეტაპის მეკვლედ გამოვიდა სტუდენტი ახალგაზრდობა, რომლის მოთავე და წინამძღოლნი იყვნენ მ. კოსტავა და ზ. გამსახურდია. მათი თაოსნობით შეიქმნა თვითგამოცემანი. მათს არალეგალურ ჟურნალებში („ოქროს სანმისი“. „საქართველოს მოამბე“, „საქართველო“, „მატიანე“) წარმოდგენილი იყო ეროვნული სუვერენიტეტის იდეალები, დაგმობილი იყო კომუნისტური იდეოლოგია, მისი ფუნქციონერები. ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა ცხადდებოდა ერის მოძღვარ ილია ჭავჭავაძის მიერ XIX ს. 60-იან წლებში წამოწყებული მოძრაობის უშუალო გაგრძელებად. რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობა, მისი უშიშროების ორგანოები დაუნდობლად ებრძოდნენ ამ ახალგაზრდებს. განსაკუთრებით მწვავე რეპრესიები იწვნის მ. კოსტავამ და ზ. გამსახურდიამ, რომლებიც 70-იან წლებში არაერთხელ იყვნენ დაპატიმრებულნი და სასჯელს იხდიდნენ შორეულ საპატიმროებსა და გადასახლებაში (სურგულაძე, სურგულაძე, 1990, 301-302).

60—იანი წლების დასაწყისში აშკარა გახდა, რომ ნ. ბრუმიშვილის ინიციატივით 50—იანი წლების მეორე ნახევარში

განხორციელებული რეორგანიზაციები არაეფექტური იყო. (ნათმელაძე, დაუშვილი, 2004, 295).

ეკონომიკური რეფორმების ჩაშლამ და საგარეო ურთიერთობაში წარუმატებლობამ, საბოლოოდ შეარყია ხრუშჩოვის პოზიციები. 1964 წლის 14 ოქტომბერს, ფორმალურად საკუთარი თხოვნით, იგი თანამდებობიდან გადააყენეს. მისი ადგილი ლ. ბრეჟნევმა დაიკავა. „დათბობის“ პერიოდი „უძრავობის“ პერიოდით შეიცვალა. ახალმა ხელმძღვანელობამ თანდათან გააუქმა ნ. ხრუშჩოვის წამოწყებები და სიახლეები და ყველაფერი ძველ კალაპოტში ჩადგა. მაგრამ შეუძლებელი შეიქმნა კომუნიზმის ნათელი მომავლის რწმენისა და ქვეყანაში გლობალური შიშის სინდრომის დაბრუნება. ახალმა ვითარებამ და ასპარეზზე ახალი თაობის გამოსვლამ კომუნისტური ფასეულობებისადმი მასობრივი ნიჰილიზმი განაპირობა. სისტემის კრიზისის მაჩვენებელი კომუნისტური პარტიის ავტორიტეტის აშკარა დაცემა იყო, რამაც ხელისუფლება აიძულა მისი მმართველი პრეროგატივა კონსტიტუციურად დაეკანონებინა (სამსონაძე, 2001, 17).

ოფიციალური სტატისტიკით, 70—იანი წლების მეორე ნახევარი და 80—იანი წლების დასაწყისი საქართველოს ეკონომიკური წინსვლის პერიოდი იყო, რის გამოც საქართველო მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებებში და პერმანენტულად იღებდა გარდამავალ წითელ დროშას (ნათმელაძე, დაუშვილი 2004, 295).

მოწინავე ქართველ ინტელიგენციას საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე ეროვნული ბრძოლა არ შეუწყვეტია. ქვეყანაში გამეფებული უმკაცრესი ტერორის ვითარებაში, მისი მთავარი საზრუნავი ერის მატერიალურ-კულტურულ ღირებულებათა გადარჩენა, დაცვა გახდა. ამასთან ერთად, მეცნიერულ თუ მხატვრულ შემოქმედებაში იგი მეთოდურად აღვივებდა ეროვნულ თვითშეგნებას, ნერგავდა

ეროვნული სიამაყის გრძნობას, ამაღლებდა ეროვნულ სულს, ავითარებდა ქართულ ენას, ლიტერატურას, ისტორიას... მომდევნო ხანაში ეს ხაზი გრძელდებოდა და ახალ სიმაღლეზე აღიოდა. ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთების აღზრდა, მასში ეროვნული სიამაყის გრძნობის განმტკიცება, მისი მორალური და სულიერი გაჯანსაღება, საძულველი იმპერიის რეჟიმის მანკიერებათა მხილება და მის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ნიადაგის მომზადება, შეადგენდა XX საუკუნის II ნახევრის ქართული ინტელიგენციის მოღვაწეობის მთავარ მიზანს.

აღმოცენდა რადიკალური ეროვნული მოძრაობაც.

მეორე მიმდინარეობას რადიკალურად განწყობილი ახალგაზრდები შეადგენდნენ, რომლებიც ვერ ითვალისწინებდნენ საბჭოური წარსულის გამოცდილებებს და თვლიდნენ, რომ შეუპოვარი ბრძოლით დაასუსტებდნენ რუსეთის იმპერიას, შემდეგ კი მსოფლიოს დემოკრატიული ძალების მხარდაჭერით, ჩაგრულ ხალხებთან კავშირში, შეძლებდნენ მჩაგვრელის უღლისაგან თავის დაღწევას. ეს გზა მეტად სარისკო და ამბიციური იყო. ბუნებრივად მიმდინარე პროცესების რამდენადმე დაჩქარების მოტივით, იგი საფრთხეში აგდებდა ათასობით პატრიოტის სიცოცხლეს. მაგრამ მისი მიმდევრები ხშირად, უკომპრომისო, თავგანწირული მოქმედებით, მასების სიმპატიას იხვეჭდნენ და წამებულის გვირგვინებითაც იმოსებოდნენ. ყველაზე სავალალო ის იყო, რომ რადიკალური მიმართულების მომხრეები არავითარ სხვა გზას, ალიანსს, ინტეგრაციას არ სცნობდნენ. არა თუ რაიმე თანამშრომლობაზე არ თანხმდებოდნენ, არამედ განსხვავებული აზრის მქონეთ დაუნდობლად ნათლავდნენ ეროვნული მოძრაობის მტრებად, კრემლის აგენტებად და ა.შ. (სამსონაძე, 2001, 18).

1977 წლის 7 ოქტომბერს სსრკ-ს უმაღლესმა საბჭომ მიიღო ახალი საბჭოთა კონსტიტუცია, რომელიც ზოგადი რი-

ტორიკის გარდა დიდად არ განსხვავდებოდა 1936 წლის კონსტიტუციისაგან, განსაკუთრებით პიროვნების დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიების თვალსაზრისით. მაგრამ მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციის პროექტებში „სტალინური“ კონსტიტუციისაგან განსხვავებით, ამოიღეს მშობლიური ენის სახელმწიფო სტატუსი. ამ ფაქტმა უკიდურესად ააღელვა ქართველი მოწინავე ინტელიგენცია. უმაღლეს სასწავლებლებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში, საქართველოს კპ ცკ წარმომადგენლებს განუმარტავდნენ ასეთი გადაწყვეტილების მავნე ხასიათს. მიუხედავად ამისა, 1978 წლის 14 აპრილს საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ დაიწყო საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა. შეიქმნა საფრთხე, რომ ქართული ენის სახელმწიფო სტატუსს კონსტიტუციიდან ამოიღებდნენ. მოწინავე ინტელიგენციის მიერ დარაზმული თბილისის სტუდენტობა ქუჩაში გამოვიდა. მთავრობის სახლთან გაიმართა გრანდიოზული მიტინგი. ქართველი ახალგაზრდები მოითხოვდნენ ქართული ენის ინტერესების დაცვას. ყოველ წუთს შეიძლებოდა ვითარება უმართავი გამხდარიყო. საქართველოს კპ ცკ პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ ლ. ბრეჟნევს აცნობა თბილისში შექმნილი ვითარება. მოსკოვი იძულებული გახდა უკან დაეხია. ქართველი ახალგაზრდობის გამირობამ ქართულ ენას კვლავ დაუმკვიდრა სახელმწიფო სტატუსი კონსტიტუციაში. 15 აპრილს IX მონვევის უმაღლესი საბჭოს VIII საგანგებო სესიამ მიიღო საქართველოს ახალი კონსტიტუცია, რომელმაც კვლავ დააკანონა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი (ნათმეღაძე, დაუშვილი 2004, 311-312).

XX საუკუნის 60-70-იან წლებში საბჭოთა კავშირსა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გავლენით საქართველოში მნიშვნელოვნად გაფართოვდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. თუმცა, 1956 წლის 9 მარტის ტრაგე-

დის შემდეგ მასობრივი საპროტესტო აქციები და დემონსტრაციები 1978 წლის აპრილამდე აღარ გამართულა და ქართულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ იატაკქვეშეთში გადაინაცვლა. მაგრამ, 1978 წლის 14 აპრილის წარმატებამ მაგალითი მისცა ეროვნული მოძრაობის მესვეურთ მშვიდობიანი, მასობრივი საპროტესტო აქციების გზით მოეგვარებინათ უმნიშვნელოვანესი ეროვნული პრობლემები, რაც გახდა საფუძველი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინებისა 90-იანი წლების დასაწყისში.

**Давид Ецадеишвили**

**Национальное движение в Грузии в 60-70-гг. XX столетия**

*Резюме*

В работе описаны важные моменты грузинской истории 60-70-ых годов двадцатого столетия, в частности, народно-освободительное движения, которое в корне изменило новейшую историю Грузии.

**David Etsadeishvili**

**The national movement in Georgia in 60-70-ies  
of the XX century**

*Summary*

The article describes the history of Georgia in 60-70-ies of the XX century. It tells about important moments of national liberation movement, which has changed completely the modern history of Georgia.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. ნათელაძე, ა. დაუშვილი, საქართველოს უახლესი ისტორია, თბ., 2004;
2. მ. სამსონაძე, საქართველო 1921—1991 წლებში, თბ., 2001;
3. ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, თბ., 1990.
4. <http://archive.security.gov.ge/xrushov.html>.

### *მამუკა გოგიტიძე*

## **ბრძოლა გენერალ დენიკინის არმიის წინააღმდეგ 1919-1920 წლებში**

1919-1920 წლების დემოკრატიული საქართველოს მიერ წარმოებული სამხედრო ოპერაციებიდან მნიშვნელოვანი იყო ბრძოლა აფხაზეთში დენიკინის არმიის წინააღმდეგ. საკითხის მიმოხილვისას აუცილებელია ვიცოდეთ რა პოლიტიკური მდგომარეობა იყო აფხაზეთში და რამ განაპირობა იქ ქართული არმიის და სახალხო გვარდიის ნაწილების შესვლა.

1918 წლის მარტში აფხაზმა ბოლშევიკებმა ადგილობრივი გლეხების ნაწილი ააჯანყეს ამიერკავკასიის სეიმის წინააღმდეგ და აფხაზეთში გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება. ამასთან დაიწყო რევოლუციური კომიტეტების ჩამოაყალიბება. მემბოხეებმა საბაბად გამოიყენეს მი-

ნის რეფორმის არასწორად გატარება. სინამდვილეში კი მიზეზი გახლდათ საბჭოთა რუსეთთან აფხაზეთის შეერთება. საკმაოდ კარგად შეიარაღებულმა აფხაზ ბოლშევიკთა მიერ ცრუ დაპირებებით მონამლულმა გლეხთა რაზმებმა, ჩრდილოეთ კავკასიელ ბოლშევიკთა დახმარებით, 1918 წლის 26 მარტს შესძლეს სოხუმის დაიკავება. 8 მაისს უკვე სოხუმის საბჭომ მიიღო დადგენილება აფხაზეთის რუსეთთან შეერთების შესახებ.

ასეთ ვითარებაში ამიერკავკასიის სეიმმა მიიღო გადაწყვეტილება სოხუმის ოლქში „წესრიგის აღდგენის“ და იქ ანარქიის მოსპობის შესახებ. წესრიგის დამყარება დაევალა სახალხო გვარდიის სარდალს ვალიკო ჯუღელს. 1918 წლის 16 მაისს ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო ძალები მიადგნენ მდ. კოდორს. ვალიკო ჯუღელმა და პოლკოვნიკმა ალექსანდრე კონიაშვილმა მეთაურობდა აფხაზ ბოლშევიკებს თავდაპირველად ულტიმატუმი წაუყენეს, რათა მათ 5 საათისათვის დაეყარათ იარაღი, მაგრამ უკანასკნელებმა საარტილერიო ცეცხლით უპასუხეს.

მძაფრი ბრძოლის შემდეგ სახალხო გვარდიელებმა დაიკავეს კოდორის ხიდი, მტერი უკუაქციეს და, როგორც ჯუღელი ატყობინებდა დეპეშით ტფილისს, ხელში ჩაიგდეს: 10 ზარბაზანი, 7 ტყვიამფრქვევი და მრავალი ტყვე. იმავე წლის 17 მაისს გვარდიელებმა აიღეს სოხუმი. ბოლშევიკებმა ადგილზე დატოვეს: 11 ზარბაზანი, 21 ტყვიამფრქვევი, დიდძალი ტყვია-წამალი. ასევე გუდაუთასთან გვარდიელებმა ხელში ჩაიგდეს 1 ხომალდი („ერთობა“, 21. 05. 1918). სწრაფად განვითარებული შეტევის წყალო-

ბით გვარდიის ნაწილებმა ახალი ათონი და გუდაუთაც გაათავისუფლეს და იქ მოაწყვეს საბრძოლო პოზიციები.

ასეთ ვითარებაში, აფხაზმა ბოლშევიკებმა დახმარებისათვის მიმართეს ჩრდილო კავკასიის საბჭოთა ხელისუფლებას. კანასკნელებმაც არ დააყოვნეს და ავტომობილებით აჯანყებულებს კიდეც გამოუგზავნეს კარგად შეიარაღებული 2000-კაციანი რაზმი. არადა, ამ დროისათვის, გვარდიის ძირითადი ნაწილები უკვე გადასროლილი იყო დუშეთში აჯანყების ჩასაქრობად და გუდაუთაში იდგა მხოლოდ 150-კაციანი რაზმი.

გაძლიერებულმა მეამბოხებმა 18 ივნისს შეტევაზე გადმოვიდნენ და ყოველმხრივ ალყა შემოარტყეს ქართულ არმიის ნაწილებს. ორ დღიანი ბრძოლების შემდეგ გვარდიელებმა პოზიციები დათმრს და უკან დაიხიეს. 20 ივნისს გვარდიელებმა დატოვეს ახალი ათონიც. უკვე საშიშროება შეექმნა სოხუმსაც. შექმნილი ვითარება საქართველოს მთავრობისაგან რადიკალური ზომების მიღებას მოითხოვდა. მართლაც, 1918 წლის 18 ივნისს აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად და შავიზღვისპირეთის ჯარების სარდლად დაინიშნა გენერალ-მაიორი გიორგი მაზნიაშვილი. მისი ხელმძღვანელობით საქართველოს რეგულარული საარმიო ნაწილები, მათ შორის 1 - მსროლელი დივიზია, გუდაუთისკენ გაიგზავნა. 19 ივნისს გ.მაზნიაშვილი სოხუმში ჩავიდა. ადგილზე, ერთიანი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად აფხაზთა სახალხო საბჭოს ხელმძღვანელებმა მას 300 აფხაზი ცხენოსანი მიაშველეს.

22 ივნისს, მაზნიაშვილი მიერ კარგად მომზადებული ოპერაციის შედეგად განთავისუფლდა გუდაუთა, 28 ივ-

ნისს - გაგრა, გადაილახა მდ. მესხადირი, შევიდნენ პილენ-კოვოში (დღ.განთიადი) და მიადგნენ მდ. ფსოუს (დღ. საქართველო-რუსეთის ოფიციალური სახელმწიფო საზღვარი).

ჩანს, წარმატებებმა აღაფრთოვანა საქართველოს მთავრობა და უკვე თბილისიდან მიღებული დირექტივით და აფხაზეთის ეროვნული საბჭოს მხარდაჭერით გენ. გ. მაზნიაშვილს დაევალა სოჭის აღებაც. მოტივად გამოყენებული იქნა, რომ ტერიტორია რომელიც ოდითგანვე იყო ისტორიული ჯიქეთი, ანაპის ციხემდე შედიოდა აფხაზეთის შემადგენლობაში და დასახლებული იყო ქართველებით.

სოჭის ასაღებად მზადებას გ.მაზნიაშვილმა ერთი კვირა მოანდომა. ცხარე ბრძოლების შემდეგ, 29 ივნისს, მაზნიაშვილმა აიღო ქ.ადლერი, სადაც მოწინააღმდეგემ დაკარგა 400 კაცი. თუმცა ქართული ჯარის წინსვლა დროებით შეაფერხდა ოსმალთა დესანტის გადმოსხმის გამო. ამისმიუხედავად, მაზნიაშვილმა მოახერხა მათი ლიკვიდირება, გააგრძელა წინსვლა და 5 ივლისს ქართულმა ნაწილებმა აიღეს ხოსტა, ხოლო 6 ივლისს კი სოჭი.

საქართველოს მთავრობამ ბრძოლებში მოპოვებული წარმატებებისათვის ბევრი მებრძოლი წაახალისა და ოფიცრებს სამხედრო წოდებები მოუმატა. შავი ზღვის ნაპირების განთავისუფლების, ქ. ადლერისა და სოჭის დაჭერის გამო თვით გენ. მაზნიაშვილი დაჯილდოვდა „წმ. სტანისლავის“ პირველი ხარისხის ორდენით („ვოზროუდენიე“, 11. 07. 1918).

1918 წლის 26 ივლისს საღამოს, 20.00 საათზე, 12-სათიანი მძიმე ბრძოლების შემდეგ ქართულმა ჯარმა მონინალმდეგისაგან გაანთავისუფლა ქ. ტუაფსე. ქალაქის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა გაგრის ფრონტის სარდალი გენ. ტარასი ვაშაკიძე. აქვე უნდა ითქვას, რომ ტუაფსეს დაკავება სულ სხვა მიზეზით იყო გამოწვეული და, როგორც კი საჭირო გახდა, შემდგომში ქართულმა ჯარმა საკუთარი ნებით დატოვა ქალაქი, რადგან სტრატეგიული საზღვარი უნდა გასულიყო ტუაფსედან სამხრეთით, 14 კმ-ის მოშორებით მდ. მაკოფსეზე.

მონინალმდეგე სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა და თითოეული გორაკის აღება ქართველ ჯარისკაცებს ბრძოლით უხდებოდათ. ქართველებმა ხელთ იგდეს: მრავალი ტყვე, 4 ზარბაზანი, 18 ტყვიამფრქვევი, უამრავი ტყვია-წამალი, გემები, ავტომობილები, ორთქლმავლები და ვაგონები. ქართველების ზარალი უმნიშვნელო იყო. ბრძოლებში 1 დაიღუპა და 10 დაიჭრა ჯარისკაცი. მონინალმდეგემ არმავირისაკენ დაიხია.

ტუაფსედან ქართული ჯარის ნაწილები გაემართნენ კავკასიის ქედის გადაღმა მთის უღელტეხილის გავლით რკინიგზისა და გზატკეცილის გასწვრივ. მათ უბრძოლველად დაიკავეს სადგური ხოდიჟენსკაია და ქ. ბელორეჩენსკი. აქვე უნდა ითქვას, რომ თვითონ მაზნიაშვილი ტუაფსეს აღებას და გალაშქრებას ჩრდილო კავკასიაში ზედმეტად თვლიდა. მისი აზრით, საკმარისი იყო მდ. შახეზე მონყობილიყო ძლიერი გამაგრებული თავდაცვითი ხაზი და მონინალმდეგისაგან სოჭის მიმართულება სრულიად დაცული იქნებოდა.

შესაძლოა სხვა სიტუაციაში გ. მაზნიაშვილის აზრი მისაღებიც ყოფილიყო, რომ არა ერთი გარემოება. იმჟამად საქართველო განიცდიდა ნავთობისა და ხორბლის ნაკლებობას, ხოლო მაიკოპის რკინიგზის სადგურში კი სანვაავით დატვირთული ეშელონები იდგა. იმავდროულად მაზნიაშვილთან სოჭში გამოცხადნენ ყუბანის მთავრობის და საქართველის მთავრობის წარმომადგენელი და მას განუცხადეს, რომ ყუბანის მთავრობა მზად იყო საქართველოს მიანოდოს ხორბალი ხელსაყრელ ფასებში, იმ პირობით თუ უკანასკნელი მათ დაეხმარებოდა მაიკოპის განთავისუფლების საქმეში (მენტეშაშვილი, 1990, 67). მათი თქმით, მაიკოპის რკინიგზის სადგურში ნავთობით დატვირთული ეშელონებიც იდგა.

თბილისიდან მოსული ბრძანების თანახმად მაზნიაშვილმა დაიკავა ბელორეჩენსკი. სწორედ იქ მასთან გამოცხადნენ დენიკინის ე.წ. „მოხალისეთა არმიის“ წარმომადგენლები და მოითხოვეს ქართული ჯარების უკანდახევა. უნდა ითქვას, რომ „მოხალისეთა არმიას“ ყუბანის ოლქს თავშეფარებული ბოლშევიკები ძლიერ ჰყავდა შევინროვებული და ტამანის წითელი არმია იძულებული იყო ისევ დაეხია ტუაფსისაკენ („დროება“, 09. 10. 1918).

1918 წლის აგვისტოს ბოლოს მათ იქ შეტაკება ჰქონდათ ქართულ ნაწილებთან, რომლებმაც ტაქტიკური მოსაზრებით უკან იყვნენ დახეული. 8 სექტემბერს ტუაფსეს დენიკინის არმიის ნაწილები მოადგნენ. გენ. გ.მაზნიაშვილმა დიდი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად ჯარები სადგურ ლოოსაკენ დახია (ამიერკავკასიისა და, 1919, 389). მისგან დამოუკიდებელი სხვადასხვა მიზეზე-

ბის გამო გენ. მაზნიაშვილი იძულებული გახდა დაეტოვებინა მის მიერ ყველა დაკავებული ტერიტორიები.

1918 წლის 25 სექტემბრიდან საქართველოს მთავრობა აწარმოებდა მოლაპარაკებებს „მოხალისეთა არმიის“ სარდლობასთან, რომელიც ითხოვდა ქართული არმიის მიერ დაკავებული ტერიტორიების დაცლას. მაგრამ მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა.

1918 წლის მინურულს დაიწყო ჯარების თავმოყრა სადგურ ლაზარევსკაიასა და ლოს შორის ქართული სამხედრო ძალების პოზიციებთან („სახალხო საქმე“, 09.02.1919). ყოველივეს ზედ ისიც დაერთო, რომ სასწრაფოს დაიწყო სოჭში მყოფი ქართული ჯარის ნაწილების სამხრეთ საქართველოში გადმოყვანა, რადგან თურქეთის მხრიდან ახალციხეს საშიშროება შეექმნა.

1919 წლის 29 იანვარს დილით „მოხალისეთა არმიის“ წარმომადგენელმა პოლკოვნიკმა ეფრემოვმა ულტიმატუმი წაუყენა ლოო-გოლოვკოს რაიონში მდგარ ქართველთა საგუშაგო რაზმს რათა იარაღი დაეყარათ და სოჭიდან უკან დაეხიათ. ვიდრე გენ. ა.კონიაშვილი ტელეგრაფით ატყობინებდა თბილისს მომხდარის შესახებ, უკვე სოჭში საშინელი ტრაგედია დატრიალდა. მცირერიცხოვან ქართველთა გარნიზონს დენიკინელებმა ალყა შემოარტყეს და გაანადგურეს. „მოხალისეთა არმიას“ სოჭის ალებაში დიდი დახმარება გაუწია ადგილობრივმა სომხებმა. სოჭის ოლქში დაიწყო ქართველთა რეპრესიები, დაპატიმრებები და მათი ძარცვა („სახალხო საქმე“, 11.02.1919).

ამასობაში დენიკინელებმა დაიკავეს ადღერი, ვესიოლოე, პილენკოვო, გაგრა და მდინარე ბზიფთან გაჩერ-

დნენ (იქვე, 20.02.1918). 1919 წლის 16 აპრილს ღამით ქართული რეგულარული არმიის და სახალხო გვარდიის ნაწილებს მიეცათ ბრძანება გადაელახათ მდ. ბზიფი. მართლაც, იმავე დღის 14 საათზე „მოხალისეთა არმია“ განდევნილი იქნა ოტრადნოედან, კოლხიდადან და დაკავებული იქნა გაგრა.

ამასობაში, 1920 წლის თებერვალ-აპრილში, წითელმა არმიამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ჩრდილო კავკასიაში. მათ გაანადგურეს „მოხალისეთა არმია“, დაიკავეს სოჭი-ადღერი და მათი მოწინავე ნაწილები გამოჩნდნენ მდ. ფსოუსთან. გენ. გ.მაზნიაშვილი დაეთანხმა ჯარების უკანდახევას იმ მტკიცე გარანტიით, რომ დამარცხებული დენიკინელები არ გადმოლახავდნენ მდ. მეხადირს.

1920 წლის 7 მაისს დაიდო რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება, რომლის მე-3 მუხლის I-ი პუნქტის თანახმად ორ სახელმწიფოს შორის საზღვარი გავიდა მდინარე ფსოუზე, ახახჩასა და აგანეთას მთებზე (სცსსა, ფ. 1961, ა. 2, ს. 2003). ასეთ ვითარებაში 1920 წლის 16 ნოემბერს საქართველოს მთავრობის დადგენილებით გუდაუთის მაზრიდან მდ. რიაპშამდე გამოიყო გაგრა და ბიჭვინთა და დაარსდა გაგრა-ბიჭვინთა-ფსოუს სამხედრო რაიონი, რომელიც პირდაპირ დაექვემდებარება საქართველოს მთავრობას. ამ რაიონში დაინიშნოს მთავრობის საგანგებო კომისარი („ასავალ-დასავალი“, 3-9. 11. 2008).

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. მენთემაშვილი, ქართველი, ოსი და აფხაზი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1990;
2. გაზ. „ერთობა“, 21.05.1918;
3. გაზ. „ვოზროუდენიე“, 11. 07. 1918;
4. გაზ. „დროება“, 09.10.1918;
5. გაზ. „სახალხო საქმე“, 09.02.1919;
6. „სახალხო საქმე“, 11.02.1919;
7. „სახალხო საქმე“, 11.02.1919;.
8. საქართველოს ცენტრალური საისტრიო სახელმწიფო არქივი (შემოკლებით სცსსა), ფ. 1961, ა. 2, ს. 2003;
9. გაზ. „ასავალ-დასავალი“, 3-9. 11. 2008.
10. ამიერკავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები, ტფ., 1919.

### **Mamuka Gogitidze**

#### **Battled from general Denikin („Woluntared Army,“) 1919-1920 years**

##### *Summary*

This article based on valid historical sources battled from general Denikin („Woluntared Army,“) 1919-1920 years and war operations from Abkhazia from general Mazniashvili.

## **უკრაინის საკითხი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ურთიერთობაში მეორე მსოფლიო ომის წინ**

საბჭოთა კავშირ — გერმანიის ურთიერთობებმა მეორე მსოფლიო ომის წინ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. ორ სახელმწიფოს შორის სირთულეებმა თავი 1938 წლის ბოლოსა და 1939 წლის დასაწყისში “დიდი უკრაინის” შექმნის საკითხთან დაკავშირებით იჩინა. მიუნხენის კონფერენციისა და ჩეხოსლოვაკიის დანაწილების შემდეგ მარიონეტულ „დამოუკიდებელ კარპატისპირა უკრაინას“ ავტონომიური ხელისუფლება გააჩნდა. დასავლეთში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს გერმანიის მიზანს უახლოეს ხანებში საბჭოთა უკრაინის კარპატისპირა უკრაინაზე მიერთება და მის საფუძველზე „დიდი უკრაინის“ შექმნა წარმოადგენდა.

უკრაინის თემა აქტიურად განიხილებოდა დასავლურ პრესაში, დიპლომატიურ შეხვედრებსა და მიმონერაში. საფრანგეთის ელჩი გერმანიაში რ. კულონდრი უკრაინის საკითხის გააქტიურებას გერმანიის სასურსათო პრობლემებით ხსნიდა. იმისათვის, რომ გერმანიის ომამდელი ეკონომიკა გაძლიერებულიყო, მისი აზრით, საჭირო იყო ბელელი, მალაროები, სამუშაო ძალა. უკრაინა კი - ეს იყო გზა იმპერიისაკენ (Год кризиса..., Т.1., 1990, 148-149).

1938 წლის 14 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს მ. ლიტვინოვს გერმანიაში საბჭოთა საელჩოს დროებითი წარმომადგენელი გ. ასტახოვი წერდა, რომ უკრაინის თემა, რომელიც ასე დიდ ასახვას პოულობს გერმანულ პრესაში, ყველაზე უფრო მოდურია ბერლინშიო. უკრაინის „პრობლემის“ აქტუალურობის შესახებ, გ. ასტახოვის თქმით, აშკარად საუბრობდნენ, როგორც რიგითი მოქალაქეები, ისე მაღალი თანამდებობების პირები. პრობლე-

ბის გადაწყვეტის შესაძლებლობა კი საბჭოთა უკრაინის ჩათვლით მხოლოდ ერთიანი უკრაინის შექმნაში მოისაზრება” - ო (Год кризиса..., Т.1., 1990, 144).

„უკრაინის პრობლემა”, ინგლის-საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში პოპულარული უფრო იყო, ვიდრე საკუთრივ გერმანიაში. “იქიდან გამომდინარე, რაც ბოლო ორი თვის განმავლობაში მესმის”, — წერდა ინგლისში მყოფი საბჭოთა ელჩი ი. მაისკი, — “შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ნ. ჩიმბერლენის ახლობელთა წრე ხელოვნურად ბერავს გერმანული აგრესიის უკრაინულ მიმართულებას, რომ ჰიტლერს პირდაპირ მიუთითოს მისი აგრესიული პოლიტიკის მისამართი.

„არ არის გამორიცხული”, — აგრძელებს ი. მაისკი, — „თუ მთელი კაბინეტი არა, ბრიტანეთის ხელისუფლების ცალკეული წევრები მაინც, ჰიტლერს “აღმოსავლეთით ექსპანსიის” განხორციელებისაკენ აქეზებენ” (Год кризиса..., Т.1., 1990, 181).

მოსკოვში ანალოგიური ინფორმაცია საფრანგეთში საბჭოთა ელჩ ალ. სურიცისაგანაც მოდიოდა (Год кризиса..., Т.1., 1990, 121).

მესამე რეიხის წარმომადგენელებსა და ინგლის-საფრანგეთის ხელისუფლებას შორის „უკრაინის თემასთან” დაკავშირებით ოფიციალური ან არაოფიციალური მოლაპარაკებების არსებობა დოკუმენტებით არ დასტურდება. 1939 წლის 6 და 26 იანვარს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ი. ბეკთან შეხვედრის დროს “უკრაინულ თემას” მხოლოდ ი. რიბენტროპი შეეხო. პირველი შეხვედრისას ი. რიბენტროპმა ყურადღება გაამახვილა დანციგის გერმანიაზე მიერთების აუცილებლობაზე და პოლონეთის ტერიტორიაზე ექსტერიტორიული ავტოსტრადისა და რკინიგზის მშენებლობაზე, რომლითაც გერმანია აღმოსავლეთ პრუსიას დაუკავშირდე-

ბოდა (ცოტათი ადრე, იმავე წლის 5 იანვარს ჰიტლერსა და ი. ბეკს შორის შემდგარ შეხვედრაზეც იყო საუბარი დანციგზე - გერმანიისთვის განსაკუთრებით რთულ საკითხზე (Документы и материалы по..., 1973,15). გარდა ამისა, მან ხაზი გაუსვა ჰიტლერის უარყოფით დამოკიდებულებას “დიდი უკრაინის” საკითხთან დაკავშირებით და დაინტერესდა, როგორი იყო პოლონეთის ხელისუფლების შეხედულება მარშალ პილსუდსკის არსებულ პრეტენზიებზე უკრაინის მიმართ. როგორც ი. ბეკის პასუხიდან გაირკვა, პოლონელები უკვე იყვნენ ნამყოფი თვით კიევში და მისწრაფებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჯერ კიდევ აქტუალური იყო (Год кризиса..., Т.1., 1990,175-176).

მეორე შეხვედრის დროს ი. რიბენტროპი, დაუბრუნდა რა დანციგისა და პოლონეთის ტერიტორიაზე ავტოსტრადის და რკინიგზის მშენებლობის საკითხს, კომპენსაციის მიზნით ბეკს უკრაინის საკითხში თანამშრომლობა შესთავაზა. ი. ბეკი სიამოვნებით გამოეხმაურა ამ იდეას და განაცხადა, რომ „პოლონეთს პრეტენზიები აქვს დიდ უკრაინასა და შავ ზღვაზე გასასვლელზეცო” (Год кризиса..., Т.1., 1990, 194-195).

საბჭოთა და უცხოელ დიპლომატთა და პოლიტიკოსთა უმრავლესობა თვლიდა, რომ ჰიტლერი არ დაუშვებდა უკრაინაში სამხედრო ინტერვენციას და როგორც ადრე, ამჯერადაც, აქ სეპარატისტული მოძრაობის გაჩაღებას შეუწყობდა ხელს. მაისკისთან საუბარში ვილსონმა პირდაპირ განაცხადა, რომ ჰიტლერის დამოკიდებულება „იქნება ისეთივე, როგორც ჩეხლოვაკიის შემთხვევაში. ჯერ ნაციონალიზმის ზრდა, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გაჩაღება, უკრაინელი მოსახლეობის აჯანყება და შემდეგ თვითგამორკვევის საფუძველზე მისი „გათავისუფლება” (Год кризиса..., Т.1., 1990, 121).

რ. კულონდრის აზრითაც, „დიდი უკრაინის“ შექმნა გერმანიის მხრიდან პირდაპირი სამხედრო ჩარევის შედეგად არ მოხდებოდა. მისი მტკიცებით, ჰიტლერის ახლობელთა წრეში საუბარი იყო სუდეთში განხორციელებული ოპერაციის მსგავს კამპანიაზე. კერძოდ, პოლონეთში, რუმინეთში და საბჭოთა კავშირში უკრაინის დამოუკიდებლობის აგიტაცია-პროპაგანდის გაჩაღებაზე და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ მოხალისეთა რაზმების მხრიდან აქციების მხარდაჭერაზე. გარდა ამისა, რ. კულონდრის მოსაზრებით, საბჭოთა უკრაინის ტერიტორიაზე განსაკუთრებული მნიშვნელობა შიგა არეულობის გამონეგვას მიენიჭებოდა (Год кризиса..., Т.2., 1990, 145,148).

ბუნებრივია, ასეთი პროგნოზების სერიოზულ საფუძველს წარმოადგენდა ემიგრაციაში მყოფ უკრაინელ ნაციონალისტთა საქმიანობა, ისინი 1919 წლიდან საბჭოთა მთავრობასთან საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. უკრაინელ ნაციონალისტებს გააჩნდათ საკუთარი გასამხედროებული ორგანიზაცია „ოუნ“, რომელიც დაახლოებით ორი ათასამდე ადამიანს აერთიანებდა. აღნიშნული ორგანიზაცია გერმანიასთან კავშირში ფიქრობდა გაეთავისუფლებინა საბჭოთა უკრაინა, სადაც მას გააჩნდა საკუთარი იატაკქვეშა ორგანიზაცია, რომელსაც ომის შემთხვევაში გადამწყვეტი როლის შესრულება შეეძლო (Судоплатов П. А., 1997, 19, 260).

ლ. ტროცკის შეფასებით, არსად ზენოლას, წმენდას, რეპრესიებს და ბიუროკრატიული ხულიგნობის სხვა სახეებს ისეთი მასშტაბები არ მისცემია, როგორც ეს უკრაინაში მოხდა. ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ დასავლეთში მცხოვრებ უკრაინელებში კრემლის მიმართ არსებული ნდობა და სიმპათიები უკვალოდ გაქრა. შექმნილი მდგომარეობის წყალობით, ხელმძღვანელობა და კონტროლი მიმდინარე მოვლენებზე ყველაზე უფრო რეაქციული უკრაინელი ნაციონალისტების ხელში გადავიდა, რომლებიც მზად იყვნენ ფიქტი-

ური დამოუკიდებლობის ფასად უკრაინელი ხალხი ხან ერთ, ხან კი მეორე იმპერიალისტური სახელმწიფოსათვის მიეყიდათ. ამ ტრაგიკულ არეულობაში კი ჰიტლერი უკრაინის საკითხთან მიმართებაში თავისი პოლიტიკის რეალიზაციას ცდილობდა (Роговин В. З., 1998, 95).

გარდამტეხი ეტაპი ამ პოლიტიკაში დადგა გერმანიის მიერ ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციის შემდეგ, როდესაც კარპატისპირა უკრაინა, ჰიტლერთან შეთანხმებით, უნგრეთის რეაქციული რეჟიმის შეირაღებულმა ძალებმა დაიკავეს. მიუნხენის კონფერენციის შემდეგ ჰიტლერის უშუალო განკარგულებით შექმნილი უკრაინის ავტონომიური ხელისუფლება დაიშალა, მისი ტერიტორია კი უნგრეთის კუთვნილებად გამოცხადდა.

ცდილობდა რა აეხსნა უკრაინის მიმართ ჰიტლერის წინააღმდეგობრივი ხასიათის პოლიტიკა (ჯერ დღის წესრიგში „დიდი უკრაინის“ საკითხის დასმა, ხოლო შემდეგ მოხსნა), ლ. ტროცკი წერდა, რომ კარპატისპირა უკრაინის უნგრეთისათვის საჩუქრად გადაცემას, სსრ კავშირთან შეთანხმების გარეშეც, სტალინის მხრიდან უარყოფითი რეაქცია არ მოჰყვებოდა. მართლაც, სტალინის განცხადებით კარპატისპირა უკრაინის გადაცემა უნგრეთზე სხვა არაფერი იყო, თუ არა სამშვიდობო აქტი (Роговин В. З., 1998, 96).

უკრაინას, როგორც ნედლეულის უმნიშვნელოვანეს წყაროს და საკუთრივ გერმანელთათვის დასასახლებლად ხელსაყრელ რეგიონს, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა გერმანიის ხელისუფლების გეგმებში. უკრაინით ფაშისტების დაინტერესებას მტკიცე საფუძველს უქმნიდა უკრაინელთა მხრიდან მათთან დაახლოების სურვილი, რაც გაცილებით ადრე შეიმჩნეოდა.

გერმანელთა ინტერესი და სწრაფვა უკრაინელებთან დაახლოებისკენ გაცემაზე არ იწვევს, მაგრამ რით შეიძლება

აიხსნას უკრაინის მოსახლეობის სურვილი გერმანიასთან მჭიდრო კავშირის დამყარებისა?

უკრაინელები და ისინი, ვინც თავს მათ აკუთვნებდა, იმ დროს ძირითადად 4 რეგიონში იყვნენ დასახლებულნი — 30 მლნ უკრაინელი ცხოვრობდა საბჭოთა კავშირში, 4.5 მლნ — პოლონეთის გალიციაში, ნახევარი მლნ — ჩეხოსლოვაკიის აღმოსავლეთ ნაწილში და მცირე ჯგუფი — რუმინეთში. როგორც ცნობილია, ასეთ დანაწილება-დაცალკევებას ისინი ვერ ეგუებოდნენ (Газ. «За рудежом». №37. 1989, 5).

დასავლეთ ევროპაში უკრაინის საკითხი პირველად ოფიციალურ დონეზე 1938 წლის სექტემბერში დაისვა. კერძოდ, ფაშისტური გერმანიის კვალდაკვალ ხორტისტულმა უნგრეთმა ჩეხოსლოვაკიის ხელისუფლებას თავისი ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენა.

გერმანია-იტალიის ჩარევის შედეგად 1938 წლის 25 ნოემბერს ვენაში გამოცხადებული დადგენილების თანახმად უნგრეთს სლოვაკიის სამხრეთით მდებარე რაიონი და ნახევარ მლნ-ზე მეტი მოსახლეობის მქონე კარპატისპირა უკრაინა გადაეცა.

როგორც ირკვევა, ჯერ კიდევ 1938 წლის 11 ოქტომბერს ჩეხოსლოვაკიის ხელისუფლებამ გერმანიის მხრიდან აშკარა ზეწოლის შედეგად, „კარპატისპირა უკრაინის“ ავტონომიური ხელისუფლების შექმნაზე თანხმობა მხოლოდ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიულ ფარგლებში განაცხადა. იმ ხანებში ფაშისტებმა მხარი არ დაუჭირეს პოლონეთ-რუმინეთის გეგმებს მთელი კარპატისპირა უკრაინის უნგრეთზე მიერთების შესახებ, რადგანაც ჰიტლერი თვლიდა, რომ ეს მის შემდგომ გეგმებს აშკარად ხელს შეუშლიდა. ამასთან, კარპატისპირა უკრაინის ავტონომიური ხელისუფლების შექმნა გერმანიის პრესამ კარპატისპირა უკრაინასთან საბჭოთა უკრაინის მიერთების კამპანიის გასაჩაღებლად გამოიყენა. როგორც

ცნობილია, ამ საკითხისადმი გულგრილი არც დასავლეთის პრესა დარჩენილა (Год кризиса..., Т.1., 1990, 372).

გერმანელები რომ საბჭოთა უკრაინაში არეულობის მოწყობას ისევ საბჭოთა უკრაინელების მეშვეობით ფიქრობდნენ, ამის შესახებ საბჭოთა ხელისუფლებამ გერმანიაში საფრანგეთის ელჩის, რ. კულონდრისაგან გაიგო (Год кризиса..., Т.2, 1990,147). მისი ცნობით, “როზენბერგის კვლევითი ცენტრი, ჰებელსის უწყება, ორგანიზაცია “ოსტ ევროპა”... გულდასმით მუშაობდნენ აღნიშნულ საკითხზე. მიზანი ნათელი იყო — დიდი უკრაინის შექმნა, რომელიც გერმანიის ბედელი იქნებოდა. მაგრამ ყოველივე ამის განხორციელებისათვის ჯერ რუმინეთის განადგურება, პოლონეთის დარწმუნება და საბჭოთა კავშირისათვის უკრაინის ნაწილის წართმევა იყო საჭირო. გერმანული დინამიზმი არ ჩერდება არცერთი ამ სირთულის წინაშეო (Год кризиса..., Т.2, 1990,148).

რამდენად სერიოზულად უყურებდნენ უკრაინასთან დაკავშირებით დასავლეთში ატეხილ ბუმს საბჭოთა კავშირში?

როგორც არსებული დოკუმენტებიდან ირკვევა, საბჭოთა ხელისუფლება აღნიშნულ ფაქტს სერიოზულად თავიდანვე არ ღებულობდა. კერძოდ, როდესაც საფრანგეთის წარმომადგენელმა საბჭოთა კავშირში ჟ. პაიარმა მ. ლიტვინოვს უკრაინის საკითხზე სიტყვა ჩამოუგდო, მ. ლიტვინოვმა მიუგო, რომ ეს საკითხი საბჭოთა კავშირს სრულიადაც არ აწუხებდა: „ჩვენ არ ვართ დარწმუნებული, რომ ჰიტლერი სერიოზულად ფიქრობს უკრაინის აქციაზე. შესაძლებელია, საქმე გვაქვს პროპაგანდისტულ დივერსიასთან, რომელიც მიზნად ისახავს ინგლის-საფრანგეთის მოტყუებას, სიფხიზლის მოდუნებას და ამით მათთვის ახალი სიურპრიზის მომზადებას.... ყოველ შემთხვევაში მთელი ეს აქცია ჩვენ არ გვეხება” (Год кризиса..., Т.1., 1990,156).

1938 წლის 31 დეკემბერს იგივე მ. ლიტვინოვი საფრანგეთში სსრ კავშირის ელჩ სურიცს წერდა: “არ ვფიქრობ, რომ ჰიტლერი და მისი წრე უკრაინის საკითხს აქტიური პოლიტიკის რეალურ პრობლემად თვლიდნენ. როგორც გ. ასტახოვი გვაცნობებს, თვით ჰიტლერს გაოცება ვერ დაუმაღლავს ამ საკითხთან დაკავშირებით წარმოქნილი აურზაურის გამო. ფიურერის მტკიცებით, უკრაინის საკითხი არაუადრეს 5-6 წლის და ომის გარეშე გადაწყდება. თუ ეს მას არ უთქვამს, ყოველ შემთხვევაში ასე ფიქრობს” (Год кризиса., Т.1., 1990,160).

მ. ლიტვინოვის ალ. სურიცისადმი გაგზავნილი წერილის ბოლო მონაკვეთი, ჩვენი აზრით, კომენტარებს არ საჭიროებს, უბრალოდ შეიძლება ითქვას, რომ ის იმდროისათვის შექმნილი სიტუაციის მეტისმეტად გულუბრყვილო შეფასებაა.

რაც შეეხება საკუთრივ სტალინს, 1939 წლის 10 მარტს პარტიის XVIII ყრილობაზე გამოსვლისას ის შეეხო რა უკრაინის საკითხს, აღნიშნავდა: “საგულისხმოა ხმაური, რომელიც ინგლის-საფრანგეთის და ჩრდილოეთ ამერიკის პრესამ საბჭოთა უკრაინასთან დაკავშირებით წამოიწყო. ამ პრესის მოღვაწენი გაჰყვირიან, რომ გერმანელები საბჭოთა უკრაინაზე სალაშქროდ მოდიან, რომ უკვე მათ გამგებლობაშია ე. წ. კარპატისპირა უკრაინა 700 ათასიანი მოსახლეობით, რომ სწორედ გაზაფხულზე ამ უკრაინას უნდა მიუერთონ 30 მლნ-იანი მოსახლეობის მქონე საბჭოთა უკრაინა. როგორც ჩანს, საეჭვო ხმაური გერმანია-სსრ კავშირს შორის კონფლიქტის პროვოცირებას ისახავს მიზნად, რომელიც ყოველგვარ საფუძველს მოკლებული იქნება.

სრულიად შესაძლებელია გერმანიაში იყვნენ შეშლილები, რომლებიც ოცნებობენ საბჭოთა უკრაინა კარპატისპირა უკრაინას მიუერთონ და თუ იქ ნამდვილად მოიპოვებიან ასეთი გადარეულები, ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ ჩვენს

ქვეყანაშიც მოიძებნება საჭირო რიცხვი მოსათვინიერებელი პერანგებისა ასეთი გადარეულებისათვის. სხვა მხრივ განა სასაცილო და უაზრობა არ არის საბჭოთა უკრაინის კარპატისპირა უკრაინასთან მიერთების შესახებ საკითხი სერიოზულად დაისვას?” (Год кризиса..., Т.1., 1990,261).

1938 წლის 5 იანვარს კი პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბეკთან შეხვედრისას ჰიტლერმა აღნიშნა, რომ მსოფლიო პრესაში ცდილობენ უკრაინასთან დაკავშირებით გერმანიას რაღაც მიზნები მიაწერონ. პოლონეთს გერმანიის მხრიდან საფრთხის არ უნდა ეშინოდეს. გერმანიას არავითარი ინტერესები არ გააჩნია კარპატის იმ მხარეს და მისთვის სულერთია, რას აკეთებენ იქ ამ რაიონებით დაინტერესებული ქვეყნები (Год кризиса..., Т.1., 1990,169).

როგორც ცნობილია, უკრაინასთან დაკავშირებით საკუთარი პრეტენზიები პოლონეთსაც გააჩნდა, რაც ი. ბეკს ჰიტლერთან საუბრისას არ დაუმალავს. მისი მტკიცებით, ოდესმე კარპატისპირა უკრაინა შფოთის ისეთ კერად გადაიქცეოდა, რომ აიძულებდა პოლონეთის ხელისუფლებას კონფლიქტში ჩარეულიყო. ი. ბეკის თქმით, სწორედ ეს იყო მთავარი მიზეზი პოლონეთის სწრაფვისა, ჰქონოდა უნგრეთთან საერთო საზღვარი.

უფრო მეტიც, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის აზრით, კარპატისპირა უკრაინის მოსახლეობას — ე. წ. რუსინებს არავითარი კავშირი არ ჰქონდათ საკუთრივ უკრაინის მოსახლეობასთან. „უკრაინა” ეს პოლიტიკური სიტყვა იყო, რომელიც „აღმოსავლეთ სასაზღვრო მიწებს” ნიშნავდა. ამ სიტყვით პოლონელები ათეული წლების განმავლობაში მათი ტერიტორიის აღმოსავლეთით, დნესტრის გასწვრივ მდებარე მიწებს აღნიშნავდნენო (Год кризиса..., Т.1., 1990,173).

თუ 1939 წლის 6 იანვარს ი. რიბენტროპმა ი. ბეკთან უკრაინის საკითხზე საუბრისას აღნიშნა: “გერმანიის პოლიტიკური ინტერესები თავისთავად კარპატებს იქით არ გრძელდება, მაგრამ გერმანიას არ შეუძლია თქვას, რომ ის ჩეხოსლოვაკიასა და კარპატისპირა უკრაინას შორის საზღვრების არევას გულგრილად შეხვდება, რადგანაც მოვლენების ასე წარმართვის შემთხვევაში, ადვილად იქნება ჩათრეული კონფლიქტში. დღეს ევროპაში, სადაც არ უნდა გაისმას ქვემეხის ზალბი, გერმანია გულგრილი ვერ დარჩება” (Год кризиса..., Т.1., 1990,175).

როგორც ითქვა, 1939 წლის მარტში უნგრეთმა ჰიტლერთან შეთანხმების საფუძველზე ჩეხოსლოვაკიის ხელისუფლებას კარპატისპირა უკრაინის უნგრეთისათვის გადაცემის შესახებ ულტიმატუმი წაუყენა. 14 მარტს კი აღნიშნული ტერიტორია უნგრეთის ჯარებმა დაიკავეს (Год кризиса..., Т.2., 1990,372).

როგორც ცნობილია, მოგვიანებით ჰიტლერმა კარპატისპირა უკრაინის საკითხი შესანიშნავად გამოიყენა პოლონეთთან დამოკიდებულებაში. ფიურერმა ი. ბეკს დანციგის გერმანიაზე გადაცემის საკითხის დადებითად გადაჭრა და პოლონეთის “დერეფნის” მეშვეობით პომერანიას და აღმოსავლეთ პრუსიას შორის ექსტერიტორიული გზის შექმნა შესთავაზა. ყოველივე ეს კი სსრ კავშირის წინააღმდეგ აგრესიის დაწყებისა და დიდი უკრაინის შექმნისათვის სერიოზული ბაზის ჩამოყალიბებას ნიშნავდა (Год кризиса...,Т.2., 1990,91). მაგრამ, როგორც ირკვევა, პოლონეთმა საბოლოოდ უარი განაცხადა აღნიშნულ წინადადებაზე, რის შემდეგაც ჰიტლერის დამოკიდებულება “დიდი უკრაინის” შექმნის იდეასთან დაკავშირებით შეიცვალა. უკვე 1939 წლის 23 აგვისტოს, როდესაც სსრკ-გერმანიას შორის თავდაუსხმელობის პაქტი

ფორმდებოდა, “დიდ უკრაინასთან” დაკავშირებული გეგმები ისტორიის საკუთრებას წარმოადგენდა.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Год кризиса. 1938-1939 гг. Документы и материалы. Редколлегия сборника: Бондаренко А. П., Венков И. Н., Дегтярев А. Я., Ильичев Л. Ф., Ковалев Ф. Н., Сиполс В. Я., Фалин В. М. Т.1. М.,1990;
2. Год кризиса. 1938-1939 гг. Документы и материалы. Редколлегия сборника: Бондаренко А. П., Венков И. Н., Дегтярев А. Я., Ильичев Л. Ф., Ковалев Ф. Н., Сиполс В. Я., Фалин В. М. Т. 2. М., 1990;
3. Документы и материалы по истории советско-польских отношений. 1939-1943 гг. Т. VII. Том подготовили: Э. Басиньский, К. В. Большакова, С. Вронский, В. Т. Ковальский, С. Лопатнюк, И. Д. Павлушина. М., 1973;
4. Роговин В. З. Мировая революция и мировая война. М., 1998;
5. Судоплатов П. А. Разведка и Кремль. М., 1997;
6. Янсен К. Х. Как Гитлер шел к мировой войне. Газ. «За рубежом». №37. 1989.

### **Хатуна Диасамидзе**

#### **Вопрос Украины в советско-германских отношениях перед второй мировой войной**

*Резюме*

В нынешнем году исполняется 65 лет со дня завершения второй мировой войны, в которой были разгромлены фашистские Германия и Италия и милитаристская Япония. В ходе войны была сорвана попытка

правлящих кругов этих стран и их союзников повернуть вспять ход развития всего человечества.

И сегодня вопросы касяющиеся событий тех лет не перестают быть предметом ожесточенных споров.

В центре внимания многочисленных специалистов, исследующих историю международных отношений в 30-ые годы XX века, как и тех, кто изучает историю второй мировой войны, ее причины и предпосылки, была и остается проблема советско-германских отношений этого периода.

Среди многих проблем различного значения и происхождения, связанных с данной темой, свое место занимает и так называемый украинский вопрос, который на некоторое время даже стал предметом особого внимания представителей правящих кругов ряда стран Европы, в первую очередь, Польши.

Автор статьи отмечает, что вопрос об Украине, поднятый как подтверждают имеющиеся документы, германской стороной, использовался ею лишь для того, чтобы на короткий период времени – конец 1938 - начало 1939 года, возбудить интерес тогдашнего польского руководства к этой проблеме и отвлечь его внимание от своих истинных намерений.

В реальности же, данной проблеме предназначалась лишь роль приманки, которую она и сыграла.

**Khatuna Diasamidze**

## **The Ukraine Question in the USSR-German Relations on the Eve of WWII**

### *Summary*

There is the 65<sup>th</sup> anniversary of the end of the Second World War this year, when Fascist Germany, Fascist Italy and Militaristic Japan were defeated. During the war the attempt of governing groups of those countries and their allies to turn the humanity development back was disrupted.

These days the questions related to the events of those years still deserve great attention and are under the violent discussion. The great numbers of specialists who research the international relations of 30-s of XX and especially those who investigate the history of WWII, its reasons and preconditions, have been paying the significant attention to the USSR-German Relations of that period.

Among the problems related to this topic, the Ukraine question has a special place. Even some representatives of the ruling groups of European countries, i. e. the government of Poland paid special attention to it.

The author of the article argues that according to the existed documents the Ukraine question was used by the German side to provoke the interest of the government of Poland to it and conceal its real intentions. Actually the Ukraine question was only the bait.

*ნუგზარ ზოსიძე*

## **აშოტ კურაპალატი**

IX საუკუნის დასაწყისში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული ტაო-კლარჯეთის სამთავრო, რომელსაც ასევე „ქართველთა სამეფოსაც“ უწოდებენ. აღნიშნული პოლიტიკური ერთეულის დამაარსებელია აშოტ კურაპალატი. ის ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა დინასტიის მამამთავარი და მეფეა 809 - 826 წლებში. მანამდე, დაახლოებით 786-809 წლებში იგი იყო ქართლის ერისმთავარი.

ბაბუამისი, ისევე, როგორც ბაგრატიონთა საგვარეულოს დიდი ნაწილი, იყო ერთ-ერთი უძველესი ქართული პროვინციიდან, - speridan (ამჟამად ისპირი, თურქეთის ტერიტორიაზე) და იგი 730-იანი წლებიდან ჩანს კლარჯეთში. აშოტი სა-

თავეში ედგა ქართლის ბრძოლას არაბთა წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხდა და იძულებული გახდა გაქცეულიყო SavSeT-klarjeTSi, რომელიც პოლიტიკურად ბიზანტიას ეკუთვნოდა. ამ დროიდან ქართლის პოლიტიკურმა ცენტრმა მთლიანად სამხრეთში გადაინაცვლა.

როგორც აღვნიშნეთ, ქართლის ერისთავი აშოტ ბაგრატიონი თავდაპირველად არაბთა სამსახურშია, იგი როგორც ქართლის ერისმთავარი თავის ძალაუფლებას ავრცელებს ქვეყნის ცენტრალურ ნაწილზე და არაბთაგან დამოუკიდებლობის მოპოვებას ცდილობს. მაგრამ მალე იგი მძაფრი დაპირისპირებით შეიცვალა. აშოტი დამარცხდა ამირასთან ბრძოლაში, იძულებული შეიქმნა გასცლოდა ქართლსა და თავშესაფარი ზემო ქართლში ეპოვა. მემატთანე შემდეგნაირად გადმოგვცემს ამ ამბავს - „ხოლო აშოტ კურაპალატი მთავრობდა ქუეყანასა მას შინა და სახლად მისა იყო ბარდავი და ტფილისი, და ჰქონდა მას ქუეყანა, რომელ არს გარემოს მისსა. და მაშინ გაძლიერდა ჳელმნიფება აგარიანთა და იწყეს ძიება აშოტ კურაპალატისა. და ვერ უძლო წინააღმდეგომად მათდა აშოტ. და ივლტოდა მათგან. და წარემართა, რათა წარვიდეს საბერძნეთად და თანა ჰყვეს მას დედა და ცოლი და ორნი ძენი ასაკითა ჩჳლნი, უხუცესი ადარნასე და შედეგი ბაგრატი. ხოლო უმრწემესი ძე გუარამ ჯერეთ არა ესუა. და ერი თჳსი მცირედ ჰყვა თანა, მკჳდრნი მისნი, დედანულითურთ და შვილითურთ. მოიწივნეს მათსა ჯავახეთისასა, კიდესა დიდისა ტბისა ფარავნისასა დამაშურალნი სლვისაგან, და გარდაჰხდეს განსუენებად კიდესა მის ტბისასა. ჭამეს რა პური, და მცირედ მიერულა. და მძინარეთა ეწივნეს დიდნი ლაშქარნი სარკინოზნი. მაშინ შეენია ღმერთი აშოტ კურაპალატსა, და კნინსა მას ლაშქარსა მისსა მოსცა ძლევა მათ ზედა, დამოსრნეს სიმრავლენი ურიცხუნნი. წარმოვიდეს

მუნით და მოინივნეს ბევსა შავშეთისასა” (სუმბატ დავითის ძე, 1955, 376).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველო აშოტის იქ ჩასვლის ჟამს თითქმის გაუკაცრიელებული იყო. არაბთა შემოსევებმა ააოხრა ეს ერთ დროს აყვავებული მხარე. „ხოლო ჴევი შავშეთისა უშენებელი იყო მაშინ, გარეშე მცირედთა სოფელთა-სა. რამეთუ ჟამთა სპარსთა უფლებისასა აოკრდა, ოდეს-იგი ყრუმან ბალდადელმან შემუსრნა ყოველნი ციხენი და მოვლო შავშეთი-ცა და ღადონი. და კუალად შემდგომად მისსა სრვამან სატლობისამან მოაობრა შავშეთი, კლარჯეთი და მცირედ-ღა დაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ. ხოლო დაშთომილთა მათ მკუდრთა შავშეთისათა შეინყნარეს იგი სიხარულითადა სიყუარულითა, და დაემკუდრა მუნ. და მისცა ღმერთმან გამარჯუება დააჯელმნიფა იგი შავშეთ-კლარჯეთსა ზედა. და მან სოფლები ზოგი იყიდა საფასოთა, და ზოგი ოკერი აღაშენა, და განამრავლა სოფლები აშოტ კურაპალატმან ქუეყანათა მათშინა. და მისცა ღმერთმან და განამტკიცა ბელმნიფება მისი ნებითა ბერძენთა მეფისათა” (სუმბატ დავითის ძე, 1955, 376).

როგორც წყაროდან ჩანს აშოტმა ბიზანტიის იმპერატორისაგან მიიღო დასტური ამ მხარის მმართველობისა, თუმცა თვითონაც ატარებს ქმედით ღონისძიებებს. დაემკვიდრა არტანუჯს. აქ ერთ დროს ვახტანგ გორგასლის მიერ აშენებული ციხე განაახლა და იქვე ქალაქი გააშენა. „და ამან აშოტ კურაპალატმან პოვა კლარჯეთის ტყეთა შინა კლდე ერთი, რომელი პირველ ვახტანგ გორგასალს ციხედ აღაშენა, სახელით არტანუჯი; და აოკრებულ იყო ბალდადელისა მის ყრუობითგან. იგი განაახლა აშოტ და აღაშენა ეგრეთ-ვე ციხედ, და წინა-კერძო მისსა ქუეშეთ აღაშენა ქალაქი. და აღაშენა ციხესა მას შინა ეკლესია წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი, და შექმნა მას შინა საფლავი თვისი, და

დაემკმდრა ციხესა მას შინა ცხოვრებად. და მერმე კუალად ეუფლა ქუეყანათა ვიდრე კარად მდე ბარდავის ქალაქისა. და მრავალ-გზის მოსცა ღმერთმან აშოტს კურაპალატსა ძლევად და დიდი დიდება ბრძოლათა შინა” (სუმბატ დავითის ძე, 1955, 377).

ამრიგად, აშოტ I ამ ადგილების მფლობელი და ბიზანტიის ვასალი გახდა, მიიღო ბიზანტიის სამეფო კარის კურაპალატის პატივი, აღადგინა ვახტანგ გორგასალის მიერ აშენებული და შემდეგ მურვან ყრუს მიერ აოხრებული არტანუჯის ციხე, მის მახლობლად ქალაქი გააშენა და ბაგრატიონთა საბრძანებლად გამოაცხადა, აქვე ააშენა წმ. პეტრეს და წმ. პავლეს მოციქულების სახელობის ეკლესია მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი სამფლობელოები. არტანუჯი გადაიქცა სამთავროს ცენტრად. მისი ენერგიული სახელმწიფოებრივი მოღვაწეობით გაფართოვდა სამთავროს საზღვრები. მასში შედიოდა-კლარჯეთი, შავშეთი, ნიგალი, აჭარა, ტაო, სპერი, სამცხე, ჯავახეთი, არტაანი (მატიანე ქართლისა, 1955, 253).

ბაგრატიონთა სამეფო გვარის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი აშოტ კურაპალატი იყო პიროვნება რომელის სახელთანაცაა დაკავშირებული საერო და სასულიერო ცხოვრების საოცარი სინთეზი. სწორედ მის ჟამს დაიწყო ამ მხარემ სრულიად საქართველოს სულიერების ციტადელად ჩამოყალიბება. მისი თანადროულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში საეკლესიო მშენებლობის გაშლა. მის დროს იწყება ხანძთის ტაძრის მშენებლობა. აშოტის შთამომავლები ღირსეულად აგრძელებდნენ ამ დიდ საქმეს. ასე აშენდა შატბერდი, ოპიზა, ზარზმის ეკლესია, იშხანი, ბანა, ტბეთი და სხვა.

VIII-IX საუკუნეებში მტერთა მიერ აოხრებული შავშეთ, კლარჯეთ, ტაო, მესხეთის უდიდეს ნაწილში ცხოვრება განახლდა. ამის მოთავე და სულის ჩამდგმელი იყო გამორჩენი-

ლი საეკლესიო მოღვაწე გრიგოლ ხანძთელი. ამ სამონასტრო მოძრაობას ივანე ჯავახიშვილის შეფასებით ჩვენი სამშობლოსათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა. უგზო-უკვლო ადგილებში გზები გაკეთდა, გაშენდა ქალაქები, აიგო ეკლესიები და სამონასტრო სავანეები, გაცოცხლდა მიტოვებული ქალაქები და ნანგრევებისაგან აღსდგა ციხე-სიმაგრეები. ვითარცა დიდი საეკლესიო მამების შეუდრეკელ ხასიათს შეეფერებოდა, მათი გავლენა მთელ იმდროინდელ ცხოვრებას ატყვია (ჯავახიშვილი, 1983, 117-118).

აშოტ კურაპალატის ცხოვრების საზრისი მუდამუამს ქვეყნის სვე-ბედს უტრიალებდა. იგი კვლავ აგრძელებდა ბრძოლას არაბთა წინააღმდეგ „მერმე კუალად ეუფლა ქუეყანათა ვიდრე კარად მდგე ბარდავის ქალაქისა“ (სუმბატ დავითის ძე, 1955, 377). თუ მემატთანეს ამ ცნობას სარწმუნოდ მივიღებთ, მაშინ მას თავისი გავლენა უნდა განევრცო თბილისის საამიროსა და კახეთის საქორეპისკოპოსოს ნაწილზეც, ისე არარეალური ჩანს სამთავროს გაფართოება ქალაქ ბარდავამდე. და იქნებ დიდი მამულიშვილის ფიქრი და საზრუნავი ქვეყნის განთავისუფლება და კვლავ ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბება იყო? ამ ბრძოლებს შეეწირა მისი სიცოცხლეც.

თუ როგორ და სად დაილუბა აშოტ ბაგრატიონი ჩვენამდე მოღწეულ წყაროთა ცნობები არაიდენტურია. ძირითადად ორი ვერსია ჩამოყალიბდა. „მატიანე ქართლისაი“ შემდეგნაირად გადმოგვცემს ამ ამბავს: „შემდგომად ამისსა მოვიდა ხალილ იზიდის ძე არაბიელი, და დაიპყრა სომხითი, ქართლი და ჰერეთი. და მოკლეს აშოტ კურაპალატი გარდაბანს, ეკლესიასა შინა, და სისხლი მისი, რომელი მაშინ დაითხია, აწცა იხილვების ვითარცა ახალი“ (მატიანე ქართლისა, 1955, 253). სუმბატ დავითის ძის მიხედვით ეს ტრაგედია სულ სხვაგან –ნიგალის ხევში მომხდარა. „და იყო ერთსა შინა ჟამსა, განვიდა აშოტ, რათა-მცა შეკრიბა ლაშქარი ბრძოლი-

სათვის სარკინოზთასა. მოვიდა იგი ადგილსა რომელსა-მე და განავლინა ლაშქრის-მანუეველნი. და ვიდრე არღარა შეკრებულ იყო ლაშქარი იგი მისი მის თანა, დაესხნეს მას სარკინოზნი უცნაურად და აოტეს იგი. წარმოემართა და მოიწია ბევსა ნიგალისასა და იწყო ძებნად ერისა, რათა-მცა ვითა განიმრავლა ლაშქარი თვისი. და წარმოემართნეს მოსლვად მის წინაშე იგინი, რომელთა მან უბრძანა, ხოლო იგინი მოვიდოდეს კლვად მისსა. მაშინ ვიდრე მოწევნადმდე მათდა კარად მისსა არა უწყოდა აშოტ ზაკუა მათი, და რაჟამს მოიწივნეს იგინი კარად მისსა, მაშინ-ლა აგრძნა რაძ-იგი ეგულვებოდა მათ. და არა ჰყვა მას ერი თვისი თმნიერ მცირედთასა. ვერ წინა-აღუდგებოდა იგი მათ. ამისთვის-ცა შეივლტოდა აშოტ კურაპალატი ეკლესიად, და მოწყლეს იგი მახვლითა საკურთხეველსა ზედა და შეისუარა საკურთხეველი იგი სისხლითა მისითა, რამეთუ დაკლეს იგი მუნ, ვითარცა ცხოვარი, აღსავალსა საკურთხეველისასა და სისხლი იგი მისი დათხეული დღეს-ცა საჩინოდ სახილველ არს” (სუმბატ დავითის ძე, 1955, 377). ამ ორ წყაროს მსგავსია აშოტის ტრაგიკულად დაღუპვის ჩვენამდე მოღწეული სხვა ცნობებიც. ერთი რამ ყველასათვის საერთოა - ტაო-კლარჯეთის დიდი მთავრის ვერაგული სიკვდილი ეკლესიაში განხორციელებულა. ეს ფაქტი სადაო არაა, მაგრამ ისმება კითხვა - სად მდებარეობდა ეს ტაძარი? თუ ჩვენ სარწმუნოდ ვაღიარებთ „მატიანე ქართლისა“-ს ცნობას აშოტის გარდაბნის ეკლესიაში დაღუპვასთან დაკავშირებით, მაშინ ახსნადი ხდება და სარწმუნო მისი მთავრობის ჟამს ტაო-კლარჯეთის სამთავროს საზღვრების ქალაქ ბარდავამდე განვრცობის შესახებ. ამ შემთხვევაში ამ მოსაზრების გამყარება შეიძლება გიორგი მერჩულეს სიტყვებითაც. იგი აშოტის სიკვდილის შემდეგ ამბობს „მეფეო, ჩემო ძლიერო, და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზღუდეო ქრისტიანეთაო. სადაფთმე მოგელოდი, აღმოსავლითმე ანუ დასავლით, ჩრდილოჲთმე ანუ სამ-

ბრით? რამეთუ ყოველთა ზედა ნათესავთა მფლობელი იყავ, რომელიცა წყობით ბელმნიფეთა დაიმორჩილებდი” (მერჩუ-ლე, 1949, 264). მაგრამ, მაშინ ვერ ავხსნით სუმბატ დავითის ძის ვერსიას. სარკინოზთა წინააღმდეგ მებრძოლი კურაპა-ლატი გარდაბნიდან მოშორებით ნიგალის ხევში მიემართება დამხმარე ლაშქრის შესაგროვებლად, მაგრამ ერთგულ მა-მულიშვილთა ნაცვლად მოღალატენი მიუვიდნენ და საფ-რთხის თავიდან აცილების მიზნით „შეივლტოდა აშოტ კუ-რაპალატი ეკლესიად, და მოწყლეს იგი მახვლითა საკურ-თხეველსა ზედა და შეისუარა საკურთხეველი იგი სისხლითა მისითა”. ტრაგედია, რომ ნიგალის ხეობაში დატრიალებუ-ლა, თითქოს ამას ამაგრებს მემატიანის შემდეგი ცნობაც: „ხოლო ესმა რა ესე ამბავი ერსა მისსა, რომელნი-იგი იყვნეს დოლისყანასა, ვითარმედ მოიკლა უფალი იგი მათი აშოტ კელითა ოროზ-მოროზის ძეთათა, წარვიდეს დოლისყანით და დევნა უყვეს მკლველთა მათ უფლისა თმისათა, დაენი-ვნეს მათ სავანესა ზედა ჭოროხისასა, მოსრნეს იგინი ბორო-ტად, ვიდრემდის არა დაუშთა ერთიმათგანი, და წარმოიღეს მკუდარი აშოტ კურაპალატი და დაფლეს მისსა მას საფლავ-სა შინა ციხესა არტანუჯისასა, ეკლესიასა წმიდათა მოცი-ქულთასა. რამეთუ მოიკლა ესე აშოტ კურაპალატი დასაბა-მითგან წელთა ხ“შ“ლ, ქრონიკონსა მეთაცამეტედ მოქცე-ულსა შინა მ“ვ, თუესა იანვარსა ოცდაცხრასა” (სუმბატ და-ვითის ძე, 1955, 377). დოლისყანელი ქართველები დაერივ-ნენ აშოტის მკვლელებსა და დაენივნენ რა ჭოროხის ნაპი-რებთან იქვე ჩაუხოცავთ ცოდვისშვილები. დოლისყანა ნი-გალთან ახლოსაა ვიდრე გარდაბანთან. მოვლენათა განვი-თარების გეოგრაფიული არეალი და დროის ფაქტორიც სინ-ქრონულია.

ტაო-კლარჯეთის ვრცელი სამთავროსა და მოსაზღვრე ქართული მიწების ერთპიროვნული მფლობელი ერთადერთი მხოლოდ აშოტ კურაპალატი იყო, მის შემდგომ, მისმა შვი-

ლებმა სრულად ველარ შეინარჩუნეს მამის მიერ დანატოვარი სამფლობელო, „და დაუტევნა სამნი ძენი: უხუცესი ადარნასე და შედეგი მისი ბაგრატი. ესე ორნი თანა ჰყვეს მას, რაჟამს-იგი მოინია შავშეთ-კლარჯეთად. ხოლო უმრწემესი გუარამ არტანუჯის მოსლვას-ლა შინა დაებადა. და შემდგომად აშოტის სიკუდილისა, მამისა მათისა, რომელ გარეთ ქუეყანა ჰქონდა ძეთა აშოტისთა წარუღეს სარკინოზთა, რამეთუ იყვნეს იგინი უსრულ ასაკითა. ხოლო რა ჟამს სრულ-ასაკ იქმნეს იგინი, კუალად-ცა მოსცა ღმერთმან მათ-ვე ყოველი-ვე იგი ნაქონები მამისა მათისა. და ვიდრე უსრულო-ლა იყვნეს იგინი ასაკითა, იზარდებოდეს ციხესა შინა არტანუჯისასა, და იყვნეს ხარკის-მიმცემელ სარკინოზთა ყოველნი-ვე ბევნი შავშეთ-კლარჯეთ-ნიგალისანი. ხოლო არტანუჯით გამოღმართ დაიპყრეს მათი ნაქონები იგი მამულები მამისა მათისა, დასუეს ბაგრატი კურაპალატად. და წარმართა ღმერთმან ბელმნიფება მათი” (სუმბატ დავითის ძე, 1955, 378). სუმბატ დავითის ძე აშოტ კურაპალატის გარდაცვალების თარიღად ასახელებს 826 წლის 29 იანვარს, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში ძირითადად გაზიარებულია.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1983.
2. გ. მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ტფ., 1949;
3. მატინანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, სიმონ ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტომი 1, თბ., 1955;
4. სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, ქართლის ცხოვრება, სიმონ ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტომი 1, თბ., 1955;
5. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954;

6. შ. ბადრიძე, ქართველთა სამეფოს» პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, თსუ შრომები, ტ. 113, 1965;
7. კ. კეკელიძე, აშოტ დიდი კურაპალატის ქრონოლოგიისათვის, მის ნგნ.: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 8, თბ., 1962;

**Nugzar Zosidze**  
**Ashot Kurapatat**

*Summary*

In the beginning of IX century, on the south-west territory of Georgia, a political-administrative unit called Tao-Klarjeti principality, which was also called as a „Kartvelta Samefo“ (Kingdom of Georgians), was established.

One of the most honored representative of the royal name of Bagrationi was Ashot Kurapatati, who is known for his wonderful synthesis of social and spiritual life. Exactly at this period this region started becoming a spiritual citadel of whole Georgia.

According to the sources, Tao-Klarjeti's Great governor was brutally killed in a church. We share the idea, that this tragedy happened in Nigali valley, village doliskana.

*მანუჩარ ლორია*

## **ისტორიული ინფორმატიკა და ვიზუალურ ანთროპოლოგია ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში**

ისტორიული ინფორმატიკა და ვიზუალურ ანთროპოლოგია, ჩვენს მიერ იკითხება შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის სპეციალობის მაგისტრანტებთან.

ბოლო ათწლეულში ჰუმანიტარულ მეცნიერებაში გვხვდება შესამჩნევი ცვლილებები, წარმოიქმნება ახალი მეცნიერული მიმართულებები და დისციპლინები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ისტორიული ინფორმატიკა, რომელიც საისტორიო მეცნიერების დამხმარე დარგია, რომელსაც გააჩნია საკუთარი კვლევის საგანი, მიზანი, მეთოდოლოგია, მეთოდისა, ისტორიოგრაფია და პერიოდიზაცია. ის შეისწავლის სხვადასხვა სახის საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას საისტორიო წყაროების დამუშავებისა და ისტორიული მეცნიერების სხვადასხვა პრობლემების გადაჭრისათვის.

საინფორმაციო ტექნოლოგიები წარმოადგენს ისეთი სახის სერვისს, რომლის დროსაც ხდება როგორც ინფორმაციის დამუშავება, ასევე მიღება კომპიუტერის დახმარებით; საშუალება გვძლევს სხვადასხვა სახის ისტორიული კვლევები ვანარმოთ გაცილებით სწრაფად და ეფექტურად – კონკრეტულად, ვაკეთოთ „ძველი“ ახლებურად, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. აქედან გამომდინარე, ამ მი-

მართულებას საფუძვლად უდევს ტრადიციული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. საქართველოში სამეცნიერო თვალსაზრისით ამ მიმართულებით დიდი სამუშაო აქ ჩატარებული ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატ მათა გურაბანიძეს. მის 2 ნაშრომში „ქართული საისტორიო წყაროების კომპიუტერული დამუშავება“ (2004) და „ისტორია და საინფორმაციო ტექნოლოგიები“ (2005) დეტალურად არის განხილული ისტორიული ინფორმაციის მნიშვნელოვანი საკითხები. კერძოდ: კომპიუტერი – ინფორმაციული დამუშავების საშუალება; საინფორმაციო საზოგადოება; ისტორიული ინფორმაციის საგანი, მიზანი, სტრუქტურა; ისტორიული ინფორმაციის განვითარების ეტაპები საქართველოში; ისტორიული ინფორმაცია და საისტორიო მეცნიერებები; ისტორიული ინფორმაციის ისტორიის პერიოდიზაცია; ისტორიულ მონაცემთა ბაზების როლი და დანიშნულება; ისტორიულ მონაცემთა ბაზების ტექნოლოგია, მეთოდოლოგია და მართვის სისტემები. დეტალურად ააქვს განხილული ტექსტურ მონაცემთა, პროსოგრაფიულ (ისტორიული ფაქტების), ფაქტოგრაფიულ (ისტორიული ფაქტების), გეოგრაფიულ მონაცემთა ბაზები. ასევე, სტანდარტული და სპეციალიზირებული საინფორმაციო ტექნოლოგიები; კომპიუტერული სტატისტიკური ანალიზი; ისტორიული პროცესების კომპიუტერული მოდელირება; გეოინფორმაციული სისტემები, წყარო, ინტერნეტი, ისტორიკოსი და მულტიმედიური ტექნოლოგიები.

საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებით საილუსტრაციოდ მოკლედ განვიხილავთ მხოლოდ მულტიმედიურ ტექნოლოგიებს (მულტი -ბევრი, მედია – რაიმეს მატარებელი). იგი საინფორმაციო ტექნოლოგიების ისეთი სახეა, სადაც სხვადასხვა სახის ინფორმაცია (ტექსტური, გრაფიკული, ვიდეო...) ერთად არის თავმოყრილი და ვიზუალური ფორმით წარმოდგენილი – ჩ ენციკლოპედიები, წიგნები და ა.შ. ამ თვალსაზრისით ისტორიკოსებისა და ეთნოლოგები-

სათვის არაერთი პროდუქტი არის მომზადებული. მაგალითად ელ-წიგნი: წმ. დავით გარეჯელის ცხოვრება; მოსკოვის წმ. გიორგის ქართული ტაძარი; შუა საუკუნეების ქართული ტიხრული მინანქარი; იოანე შავთელი - აბდულმესიანი. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივში დაცულია მულტიმედია ჩანაწერები: ეთნოლოგიური ფილმები - "ბერიკაობა"; "ორი გიორგობა"; აჭარის კომპლექსური ფოლკლორული ექსპედიციის მასალები. 2009 წელს გამოვიდა სტუდია „ანთროპოს“ მიერ მომზადებული V დისკები „ქართველთა ისტორიული და ეთნოკულტურული ეტიუდები“. აქ შედის ჩვენს მიერ 2002-2009 წლებში მომზადებული დოკუმენტური ფილმები:

1. საქართველოს ისტორიის ქრონიკები: ფილმი 17 სერიანია, იგი მომზადდა 2002-2003 წლებში ტელეკომპანია „ტელეარხ 25“-ში და მასში ეპოქების მიხედვით განხილულია საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხები: 1. შესავალი, პირველყოფილი ადამიანი; 2.ოქროს საწმისი; 3.პირველი მეფე ქართლისა ქართლოსიანი; 4.წმინდა ნინო; 5.ვახტანგ გორგასალი; 6.არაბები საქართველოში; 7.ბაგრატ მესამე ბაგრატიონი; 8.დავით აღმაშენებელი; 9.თამარი; 10.გიორგი ბრწყინვალე; 11.მონღოლები; 12.თემურ – ლენგი საქართველოში; 13. ტყვის სყიდვა საქართველოში; 14.დიდი მოურავი; 15.ვახტანგ მეექვსე; 16.ერეკლე მეორე; 17. ეპოქის დასასრული.

2. ტაო-კლარჯეთი ქართველთა სამეფო: ფილმი მომზადდა 2003 წელს ტელეკომპანია „ტელეარხ 25“- ში. მასში განხილულია ტაო-კლარჯეთის ისტორია და ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით დახასიათებულია - ხახული, იმხანი, ოშკი, პარხალი, ოთხთა ეკლესია.

3. ალპური დასახლება აჭარაში (გოდერძის უღელტეხილი-ბეშუმბი): 2007 წლის აგვისტოს პირველ ნახევარში მოენ-

ყო ეთნოგრაფიული ექსპედიცია ბეშუმსა და გოდერძის უღელტეხილის ზონაში, სადაც მოხდა თითქმის ყველა სეზონური დასახლების შემოვლა და ვიდეო მონიტორინგი. მოპოვებული მასალის საფუძველზე ფილმი მომზადდა ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და კულტურული ანთროპოლოგიის განყოფილებაში და სტუდია „ანთროპოპი“.

4. ნიგაზეული: ფილმი მომზადდა 2007 წელს რსუ საინფორმაციო ცენტრში და სტუდია „ანთროპოპი“. მასში ასახულია სოფელ ნიგაზეულის ისტორია, სახალხო დღესასწაული სელიმოზა, ეკო, აგრო და ეთნოგრაფიულ ტურიზმთან დაკავშირებული საკითხები. პროექტი განხორციელდა რსუ ბიზნესის სკოლამ და ტურისტულმა სააგენტო „იტოურ“-მა, ში და ჩ ფინანსური მხარდაჭერით.

5. სამი საქართველო: ტაო-კლარჯეთი, ფერეიდანი, საინგილო: 2008 წელს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის და ტურისტული სააგენტო „UNItour“-ის მიერ მოეწყო ექსპედიცია თურქეთში, ირანში და აზერბაიჯანში ქართველებით დასახლებულ ადგილებში. გადაღებული ვიდეო მასალის მიხედვით ფილმი მომზადდა ტურისტულ სააგენტო „UNItour“-ის და სტუდია „ანთროპოს“ მიერ 2009 წელს.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ ტიპის მასალების გამოყენება უმაღლეს სასწავლებლებში ბევრად აუმჯობესებს სასწავლო პროცესს. ასევე, ისტორიული ინფორმატიკის კიდევ უფრო განვითარება საქართველოში და მისი მეთოდებით დამუშავებული ქართული საისტორიო მასალის ინტერნეტში განთავსებით, მსოფლიოს მიენოდება უტყუარი ინფორმაცია როგორც საქართველოს ისტორიის, ასევე ქართული საისტორიო მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ და სხვ.

უცხოეთის საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრებში კარგად განვითარდა ვიზუალური ანთროპოლოგია. იგი ნახევარი საუკუნის წინ დაარსდა კულტურული ანთროპოლოგიის ჩარჩოებში და ამ დროისათვის ვითარდება, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა. ვიზუალური ანთროპოლოგია მჭიდრო კავშირშია კულტურულ და სოციალურ ანთროპოლოგიასთან. ანალოგიური მეცნიერება საქართველოში ძირითადად ორი სახელით ეთნოგრაფიითა (ხალხის აღწერა) და ეთნოლოგიით (ხალხის შესწავლა) არის ცნობილი. დასავლური სპეცლიტერატურის მიხედვით, ეს დარგები გაყოფილია, როგორც აღწერილობითი და თეორიული დისციპლინა და ორივე ისტორიისკენ, ხოლო სოციალური და კულტურული ანთროპოლოგია სოციოლოგიისკენ იხრება (ყიფიანი, 1995:6-9; მელიქიშვილი, 2000:9-10).

ვიზუალური ანთროპოლოგიის კურსი იკითხება საქართველოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში მათ, შორის ჩვენს მიერ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემდეგი გეგმით:

1. ვიზუალური ანთროპოლოგიის ისტორია, მიზნები და თანამედროვე განვითარების ტენდენციები: ვიზუალური ანთროპოლოგიის კვლევის ობიექტი და მომიჯნავე დისციპლინები. ვიზუალური ანთროპოლოგიის სამეცნიერო დარგად ჩამოყალიბების წინაპირობები - რ. ფლაერტი. ვიზუალური ანთროპოლოგიის სამეცნიერო დარგად ჩამოყალიბება - გ. ბეიტსონი, მ. მიდი. ვიზუალური ანთროპოლოგიის საზღვარგარეთის ცენტრები - ამერიკა, საფრანგეთი, ინგლისი, კანადა, რუსეთი და სხვა... ვიზუალური ანთროპოლოგია განათლების სფეროში. ჩანახატებისა და ფოტოების მნიშვნელობა ვიზუალური ანთროპოლოგიაში. ვიზუალური ანთროპოლოგიის თანამედროვე განვითარების ტენდენციები.

ისტორიული და ანთროპოლოგიური ფილმების ჩვენება და განხილვა: ნანუკი ჩრდილოეთიდან, 1922, რეჟისორი რო-

ბერტ ფლაერტი. ებრაული დიასპორა აჭარაში, 2001, ტაო-კლარჯეთი, 2003, რეჟისორი მანუჩარ ლორია. ეგვიპტე, 2005, რეჟისორი ჯონოტონ სტემპი

ფოტო ფილმების ჩვენება და განხილვა: ასენ ბალიქსი და ნეთსილიკელი ესკიმოსები, 2009. ნინო ბრაილაშვილი და საქართველოს ეთნოგრაფია, 2009. შალომ კობოშვილი და საქართველოს ებრაელები, 2010, დიმიტრი მარინოვის ფოტო ალბომი - რუსე, ავტორი მანუჩარ ლორია.

2. ქართული ეთნოგრაფიული ფილმი: ქართული კინო. ქართული კინოში ასახული ეთნოგრაფიული ასპექტები. ქართული ეთნოლოგია და ეთნოგრაფიული ფილმი. ქართული ეთნოგრაფიული ფილმის თანამედროვე განვითარების ტენდენციები.

ქართული ეთნოგრაფიული ფილმის ჩვენება და განხილვა: აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, 1912, რეჟისორი ვასილ ამაშუკელი. ელისო, 1928, რეჟისორი ნიკოლოზ შენგელაია. ჯიმ შვანთე, 1930, რეჟისორი მიხეილ კალატოზოვი. ვედრება, რეჟისორი თენგიზ აბულაძე.

ქალების ნადი, 2001, გოდორი, 2001, მეცხვარის ნაბადი, 2005, საახალწლო ჩვეულებანი, 2005, აჩაჩა ურემი, 2008, გუდის ყველი, 2008, რეჟისორი სოსო სტურუა. კინოსტუდია ქართული ფილმი, 2004, სამი საქართველო: ტაო-კლარჯეთი, ფერეიდანი, საინგილო., 2009, რეჟისორი მანუჩარ ლორია.

ეროვნული უმცირესობები და ანთროპოლოგიური ფილმები: პოლიეთნიკური საქართველო – აფხაზები, სომხები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, ებრაელები, ქისტები, ქურთები, ოსები, უდიები, რუსები, უკრაინელები.

ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ფილმის ჩვენება და განხილვა: სომხები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, ებრაელები, ქისტები, ქურთები, ოსები, უდიები, უკრაინელები. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლობა, 2008.

3. ვიზუალური ანთროპოლოგიის საველე კვლევის პრინციპები და მონაცემთა ბაზები: აუდიო-ვიზუალური ანთროპოლოგიის მეთოდოლოგიური საფუძვლები. წყაროთ-მცოდნეობითი ბაზა. ვიდეო მონიტორინგის პრინციპები. აუდიო-ვიდეო მასალის არქივიზაცია. ელექტრონული კოლექციები, მონაცემთა ბაზები, საძიებო სისტემები.

ვიდეო მონიტორინგის საფუძველზე მომზადებული ფილმების ჩვენება და განხილვა: ნიგალის ხეობა, 2000. ნიგაზეული, 2007. ალპური დასახლება აჭარაში (გოდერძის უღელტეხილი - ბეშუმე), 2007. რეჟისორი მანუჩარ ლორია.

4. ანთროპოლოგიური ფილმის მომზადების საფუძველები: ანთროპოლოგიური ფილმის სტანდარტები; სცენარის მომზადება. ფილმის მომზადების პრინციპები - გადაღება, კომენტარი, მუსიკა, მონტაჟი; ფილმის ავტორთა ფუნქციები - ეთნოლოგი, რეჟისორი, ოპერატორი, მემონტაჟე.

სხვადასხვა ჟანრის დოკუმენტური ფილმების ჩვენება და განხილვა: გელინო, რეჟისორი გიორგი კალანდია, დავით აღმაშენებელი, 2007, რეჟისორი მანუჩარ ლორია, ინგუშეთის ფოლკლორული მემკვიდრეობა, 2006, მაიას ცივილიზაცია, 2003, გრენ ტრაუნსლი.

სწავლის შედეგად სტუდენტი ეცნობა აუდიო-ვიზუალური ანთროპოლოგიის ისტორიისა და დარგის განვითარების თანამედროვე ტენდენციებს, კვლევის მეთოდებსა და ანთროპოლოგიური ფილმის მომზადების პრინციპებს.

ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში, განსაკუთრებით ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამებში აუცილებელია გათვალისწინებული იყოს ისტორიული ინფორმაცია და ვიზუალურ ანთროპოლოგია. ეს დისციპლინები ხელს უწყობს მივიღოთ გარკვეულ ღირებულებათა სისტემის მქონე მაღალკვალიფიცირებული, ერუდირებული, ანალიტიკური აზროვნების მქონე სპეციალისტები, რომლებიც შესძლებენ ორიენტირებას მრავალფეროვან მა-

სალაში და საინფორმაციო ტექნოლოგიების აქტიურ გამო-  
ყენებას სპეციალობაში.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ლ. მელიქიშვილი, ეთნოგრაფია თუ ეთნოლოგია, თბ., 2000.
2. პ. ყიფიანი, ეთნოლოგიის პრობლემები, თბ., 1995.
3. მ. გურაბანიძე, ქართული საისტორიო წყაროების კომპიუ-  
ტერული დამუშავება, თბ., 2004.
4. მ. გურაბანიძე, ისტორია და საინფორმაციო ტექნოლოგიე-  
ბი, თბ., 2005.
5. მ. ლორია, ქართველთა ისტორიული და ეთნოკულტურულ  
ეტიუდები. V, ბათ., 2009.

### **Манучар Лория**

#### **Историческая информатика и визуальная антропология в грузинской образовательной системе**

##### *Резюме*

Историческая информатика — вспомогательная историческая дисциплина, которая изучает методiku использования информационных технологий в изучении исторического процесса, публикации исторических исследований и преподавании исторических дисциплин, а также в архивном и музейном деле.

Визуальная антропология это — культурологическая деятельность, в которой взаимодействуют экранное искусство, гуманитарные науки и информационные технологии и которая направлена на получение и внедрение в социальную практику экранной информации о малоизвестных сторонах жизни народов с целью осуществления диалога культур.

Исходя из вышеуказанного, важно более активно, использовать историческую информатику и визуальную антропологию в Грузинской образовательной в системе.

მარინა შალიკავა

**ხელოსნობა და შინამრეწველობა.  
მეურნეობის დამხმარე დარგები**

(ჭვანის ხეობის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

ჭვანის ხეობაში საკმაოდ მაღალ დონეზე იყო განვითარებული ხელოსნობა და შინამრეწველობა. მთელი საოჯახო ცხოვრება ძირითადად ადგილობრივი ხელოსნური ნაწარმით კმაყოფილდებოდა. ძველთაგანვე განვითარდა ადგილობრივი ხელოსნობის რამდენიმე დარგი, მაგ: ხალხური მეტალურგია და მჭედლობა, ხისა და ქვის დამუშავება, მეთუნეობა, ფეიქრობა და ა.შ.

ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ჭვანაში არსებული სამჭედლო ცენტრი, (კახიძე, 1990,10) რომელიც თავის ფარგლებში რამდენიმე მცირე სამჭედლოს აერთიანებდა. ასეთ სამჭედლოებში მზადდებოდა არა მარტო ცივი და ცეცხლსასროლი, არამედ სამეურნეო-საოჯახო იარაღ-ინვენტარი.

სამჭედლო-სახელოსნოებს ჭვანის ხეობაში, ისევე როგორც აჭარის სხვა რეგიონებში, „დემირხანა“ [თურქ. qimir - რკინა hane – სახლი, ოთახი] ერქვა. ასეთ სამჭედლო სახელოსნოებში მზადდებოდა: ცული, ნალდი, თოხი, ყაზმა, სახნისი, ცელი, ნამგალი, ხერხი, ბურღი, ხვენი, სამფეხა, ნალი და სხვა. სამჭედლოში ჩვეულებრივ 2 ან 3 ხელოსანი მუშაობდა მთავარი ოსტატის ხელმძღვანელობით. სამჭედლო საქმე დიდ სიზუსტეს, გემოვნებას, დახვეწილობასა და მოთმინებას მოითხოვდა.

ჭვანის ხეობის ყოველ სოფელში 2 ან მეტი „დემირხანა“ მაინც ფუნქციონერებდა. ხეობის ცნობილი ხელოსნები იყვნენ: ბარათაულელი ალი, ხუსეინ და ხასან ჯაყელები; ვანელი ნიაზ ტარიელაძე, მერჯივან შარაშიძე; ზემოხეველი ე.წ. „უსტა“ ოსმანი, ახმედ ქათამაძე; ბრილელი შაქირ ბერიძე, ოსმან და ავთო ბოლქვაძეები; ხაბელაშვილებელი ზურაბ ბოლქვაძე, ნური შარაშიძე; ჟანივრელი უსუფ კილაძე; ნალვარეველი ქესკუმ ქათამაძე, მიხეილ ამალლობელი და სხვები.

ჭვანაში კარგად შემოინახა აგრეთვე ქართული ხალხური ხითხურობის ძირძველი ტრადიციები. ამ საქმეში აჭარელთა დაწინაურებაზე მიუთითებდა ვახუშტი ბატონიშვილიც. მისი თქმით, აჭარის მკვიდრნი არიან „ხელოვანნი ხის მუშაკობითა“ (ვახუშტი, 1941, 134). ჭვანელ ხის ოსტატთა ხელოვნება კარგად წარმოჩნდა საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის ორიგინალურ ხერხებში. საერთოდ აჭარული საცხოვრებელი სახლის იშვიათ არქიტექტურულ ფორმებზე არაერთი მკვლევარი ამახვილებს ყურადღებას. დიმიტრი ბაქრაძის თქმით, მთელს აჭარაში საუკეთესოდ მოჩუქურთმებული სახლები იყო: „ფანჯრებსა, კარებსა და თვით ბუხარზე საკმაოდ „ღვარჭნილი“ ჩუქურთმები იყო ამოკვეთილი“ [ბაქრაძე, 1987, 44). როგორც ჩანს, არა მხოლოდ ბუხარი და კარ-ფანჯარა, არამედ კედლები და ჭერიც იყო მოჩუქურთმებული. ამაზე ყურადღებას ამახვილებს ფრანგი მეცნიერი და ორიენტალისტი ჟან მურიე. მისი თქმით, აჭარაში ყურადღება ექცეოდა ასევე ტახტების, ჭალებისა და ჭერის ორნამენტაციასაც (მურიე, 1962, 35).

ჭვანის ყოველ სოფელში იყვნენ ხითხურობის განთქმული ოსტატები, რომელთა ხელმძღვანელობითაც მიმდინარეობდა სახლის მშენებლობა. მათგან აღსანიშნავია: რეზო ართმელაძე, ქესკინ ჭაღალიძე, ბადრი ბერიძე, ნუკრი შარაშიძე (სოფ. ხაბელაშვილები), დურსუნ ყიფიანი, დურსუნ ქარცივაძე, ოსმან ქარცივაძე, ჯემალ ყიფიანი, ნიაზ ქარცივაძე

(სოფ. ზემოხევი). ელინ შარაშიძე, ემინახმედ შარაშიძე, რე-  
ჯებ შარაშიძე, მევლუდ შარაშიძე, რეჯებ ტარიელაძე, თე-  
მურ ცენტერაძე, ნიაზ ტარიელაძე (სოფ. ვანი), მუჰამედ ჭა-  
ლალიძე, ისრაფილ ჭალალიძე, ინუს ჭალალიძე, დემურალ შა-  
რაშიძე (სოფ. ჭალა) და მრავალი სხვა.

საკვლევ რეგიონში ხის მხატვრულად დამუშავების ანუ  
მხვენელობის არაერთი ნიმუშია შემორჩენილი, რაც უშუა-  
ლოდ ამ დარგის განვითარებაზე მიუთითებს. ხარატულ ნა-  
კეთობათა დასამზადებლად ჭვანაში რამდენიმე ტიპის სამ-  
ხვენლო დაზგას იყენებდნენ. არსებობდა ხელის, ფეხისა და  
წყლის დაზგა. ხელისა და ფეხის დაზგებზე მხოლოდ კვირის-  
თავებსა და თითისტარებს ამზადებდნენ, ხოლო გობები,  
სუფრები, ჯამები, ქვიჯები (სანელებლების სანაყი), აგრეთვე  
აკვნისა და სკამის ცალკეული დეტალები წყლის დაზგებზე  
იჩარხებოდა.

მკვლევართა ნაშრომებში ყურადღებას იქცევს აჭარაში  
გავრცელებული ხის მრგვალი სუფრები, რომლებიც დღე-  
ებზე მონყობილ დაზგებზე იჩარხებოდა. სუფრის ზედა ნაწი-  
ლი ანუ სიბრტყე ერთი მთლიანი ხისაგან მზადდებოდა. აჭა-  
რაში გავრცელებულ ასეთ სუფრებს თ. სახოკია „ფემხუმს“  
უნოდებს: „ფემხუმის სახით გაკეთებული ხის ჭურჭელი, რო-  
მელიც სუფრის ალაგას იხმარება აქ და სახელადაც ფემხუმი  
ჰქვიან“. ცოტა ქვემოთ კი ამატებს: „შუაში დგამენ მრგვალ  
ხის სუფრას, მრგვალ ფეხიანს, სწორედ საეკლესიო ფემხუ-  
მის მსგავსს. საყურადღებო ის არის, რომ სახელადაც ამ  
სუფრას აქ ფემხუმს ეძახიან“ (სახოკია, 1985, 150).

ჭვანის ხეობაში ასეთ მაგიდებს ჩვეულებრივ სუფრის სა-  
ხელით მოიხსენიებენ. გამონაკლისია მხოლოდ ერთი შემ-  
თხვევა. სოფ. ბარათაულში გამოვლენილი იქნა ხისფეხებიან  
სპილენძის მაგიდა, რომელიც „ფემხუმის“ სახელით მოიხ-  
სენიეს. „ფემხუმ-ბარძიმს“ სულხან-საბა ორბელიანი საეკ-  
ლესიო ფერხიან მაღალ სასმისად მოიხსენიებს (ორბელიანი,

1991). საფიქრებელია, რომ აჭარაში გავრცელებულ სუფრასთან საეკლესიო ჭურჭლის — „ფეშხუმ-ბარძიმის“ მსგავსებამ გამოიწვია მათი სახელის იდენტიურობა. თ. ფუტკარაძის თქმით: „ფეშხუმი“ ადგილობრივთა სასაუბრო ლექსიკონში აღარ გვხვდება (ფუტკარაძე, ვარშანიძე, 2001, 55). თუმცა ნ. კახიძე ეყრდნობა რა თ. სახოკიას, მიუთითებს: „ტაბლის შესტყვის ტერმინად აჭარაში „სუფრა“ და „ფეშხუმი“ გვხვდებაო“ (კახიძე, 2004, 55).

საველე ეთნოგრაფიული მასალებისა და სპეციალურ ლიტერატურაზე დაყრდნობით იკვეთება აზრი, რომ „ფეშხუმი“ აჭარაში სპილენძის ხისფეხებიან მაგიდას წარმოადგენდა, ხოლო ეს სახელწოდება მოგვიანებით ხის ტაბლა-მაგიდებზეც გავრცელდა. მაგიდის სახელი „ფეშხუმი“ შესაძლოა მხოლოდ ჭვანის ხეობაში შემოინახა, რადგანაც თ. სახოკია აღნიშნავს, რომ „ჭვანის ქართული განთქმულია, და შიგ მრავალ საუნჯესა ვპოულობთ ჩვენი ძველი ენისაო“ (სახოკია, 1985, 235).

ჭვანის ხეობაში მაღალ დონეზე იყო განვითარებული ავეჯის დამზადება. ადგილობრივი ხალხური ავეჯიდან აღსანიშნავია: კიდობანი, კარადა, სკივრი და სხვ. ავეჯის ამა თუ იმ სახეობის განხილვა, მისი დამზადება და გენეზისი, განლაგება თუ გამოყენების ფორმები უშუალოდ არკვევს ხალხის ცხოვრების ხასიათს და სხვადასხვა ტიპის ავეჯის დამკვიდრების მიზეზის ახსნას აადვილებს. ამავე მიზეზით შეიძლება აიხსნას სკივრის დამზადების ტრადიცია. სკივრი ქალის გამზითვებისას მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. რაც უფრო დახვეწილი და სხვადასხვა ფიგურებით იყო განწყობილი იგი, მით უფრო თავმოსაწონ ნივთს წარმოადგენდა. ჭვანის ხეობაში ქორწილის დღეს სკივრის გადამტანის „თანამდებობაც“ კი არსებულა. სკივრის გადამტანს, არსებული ტრადიციის თანახმად სკივრი სოფლიდან სოფელში ზურგზე აკიდებული უნდა ეტარებინა. მთელს ჭვანის ხეობაში ცნობილი ყოფილა

ენ. „სკივრის გადამტანი“, სოფ. ნყალსაყრელი დურსუნ ქათამაძე.

ასევე გადამწვეფტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქორწილის დღეს პატარძლის სკივრზე დასმას და კალთაში პატარა ბიჭის ჩასმას. ამას ერთგვარი სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. სკივრზე დასმა ოჯახის სინმინდისა და სიმყარის შენარჩუნებას ნიშნავდა, ხოლო პატარა ბიჭის კალთაში ჩასმა შვილიერებასთან იყო დაკავშირებული.

ზემოთ აღწერილი მასალების მიხედვით ჩანს, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ყოფით ცხოვრებაში სკივრის, როგორც ერთ-ერთი უძველესი ქართული ხალხური ავეჯის დამზადების აუცილებლობა მრავალი მიზეზით იყო განპირობებული. იგი გარდა ტანსაცმლისა და სხვადასხვა ნივთის შესანახი ყუთისა, მრავალნაირი დატვირთვის მატარებელიც იყო.

ჭვანის ხეობაში ხალხური ავეჯის ყველაზე უფრო გავრცელებულ სახეობას აკვანი წარმოადგენდა. აკვანი ძირითადად წაბლის, კაკლის, ცაცხვისა და თხმელის მასალისაგან მზადდებოდა. აკვნის ცალკეული დეტალი ადგილობრივად ღელეებზე მოწყობილ დაზგებზე იჩარხებოდა. აკვანი რამდენიმე აუცილებელი დეტალისაგან შედგებოდა: აკვნის ხელი, აკვნის ფეხი, აკვნის კამარა, სიგანის და სიმალის ჯოხები და სხვა (ვარშალომიძე, 1978, 102, 103). ჭვანის ხეობაში ცნობილი მეთაკვნეები იყვნენ ბრილელი, მამა-შვილი ოსმან და ავთანდილ ბოლქვაძეები.

ამრიგად, ადგილობრივი ხალხური ავეჯის შესწავლამ გვიჩვენა, რომ მისი სრულყოფილი ფორმების შექმნა-ჩამოყალიბებას საუკუნეთა მანძილზე შემუშავებული ტრადიციები ასაზრდოებდა. იგი ძირითადად შეესაბამებოდა და პასუხობდა საოჯახო, სამეურნეო მოთხოვნებს. ჭვანის ხეობაში წარმოდგენილი ხის ავეჯი: სკივრი, მაგიდა, სკამი, კარადა, კიდობანი, აკვანი და სხვა. შესაბამისად პასუხობდა ადგი-

ლობრივი მოსახლეობის პრაქტიკულ და ესთეტიკურ მოთხოვნებს.

ყურადღებას იქცევს ჭვანის ხეობაში გავცელებული წნული ჭურჭლის ნაირსახეობა, რომელიც სოფლის მეურნეობის ყველა დარგისთვის საჭირო და აუცილებელ ინვენტარს წარმოადგენდა. წნულ ნაკეთობათაგან აღსანიშნავია: გოდორი, გიდელი, კალათი, ხილის საკრეფელი, ასევე სიმინდის გასასუფთავებელი ჭურჭლები „ცხავი“ და „ცხრილი“ და მრავალი სხვა. გოდორი ორგვარია, დიდი გოდორი და შედარებით მომცრო ზომის, ორფეხა, კონუსისებრი გოდორი. ხეობის მაღალმთიან სოფლებში უფრო ორფეხა კონუსისებრი გოდორი იყო გავცელებული, რაც უწინარესად რელიეფის თავისებურებით იყო განპირობებული. იგი განსაკუთრებით კარგად გამოიყენებოდა დამრეც ადგილებზე, რადგანაც „ფეხებით მინაში ჩაამაგრებდნენ და ფერდობს მიაყრდნობდნენ“ [დავითაძე აღ. 1983: 84]. გოდორი ძირითადად თხილისა და წაბლის ტკეჩისაგან მზადდებოდა. მ. ხაზარაძის თქმით: „კაი ოჯახი 7-8 გოდორსაც კი ითვლიდა“ (ხაზარაძე, 1988, 71). როგორც ჩანს, ოჯახში გოდორების რაოდენობა სიუხვისა და ბარაქის განმსაზღვრელიც იყო. საბას განმარტებით იგი „ნკეპლის ჭურჭელია“ (ორბელიანი, 1991, 164). ხოლო, ნ. ჩუბინიშვილი მას „წვრილი წნელისაგან მოწნულ სკივრს“ უწოდებს (ჩუბინიშვილი, 1961, 358).

ადგილობრივად მზადდებოდა გიდელიც, იგი შეუცვლელი ჭურჭელი იყო მაღლარი ყურძნისა და ხილის საკრეფად. გიდელი თხილის ტკეჩით იქსოვებოდა.

ამრიგად, ხეობაში ქსოვა-წვნის ხელოვნება საკმაოდ მაღალ დონეზე მდგარა. იმდენად მაინც, რომ იგი არ ჩამოუვარდებოდა საქართველოს არც ერთ რეგიონს და შესაბამისად აკმაყოფილებდა მისი მოხმარებისა და მოთხოვნილების ნორმებს. წნულ ინვენტარს დღესაც გარკვეული ადგილი უჭირავს ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო ყოფაში.

იმ კომპონენტებთან ერთად, რომლებიც განაპირობებდნენ რძის პროდუქტების მაღალ ხარისხს, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მის დასამზადებელ და შესანახ ჭურჭელს, რომელიც განსაკუთრებით მრავალფეროვანია ჭვანის ხეობაში. რძის პროდუქტების (ნაღულის, მანვნის, კარაქის და ყველის) შესანახად გამოიყენებოდა ნაძვის ხის ფართო ტკეჩით დამზადებული კოლოფები. არსებობდა „მაღალი,“ ანუ „სამანვნი“, „შუათანა“ და „პანაი,“ ანუ „სანალბე“ (ნაღების შესანახი) კოლოფები. ხალხური გამოცდილებით, კოლოფის მანონი ტკბილი იყო და ადრე არ მჟავდებოდა (დავითაძე, 1983, 75). ჭვანაში კოლოფს მატყლის, ნართის და თითისტარკინთაის (ყაისნალი) შესანახადაც იყენებდნენ. ე.წ. სამატყლე კოლოფი, რძის კოლოფებისაგან განსხვავებით მოგრძო და ოვალური ფორმისა იყო.

ყველის შესანახ ჭურჭელს „გვარდას“ უწოდებენ. ჭვანაში გავრცელებულია ორი სახის გვარდა, ოვალურ-წრიული და მართკუთხა ფორმისა.

კარაქის სადღვებად გამოიყენებოდა ნავისებური ჭურჭელი – ვარია, იგი მთლიანი ხისაგანაა დამზადებული, გულამოღებულია და ორმხრივ დახურული. შუაში მოზრდილი ნახვრეტი აქვს კარაქის ამოსაღებად. ვარია ჭერზე თოკით მაგრდებოდა, და ჰორიზონტალური რხევის შედეგად კარაქი იდღვიბებოდა. ჭვანის ხეობაში გამოიყენებდნენ არა მარტო ხის, არამედ თიხის ვარიებსაც, რომლებიც ასევე ადგილობრივად მზადდებოდა.

ჭვანის ხეობაში არსებული კერამიკული ნაწარმის აურაცხელი რაოდენობა, რომელიც დღემდე თვითგამოვლენის [მაგ: სოფ. ვანში მთიდან მოირღვა მიწის დიდი ფენა, სადაც გამოჩნდა უძველესი დიდი ზომის ქვევრები] რამდენიმე შემთხვევაშიც დასტურდება, გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ საკვლევ რეგიონში ხელოსნობის ამ დარგს მართლაც ძირძველი ტრადიციები გააჩნდა.

ჭვანის ხეობაში (ოთოლთის ციხესთან და მის მიმდებარე ტერიტორიაზე)

ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგად გამოვლენილი იქნა კერა-

მიკული წარმოების მრავალი ნიმუში: თონეები, ქვევრები, დოქები და თიხის სხვა ნაკეთობები (მამულაძე, 1983, 35-40). მკვლევარი შ. მამულაძე ჭვანის ციხის არქეოლოგიურ მასალას სამ პერიოდად ჰყოფს. ანტიკურ, განვითარებულ და შუა საუკუნეების ხანად. ამის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ საკვლევ რეგიონში კერამიკულ წარმოებას ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან ეყრება საფუძველი. განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფ. ბრილში აღმოჩენილი თიხის საბადოები. ამ სოფლის სხვადასხვა უბანში — ნაზიარევში, გაღმაკისრობში, ცაცხვნარში, ნახიზნევსა და ნაბოსტნევში მიკვლევული თიხის საბადოები მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდაა აღიარებული.

ხეობის სოფლებში ასევე ამზადდებდნენ თიხის სხვადასხვა ჭურჭელს: სხვადასხვა ზომის ქოთნებს, დერგებს, დერგულებს, ჯამებს, კეცებს და ა.შ. შინ მოხმარების გარდა, კეცები მცირე რაოდენობით გასაყიდადაც გაჰქონდათ მახლობელ რეგიონებში. კეცების კეთების ტრადიცია ჭვანის ხეობაში დღესაც გრძელდება.

ამრიგად, ჭვანის ხეობაში თვითნაბადი უმაღლესი ხარისხის თიხა საშუალებას აძლევდა აქაურ გლეხკაცს, ხელოსნობის ამ დარგშიც ეცადა ბედი. შესწავლილი არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა ნათელ წარმოდგენას გვიქმნის წარსულში კერამიკული წარმოების მასიურ ხასიათზე.

ჭვანის ხეობაში ქვის დამუშავების მდიდარი ტრადიციები არსებობდა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მთიან აჭარაში გავრცელებული თალიანი ხიდებიდან ერთ-ერთი ჭვანის ხეობის სოფ. ჭვანაში მდებარეობს. მსგავსი თალიანი ხიდების შესახებ თ. სახოკია წერს: „ადამიანს ძალზე ანცვიფრებს

ის სითამამე, რა სითამამითაც ძველი დროის ოსტატს ეს ქვის რვალი ერთი ნაწილიდან მეორეზე გადაუტყორცია. მისი მშენებელი საფლავიდან რომ წამოდგეს, ბევრს ახლანდელ ინჟინერს აწურვინებს ოფლს“ (სახოკია, 1985, 200].

ქვაზე კვეთელობის ნიმუშებიდან აღსანიშნავია საცხოვრებელ სახლებში დატანებული ქვის ბუხრები, რომელთაც ქვითხუროთა განსაკუთრებული ოსტატობის კვალი აჩნია. ჭვანის ხეობაში მრავლად მოიპოვებოდა საბუხრე ქვის საბადოები. ველზე მოპოვებული მასალების თანახმად, ბუხრის გასაკეთებლად „ობოლ ქვას“ არჩევდნენ. საბუხრე ქვა ადვილად სახეთქი და კაჟ-ნაკლები უნდა ყოფილიყო. მდინარესთან ახლო მოპოვებული, ანუ „ნასველები“ ქვა არ გამოდგებოდა, საბუხრედ უფრო ფერდობის ქვას არჩევდნენ.

თლილი ქვის ბუხრის შემკულობიდან ყურადღებას იქცევდა ბუხრის ქემერი. ქემერს კლაკნილი არშია ან თოკისებური გრეხილი გასდევდა და გამოჰყოფდა სხვა ნაწილებისაგან. ქემერზე გამოსახული იყო მზის, მზისთვალის, მზებორჩხალის და სიცოცხლის ხის მოტივი. ბუხრის თაროსა და ფეხების შემკულობაში ჭარბობდა გეომეტრიული და ასტრალური ფიგურები (ვარშალომიძე, 1972, 103).

ბუხარი კერის ანალოგია. კერა კი ოჯახის წევრთა თავშეყრის, სინმინდის, ბარაქის მოზიდვის, აგრეთვე ავი თვალისაგან დასაცავად მოწყობილი რიტუალის ადგილი იყო. სწორედ ამიტომ ხდებოდა მისი სხვადასხვაგვარი სიმბოლიკით დატვირთვა.

XX ს-ის 70-80-იანი წლებიდან ჭვანის ხეობაში მასიურად აშენდა ახალი საცხოვრებელი სახლები, რომელთაც ქვის ჩუქურთმიანი ბუხარი აღარ ამშვენებთ. ძველი საცხოვრებელი სახლის დაშლის შემდეგ ბუხრის ქვა ახალი სახლის ცემენტის საძირკველში გამოუყენებიათ, როგორც ჩვეულებრივი სამშენებლო მასალა(ვარშალომიძე, 1972,105].

ქვითხურობის უნიკალური ნიმუშია ასევე სოფ. ჭალაში მიკვლეული თლილი ქვისაგან ნაკეთი „მუსლული.“ [თურქ: მუსლუკ-ონკანი, ან ონკანი ცხელი წყლით]. „მუსლული“ კვადრატული ფორმის წყლის ავზია (დაახლ. 2,5X2,5). თალი ღიაა. გადმოცემის თანახმად, წინათ ყავრით ყოფილა დახურული. იგი მიდგმულია მთის წიაღიდან გამომდინარე პატარა წყაროს, რომელიც შიგ ჩაედინება. ავზს წინა მხრიდან დატანებული აქვს სპილენძის პატარა ღარი, საიდანაც წყალი მოედინება. ადგილობრივი მოსახლეობა მას თერნალში (სოფ. ჭალასთან 4-5- კმ-ის დაშორებითაა) გაკეთებულად მიიჩნევს. „მუსლულის“ წინა ხედი მოჩუქურთმებულია. ხალხში დაცულია „მუსლულზე“ მოთავსებული არაბული წარწერის შინაარსი, რომელიც გვამცნობს: „დედავ, თოთოშავ ჯაყელო“. ადგილობრივი მკვიდრნი ამ „მუსლულს“ თოთოშა ჯაყელის შვილის გაკეთებულად მიიჩნევს, რომლის სახელიც ისტორიას არ შემოუნახავს. იციან მხოლოდ, რომ სამცხიდან მოსული ჯაყელების შტოს ეკუთვნოდა. ადგილობრივად დამზადებული ქვაზე მკვეთელობის ეს უნიკალური ნიმუში ნათელს ხდის, რომ საკვლევ რეგიონში ხელოსნობის სხვა დარგების მხარდამხარ ქვითხურობაც ვითარდებოდა.

ჭვანის ხეობაში ძველთაგან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქალის, განსაკუთრებით გასათხოვარი ქალის საფეიქრო საქმეში განაფულობას. ქსოვა-ქარგვაში დაოსტატებულ გასათხოვარ ქალებს კარგი მოწონება ჰქონდათ. ყურადღებას იქცევს ადგილობრივად ნაქსოვი წინდები. აქაურ ქალს წინდის ქსოვის ტექნიკა და მისი ორნამენტაცია თითქოს სულსა და სხეულში აქვს გამჯდარი. ორნამენტი ქართულია, ხშირად ჯვრის შეფარული გამოსახულებით. ორნამენტებში გაბნეულია ასევე ქართული ანბანის (ხმოვნების) მსგავსი გამოსახულებანი. ყურადღებას იქცევს არა მარტო წინდების, არამედ ქალის ჩასაცმელის, თავსაბურავის, საცხოვრებელ სახლებში კედლების სამშვენისად გამოყენებული ფარდაგების ნაქარ-

გობაც. მათზე გამოსახულია ფრინველების, გეომეტრიული თუ ასტრალური ფიგურები, ასევე მზე და სიცოცხლის ხის მოტივი. მკვლევარი ჯ. ვარშალომიძე აჭარაში ნაქსოვ-ნაქარგ ტილოებზე წარმოდგენილი შინაარსის ფიგურებს წმინდა ქართულ სარჩულს უძებნის, რადგან მსგავსი გამოსახულების გამოსატყა უჩრვეულო და მიუღებელი იყო ისლამის სუნიტური მიმდინარეობისთვის (ვარშალომიძე, 1986, 30-40).

ჭვანაში ძველთაგანვე იცოდნენ საპნის დამზადება. საპონი შინამეურნეობრივი ნაწარმი იყო, რომლის დამზადების აუცილებლობას სანიტარული ნორმების დაცვა მოითხოვდა. საპნის დამზადება რთული და შრომატევადი საქმე იყო. მისი შემადგენელი კომპონენტები ცალ-ცალკე საჭირო დამუშავებას მოითხოვდა. ერთ-ერთი კომპონენტი იყო ცხოველური ქონი (ძროხის, ცხვრის ან დათვის). საპნის დასამზადებლად ცხოველის ქონს დაადნობდნენ ნელ ცეცხლზე, რომ არ დამწვარიყო და თეთრი ფერისა გამოსულიყო. შემდეგ გააცივებდნენ და ხის ჭურჭელში შეინახავდნენ. საუკეთესო ცხოველის ცხიმად დათვის ქონი ითვლებოდა, რადგან მისგან დამზადებული საპონი თეთრი ფერის იყო და სიმყარით გამოირჩეოდა (კახიძე, 1969, 59-60).

მეორე აუცილებელი კომპონენტი ნაცარი იყო, რომლისგანაც ტუტეს ამზადებდნენ. ნაცარს გარკვეული დროის მანძილზე აგროვებდნენ. როცა საჭირო რაოდენობას შეაგროვებდნენ, იწყებდნენ საპნის დამზადებას. თავდაპირველად გაცრილ ნაცარს ჩაყრიდნენ ხის ჭურჭელში, რომელსაც ძირში წვრილი ნახვრეტები ჰქონდა. ნაცარს ზემოდან ასხამდნენ მდულარე წყალს. ნაცარში წყლის გასვლისას მიიღებოდა ღია ყავისფერი სითხე — ტუტა.

ტუტას ასხამდნენ თავღია ჭურჭელში და ადუღებდნენ მანამ, სანამ არ შესქელდებოდა, შემდეგ მასში ყრიდნენ ცხიმს, მარილს და კოვზით ურევდნენ. როცა ნახარში გაცივდებოდა – გამყარდებოდა და საპნად გადაიქცეოდა. მზა სა-

პონს ოთკუთხა ნაჭრებად ჭრიდნენ. ჭვანის ხეობაში სცოდნით ასევე ქონის ნაცვლად ნაძვის ფისით საპნის დამზადებაც.

ჭვანის ხეობაში ძველთაგან ფლობდნენ ქსოვილების შეღებვის ხელოვნებას. შალის ძაფის შესაღებად ხმარობდნენ მაკაფია ბალახს, ენდროს, ხოზიკას, კაკლის მწვანე ნაჭს ანუ ნენგოს, წყავის ქერქს, ნარინჯყვავილს და სხვ. (სამსონია, 2005, 38).

შავი ფერის მისაღებად გავრცელებული იყო ნიგვზის, მუხისა და მურყნის ქერქის ერთობლივი ნახარში, რომელსაც ფერის სიმკვეთრის შესანარჩუნებლად შაბს უმატებდნენ, ხოლო ყავისფერ ფერს თხმელისა და კაკლის ნაჭუჭის შეერთებით ღებულობდნენ.

წითელი ფერის მისაღებად ენდრო და ინა იხმარებოდა. შეღებილი ნართი ან ქსოვილი ნახარშივე უნდა გაცივებულიყო. გაცივების შემდეგ მას დიდხანს, ფერის გასვლამდე ავლებდნენ ცივ წყალში.

გარდა ბუნებრივი საღებავებისა, ჭვანაში მოიხმარდნენ ქიმიურ საღებავებსაც, რომელსაც ბოშები სოფელ-სოფელ დაატარებდნენ და პროდუქტებში ცვლიდნენ. ამ საღებავს „ბოიას“ უწოდებდნენ.

როგორც ვხედავთ, ადგილობრივი მოსახლეობა ფლობდა ფერადი ფერების მიღების საიდუმლოს, რაც თავის მხრივ ამდიდრებდა და უნიკალურს ხდიდა მათ მიერ დამზადებულ საფეიქრო ნაწარმს, იქნებოდა ეს სვიტრები, წინდები, ხალიჩები, ფარდაგები თუ სხვ.

ამრიგად, განხილული ეთნოგრაფიული და საველე მასალების ფონზე ჭვანის ხეობაში წარმოდგენილი ხელოსნობის ნაწარმი წარმოდგენას გვიქმნის თუ რა კულტურულ იერარქიას ფლობდა წარმოდგენილი რეგიონის მკვიდრი მოსახლეობა.

**Marina Shalikava**

**Handcrafting and Domestic Manufacturing.  
Adjunct Farming Branches**

(On the Chvani Gorge Ethnographic Resources)

*Summary*

Handcrafting and domestic manufacturing were highly developed branches in the Chvani gorge. The households were self-sufficient with the products of the local domestic manufacture; Several branches of the local handicraft had developed at the earlier stages than others, for instance, popular metallurgy and smith-work, processing of and carving on wood and stone, pottery and weaving. The reflected ethnographic materials and field-work gains compile a comprehensive source, which represents the Chvani gorge products as impressive indicator of the cultural hierarchy of the society in the region.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თბ., 1987.
2. ალ. დავითაძე, ქართული ხალხური ტრანსპორტის ისტორიიდან, ბათუმი, 1983.
3. ჯ. ვარშალომიძე, ხალხური ორნამენტი მაჭახლის ხეობაში, ს.დ.ს.ყ.კ. VI, თბ., 1978.
4. ჯ. ვარშალომიძე, ხალხური დეკორატიული ქსოვილები და ნაქარგები აჭარაში, ს.დ.ს.ყ.კ. XIII, თბ., 1986.
5. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტფ., 1941.
6. ნ. კახიძე, ხელოსნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათ., 2004.
7. ნ. კახიძე, ხელოსნობა აჭარაში, ს.დ.ს.ყ.კ. XVII, თბ., 1990.
8. ნ. კახიძე, საოჯახო მეურნეობის ისტორიიდან აჭარაში, აჭარის სოფელი, თბ., 1969.

9. შ. მამულაძე, აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, ბათ., 1983.
10. ყ. მურიე, ბათომი და ჭოროხის აუზი, ბათ., 1962.
11. ს.ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1991.
12. ი. სამსონია, ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათ., 2005.
13. თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათ., 1985.
14. თ. ფუტყარაძე, ნ. ვარშანიძე, შუბანი, თბ., 2001.
15. ნ. ჩუბინიშვილი, ლექსიკონი, თბ., 1961.
16. მ. ხაზარაძე, ქართული ხალხური ხის ქურჭელი, თბ., 1988.

# ტოპონიმიკა

*ეთერ ბერიძე*

## სოფ. კორიდეთის ტოპონიმიკა

კორიდეთი ნიგალში, მურღულისწყლის მარჯვენა სანაპიროზე გაშლილ მწვანე ფერდობზე გაშენებული ლამაზი სოფელია, შედგება 60 კომლისაგან. კორიდეთი ცნობილია ღმრთისმშობლის ეკლესიით, სადაც მე-9 საუკუნიდან მე-14 საუკუნემდე ინახებოდა ბერძნული ოთხთავის ხელნაწერი ეტრატი. მე-14 საუკუნიდან ეს ხელნაწერი ზემო სვანეთში, კალის თემის წმიდა კვირიკეს ეკლესიაში დასტურდება.

სოფლის სახელი, შესაძლებელია, წარმოსდგას სიტყვისაგან – კორდი, რაც ნიშნავს ბალახიან მიწის ნაკვეთს. ზოგჯერ ჩვენებურთა და თურქთა მეტყველებაში ეს სახელი გვხვდება კორდიეთის ფორმით. სავარაუდოა, რომ კორიდეთი გვიანდელი პერიოდის სახელიც იყოს. სიტყვაში ფონეტიკური მოვლენა მოხდა რ-ს და დ-ს შორის თანხმოვანთგამყარი – კორდ-ი-ეთი//კორ-ი-დეთი.

სოფელი ძირითადად ქართველებთაა დასახლებული, მაგრამ ახალგაზრდობამ სამწუხაროდ, ქართული აღარ იცის. სოფლის მცხოვრებთა მეხსიერებას თითქმის ქართული გვარსახელებიც აღარ შემორჩენია. ჩვენს მიერ ჩანერილი ანთროპონიმებია: ილდირიმ, იუზლარ, ედიზლარ, გენისლარ, ოქთელ, ქუჩუკილდიზლარ, დირველოლლულარ, გუმუშლარ, შიმქშელერ, ყადიოლლი, შიმშექ, ოზდენ.

კორიდეთში ჩავინერეთ ოცდახუთი ტოპონიმი.

ტოპონიმი განიხილება ენის ლექსიკური ფონდის ერთ ნაწილად, რადგან მას აქვს ყველა ის თვისება რაც ლექსიკოსათვის არის დამახასიათებელი (ბერიძე, 2008, 101). ტოპონიმთა გარკვეული ნაწილი სახელური წარმოშობისაა. სხვა საკუთარ სახელთაგან განსხვავებით ტოპონიმები მიჯაჭვული ერთეულებია, ისინი იზიარებენ ტერიტორიული დიალექტის ერთეულთა ხვედრს, მაშასადამე მოსალოდნელია ტოპონიმია ასევე ასახავდეს დიალექტიკურ მოვლენებს (აფრიდონიძე, 1987, 62).

მართალია ტოპონიმია ენის ლექსიკური ფონდისა მდგრადი კონსერვატული ნაწილია, მაგრამ კიდევ უფრო მდგრადია სიტყვათწარმოებითი ფორმანტები.

კორიდეთის ტოპონიმებში არ გვხვდება ან ნაკლებად გვხვდება აფიქსთა სესხების, სესხების უკიდურესი გამოვლენის ფაქტები, რაც ენათა საბოლოოდ შერევას ნიშნავს. ამიტომ ფორმანტებისა და დინამიკის კვლევა შედარებით უფრო კანონზომიერ და საინტერესო სურათს გვაძლევს.

კორიდეთში 4 სოფლის უბანია და ოთხივე თურქული სახელწოდებით გვხვდება: მერქეზ მაჰალე (მერქეზმაჰალეცენტრი უბანი) (თქლ, 2001, 966), იაუზლარ, ქუჩუკილდიზ მაჰალე, დიუზენინ მაჰალესი. სამეცნიერო წყაროებსა და კარტოგრაფიულ მასალებში ამ ტერიტორიაზე მხოლოდ კორიდეთი აღინიშნება. სოფლის უბნები და შესაბამისად სახელწოდებები XX საუკუნეს უნდა განეკუთვნებოდეს.

21 სახელი ეტიმოლოგიურად გამჭვირვალეა. 6 გაკომპოზიტებულ და 3 მარტივ სახელში მჟღავნდება სალიტერატურო ქართულის ფორმა და მნიშვნელობა — **კომპოზიტები** — რუქვეშ - (სათ.); **გულიყანა** - (იაილა); **გუბიკარი** - (ქართ.); **გაღმავენახი** - (თხილნ.); **ტურიყანა** (ქართ.); **დამასხიძირი** (საძ.ტყე). დამასხი ქლიავის ერთი სახეობაა, მომდინარეობს ქალაქ დამასკოსაგან.

**მარტივი სახელები** — კალო(სათ.); ქედი (ქართ.); ტყე (ტყე).

ზოგიერთ სახელს მანარმოებელი საერთოდ არ გააჩნია, მაგ., **თეთრუბ** (იაილა) მთის თეთრი ღრუბლების გამო წოდებული სახელი, **ჭელარ** (სათესი), სავარაუდოდ, ქართული “ჭილარ”, ჭისლარი.

სოფელში გვხვდება სუფიქსებით ნანარმოები სახელები — **ბუგნარა** (ტყე), სავარაუდოდ ბუკ-ნარ-ი. ბუკი — 1. დიდი მრგვალი კუნძი, 2. მორი (კუთხ. სკა, გეჯა) (ქეგლ, 1990, 136). ბუკნარი დასტურდება ქობულეთის რაიონში. **იმხნარა** (სათ.,სად.), სავარაუდოდ, “იმფხალნარა”. -ნარ(ნალ), -ნარ-ა (ნალ-ა) სუფიქსები დაერთვის მცენარეთა სახელებიდან მომდინარე ტოპონიმებს, გამოსატავს კრებითობას და ამათუ იმ მცენარის სიმრავლეზე მიუთითებს, ზოგჯერ მიუთითებს ნიდაგის რაგვარობაზეც.

ნიგალის ხეობაში გავრცელებულია **-ეთ** სუფიქსით გაფორმებული სახელები გვხვდება კორიდეთშიც. **ლივ-ეთ-ი** (სათ.), უნდა ნიშნავდეს “ლია-ეთს” ტალახწყალს. **ტბ-ეთ-ი** (სად.). სამხრეთ-დასავლეთსაქართველოს ტერიტორიაზე დასტურდება: ტაბისყური, ტობა, ტებეთი ტბეთი, მიუხედავად არაერთი მოსაზრებისა, ამ ტოპონიმთა სახელწოდების ამოსავლად სახელდება ტბა (ბერიძე, 2009, 159). **ტივ-ეთ-ი** (მეზრე, ზეგანი), რაც “თივ-ეთ-ს” უნდა უკავშირდებოდეს. **-ეთ** სუფიქსი საკმაოდ ძველი და პროდუქტიული ფორმანტია ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში (შანიძე, 1973, 141).

კორიდეთში ვხვდებით ტოპონიმთა პრეფიქს-სუფიქსურ ნარმოებას წინავითარების **-ნა** და დანიშნულების **-სა** თავსართებით და **-ავ-ევ** ურთიერთმონაცვლე კრებითობის სუფიქსებით ნანარმოები სახელებს — **ნა-ფუნ-ევ-ი** (თხილნ.) სავარაუდოდ ნაფურნევი, **ნა-გომ-ავ-ი** (სათ.) სავარაუდოდ ნაგომევი, გომი (მსხვილფეხა რქიანი საქონლის საზამთრო

სადგომი (ქგლ, 1990, 326). - ნა ანარმოებს ნამყო დროის მიმ-  
ლეობას საშუალო და ვნებითი გვარის შინაარსით (ჩიქობავა,  
1942:183) -სა მყოფადი დროის მიმლეობას ასევე საშუალო და  
ვნებითი გვარის ზმნებისაგან (ზურაბიშვილი, 1961, 140). -  
ევ სუფიქსს აკად. შანიძე მრავლობითის მანარმოებლად მი-  
იჩნევს (შანიძე, 1941, 766).

-სა პრეფიქსით ნანარმოები სახელებია **სა-სტუმ-ი** (ზე-  
განი, მეზრე, სათიბი, ვაკე), **სა-ბად-ურ-ი**(სათ.,სად.), **სა-  
ხტომ-ი(ტყე)**.

თურქეთის საქართველოში გაბატონებული მდგომარე-  
ობა აქვს სახელმწიფო ენას – თურქულს, მაგრამ ტოპონომე-  
ბიდან, მინის ენიდან ძალუმად ისმის მშობლიური ენა, ამი-  
ტომ მათი აღნუსხვა და სტრუქტურისა და ისტორიის შესწავ-  
ლა ამ კუთხის ისტორიის აღნუსახვა და შესწავლაა, რაც აქ-  
ტიურად უნდა გაგრძელდეს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. ბერიძე, მესხეთის ტოპონიმთა სტრუქტურისა და ისტო-  
რიისათვის, თბ., 2008;
2. შ. აფრიდონიძე, დიალექტი და რეგიონალური ტოპონიმია,  
იბერიუკ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXVI, თბ.,  
1987;
3. თურქულ-ქართული ლექსიკონი (შემოკ. თქლ), ლია ჩლაი-  
ძის რედაქციით, 2001;
4. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული,  
ნაკვეთი I, 1990;
5. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტ. I,  
თბ., 1973;
6. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული,  
ნაკვეთი II, 1990;

7. თ. ზურაბიშვილი, ტოპონიმიკის შესწავლისათვის, კრ. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961;
8. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942;
9. ა. შანიძე, -ევ კილოს კვალი ქართულ გეოგრაფიულ სახელებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მომამბე“, ტ. III, 8, ტფ. 1941.

## **Этер Беридзе**

### **Топонимика села Коридети**

#### *Резюме*

В селе Коридети мы записали двадцать пять топонимов. Из них 21 – грузинский и 4 – турецкий. В этих топонимах не встречаются или вообще не фиксируются заимствования аффиксов, не имеются факты крайнего проявления заимствования, что указывает на смешивание языков. Поэтому исследование формантов и динамики закономерно и отчетливо показывает интересную картину.

На территории исторической Грузии в Турции, в частности, Нигали зафиксированы многие топонимы грузинского происхождения. Их анализ является изучением истории региона

# ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ტ ი კ ა

*გურანდა შამილიშვილი*

## **„სუმრობა, იუმორი, სატირა - ეს ცხოვრებაა“...**

იუმორის გრძნობა, ადამიანის შინაგანი კულტურის ყველაზე რაფინირებულ-ლი გამოვლინება, ცხოვრების მხნე და ხალისიანი თანამგზავრია. იგი ინტელექტის და მაღალი გემოვნების გამოხატულებაა. სიცილის საგანი კომიკურის კონკრეტულ-ისტორიული ხასიათის გამო ხშირად იცვლებოდა. სატირა და იუმორი მკაფიოდ ასახავს იმ ჭიდილს, ბრძოლას, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ნიაღში, საზოგადოებრივ ფენებს, ცალკეულ პირთა შორის არსებობს. შეიძლება ითქვას, მასთან სატირა და იუმორი ბრძოლის ერთ-ერთი სახეა, მართალია თავისებური, მაგრამ არანაკლებად მწვავე და, ზოგიერთ შემთხვევაში, არანაკლებ გამანადგურებელიც, ვიდრე სხვა საშუალება. მოხერხებული და მიგნებული დაცინვით პერსონაჟებს აცამტვერებს.

ცნობილია, „ფელეტონი არის მაღალკვალიფიციური მხატვრულ-პებლიცისტური ჟანრი, რომელიც უთუოდ გულისხმობს შესრულების პუბლიცისტურ მანერას, როგორც ამა თუ იმ ფაქტის ან მოვლენის განზოგადების აუცილებელ პირობას. ამასთანავე, იგი უნდა ემორჩილებოდეს მხატვრული ნაწარმოების აგების საერთო კანონებს, არჩეული თემისა და მიზნის შესაბამისად იყენებდეს სატირისა და იუმორის ელემენტებს“ (შენგელია, 2005, 202).

ფელეტონის ძირითადი ქვაკუთხედი იუმორია. დაცინვა იარაღია, იუმორი კი, ამ იარაღის ნიშან-თვისება. ფელეტო-

ნის საშუალებით მწერალმა უდიდესი ამოცანა უნდა დაისახოს, შექმნას კომიკური სიტუაცია. ისეთ მდგომარეობაში ჩააყენოს თავისი გმირები, რომ გამოჩნდეს მათი სასაცილო არსი. ფელეტონი არის ერთ-ერთი ყველაზე მეტრძოლი ჟანრი, რომელიც ემსახურება ნაკლოვანებათა მხილება-ლიკვიდაციას. ის ემყარება კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას. ბრძოლის იარაღად იყენებს პუბლიცისტურ შემართებას, სატირისა და იუმორის ძალას, ხატოვანი აზროვნების ხერხებსა და საშუალებებს.

ფელეტონში კომპრომისი არ არსებობს. დასაგმობს გმობს, ადრესატსაც დანაშაულის ჩადენის სურვილს უხშობს, სათანადო ორგანიზაციასაც ზომებს აღებინებს. ყოველივე ამით კი საზოგადოების პროგრესს, წინსვლას უწყობს ხელს.

ნოდარ დუმბაძის სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული იუმორთან, ფელეტონთან. ცრემლიანი და ტკივილიანი სიცილი იყო ის უმთავრესი იარაღი, რომლის მეშვეობითაც აღწევდა იგი დიდ შემოქმედებით თავისუფლებას. "სიცილი ადამიანის სიცოცხლისუნარიანობის უმთავრესი ნიშანთაგანია,- წერს გურამ ასათიანი - ვიდრე ადამიანს მტერზე, მოყვარეზე, თავის თავზე, საერთოდ გაცინება შეუძლია, ეს ნიშნავს რომ მისი საქმე ჯერ კიდევ არ წამხდარა. ხალხი, რომელმაც ასეთი სალი, გადამდეგი სიცილის უნარი შეინარჩუნა არ არის განწირული. ეს უნდა თქმულიყო, ეს უსათუოდ უნდა ეთქვა ვინმეს ჩვენს დროში დიდი ზარისა და განსაცდელის საუკუნის, დიდ წარღვნათა შემდეგ და ეს თქვა ნოდარ დუმბაძემ. ეს იყო მისი უპირველესი სათქმელი, ამის თქმა სხვას არავის შეეძლო" (ასათიანი, 1977, 53). "მე თავისუფლება მინდოდა და სიცილი იმისთვის ავირჩიეო"- ეს თითქოს მწერლის შემოქმედების ძირითადი ფორმულაა.

ახალგაზრდობაშივე ჯვებზე დუმბავას ფსევდონომით ყურნალ "ნიანგში" გამოქვეყნებული ფელეტონებით ნიჭიე-

რი ფელეტონისტის სახელი დაიმკვიდრა. ცხოვრებაში ზედმინვენით გონებამხვილმა, ხუმრობისა და თხრობის იშვიათი ნიჭით დაჯილდოვებულმა, საჭირო საგანი მოუძებნა ამ უნარს და გზა მისცა იუმორესკებად, ფელეტონებად და მოთხრობებად რომ გარდაქმნილიყო. ნოდარ დუმბაძის ხალასი ნიჭით აღბეჭდილ ამ იუმორისტულ ნოველებსა და ფელეტონებში იმჟამინდელი ყოფის მრავალი მანკიერება იყო კრიტიკისა და მხილების საგნად ქცეული. „ხუმრობა, იუმორი, სატირა – ეს ცხოვრებაა. . .“სატირა და იუმორი ერთი დედის შვილები არიან. იუმორი თბილი შხაპია, ის ათბობს და ეფერება ადამიანს, თან ჭუჭყსაც ჩამობანს, ჭუჭყს ისიც ჩამობანს, ოღონდ ფუფქავს”, – შენიშნავდა ნოდარ დუმბაძე („ლიტერატურული საქართველო”, 1978, 2).

ნოდარ დუმბაძის იუმორისტული ნაწარმოებებით წარმოდგენა გვექმნება იმდროინდელი საზოგადოების ფსიქიკასა და ცნობიერებაზე, მისწრაფებებსა და ყოფით ინტერესებზე. ბევრი რამ, ჟანრული სპეციფიკის გამო, მათში ჰიპერბოლიზებული და გაშარჟებული ფორმითაცაა გადმოცემული, მაინც რეალურად არსებული მანკიერებების ობიექტურად მამხილებელი ქმნილებებია. მხილებისა და კრიტიკის უმთავრეს საშუალებად ავტორს იუმორი აქვს გამოყენებული. უნდა აღინიშნოს, რომ მწერლის სიცილი შორს დგას გესლის, დაცინვისა და გაკილვისგან. ერთგან შენიშნავს: „პირადად მე ჩემი სიცილით ვცდილობ, კი არ დავამდაბლო, პირიქით დავეხმარო ადამიანს, ავამაღლო იგი...”

ნ.დუმბაძის იუმორი ნაკლოვანებებს კი არ ჩქმალავს, პირიქით, ადამიანს ზრდის. ნოდარ დუმბაძის იუმორისტულ ნაწარმოებებზე მკვლევარი ნოდარ ჩხეიძე შენიშნავდა, “რომ ამ ნაწარმოებების ავტორი ჩამოყალიბებული და დასრულებული ფელეტონისტია. ამგვარი ნაწარმოებების სიმრავლე მომავალში კიდევ უფრო მნიშვნელოვანსა და სრულქმნილს

გახდის მისი, როგორც ჟურნალისტიკისა და ფელეტონისტიკის მოღვაწეობას” (ჩხეიძე, 1977, 13].

მისი ფელეტონები მრავალფეროვანია. საინტერესოა ფსევდოპოეტ ომარ ხაიამის ავტორობით გამოქვეყნებული რობაიები, სადაც მწერალმა საკმაოდ შთამბეჭდავი ფორმა მოძებნა ადამიანური მანკიერებების სამხილებლად და გასაკილად. “ომარ ხაიამს თავისი დროისათვის დიდი განათლება უნდა ჰქონოდა მიღებული, რადგან მას, თანამედროვეთა გადმოცემით, თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებელი მოუვლია... ომარ ხაიამის შემოქმედება განმსჭვალულია ღრმა ოპტიმიზმით, გაბედული პოეტური აზრებით და გამოთქმებით. მიუხედავად იმისა, რომ მის შემოქმედებას ალაგ-ალაგ დაჰკრავს უიმედობის სიო, იგი მაინც არ დგას განმარტოვებით, მისი გულისთქმა ესთეტიკურადაა დაკავშირებული ახალგაზრდობის მუდმივ მაჯისცემასთან.”

„მე რომ დიპლომი მქონებოდა - დედამ ინება, მამა დამპირდა მყუდრო ოჯახს არ დაცილებს, მე ქვეყნად მოსვლა არავისთვის მითხოვია და სანამ წავალ მამაჩემმა უნდა მარჩინოს” (ჟურნ. „ნიანგი“ 1956, 8. 6).

ეს არის მწერლის თვალთ დანახული მომავალი თაობის სახე, რომლის შექმნაში მშობლებსაც დიდი „წვლილი“ მიუძღვის. რობაიებში გადმოცემულია ფუფუნებაში გაზრდილი, უსაქმური ახალგაზრდის ცხოვრების სტილი, სწავლისა და შრომის, როგორც საზოგადოებრივად მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პრობლემა. ნოდარ დუმბაძე დიდი ინტერესით წერს ბავშვთა აღზრდის საკითხებზე. „ბავშვების როლი მშობლების აღზრდის საქმეში” იმ შედეგებზეა საუბარი, რაც ბავშვის არასწორად აღზრდას შეიძლება მოყვეს. “როგორც ჩემს წინა ნაშრომებში მოგახსენებდით, მშობლების როლი ბავშვის აღზრდის საქმეში განუზომელია. მაგრამ, თქვენ წარმოდგინეთ ბავშვებიც გარკვეულ როლს ასრულებენ მშობლების აღზრდაში.... არ ვიცი ყვალა მშობელზე იმოქმედებს თუ

არა ბავშვების აღმზრდელობითი მუშაობა, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ბავშვების ამ უეჭველად მისასალმებელ საქმიანობას დადებითი შედეგი მოჰყვება, ეს ცხადია” (ყურნ. „ნიანგი“ 1956, 10; 6).

ფელეტონში “პათანატომიური მოვლენები” ახალგაზრდების ზოგიერთი ქმედებაა გაკიცხული. „აქ შეიძლება ცალკე თავად გამოგვეყო საკითხი “ მშობლების როლი ადამიანის გამაიმუნების საქმეში,” მაგრამ ეს რთული საკითხია და ცალკე დამუშავებას მოითხოვს. ყოველივე ამის შემდეგ მე თავს უფლებას ვაძლევ დავამტკიცო, რომ გარკვეულ პირობებში გარკვეული მიზეზების გამო შეიძლება ადამიანისგან წარმოიშვას მაიმუნი და ამას არ ჭირდება მილიარდი წლები. მიუხედავად ჩემს შრომაში განვითარებული აზრისა, არ არის გამორიცხული, რომ ამ მაიმუნებიდან ევოლუციის გზით

კვლავ წარმოიშვას ადამიანი, რასაც მე სულით და გულით მივესალმები” (ყურნ. „ნიანგი“ 1959, 1; 3).

ავტორი აქვე დასძენს, რომ ელემენტარული ეთიკისა და კულტურის გარეშე გაზრდილ ბავშვებს ნაკლები სიყვარულით და ერთგვარი შიშითაც კი უყურებენ ქუჩებში, ტრანსპორტში.

ნოდარ დუმბაძის ფელეტონების თემა ძირითადად მორალს ეხება. წინა პლანზეა წამოწეული საზოგადოებრივი თუ ოჯახური მოვლენების ეთიკური არსი და მნიშვნელობა. მონათხრობი კონკრეტული მისამართით და ფაქტიურ, უშუალო მასალაზე არ არის აგებული, მაგრამ ავტორი ისეთი თანამიმდევრობით ხატავს სახასიათო ნიშნებს, რომ მეხსიერებაში რჩება სიტუაციები, ცალკეული დიალოგები, ადამიანები. გიგილო იმდენად ნაცნობია, რომ ყოველ ქუჩაზე შეიძლება დავინახოთ. „გენერალური რეპეტიცია“, „სააგარაკო“, „ცოლ-ქმართა ურთიერთობისათვის“ – აღწერილი ოჯახური სცენები ბევრისათვის ნაცნობია.

„ვზივარ და ვფიქრობ ბავშვობის იმ გაფრენილ დღეებზე, როდესაც მერცხლის მოფრენა მახარებდა. ახლა რომ ჟრუანტელს მგვრის... არადა, დასვენება მართლაც საჭიროა. ჩემს დასვენებას ვინ ჩივის, რაც ცოლი მოვიყვანე, მას შემდეგ ყოველ ზაფხულს მხოლოდ ყურებს ვასვენებ და ამითაც კმაყოფილი ვარ” („სააგარაკო”) (ჟურნ. „ნიანგი” 1959, 10; 2).

„ამას წინათ ერთი, თუ შეიძლება ასე ეწოდოს, ინსტრუქცია წავიკითხე იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქცეოდეს სახლში ქალი, რომ ქმარი კუბოს ფიცრამდე მოჯადოებული ჰყავდეს” (ჟურნ. „ნიანგი” 1959, 1; 3).

(„ცოლ-ქმართა ურთიერთობისათვის”) — აი რამდენიმე ცხოვრებისეული დასკვნა.

ნოდარ დუმბაძე ფელეტონებში ეხება ლიტერატურული ცხოვრების იმ საკითხებსაც, რომლებიც მუდამ არის ზეპირი განსჯისა თუ გამოხატვის საგანი. „მას შემდეგ, რაც მოხდა წერაკითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია და მოთხრობების წერა მოსახლეობის ფართო მასებისათვის ყოველდღიური მოთხოვნების საგნად იქცა, რა თქმა უნდა, წარმოებიდან მოუწყვეტლად, ჩვენი, კრიტიკოსების საქმე საგრძნობლად გართულდა. ახლა ამ მოთხოვნილებათა ნაკადის შეჩერება უკვე ძნელია, როგორც გაფუჭებული ონკანიდან გამომხეთქილი წყლის ნაკადის შეჩერება ონკანზე ხელის მოჭერით. სხვა რომ არა იყოს რა, უბრალოდ წარმოუდგენელია ნაიკითხო ყველა მოთხოვნილება, რომლებიც საქორწინოდ გამომცხვარი უმარილო ხაჭაპურებივით გვანან ერთმანეთს” (ჟურნ. „ნიანგი”, 1959, 9; 3]. ან კიდევ: „ჩემს მაგიდაზე დევს მეთავედ გამოცემული „ბამბანერკასავით” ჭრელ ყდაში ჩასმული წიგნი, რომელსაც ასეთი წარწერა აქვს: „ძმას, მეგობარს, მოქალაქეს, ადამიანს, უაღრესად ნიჭიერს, გულისხმიერს, კარგ პოეტს, ნიჭიერ პროზაიკოსს, თავმდაბალს, მეცნიერების ყველა დარგით გატაცებულს. ლიტერატურის საკუროთხვეველზე ზვარაკად მიტანილი ავტორისაგან. 1958 წ. 5/II.

თბილისი ... რა არის წიგნი? წიგნი თავისთავად არაფერიც არ არის. მთავარია ამ წიგნში რა არის” (ჟურნ. „ნიანგი“, 1959, 5;5).

მდარე ხარისხის ლიტერატურულ ნაწარმოებებზე დაცინვებს და ხუმრობებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე მოისმენს ადამიანი, მაგრამ საჯაროდ ნათქვამს, პრესის საშუალებით, — იშვიათად. იმიტომაც ამახვილებს ყურადღებას ამ პრობლემაზე, რომ იცის ცუდ წიგნს რამდენად დიდი ზიანის მოტანა შეუძლია ადამიანისათვის, მხოლოდ ჰონორარზე გათვლილი წიგნი კი საზიანოა მთლიანად საზოგადოებისათვის, ამიტომაც წერს მწერალი: „რას გვაძლევს წიგნი? წიგნი გვაძლევს ჰონორარს. რას გვაძლევს ჰონორარი? ჰონორარი გვაძლევს წიგნს. მაშ რომელი უფრო ადრე გაჩნდა — წიგნი თუ ჰონორარი? . . . საინტერესოა რამდენჯერ შეიძლება ერთი და იგივე წიგნის გამოცემა მაშინ, როდესაც ჯერ პირველი გამოცემაც არ გასაღებულა და არც გასაღდება?“ („ნიგნი“) (ჟურნ. „ნიანგი“, 1959, 5; 5]

ასე ამხელს ნოდარ დუმბაძე უნიჭო, მაგრამ ამბიციურ მწერლებსა და ფსევდომეცნიერებს. გაშარყებული ჩვეული მახვილსიტყვაობითა და იუმორით ამხელს შემოქმედებითი თუ მეცნიერული პროცესისათვის თანამდევ არაერთ მანკიერებას.

ამ თემაზე იუმორისტული მოთხრობებიც შეუქმნია. შეიძლება აღვნიშნოთ „ლიტერატურულ ძიებათა“ ციკლის „ეტიუდები“ „რუსთაველოლოგიური მიგნებები“. გარდა ამისა, არც მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგში გაკეთებული აღმოჩენები „გამოჰპარვია“. გამონაკლისს არც „რწყილი და ჭიანჭველა“ წარმოადგენს, სადაც თითქოსდა თანაბარ კომერციულ საზოგადოებაში, მატერიალურად დაბალ საფეხურზე მყოფი ადამიანები, ჩვეულებრივ ყოფაში ფესვგადგმულ მოვლენას — მექრთამეობასა და ბიოროკრატიულ აპარატს სავალალო მდგომარეობაში ჩაუყენებია.

ქართული ხალხური ზღაპრის სიუჟეტურ ქარგას ავტორი სხვა კონტექსტში წარმოგვიდგენს: „რწყილი არც იყო, არც არის და ვერც იქნება ვერასოდეს რძის მშოვნელი. ამას იმასაც თუ დაფუმატებთ, რომ, ზღაპარში

მეწველი ძროხა არის ნახსენები, რომელიც თითქოს ვილაც რწყილს, ერთი მუჭა ბალახის გულისათვის რამოდენიმე ლიტრ რძეს აძლევს. ზღაპრის ავტორი ძალიან სასაცილოდ და უმწეოდ გამოიყურება...” (ჟურნ. „ნიანგი“, 1969, 22. 3). ასეთია მწერლის მიერ ზღაპრიდან დანახული რეალობა.

ათეიზმის ხანაში საზოგადოების ეკლესიისადმი დამოკიდებულებაზეც ამახვილებს ყურადღებას: „ზოგიერთს რცხვენია კიდევაც ლოცვა — ვედრებისა და ჩუმ-ჩუმად დადის ეკლესიებში. ახალგაზრდებო, მაქსიმალურად გამოიყენეთ ღვთის წყალობა. დაიხმარეთ მამაზეციერი: ჩაჭრის, სკოლიდან გარიცხვის, ავადმყოფობის, ცალმხრივი სიყვარულის, ბავშვის მონათვლისა და სხვა კეთილშობილური საქმის მოგვარებაში . . . ღმერთმა ხელი მოგიმართოთ” (ჟურნ. „ნიანგი“, 1956, 8. 3). ეს გაბედული ნათქვამი იყო.

XX საუკუნის 60-70-იან წლებში პრესა, რადიო, ტელევიზია ძირითადად, ერთ მიზანს ემსახურებოდა, შეელამაზებინა სინამდვილე, შეექმნა მოჩვენებითი, ჰარმონიული კეთილდღეობის შთაბეჭდილება, მიეჩქმალა შეცდომები, მანკიერი გადახრები, ნაკლოვანებები. ნოდარ დუმბაძესთან კი „ჭირმა თავი არ დამალა”. მან სატირით, იუმორთან შეზავებით წარმოგვიჩინა შეუფარავი სინამდვილე.

საკითხები, რომლებსაც მწერალი ეხება, იმდენად შეესაბამება არსებულს, რომ ვრწმუნდებით საზოგადოებრივი ყოფა, სოციალური შეგრძნება და ქმედებები როგორი სიზუსტითაა გადმოცემული.

საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მანკიერებანი, თავისთავად ზოგადსაკაცობრიოა და, საუბედუროდ, მარადიულიც. ნოდარ დუმბაძე, როგორც საუკეთესო „ადამიან-

თმცოდნე”, პრობლემების დასმასა და გაშუქებას ძალდაუტანებლად, ბუნებრივად ახერხებს. მისი იუმორი საზრდოობს ხალხური იუმორით. იმავე დროს, იგი მისი ნიჭის გამობრწყინებაცაა.

მწერლის იუმორი მიზნად არ ისახავს ვინმეს გაქირდვას, ან შეურაცხყოფას. მისი ალალი და ლალი ღიმილი არის საღბუნო, რომელიც ადამიანებს ჭრილობებს მოუშუშებს, ყველაზე მწარე ტკივილს დაუამებს, გაახალისებს, შეწუხებულს სევდას გაუფანტავს, ატირებულს გააღიმებს. „ნოდარ დუმბაძის იუმორი ლალი და ულევია, ამოუწურავი და ყოველი ახალი სიტუაციისათვის სავსეა შესაფერისი ფერებით. მან იუმორისტულ მოთხრობებში,

შემდეგ კი პირველსავე რომანში იმდენი ელვარება შესძინა ქართულ სიტყვას,

მისი გამომსახველობითი შესაძლებლობები ისე მდიდრულად წარმოაჩინა, რომ შეიძლება ითქვას, მას ამ მხრივ ანალოგი არ ჰყოლია” (კვანჭილაშვილი, 1985, 139).

ნ.დუმბაძე სიმწრით, შენიღბული მრისხანებით, დაუნდობელი ირონიით გვაცნობს საზოგადოების მახინჯ ტიპებს. „იგი ღრმად და დაუნდობლად ამხელდა უკანონობას, მან ტრადიციულთან ერთად თავისი შემოქმედება ააგო საზოგადოებრივ ურთიერთობებზე. სატირა მიმართულია არა ცალკეული მავნებლობის წინააღმდეგ, არამედ გაბატონებულ ძირეულ საზოგადოებრივ წყობაზე, სინამდვილეზე. მან საქართველოში არსებულ მახინჯ გამოვლენათა თუ პიროვნებათა მთელი გალერეა შექმნა. იუმორი კი შერწყმულია სერიოზულ, ტრაგიკულ აზროვნებასთან” (კავკასიის მაცნე, 10, 2004, 193).

ეროვნული გამოფხიზლების ამოცანა მკვეთრად დაისვა XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ მწერლობაში, როცა მორალურ-ზნეობრივი კატეგორიების გაუფასურებამ საშიშ ზღვარს მიაღწია, როცა პატიოსნება, კეთილსინდისიერება,

ადამიანური კეთილშობილება ბევრის მიერ გაკილვის და დაცინვის საგნად იქცა. ამ მანკიერებათა მხილებით მწერალმა ერს გამოფხიზლებისაკენ მოუწოდა, რათა საღად შეეფასებინათ სულიერი დაქვეითების კრიზისული მდგომარეობა, სახალხო ბრძოლაგამოეცხადებინათ მანკიერებათა წინააღმდეგ. ნოდარ დუმბაძის ფელეტონი დიდი და მცირე ცხოვრებისეული კონფლიქტების, ძველისა და ახლის, პროგრესულისა და ჩამორჩენილის ბრძოლის აქტიური ასახვის მეტად თავისებური და საინტერესო მეთოდია.

ფელეტონი, როგორც ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ყველაზე რთული და თავისებური ჟანრი, მოითხოვს მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური კანონების დაცვას, რომელთა გარეშე იგი სწრაფად კარგავს მომხიბლელობასა და კოლორიტს, იქცევა უფერულ, მოსაწყენ მასალად. განხილულმა ფელეტონის ნიმუშებმა გვიჩვენა, რომ ფაქტი, ესა თუ ის ცხოვრებისეული მოვლენა, რომელიც ნ.დუმბაძის ფელეტონის საფუძველს წარმოადგენს, გაფორმებულია მხატვრულ-პუბლიცისტური საშუალებებით, მათში შერწყმული ამ ჟანრებისათვის დამახასიათებელი ელემენტები, რომლებსაც ფელეტონისტი თავისებურად იყენებს და უმორჩილებს ფაქტის განზოგადებისა და საჭირო პოლიტიკურ

ასპექტში გააზრების ტენდენციებს. ეს პრობლემა გაითავისა ნოდარ დუმბაძემ, რითაც დაიმკვიდრა შეუდარებელი ფელეტონისტის სახელი. წამოჭრილი პრობლემებს არც დღეს დაუკარგავთ აქტუალობა. ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა მწერლის ოსტატობა.

## **გამოყენებული ლიტერატურა**

1. გ. ასათიანი, „თავისთავადი და განუმეორებელი“, „ჟურნალი მნათობი“, 1978, 8;

2. გ. ასათიანი, „კრიტიკული დიალოგები“, თბ., 1977;
  4. Л. Ершов, „советская сатирическая проза 20-х годов“, М., 1960;
  5. იუმორს ნუ გამოვეთხოვებით! „ლიტერატურული საქართველო“, 1978, 13 იანვარი;
  6. კავკასიის მაცნე, 10, თბ. 2004 წ;
  7. ტ. კვანჭილაშვილი, „მწერალი, ლიტერატურა, დრო“, თბ. 1985;
  8. გ. კიკნაძე, „ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის“, თბ., 1953;
  9. რ. მიშველაძე, „ქართული სატირული ჟურნალისტიკა“, თბ., 1971;
  10. ჟურნალი „ნიანგი“ 1956 წ; №№1; 3; 5; 8; 9; 10; 22.
  11. ე. სიხარულიძე, „ქართული საბჭოთა ფელეტონი“, თბ., 1969;
  12. ნ. შენგელია, „ფელეტონი“ ქუთ., 2005;
  13. М.С. Черенков, „Сатирические жанры“, МГУ, 1959”.
  14. ჩხეიძე ნ. „კრიტიკული წერილები“, თბ., 1977;
  15. ი. ჩხოზაძე, ს. ჩხოზაძე, „საგაზეთო ფელეტონის ჟანრის საკითხისათვის“, „საენათმეცნიერო ძიებანი“, თბ., 2006;
13. [www. Nodar dumbadze.ge](http://www.Nodar.dumbadze.ge);
14. [www. google.ge. publicistica](http://www.google.ge.publicistica).

## **Guranda Shamilishvili**

### **„Joke, humor, satire – this is life...”**

#### *Summary*

Nodar Dumbadze’s name in Georgian literature is closely connected with the humorous style, feuilleton. Tearful and painful laughter was the main weapon through which he could reach great creative freedom. Humorous stories written by Nodar Dumbadze give us clear impression

about the psychics and lives, aspirations and interest of the society in that period. Nodar Dumbadze's feuilletons are mostly of moral nature. They highlight ethic essence and meaning of social or family events.

Nodar Dumbadze introduces ugly types of society with bitterness, masked severity and ruthless irony. The problems arisen by his feuilletons were really very urgent in those days but they still did not lose their actuality today. This fact once again proves the splendid mastery of the writer.

## **Гуранда Шамилишвили**

### **„Шутка, юмор, сатира - это жизнь”...**

#### *Резюме*

Чувство юмора определяет внутреннюю культуру человека, это бодрый и веселый спутник жизни. Имя Нодара Думбадзе тесно связано с юмором, фельетоном, смех сквозь боль и слезы, был главным оружием, с помощью которого он достигал большой творческой свободы. Нодар Думбадзе беспощадной иронией знакомит нас с уродливыми типажам общества. Обнажая пороки, он призывает нацию к протрезвлению. Проблемы подмеченные в фелетонах Нодара Думбадзе, не потеряли своей актуальности и сегодня.

## მასალათა დაბალანსების პრობლემა

(გენდერული ბალანსის ზოგიერთი ასპექტი)

ჟურნალისტურმა მასალამ რომ რეალობა მაქსიმალური სინამდვილით ასახოს, ამისათვის ის (მასალა), დაბანსებული უნდა იყოს. დაბალანსება და ტენდენციურობა ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია. მარტივად რომ ვთქვათ, სადაც ბალანსია, იქ ტენდენციურობა არ არსებობს და პირიქით. ამბის დაბალანსებულად გადმოცემა მოითხოვს მიუკერძოებლობას, ე.ი. ობიექტური პოზიციის დაკავებას და ამ პოზიციის ბოლომდე ერთგულებას, ანუ ამბის ისე მოთხრობას, როგორც იგი სინამდვილეში მოხდა. იყო ობიექტური ნიშნავს, გაუმართლებლად არ გამოყო მოვლენისა და საკითხის რაიმე ასპექტი რეალობის არასწორად ასახვის მიზნით (რაც არ უნდა იყოს ამის მოტივი). ამიტომ, ობიექტურობა მოითხოვს მოვლენისაგან გარკვეულ დისტანცირებას და მის იმგვარად ასახვას, როგორც ამას ის ადამიანი გააკეთებდა, რომელსაც არანაირი დაინტერესება ექნებოდა ამ ამბის მიმართ.

„აუდიტორიისათვის საკითხის, მოვლენის სრულყოფილად მიწოდების შეუძლებლობის გამო, ჟურნალისტი არჩევანის წინაშე დგას: რაზე გაამახვილოს ყურადღება და რაზე არა. რეალობის ისეთი შერჩევის ასახვა მაინც მართებულად ჩაითვლება, თუ საპირისპირო პოზიციები ისეა გადმოცემული, რომ არც ერთი მათგანი არ იძენს უპირატესობას იმ ჩარევის შედეგად, რომელსაც ჟურნალისტი ზემოაღნიშნული შეზღუდვების გამო ახორციელებს. არასამართლიანი ანუ ტენდენციური ასახვა კი, ამბის ერთ-ერთი ასპექტის თუ არგუმენტის ისე გაშუქებაა, რომ ამ ასპექტთან და არგუმენტთან შედარებით გაუმართლებელი უპირატესობა ენიჭება (ეს უპირატესობა შეიძლება იყოს როგორც პოზიტიური, ასე-

ვე ნეგატიური ხასიათისაც). ამ შემთხვევაში აუდიტორია ძალიან შორდება რეალობას.

თუმცა არის საკითხები, სადაც ბალანსის დაცვა არ არის საჭირო. მაგალითად, ნარკომანია რომ საშინელი სენია და მის წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ, ამას საპირისპირო მოსაზრებით, ბუნებრივია, დაბალანსება არ სჭირდება. ვფიქრობთ, შეუძლებელია, რომელიმე ჟურნალისტს თავში აზრად მოუვიდეს გარემოზე ზრუნვის არგუმენტების დაბალანსება გარემოსთვის ზიანის მიყენების არგუმენტებით ან ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ რჩევების დაბალანსება იმის სწავლით, თუ როგორ ვავნოთ თავს. ზოგჯერ არც ისე ცხადია, ამა თუ იმ მოვლენის საკითხის გაშუქებისას ბალანსის დაცვა. ასეთ დროს დაფიქრება, კოლეგებთან კონსულტაციის მიღება და საერთო სარედაქციო გადაწყვეტილების მიღებაა საჭირო. მაგალითად, როგორ მოვიქცეთ, როდესაც დიდი უმუშევრობის პირობებში, როდესაც ახალი სამუშაო ადგილების შექმნით გარემოს ზიანი ადგება?“ (მსხილაძე, 2008, 89).

სამწუხაროდ, ბევრ ჟურნალისტს ბოლომდე არ ესმის ბალანსის მნიშვნელობა (ეს განსაკუთრებით ტელე და რადიო-ჟურნალისტებს ეხებათ). მათ საპირისპირო მოსაზრებებს შორის საეთერო დროის ზუსტად გადანაწილება ჰგონიათ დაბალანსება. მოსაზრებათა დაბალანსებული გაშუქება საპირისპირო პოზიციებს შორის წმინდა მათემატიკური ბალანსის დაცვას არ გულისხმობს, ეს ნიშნავს თითოეული განსხვავებული მოსაზრებისათვის მისი მნიშვნელობის შეფასების დროის დათმობას.

რატომ მოხდა მასალათა დაბალანსება ჩვენი მიმოხილვის ორბიტაში? პასუხი მარტივია. იმიტომ, რომ ეს თვით საზოგადოებამ მიიჩნია ასე. ...და რატომ?

დაუბალანსებელი მასალები თანამედროვე ქართული მედიასივრცის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხთაგანია.

აქვე დავსძენდით იმასაც, რომ ეს პრობლემა ჟურნალისტების მიერ ხელოვნულად შექმნილი ნამდვილად არ არის. სათავეში თავად არხის თუ გაზეთის მფლობელი დგას, რომელიც სხვა კონკრეტულ ძალებთან ერთად, თავად უნდა ქმნიდეს ხელოვნურ ბერკეტებს სარედაქციო საქმიანობაში.

2007 წლის 7 ნოემბრამდე, ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში საკმად დიდი ხნის მანძილზე გადიოდა გადაცემა „რე-აქცია“, რომელიც ჟურნალისტ ინგა გრიგოლიას მიჰყავდა. პირდაპირი ეთერი აშკარად დაუბალანსებელი იყო და ამას თავად გადაცემის წამყვანიც აღნიშნავდა. „ხელისუფლების უდიდეს შეცდომად პირველ რიგში მიმაჩნია ის, რომ ტელეკომპანია „იმედს“ ბოიკოტი გამოუცხადეს, ხოლო მეორე და მიუტევებელი შეცდომა თავად 7 ნოემბერია“, -აღნიშნა ჟურნალისტმა. ვფიქრობთ, პრობლემა აქაც არხის მაშინდელი მფლობელი ბადრი პატარკაციშვილი და მისი საქმიანობა იყო. აქვე გავიხსენებდით, იმავე ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გასულ ერთ-ერთ სიუჟეტს - როცა კახელმა გლეხმა თავისივე ხელით ვაზი აჩეხა. თავის დროზე აღნიშნულ სიუჟეტს ძალიან დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ისედაც საცოდავი გლეხისთვის, უდიდესი შეურაცხყოფის ტოლფასი იყო, როცა უთხრეს - რომ მისი „ცრემლები შეკვეთილი იყო“. ქართველი გლეხი ყოველთვის გულწრფელობით არსებობდა, თუმცა, ამავედროულად ვფიქრობთ, რთული დასაჯერებელია, რომ იმოდენა კახეთში, ერთი კაცი მაინც არ იყო, რომელიც ოდნავ მაინც კმაყოფილი დარჩებოდა რთველით. ეს ფაქტი რეპორტაჟში ჟურნალისტს ან უნდა ეთქვა, ან კიდევ საპირისპირო მოსაზრების მქონე პიროვნება ეჩვენებინა.

აქვე დავსძენდით იმასაც, რომ ყველაფერში არხის მფლობელებსა და ჟურნალისტებს ნამდვილად ვერ დავადანაშაულებდით. „ტელეარხი 25“-ის ეთერში, თითქმის ყოველ საღამოს გადაცემა „დიალოგის“ პირდაპირ ეთერში გაისმოდა წინადადება, რომ — მიუხედავად არაერთი მონვევისა და

მცდელობისა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა გადაცემაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. იგივე გაისმოდა თავის დროზე „რეა-აქციის“ პირდაპირ ეთერშიც. აქედან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში ბარიერებს სხვადასხვა სპექტრის წარმომადგენლები თავადვე ქმნიან ხოლმე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველა მასალა დაბალანსებას არ ექვემდებარება, მაგრამ ისევ და ისევ არხის საქმიანობიდან გამომდინარე, ჟურნალისტი ვალდებულია განიცადოს (ან ზენოლას, დავალებას). სწორედ მსგავსი პრობლემა შეემთხვა რამდენიმე წლის წინ საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთ ჟურნალისტსაც (მისი ვიანობის დასახელებისგან თავს შევიკავებთ, რადგან მან სხვადასხვა პრობლემათა გამო აღნიშნული არხი უკვე მიატოვა). მაშინ, როცა გლდანში მოსახლეობა უწყლობით შენუხებულიყო (მათ პროტესტის ფორმას მიმართეს), არხის მფლობელის დავალება მასალის დაბალანსება გახლდათ. ჟურნალისტმა ინტერვიუ აიღო როგორც სხვადასხვა ოფიციალური პირებისაგან, ასევე მოსახლეობისგანაც, მაგრამ არხის სარედაქციო ხელმძღვანელობა მაინც ვერ მოხიბლა. აუცილებელი გახდა განსხვავებული აზრის მქონე რესპონდენტის ნახვა, რომელიც იტყოდა, რომ დასახლებაში ყველაფერი რიგზე იყო. ბუნებრივია, ჟურნალისტს თვალწინ ერთი შეხედვით მარტივი, მაგრამ საკმაოდ რთული დავალება გადაეშალა. ჟურნალისტმა გოგონამ ინტერვიუსთვის, განსხვავებული აზრის დაფიქსირებისათვის, მეგობარი ვაჟი დაითანხმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მართალია გლდანის კონკრეტულ მიკრო რაიონში არ იყო წყალი, მაგრამ ხელისუფლებამ გზა შეაკეთა და მარტო ეს უკანასკნელი რად ღირდა? ეს ერთი შეხედვით ზღაპრული მონათხრობი, თანამედროვე ქართული მედიასივრცის რეალობაა. როცა ჩვენში ჟურნალისტური მასალის დაბალანსება ასე ესმით (ბუნებრივია, ყველაზე არ ითქმის), რთულია ხარისხიანი პროდუქციის შექმნაზე ვისაუბროთ.

„არის ასევე შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტმა არ უნდა დაიცვას პროფესიული ქცევის ერთ-ერთი მოთხოვნა — შეიკავოს თავი საკუთარი აზრის გამოხატვისაგან. მაგალითად, ჟურნალისტმა უნდა გააკრიტიკოს რესპონდენტის არატოლერანტული, ქსენოფობიური, დისკრიმინაციული გამონათქვამები და მოსაზრებები და გამოხატოს საკუთარი, ამავდროულად თავისი მედიაორგანიზაციის ნეგატიური დამოკიდებულება ასეთი მიდგომისადმი“ (მსხილაძე, 2008, 90).

და ბოლოს, საინტერესოა გენდერული თანსწორების დაბალანსების ზოგიერთი მიმართულებაც. აღნიშნული საკითხი, საქართველოში როგორც იტყვიან „ახალი ხილი“ არ არის. მრავალი წელია, ამ სფეროთი არაერთი არასამთავრობო ორგანიზაციაა დაინტერესებული, ბევრი ინერება აღნიშნულ თემაზე. „გენდერი“ ინგლისური სიტყვაა. ადრე იგი მხოლოდ გრამატიკაში გამოიყენებოდა, სადაც არსებით სახელთა სქესს აღნიშნავდა. XX საუკუნის მე-2 ნახევრიდან ცნება „გენდერი“ სოციალურ მეცნიერებებში შემოვიდა ხმარებაში, რათა ქალისა და მამაკაცის ფუნქციონირება სოციალურ და კულტურულ გარემოში აღნიშნულიყო. გენდერის გასაგებად, აუცილებელია გავმიჯნოთ იგი ცნებისაგან „სქესი“.

გენდერი სოციალურ-კულტურულ გარემოში ყალიბდება და წარმოადგენს თვისებების, სოციალური ქცევების, როლებისა და სტატუსების ერთობლიობას, რომელიც ქალისა და მამაკაცისათვის კონკრეტულ საზოგადოებაში განსაზღვრულია ხოლმე.

სამყაროს გასაშუქებლად მედიის ახალი ამბების ინდუსტრიამ თანაბრად უნდა ასახოს ახალი ამბები დანახული როგორც ქალების, ასავე მამაკაცების თვალთ. ქალები ჩართულნი უნდა იყვნენ მედიაორგანიზების ყველა დონეზე — როგორც რეპორტიორების, ასევე, გადაწყვეტილებების მიღებისას. ის, რომ ნიუსრუმებში ქალები ჭარბობენ, ვერ გამოდგება გენდერულ-მგრძობიარე რეპინგისთვის ხელშემ-

ნყოფნად.

„ხშირად, ქალებს იგივე საკითხები აღელვებთ და აინტერესებთ, რაც მამაკაცებს. მნიშვნელოვანია, რომ გენდერული ხაზით არ მოხდეს იზოლირება და განცალკევება, გეტოირება.

თითოეულ ჟურნალისტს, როგორც ქალს, ასევე მამაკაცს, აქვს შესაძლებლობა, მოახდინოს გენდერზე დაფუძნებული სტერეოტიპების შეცვლა. მოკლედ, აქ ყველაფერი ჟურნალისტებზეა დამოკიდებული“ (მსხილაძე, 2008, 90).

მნიშვნელოვანია, გავიგოთ როგორ ხდება გენდერული სტერეოტიპების ფორმირება. ეს სტერეოტიპები გზას ხშირად მედიის საშუალებით იკვლევენ. სტერეოტიპების ტირაჟირებას კი ჟურნალისტები და რედაქტორები ახდენენ, რადგან ისინი თავად არიან იმ საზოგადოების შვილები, სადაც ეს სტერეოტიპები არსებობს.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს ქალებისადმი დამოუკიდებლობა რადიკალურად შეიცვალა და დღევანდელ საქართველოში ქალები საკმაოდ აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას ეწევიან, ჯერ კიდევ ძლიერია სტერეოტიპები, რაც ბევრი ქალისათვის შეურაცხმყოფელია. ჟურნალისტები ხშირად ვერც კი ხვდებიან, ისე ექცევიან ამ სტერეოტიპების ტყვეობაში. მაგალითად, ერთ-ერთტელეარხზე გავიდა სიუჟეტი, ერთი სკოლის დირექტორების ლოტოტრონით გამოვლენილ ორ კანდიდატზე. ამ კანდიდატების კონკურსი უშედეგოდ დასრულდა, ვინაიდან სკოლის დირექტორმა მხარი არც ერთს დაუჭირა. ეს სიუჟეტი ჟურნალისტმა ასეთი ფრაზით დაასრულა: „დირექტორობის ორი კანდიდატი ქალბატონის კონკურსი უშედეგოდ დასრულდა“. — თითქოს კონკურსის უშედეგობის მიზეზი ის ყოფილიყო, რომ ორივე პრეტენდენტი ქალბატონი გახლდათ. ჩნდება კითხვა, — მამაკაცები რომ ყოფილიყვნენ კანდიდატები, სხვა შედეგს მივიღებდით? ანდა, ერთი ქალი რომ ყოფილიყო, მეორე კი მამაკაცი,

არჩევანი აუცილებლად მამაკაცის სასარგებლოდ გაკეთდებოდა?

ამიტომ, ჟურნალისტებს მეტი სიფრთხილის გამოჩენა მართებთ ასეთი საკითხების გაშუქების დროს, ქალებზე მსჯელობისას უნდა მოერიდონ გენდერული თვალსაზრისით დისკრიმინაციული, ე.წ. სექსისტური გამოთქმების გამოყენებას, სექსისტური შეფასებებისა თუ შედარებების გაკეთებას. მაგალითად, ქალის ასეთი დახასიათება, როგორცაა „კაცს ტოლს არ უდებს“, „კაცივით ჭკვიანია“ და სხვა, ზოგი ქალისთვის შეურაცხყოფელია (მსხილაძე, 2008, 91).

ვფიქრობთ, ზემოთ მაგალითად მოყვანილი მედიაეთიკის აღნიშნული ქვეპუნქტის დაცვა, თითოეული ჟურნალისტისთვის სავალდებულოა (როგორც სხვა უამრავი). თუმცა, სანამ მედია არსებობს (და იარსებებს მანამ, სანამ კაცობრიობა იარსებებს), აღნიშნული პრობლემა ყოველთვის იქნება. ჟურნალისტისთვის პროფესიული სტანდარტების დაცვა და ეთიკის პრინციპები უმნიშვნელოვანესია.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. ანთაძე, „ცხოვრება ჭვავის ყანაში; ომი დამთავრდა, მშვიდობის გემინოდეთ“, საქართველოს სახალხო დამცველის პერიოდული გამოცემა ჟურნალი „სოლიდარობა“, 3 (24), 2008;
2. „დავძლიოთ გენდერული ძალადობა ამიერკავკასიაში“. თავისუფლების ინსტიტუტის გამოცემა, 2009;
3. ქ. მსხილაძე, „მედიაეთიკის ასპექტები“. საქართველოს სახალხო დამცველის პერიოდული გამოცემა ჟურნალი „სოლიდარობა“ 3 (24). 2008;
4. [www.media.ge](http://www.media.ge)
5. [www.presa.ge](http://www.presa.ge)
6. [www.tavisufleba.org.ge](http://www.tavisufleba.org.ge)

7. [www.gazeti.ge](http://www.gazeti.ge)
8. [www.rustavi2.ge](http://www.rustavi2.ge)
9. [www.imatedv.ge](http://www.imatedv.ge)
10. [www.tv25.ge](http://www.tv25.ge)

**Nestan Mamuchadze**

**problem of balansing journalistic materials  
(some aspects of gender balance)**

*Summary*

Having equilibrium in journalistic materials is one of the actual problems for Georgian media. Equilibrium and tendentiousness are opposite notions. Although, There are some matters, where is not necessary to keep the balance. Balanced illumination of opinions does not mean keeping pure mathematical balance between opposite positions. It means to give the appropriate time to each different opinion according to their importance.

Some directions of gender equality are also interesting. It's important, to find out how are formed gender stereotypes.

**Нестан МамуЧадзе**

**проблема балансировки журналистских материалов  
(некоторые аспекты гендерный балансировки )**

*Резюме*

Балансирование журналистической программы является одной из актуальных проблем грузинской меди.

Существуют вопросы, где в балансировании нет необходимости. Проявление балансируемого мнения между противоположными позициями не имеет в виду чисто механической защиты. Интересно балансирование гендерного одноправия некоторых вопросов. Необходимо знать как происходит формирование гендерного стереотипа.

# ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა

---

*ირმა ბაგრატიონი*

## **კულტურის ისტორიის ორგანოტროპული არსი კონსტანტინე კაპანელის ფილოსოფიაში**

კულტურის ისტორია, როგორც მრავალგვაროვანი ფენომენი, იმდენად წარმოადგენს კონსტანტინე კაპანელის (1889-1952) განსაკუთრებული კვლევის მიზანს, რამდენადაც მის მიერ შექმნილი ორგანოტროპიზმის თეორია კულტურის ონტოლოგიური პრობლემატიკის პირველი ფორმირების მცდელობაა ქართულ ფილოსოფიაში. ამასთან, გამომდინარე იქედან, რომ ორგანოტროპული კონცეფციის ძირითადი მოტივი არის კულტურის ყველა მხარის და ასპექტის გარემოსთან ორგანულ-სოციალური შეგუების მოთხოვნილებებით ახსნა, ბუნებრივია, კაპანელთან კულტურა არ განიხილება როგორც ერთიანი ისტორიული პროცესი, სადაც მისი ესა თუ ის ფენომენი საფუძვლად ედება და განაპირობებს დროში მონაცვლე კულტურის მოვლენებს. როგორც თავის ნაშრომში “სოციალური ესთეტიკის საფუძვლები. ორგანოტროპიზმი” აღნიშნავს “მსოფლიო კულტურისა და ცივილიზაციის თანდათანობით გაშლაში არ არის მთლიანი დენა, არ არის ერთეულობის მიზანი; სხვადასხვა კუთხიდან სხვადასხვა სახეები და სულები მოჩანან: არიან ეპიზოდები, პერსონები, კერძობანი, ფრაგმენტები, ინდივიდუალური და სოციალური თავისებურებანი, რომელნიც რიგ-რიგობით იძირებიან მარადიულობის ხახაში და რომელთა შორის არ არის გამაერ-

თიანებელი ხიდი, არ არის გადასასვლელ-გადმოსასვლელი ფონი” (კაპანელი, 1985:48).

მიუხედავად აღნიშნულისა, ორგანოტროპული თვალთახედვა მის ავტორს აძლევს გარკვეული კულტურის მთლიანობის და ინდივიდუალობის წარმოჩენის საშუალებას, რაც მასთან კულტურის ცნობილ ისტორიულ ტიპთა გაანალიზების საფუძველზე ხორციელდება. კერძოდ, კაპანელის მსჯელობით: “ისტორიული ეპოქები კულტურისა და ცივილიზაციის ენორმულ გაქანებაში შემოდიან თავიანთი გარკვეული სტილებით, პრინციპებით, იდეალებით; ყოველ ეპოქას კულტურისა აქვს ინდივიდუალური სული, გამოსახული როგორც ფორმაში, ისე შინაარსში, და გამომსახველი მთელი თავისი ნყობით სოციალური საჭიროებისა და განცდისა; კულტურის ფორმები თავიანთი კონსტრუქციებით და ფორმებით ემსახურებიან ეპოქის გაბატონებულ გემოვნებას, ეპოქის ესთეტიკას; სული კაცობრიობისა წუთისოფლის ხვეულებიდან კულტურის კონსტრუქციისთვის იღებს ისეთ მასალას, ისეთ ფერს, რომელთა საშუალებით კმაყოფილდება საზოგადოებრივად გაბატონებული ესთეტიკური პრინციპი; იდეა და ფორმა ორი დიდი ელემენტია ყოველი კულტურის შემოქმედების, ცივილიზაციის ყოველი სახისა”. ეს ნიშნავს, რომ კაპანელი მსოფლიო-ისტორიული პროცესის ერთიანობის იდეის გამოსახულებას გვთავაზობს თვითმყოფად და განუმეორებელ კულტურათა მრავალფეროვანი კონკრეტული მთლიანობის დასაწყისის, კულმინაციისა და დეგრადაციის ციკლური ისტორიებით. მისი აზრით, “კულტურის ისტორიაში ხშირად არის მომენტები მიმდინარეობათა გაერთიანების, სინთეზის: ერთმანეთს საუკუნეთა განმავლობაში დაშორებული ელემენტები სხვადასხვა მიზეზის გამო ერთდებიან, მთლიან სახეს იღებენ. აგრეთვე არის მომენტები გაყრისა და განაპირების: ელემენტები, რომელნიც წინათ, მთლიან ერთეულში იყვნენ მოთავსებულნი, ერთმანეთს შორდებიან და

სხვადასხვა მიმართულებით ხეტიალში იკარგებიან” (კაპანელი, 1989, 204-205).

როგორც ჩანს, კაპანელთან, რომელსაც კულტურასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხებისა შპენგლერისეულად აქვს განხილული, მოსალოდნელია ცივილიზაციის გამოცხადება კულტურის ისტორიის დამამთავრებელ ფაზად. როგორც ვიცით, ოსვალდ შპენგლერის (1880-1936) კულტურის მორფოლოგიის კონცეფციით, ცივილიზაცია ეს არის გარკვეული საბოლოო სტადია კულტურის განვითარებაში; კულტურისა, რომელიც მას შემდეგ, რაც “ამონურავს თავის სასიცოცხლო შესაძლებლობებს, მთავრდება კრიზისული დასასრულით” (Шпенглер, 1993, 116).

რაც შეეხება ხელოვნებას, როგორც სულიერი კულტურის გამოვლენის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ სფეროს, მასში ისტორიულად მოქმედი შემოქმედებითი პრინციპები კლასიციზმის, რომანტიზმის, რეალიზმის, სიმბოლიზმის და მისთანათა სახით, კაპანელის მიხედვით, ისტორიულ ღირებულებას წარმოადგენს იმდენად, რამდენადაც გამოსახავს შესაბამისი ეპოქის სოციალურ საჭიროებას. ასე მაგალითად, “მანქანური კულტურის ეპოქაში ძველი ეპოსების მაგიერ იწერება ახალი ეპოსები: ძველი ეპოსის მთავარი გმირი იყო რომელიმე ოდისევსი, ახალი ეპოსის გმირი არის ინჟინერი, ტექნიკოსი, რომელიმე ქარხნის მოსამსახურე; ძველი ეპოსი იყო განსაკუთრებით რომანტიკული ბუნების ფენომენი: ზღვა, ტყე, ხეობა, მდინარე, კლდეები, — აი, რა ესაჭიროება ძველ ეპოსს; ახალი ეპოსისთვის განსაკუთრებით საჭიროა რეალისტური მანქანა ელექტრონით, კინემატოგრაფებით, ხომალდებით; ჰომეროსმა პენელოპეს რომანი და ცხოვრება დაუკავშირა ინდუსტრიულ სინამდვილეს – ქსოვას და ქმრის ხეტიალს; ჩვენი დროის მწერალმა რომანი უნდა დაუკავშიროს ავტომობილებს, სინათლეს, დიდი მალაზიის ვიტრინებს, კოსმეტიკას... მანქანის ატმოსფეროში იბადება იდეა ახალი

მხატვრული სახისა, რომელსაც სული მუდამ აღელვებული აქვს: ტელეფონმა, ტელეგრაფმა, ფონოგრაფმა, თვითმფრინავმა დააჩქარეს ჩვენი სულის ცხოვრება” (კაპანელი, 1989:266-267). როგორც ვხედავთ, კაპანელთან თვალსაჩინოდ იკვეთება შემოქმედებითი, კერძოდ, ორგანოტროპული ურთიერთობა სულიერი კულტურის არსსა და ისტორიულ-სოციალურ მდგომარეობას შორის, უფრო კონკრეტულად, — სულიერი კულტურის შინაარსი საზოგადოების რეალური ინტერესების მოქმედების შედეგია; იგი, თავის მხრივ, ყოველთვის ესწრაფვის არსებული მდგომარეობის ასახვას და, ამდენად, გასაგები ხდება მხოლოდ იმ სოციალურ მოთხოვნილებათა ფაქტობრივი წარმოსახვაში, რომელთანაც ორგანულად არის დაკავშირებული. გამომდინარე აქედან, კაპანელისთვის “ჩვენი დროის ევროპული ხელოვნება მანქანური კულტურის შემოქმედებითი რეზონანსია და ეს რეზონანსი ტრაგედიულ სიმფონიებად იშლება ხელოვნების სხვადასხვა დარგში, ფუტურისტულ-კუბისტური აკრობატიზმიდან დაწყებული, ფერებისა და ლენტების სინემატოგრაფიულ თეატრამდე, იმ თეატრამდე, რომელიც ორგანოტროპულად მიეჩქარება დაღუპვისა და დაშლისკენ ისე, როგორც ის სოციალურ-სტრუქტურული წყობა არსებობისა, რომელმაც იგი წარმოშვა” (კაპანელი, 1985, 87). ჩვენი აზრით, ავტორი აქ იმაზეც აკეთებს მინიშნებას, რომ თავად ცივილიზაციაც და მისი განვითარებაც, როგორც განსაკუთრებული მდგომარეობა, გავლენას ახდენს კულტურის სტილზე და განაპირობებს მის ცვლილებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ სისტემაში – კულტურის ისტორია და საზოგადოება, მისი სრულყოფილად ახსნის მიზნით, კაპანელი განიხილავს ორგანოტროპული მიმართების კიდევ ერთ ფორმას; კერძოდ, გეოგრაფიული მდგომარეობის გავლენას კულტურის წარმოშობასა და განვითარებაზე: “...მდგომარეობა გეოლოგიური, გეოგრაფიული, კლიმატუ-

რი, სოციალ-ეკონომიკური ან სპობს ან საშუალებას აძლევს კულტურის ფორმებს ვითარებისა და გაშლისათვის” (კაპანელი, 1985:98).

ასეთი შეხედულებებით კაპანელის თეორია უახლოვდება სოციოლოგიაში საკმაოდ ფართოდ აღიარებული გეოგრაფიული მიმართულების ცნობილ წარმომადგენელთა, კერძოდ ინგლისელი ისტორიკოსის ჰენრი თომას ბოკლისა (1821-1862) და რუსი მეცნიერ-გეოგრაფის ლევ ივანეს ძე მეჩნიკოვის (1838-1888) კონცეფციებს. როგორც ვიცით, თავის ნაშრომში “ცივილიზაციის ისტორია ინგლისში” (1857-61) ბოკლი აწვითარებს აზრს, რომ ცივილიზაციის განვითარება განსაზღვრულია კლიმატის, ნიადაგისა და ბუნების საერთო მდგომარეობით. ხოლო ლ. მეჩნიკოვი თავის ნაშრომში “ცივილიზაცია და დიდი ისტორიული მდინარეები” (1883) ნათელყოფს სხვადასხვა ქვეყნის გეოგრაფიულ თავისებურებათა გავლენას მათი კულტურის ფორმირების მსვლელობაზე. მისი აზრით, კულტურის განვითარების ისტორიულ დინამიკაზე ზემოქმედებს ფიზიკური გარემოს ისეთი მნიშვნელოვანი მომენტებიც, როგორიცაა «გეოსფეროს, ჰიდროსფეროს და ატმოსფეროს მაჩვენებლები, ზღვებისა და მატერიკების არაერთგვაროვანი განაწილება, სანაპირო ხაზის სხვადასხვა კონფიგურაცია, ნიადაგის გეოლოგიური აგებულება, მთის ქანების ფორმა და მიმართულება» (მეჩნიკოვი, 1965, 44).

შეიძლება დავასკვნათ, რომ ორგანოტროპიზმის მიხედვით, კულტურის ისტორია წარმოდგენილია სიმრავლის სახით, რომელშიც ცალკეული კულტურა დამოკიდებულია დროზე, ტერიტორიასა და ხალხის რასობრივ ბიოლოგიურ თვისებებზე; ამიტომ თითოეული კულტურა ფლობს საკუთარ სტილს, საკუთარ სულიერ სამყაროს და, ამდენად, ორგანოტროპულ მიმართებაშია მის გარშემო არსებულ მდგომარეობასთან.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. კ. კაპანელი, "სული და იდეა"// "ფილოსოფიური შრომები", თბილისი, 1989.
2. კ. კაპანელი, "სოციალური ესთეტიკის საფუძვლები. ორგანოტროპიზმი", თბ., 1985.
3. Л. Мечников, Цивилизация и великие исторические реки, «логос», М., 1965.
4. О. Шпенглер, Закат Европы, Том 1, «наука», М., 1993.

**Irma Bagrationi**

### **The Organotropic Essence of History of Culture in Konstantine Kapaneli's Philosophy**

*Summary*

The present paper discusses, that philosophical analysis of history of culture by Konstantine Kapaneli is the result of the author's principles of philosophical conception – the principles of Organotropism, which are carried out and spread in social life. According to Spengler's Philosophy Kapaneli also considers that history falls into a number of independent, unique "cultures", peculiar superorganisms possessing individual fate and going through the periods of origin, efflorescence and death. According to Kapaneli, the task of "the philosophy of culture" is to understand the morphological structure of each culture, at the basis of which lies the "soul of culture". According to Lev Ilyich Mechnikov's theory of geographical determinism, Kapaneli also holds that progress of social culture is determined by the physico-geographic, principally hydrospheric environment. The author considers river, sea and ocean as the root factors in the origin and development of civilisation, are closely related to geographical determinism.

**Ирма Багратиони**

**Органотропная сущность истории культуры  
в философии Константина Капанели**

*Резюме*

В научной статье рассмотрен вопрос о сути культуры по органотропизму Константина Капанели. Отмечено, что Капанели, после создания им собственной оригинальной и совершенно новой философской концепции, рассматривает все мировые феномены и, в том числе, явления культуры, по формуле органотропизма. Это означает, что главной, определяющей причиной сути культуры Капанели называет состояние, под которым понимает целостность внешних условий, в которой создается и существует та или иная культура. Указывается, что под объективной основой сущностной специфики культуры Капанели подразумевает географические, климатические, биологические, физические, социальные, экономические, политические, исторические условия, хотя, подчеркивается, что из них преимущество отдаётся социальной среде со своими потребностями и нуждами.

შრომების კრებული  
PROCEEDINGS

საისტორიო მაცნე  
XIX-XX  
SAISTORIO MATSNE

გამომცემლობის რედაქტორი

*იზა ხარებავა*

ტექნიკური რედაქტორი და  
კომპიუტერული უზრუნველყოფა

*ირაკლი დავითაძე*

ტირაჟი 200



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge